

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი CS-II-22-223]  
The project was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number CS-II-22-223]

საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი  
INTERNATIONAL CONGRESS OF CAUCASIAN STUDIES



საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი  
INTERNATIONAL CONGRESS OF CAUCASIAN STUDIES



თბილისი 2022 3-5 ოქტომბერი  
TBILISI 2022 October 3-5



**საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი**  
**INTERNATIONAL CONGRESS OF CAUCASIAN STUDIES**



თბილისი 2022 3-5 ოქტომბერი  
TBILISI 2022 October 3-5

**საერთაშორისო კავკასიოლოგიური კონგრესი**  
**International Congress of Caucasian Studies**

**მოხსენებათა თეზისები**  
**Abstracts**

თბილისი/Tbilisi

3-5/ X/2022

ავტორთა სტილი დაცულია.

*The authors' style is preserved.*

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2022

ISBN 978-9941-36-033-6

**როინ მეტრეველი**  
(საქართველო, თბილისი)

**დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე**

ბატონებო,

ჩემთვის, გულწრფელად მინდა გითხრათ, ძალზედ რთულია, ძნელია, სრულყოფილად გადმოვცე აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ცხოვრება და შემოქმედება. ამიტომ ამთავითვე გთხოვთ დაკლებულისათვის შენდობას.

საამაყო, რომ ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის ამჟამინდელი კონგრესი ეძღვნება მსოფლიოში აღიარებულ, სახელგანთქმულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების აკადემიებისა და ლინგვისტური საზოგადოებების წევრს თამაზ გამყრელიძეს.

ორიოდე შტრიხით მოგახსენებთ მის ბიოგრაფიულ მონაცემებს.

თამაზ გამყრელიძე 1929 წლის 23 ოქტომბერს დაიბადა ქუთაისში. ეს ქალაქი გამორჩეულად უყვარდა ბატონ თამაზს. რამდენიმე წლის წინათ დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას ჩვენ შევჩერდით ქუთაისში, სწორედ იმ სახლთან - გელათისკენ მიმავალ ქუჩაზე რომ მდებარეობს, სადაც თამაზი დაიბადა. რაოდენ სითბოთი, სიყვარულით შესცქეროდა მეცნიერი რამდენადმე სახეშეცვლილ მის ყოფილ სახლს და, ცხადია, ბავშვობას აგონებდა...

1947 წელს საშუალო სკოლა დაამთავრა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. თამაზ გამყრელიძემ სტუდენტობის წლებშივე მიიქცია ყურადღება, როგორც სხვადასხვა ტიპის ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების ნიჭიერმა მკვლევარმა. მისმა ნაშრომებმა ურარტულ ენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ურარტული ენის შესწავლის საქმეში.

1952 წელს თამაზ გამყრელიძე ამთავრებს უნივერსიტეტს და მეცნიერულ საქმიანობას ეწევა აკად. გ. წერეთლის ხელმძღვანელობით. შემდეგ გაიგზავნა ლენინგრადში, სადაც პროფესორ ი. დიაკონოვის ხელმძღვანელობით სპეციალიზაცია გაიარა ძველ აქადურ, ურარტულ და ხეთურ ენებში.

სემიტური, ინდოევროპული, ქართველური, წინა აზიის ძველი ენების განსაკუთრებით კარგმა ცოდნამ, აგრეთვე ფართო ზოგადთეორიულმა მომზადებამ

განაპირობა 1956 წელს საკანდიდატო დისერტაციის დაცვა თემაზე: „ხეთური ენის არაინდოევროპული ელემენტები“. დისერტაციამ მაღალი შეფასება მიიღო - ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თამაზ გამყრელიძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის ღირსად სცნო.

1962 წელს ბატონი თამაზი იცავს სადოქტორო დისერტაციას: „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“. ამ გამოკვლევაში მეცნიერმა დაამტკიცა, რომ იგი მზადაა გადაწყვიტოს ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ცენტრალური საკითხები. სწორედ ამ დარგში შესრულებულმა ნაშრომებმა მოუპოვა საყოველთაო აღიარება თამაზ გამყრელიძეს და საბჭოთა კავშირში ხელოლოგიის ერთ-ერთ დამფუძნებლად იქნა იგი მიჩნეული.

თამაზ გამყრელიძემ წამოაყენა ახალი თვალსაზრისი ხეთური დამწერლობის წარმოშობის ძველ-აქადური წყაროდან, რითაც განმარტა ხეთური სისტემის პალეოგრაფიული და ორთოგრაფიული თავისებურებანი, რომლებიც ძველი თეორიის მიხედვით გაურკვეველი რჩებოდა.

ბატონი თამაზით ადრიდანვე ამაყოფდნენ მისი მასწავლებლები გიორგი წერეთელი და გიორგი ახვლედიანი: „დიდი ერუდიციისა და განსაკუთრებული ნიჭის მეცნიერმა... მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, უკვე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ლინგვისტთა შორის“ - ეს მონაფით კმაყოფილ მოძღვართა სიტყვებია.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე მრავალი ნაშრომის ავტორია სემიტოლოგიის, წინა აზიის ძველი ენების დარგში. მეცნიერის ზოგადლინგვისტური ინტერესები მოიცავს თეორიული ენათმეცნიერების ისეთ საკვანძო პრობლემებს, როგორიცაა ენობრივი ნიშნის ბუნება, წინადადების ვერბოცენ-

ტრული სტრუქტურა, შედარებითი რეკონსტრუქციის ზოგადი პრინციპები, დამწერლობის თეორია, ზოგადი ფილოლოგია.

მეცნიერის სამუშაოებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სხვადასხვა სისტემის ენათა ანალიზს, კერძოდ, სამხრეთ კავკასიური (ქართველური) ენების სტრუქტურისა და ისტორიის გამოკვლევებს. თამაზ გამყრელიძის მიერ ისტორიულ ქართველურ ენებში სიბილანტური რიგის ფონემების ასახვის დადგენილი კანონზომიერება სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია „გამყრელიძის კანონად“. ამ კანონს მნიშვნელობა აქვს არა მარტო ცალკეული ქართველური ენების ისტორიისათვის, არამედ იგი ზოგადლინგვისტურ და ზოგადმეთოდოლოგიურ მნიშვნელობას იძენს როგორც პრინციპი, რომელიც არაინდოევროპულ მასალაზე დაყრდნობით მიგვანიშნებს მკაცრი ფონემური კორესპონდენციების არსებობის აუცილებლობაზე ენებს შორის გენეტიკურ დამოკიდებულება-თა დადგენისას.

ქართველურ ენათმეცნიერებაში ახალი ეტაპი იყო თამაზ გამყრელიძის მიერ (გივი მაჭავარიანთან თანაავტორობით) შექმნილი მონოგრაფია: „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“. ამ გამოკვლევაში შემუშავებულია ქართველური ენების შედარებითი გრამატიკის პრინციპულად ახალი კონცეფცია - „ახალი პარადიგმა“. მონოგრაფიას დიდი წარმატება ხვდა, იგი საზღვარგარეთ, კერძოდ, გერმანიაში, გამოიცა. ნიშანდობლივია ცნობილი ენათმეცნიერის, აკადემიკოს ვ. ყირმუნსკის შეფასება, რომელმაც მონოგრაფია „დიდი მასშტაბის მეცნიერულ აღმოჩენად“ მიიჩნია და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას როგორც საერთოდ ლინგვისტური თეორიისათვის, ისე სხვა ენების (კერძოდ, ინდოევროპულის) ისტორიისათვის.

სადაოდ არავინ ჩაგვივლის, თუ ვიტყვით, რომ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფუნდამენტურ ორტომეულს „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. ფუძე-ენისა და პროტოკულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი“, რომელიც აკადემიკოს ვიაჩესლავ ივანოვთან თანაავტორობით შეიქმნა. სრულიად დამსახურებულად მონოგრაფიის ავტორები ლენინური პრემიით დაჯილდოვდნენ.

საგულისხმოა თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის რომან იაკობსონისეული შეფასება ორტომეულისა: „იგი ჭეშმარიტად შეესაბამება თანამედროვე თეორიული აზრის მწვერვალებს“.

ეს ფუნდამენტური გამოკვლევა არსებითად ახალ პარადიგმას წარმოადგენს შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში, რომელიც თამაზ გამყრელიძემ განსაზღვრა, როგორც „ტიპოლოგიური შედარებით-ისტორიული ლინგვისტიკა“ და რომლის იდეა თავდაპირველად შემოთავაზებული იყო რომან იაკობსონის მიერ.

მსოფლიოს გამოჩენილი ლინგვისტები ხაზს უსვამენ თამაზ გამყრელიძის შემოქმედებითი ხელნერისათვის ორ ძირითად მახასიათებელს: კვლევის საგნის ამომწურავი განხილვა და მისი ნიჭი ენათმეცნიერების რთული თეორიული პრობლემატიკის შეთავსებისა ინდოევროპული, ქართველური, სემიტური ლინგვისტური ოჯახების მასალის ზედმინვენით კვლევასთან.

მეცნიერების კვლევის პრაქტიკისათვის არანაკლებ მნიშვნელოვან თვისებად მიჩნეულია არატრივიალური მიდგომა უკვე ცნობილი ენობრივი ფაქტების ინტერპრეტაციისადმი.

აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ავტორიტეტი საერთაშორისო მასშტაბით საყოველთაოდაა აღიარებული. ამაზე ნათლად მეტყველებს, რომ მეცნიერი არჩეულია აშშ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად, აშშ მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრად, ბრიტანეთის აკადემიის, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად; საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად, ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრად. თამაზ გამყრელიძე არჩეულია ამერიკული ლინგვისტური საზოგადოების წევრად, ევროპული ლინგვისტური საზოგადოების წევრად (აქვე აღვნიშნავთ, რომ ბატონი თამაზი სხვადასხვა დროს ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტიც იყო), ინდოევროპული საზოგადოების საპატიო წევრად (გერმანია). ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ბატონი თამაზისათვის ლენინური პრემიის მინიჭების თაობაზე. იგი ასევე არის ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი, ივანე ჯავახიშვილის პრემიის ლაურეატი.

თამაზ გამყრელიძე, ცხადია, საერთაშორისო ლინგვისტური კონგრესებისა და ენათმეცნიერთა სხვა მნიშვნელოვანი ფორუმების მუდმივი მონაწილეა, ხშირად კითხულობდა ლექციებს, მოხსენებებს ევროპისა და ამერიკის ნამყვან უნივერსიტეტებში.

ბატონმა თამაზმა შრომითი საქმიანობა ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო - ხელმძღვანელობდა ძველალმოსავლური ენების განყოფილებას. 1960 წლიდან აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წინა აზიის ენათა განყოფილების გამგეა. პარალელურად მოღვაწეობს თბილისის უნივერსიტეტში. 1964 წლიდან იგი პროფესორია.

არჩეული იყო სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის გამგედ, შემდეგ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგედ. არ შემოიღია მისი მოღვაწეობა უნივერსიტეტში კეთილად არ მოვიხსენიო. ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტის რექტორისთვის, მასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანი იყო. ბატონმა თამაზმა ბევრ სასარგებლო საქმეს დაუდო სათავე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზღვარგარეთის ბევრ უნივერსიტეტთან კონტაქტები. მინდა ერთი ფაქტიც გავიხსენო. 1991 წლის აგვისტოს ბოლოს პრეზიდენტის ბრძანებით თამაზ გამყრელიძე დაინიშნა უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად. ეს საკითხი მასთან შეუთანხმებელი იყო და იგი პრაქტიკულად არ შესდგომია მუშაობას.

1973-2005 წლებში თამაზ გამყრელიძე ხელმძღვანელობდა გ. ნერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს, არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. ყველას მოგეხსენებათ, რომ 2005 წლის იანვარში ბატონი თამაზი არჩეულ იქნა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად.

1984 წელს თამაზ გამყრელიძეს ირჩევნ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, აქ იგი ლიტერატურისა და ენის განყოფილებასთან არსებული ფონეტიკისა და ფონოლოგიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეა, 1988-95 წ.წ. - ჟურნალ Вопросы Языкознания-ს მთავარი რედაქტორი. იგი იყო პრეზიდენტი ფონეტიკურ მეცნიერებათა მსოფლიო კონგრესისა ტალინში.

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე 1985 წელს აირჩიეს საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იყო საქართველოს რამდენიმე მოწვევის პარლამენტის წევრი. ხელმძღვანელობდა პარლამენტის საგარეო ურთიერთობის კომიტეტს და მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების საკოორდინაციო საბჭოს.

სრულიად ცალკე საკითხია თამაზ გამყრელიძის მონაწილეობა ეროვნულ მოძრაობაში. გასული საუკუნის 80-იან წლებში მეცნიერებაში აგრერიგად ჩაღრმავებული ბატონი თამაზი ძალზე აქტიურად ებმება ეროვნულ მოძრაობაში და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს.

აღბათ არავის დაავიწყდება საკავშირო უმაღლესი საბჭოს I ყრილობაზე მისი გამოსვლა. მეხის გავარდნასავით იყო, როცა ბატონმა თამაზმა მეტად მამაცური (სიბრძნესთან ერთად) სიტყვა წარმოთქვა, გააშიშვლა საბჭოთა კავშირის უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა.

თამაზ გამყრელიძის გამოსვლებში, პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში ხაზგასმული იყო ზრუნვა მეცნიერებათა აკადემიაზე, რომ მეცნიერებათა აკადემია უნდა იყოს საბაზისო დაფინანსებაზე დაფუძნებული ფუნდამენტურ სამეცნიერო გამოკვლევათა ერთიანი ეროვნული ცენტრი, დამოუკიდებელი, ავტონომიური სამეცნიერო ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების ერთობლიობა, მეცნიერების დარგში უმაღლესი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ იქნება.

უმნიშვნელოვანესი იყო 2007 წელს მიღებული კანონი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“, რომლის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ მეცნიერებათა აკადემია არის მემკვიდრე გელათისა და იყალთოს აკადემიებისა, არის გამგრძელებელი ამათი სახელოვანი ტრადიციებისა.

ახალმა კანონმა საქართველოს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ანგარიშვალდებული გახადა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე, რომელსაც მინიჭებული აქვს მათი სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასების უფლება.

ორიოდე სიტყვა თამაზ გამყრელიძის ადამიანურ თვისებებზე. მისი ცხოვრება, ყოველდღიური საქმიანობა მეცნიერებისადმი, ქვეყნისა და მშობელი ხალხისადმი ერთგულების ნათელი მაგალითია.

იგი გამორჩეული იყო მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. პრინციპული, მომთხოვნელი, ზედმინევი პუნქტუალური. იგი ყოველთვის იჩენდა ყურადღებასა და მზრუნველობას კოლეგების მიმართ.

მახსოვს, 90-იან წლებში თამაზ გამყრელიძემ შესთავაზა პარლამენტს და, შესაბამისად, საზოგადოებას, რომ ტერმინი „დეპუტატი“ შეეცვალა „პარლამენტარი“-თ, რადგან ეს უკანასკნელი უფრო ასახავდა აზრს პარლამენტის წევრისას. იმხანად ცოტა წაუყრუეს ამ წინადადებას, მაგრამ შემდგომში ბატონი თამაზისგან შეთავაზებული „პარლამენტარი“ თავისთავად დამკვიდრდა და დღესაც ფართოდ იხმარება.

კიდევ ერთი საკითხი, რასაც ბატონი თამაზის ყურადღება მოჰყვა. მოგეხსენებათ, ჩვენში ფართოდ იხმარებოდა ტერმინი „ზაკავკაზი“ - ამიერკავკასია. ბატონმა თამაზმა მიუთითა, რომ ეს ჩრდილოელთა შემოღებულია და სწორედ ჩრდილოეთისთვის არის „ზაკავკაზი“ - კავკასიის იქეთა მხარე. მაგრამ სამხრეთის ქვეყნებისათვის ეს მიუღებელი ტერმინია. ბატონმა თამაზმა პირველმა შემოგვთავაზა ტერმინი სამხრეთი კავკასია და დღესდღეობით ეს ტერმინი დამკვიდრდა კიდევც.

ჩვენს საზოგადოებას ახსოვს ბატონი თამაზის დიდი მცდელობა თბილისის უნივერსიტეტისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. მისმა დიდმა ავტორიტეტმა პრაქტიკულად გადამწყვიტა ეს საკითხი.

ბატონებო,

დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით იხსნება საერთაშორისო კონგრესი, რომელიც კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი. წინა ორი წელი პანდემიამ შეგვიშალა ხელი ამგვარი ღონისძიების ჩატარებისათვის. ვფიქრობთ, ჩვენი კონგრესი საქმიანად ჩავივლის, შეეხება მნიშვნელოვან, საჭირობო საკითხებს.

გამოვხატავ დიდ კმაყოფილებას, რომ კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქართველოლოგები და კავკასიოლოგები. ისინი ბევრს აკეთებენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების პრობლემების კვლევაში. მადლობა მათ ამისათვის.

მინდა წარმატება ვუსურვო კონგრესს,

იმედი მაქვს, რომ იგი მნიშვნელოვან შედეგად იქნება.

## ნინო აბაკელია

(საქართველო, თბილისი)

### ნადირობასთან დაკავშირებული მნიშვნელობათა სისტემების კვლევა კავკასიურ რწმენა-წარმოდგენებში, პრაქტიკასა და არტეფაქტებში

ნადირობა, როგორც ექსტრაორდინალური ფენომენი, საკრალურ აქტივობად ითვლება. ის რამდენიმე - არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ეკონომიკურ, მითოლოგიურ, ხელოვნების, კულტურულ და სხვა კონტექსტში შეისწავლება. მითოლოგიური კონტექსტი, რომელიც წინამდებარე სტატიის ფონია, ის მიღმურ სამყაროსთან და ამ სამყაროში მოგზაურობის თემასთან არის დაკავშირებული.

კავკასიაში დადასტურებულ, სამყაროს შესახებ იდეების ამსახველ არქეოლოგიურ არტეფაქტებში მიღმურ სამყაროში მოგზაურობის მჭიდრო კავშირი ვლინდება ნადირობის სცენებში, მახასიათებელ ორნამენტებსა და გამოსახულებათა ორგანიზებაში.

აღნიშნული არტეფაქტები, სხვადასხვა შეხედულების მიხედვით, ითვლებოდა ხან როგორც იმპორტი, ხან ნასესხობა და ადგილობრივი ნახელავი. სტატია აქ არ განიხილავს სად ან როდის ან ვისი გავლენით უნდა გაჩენილიყო ეს ნივთები კავკასიაში (ის იფარგლება საკითხთან დაკავშირებული ვრცელი ლიტერატურის მითითებით).

მითოლოგიურ და არქეოლოგიურ კონტექსტებზე დამყარებული სტატია, ერთის მხრივ, განიხილავს და აანალიზებს ნადირობასთან დაკავშირებულ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალას,



რომელშიც ძველი კავკასიური სუბსტრატი მიიკვლევა და რომლის ცენტრში სხვადასხვა სახელით შემორჩენილი მონადირე და ნადირთპატრონია, ხოლო, მეორეს მხრივ, კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ არტეფაქტებს (სარტყლებს, ბალთებს, ბეჭდებს და თასებს).

ორივე, როგორც არქეოლოგიური, ასევე ეთნოგრაფიული, კონტექსტი დინამიკურ სივრცეზე მიგვანიშნებს, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი გარემო, რომელშიც ნადირობასთან დაკავშირებული რიტუალი სრულდება.

აღნიშნულ არტეფაქტებსა თუ მითორიტუალურ სისტემაში ნადირობასთან დაკავშირებული საგანთა გამოსახულებები განიხილება სემიოტიკურ ტერმინებში როგორც იკონური ნიშნები ან სემები, რომლებიც არც ნებისმიერი და არც შემთხვევითია; ადგილობრივ არტეფაქტებსა და საკრალურ ისტორიებში მიიკვლევა სემიოტიკური სისტემის შემცველი რიტუალური კონტექსტები.

ნაშრომში განიხილება, თუ როგორ აქტუალიზდება მატერიალური საგანი (სარტყელი, ბალთა, ბეჭედი) რიტუალში, როგორც სემიოტიკურ სისტემაში და როგორ იღებს ის გარკვეულ მნიშვნელობას მასში.

ნაშრომი იკვლევს ნადირობის იკონოგრაფიას უძველესი კოსმოგონიის კონტექსტში, რომელიც სცდება ესთეტიკის ჩარჩოებს და ქმნის ნადირობის კულტურულ კონსტრუქციას მატერიალურ საგნებზე (ატრიბუტებზე); სწავლობს ნადირობის, როგორც ასეთის, მნიშვნელობას საზოგადოებაში, რომელშიც ნადირის მონადირება უფრო მეტი იყო, ვიდრე გადარჩენის საშუალება ყოველდღიურობაში.

კონტექსტში მოქცეული საგნების მნიშვნელობების დასადგენად სტატია იკვლევს სიმბოლოთა ქსელში აღნიშნული საგნების მიმართებებს. შესწავლილია მათი, როგორც გარკვეული ნიშნის მქონე საგნების, მონანილეობა დაკრძალვის რიტუალში და მასზე გამოსახული პროგრამის მიმართება ელიტარულ ნადირობასთან.

დაკრძალვის ელიტარულ რიტუალში ამ ნივთების მონანილეობა და მათზე გამოსახული პროგრამების მიმართება ელიტარულ ნადირობასთან საკრალური მეფე-მონადირის ორმაგ როლს ავლენს და ხაზს უსვამს მეფის რელიგიური და პოლიტიკური ძალაუფლების ერთიანობას რეგიონში.

## რეზაზ აბაშია

(საქართველო, თბილისი)


### ქართველური ფუძეების დიფერენციაციის ზოგიერთი საკითხი

ქართველოლოგიაში ფართოდ არის გავრცელებული ქართველური ფუძეების დიფერენციაციის სქემა, რომელიც ფუძეებიდან სვანურის ადრე გამოყოფისა და ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დაშვების თვალსაზრისს ეყრდნობა (მ. ჯანაშვილი, გ. დეეტიერსი). ეს სქემა შემუშავდა ძირითადად სინქრონიული (თანაც მხოლოდ მორფოლოგიაში) და არა – კომპლექსური ისტორიულ-შედარებითი კვლევის შედეგად, რაც აუცილებელია მონათესავე ენათა ისტორიული ვითარების სანდო რეკონსტრუქციისათვის. ამასთანავე, არაა გათვალისწინებული შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი, რომლის გამოყენებლად შეუძლებელია ცალკეული ენის სტრუქტურული ცვლილებების ახსნა. სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით (ისტორიულ-შედარებით მეთოდთან შესაბამისობაში) ხდება შესაძლებელი სვანურისთვის დამახასიათებელი, ქართულ-ზანურისგან საგრძნობლად განსხვავებული, ენობრივი მოვლენების ახსნა.

როგორც ირკვევა, სვანურის ასეთი განსხვავებულობა ქართველური ფუძეებისგან მის ადრე გამოყოფაზე კი არ მეტყველებს, არამედ საკუთრივ სვანურში ისტორიულად მომხდარი ტრანსფორმაციების შედეგია. როგორც ჩანს, საერთოქართველური ფუძეება თავდაპირველად დაიშალა ორ – ქართულ და ზანურ-სვანურ – ენობრივ ერთეულად. ქართულმა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა ქართველური ფუძეების სტრუქტურული მოდელის სახე, ზანურ-სვანურში კი თავს იჩინს ფუძეებისგან გან-

სხვაგვარი მოვლენები, განსაკუთრებით, ფონოლოგიის სფეროში (საარტიკულაციო ადგილის გადწევის შედეგად წინა რიგის სიბილანტური ფონემებისგან უკანა რიგის ფონემების წარმოქმნა...).

შემდგომ ქრონოლოგიურ საფეხურზე ქართული კვლავაც არ განიცდის ფუძეენისგან დიდად განსხვავებულ სტრუქტურულ ცვლილებებს, ზანურ-სვანურში კი ასეთი ცვლილებების მეორე ეტაპი იწყება (ფონოლოგიაში – ხმოვანთა უკან გადწევა ზანურში, თანხმოვანთა სისტემატური ფონეტიკური ცვლილებები სვანურში, ასევე მორფოლოგიურ-ლექსიკური სხვაობანი...), რის შედეგადაც ზანურ-სვანური ენობრივი ერთობა იშლება ზანურ (მეგრულ-ლაზურ) და სვანურ ენებად. ამგვარად, საერთოქართველურ ფუძეენას თავდაპირველად გამოეყო ზანურ-სვანური ენობრივი ერთობა (\*კაც-ი > \*კაჩ-ი) და ქართველური ენები წარმოდგენილი იყო ორი ენობრივი ერთეულის – ქართულის (\*კაც-ი) და ზანურ-სვანურის (\*კაჩ-ი) – სახით. შემდგომ საფეხურზე კი ზანურ-სვანური ენობრივი ერთობა (\*კაჩ-ი) დაიშალა ზანურ (\*კაჩ-ი > კოჩ-ი) და სვანურ (\*კაჩ-ი > \*კაშ-ი > \*კჷშ > ჭჷშ) ენებად. ამდენად, საერთოქართველური ფუძეენის დიფერენციაციის სქემა შეიძლება ასეთი სახით იყოს წარმოდგენილი:



### არფინე აბელიანი (სომხეთი, ერევანი)

#### სომხური და ქართული თემები ირანში: პარალელები და მსგავსება (ისტორიულ-შედარებითი ანალიზი)

სეფიანი და ყაჯარი შაჰების მმართველობისას სომხები და ქართველები ძალდატანებით ან ნებაყოფლობით გადაადგილდებოდნენ ირანის სხვადასხვა მხარეში. განსაკუთრების მასობრივი ხასიათი მიიღო აყრა-გადასახლება XVII ს-ში.

ირანის სომხური და ქართული თემების ისტორიის პარალელური კვლევა საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ ჩვენთვის საინტერესო ეთნიკური ჯგუფების პერცეფცია და თავისებურებანი, მათი როლი და დამოკიდებულება სახელმწიფოსთან.

ირანის სომხები დიასპორის ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული ჯგუფია. სომხეთის თემს ძლიერი ადამიანური და ფინანსური პოტენციალი აქვს. ის აერთიანებს განსხვავებულ იდეოლოგიის მატარებელ და სოციალური სტატუსის ფენებს. თემის იდენტობა გამოკვეთილად სომხურია.

ირანის ქართული თემი შედარებით მცირერიცხოვანია. ქართული ენა და ქართული თვითშეგნება სუსტია ან წარსოცილია. ეროვნული თვითშეგნება შემორჩენილი აქვთ ჩრდილოეთ ირანში, მაზანდარანსა და უფრო მეტად, ბეჰშაპურის პროვინციებში მცხოვრებ ქართველებს. ეს უკანას-

კნელი აღარ მეტყველებს ქართულად, თუმცა ინახავს მესხიერებას ქართული ძირების შესახებ. ქართველები ირანის სხვა რეგიონებშიც ცხოვრობენ.

მოსხენებაში წარმოჩენილია სომხური და ქართული თემების მონაწილეობა ირანის სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში; თემის შიგნით არსებულ პრობლემები; სომხური და ქართული პოლიტიკური პარტიების საქმიანობა; თემის მთავარი მამოძრავებელი ძალები; სომხური და ქართული რელიგიური უმცირესობები<sup>9</sup>ს უფლებები და სხვა საკითხები.

## მაკა ალბოგაჩიევა

(რუსეთი, სანქტ-პეტერბურგი)

### თანამედროვე ქართული და ინგუშური კულტურული ურთიერთქმედების გამოცდილება

ინგუშები კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ. ამავდროულად, ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროების მთელი სპექტრი არ იძლევა ინგუში ხალხის ისტორიის გასაშუქებლად საკმარის დეტალებს. ეთნონიმ ინგუშებს (ლალაი) კავკასიის ხალხების უძველესი ისტორიის შემსწავლელი მკვლევრები უკავშირებენ გარგარელებს, ქისტებს, ძურძუკებს, თუშებს და ა.შ. უფრო გვიანი პერიოდის ავტორები იყენებენ ტერმინს „ვაინახებ“, რაც აერთიანებს ინგუშებს, ჩეჩნებს, ბაცბებს და ამდენად, ეს გარემოება საკითხს კიდევ უფრო ართულებს.

ცნობილმა კავკასიოლოგმა ე. კრუპნოვმა სხვადასხვა ავტორებსა და წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ XI ს. ხევსურეთი (ფხოვი) ქისტეთთან და ჩეჩნეთთან ერთად ადმინისტრაციულად კახეთის შემადგენლობაში შედიოდა და კვეტერის ერისთავს ექვემდებარებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, რომ: „გარნა სდებენ ... კახნი ძურძუკთა, ღლილუთა და ქისტთა თავისად, გარნა მათ არა უწყიან ესე მიერ ჟამითა, ოდეს განდგენენ.“ ხევსურების, თუშებისა და ფშაველების გარკვეულ ჯგუფი ჯერ კიდევ ატარებს კულტურას, რომელიც ახლოს დგას ინგუშების კულტურასთან. ვახუშტის მიხედვით, პირიქითელი (ფარსმანის ხევის) თუშები „სარწმუნოებითა და ენითა შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი“. სხვა მონაცემების მიხედვით, კი „წოვა და პირიქითელი თუშები ქისტური წარმომავლობის არიან“. ა. გენკო მიიჩნევდა, რომ „ჩეჩნურ-ინგუშური ეროვნული ყოფიერების უძველეს კერას წარმოადგენდა დღევანდელი თუშეთი, რომელიც დროთა განმავლობაში გაქართველდა.“ თავად ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „გარნა სდებენ ... კახნი ძურძუკთა, ღლილუთა და ქისტთა თავისად, გარნა მათ არა უწყიან ესე მიერ ჟამითა, ოდეს განდგენენ.“ ქართული წერილობითი წყაროების ზემოხსენებული ცნობები ძურძუკების შესახებ, მიუხედავად იმისა, ეყრდნობა ლიტერატურულ ტრადიციასა თუ ზეპირ გადმოცემებს, იმსახურებს სრულ ნდობას, რადგან, სხვათა შორის, ძურძუკზე დაქორწინებული ფარნავაზის მეფობის პერიოდში ქართულ-ნახური ურთიერთობები უკიდურესად მჭიდრო იყო - აღნიშნავდნენ რ. ხარაძე და ა. რობაქიძე. ამ გაერთიანებას ორ ხალხს შორის, უნდა გაეძლიერებინა პოლიტიკური კავშირები გაეფართოებინა სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები.

ერთ-ერთი ინგუშური ლეგენდა ამბობს, რომ სამი ძმიდან (ლალა, გურჯე და ვიაბარტე) წარმომავლობენ - ლალაელები (ინგუშები) ქართველები და ყაბარდოელები. ამ ლეგენდის გაჩენა შეიძლება აიხსნას ერთი მხრივ, იმ გარემოებით, რომ გვიან შუა საუკუნეებში ინგუშებს ქართველები სამხრეთიდან, ხოლო ყაბარდოელები ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრებოდნენ, მეორე მხრივ კი იმით, რომ სანყისი ბგერებით (r, rl) შედგენილი სამი მითური ძის სახელები, ჟღერადობით ჰგავს ერთმანეთს. უშუალოდ ის ფაქტი, რომ ოდესღაც ინგუშებმა ლეგენდაში ეს ორი ხალხი თავის ძმებად მოიხსენია, ამ ხალხების ისტორიულად ახლო და მეგობრულ კონტაქტებზე მეტყველებს.

ლიტერატურაში მოიძებნება ინფორმაცია ინგუშების ამიერკავკასიაში მიგრაციის შესახებ, რაც, თითქოს, XIV-XVI სს. და მოგვიანებითაც ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ეს მაგალითები მთლიან სურათს ვერ ცვლის, რადგან ისინი, როგორც წესი, ერთ ან ორი გვარის მიგრაციას მოწმობს.

უაღრესად საინტერესოა ისიც, რომ ინგუშების გვიანდელი კავშირების შესახებ ცნობები სამხრეთ მეზობლებთან, განსაკუთრებით კი „ბაცებთან“, მხოლოდ ხევსურეთთან მოსაზღვრე ინგუშეთის რაიონებში (ჯარიახ-მეცხალისა და, ნანილობრივ, ხამხის) არსებობს. ეს ფაქტები მხოლოდ ადასტურებენ ცალკეული ინგუშური გვარებისა და კლანების კავშირებს „ბაცებთან“ და უფრო სამხრეთით მცხოვრებ სხვა გაქართველებულ ტომებთან. როგორც ჩანს, ეს კავშირები დაფუძნებული იყო უძველეს ეთნოკულტურულ სიახლოვესა და ნათესაურ ცნობიერებაზე, რაც ინგუშებს შემდეგ ხანებში საშუალებას აძლევდათ საჭიროების შემთხვევაში, ამიერკავკასიის ტომების სტუმართმოყვარეობით ესარგებლათ. ინგუშების სხვადასხვა საზოგადოებების წარმოშობის შესახებ არსებობს სხვა ლეგენდებიც. მათი მიხედვით, მეცხალის (კოტინის) საზოგადოების დამაარსებლად ვინმე ქისტი, სირიელი კომენის (კამინის) სახლის მფლობელის შვილი ყოფილა. ჯვაროსნული ლაშქრობების დროს მას სამშობლო მიუტოვებია და საქართველოში ჩამოსულა, თუმცაღა აქ არაბებისა და თურქების მუდმივი თავდასხმების გამო, იძულებული გამხდარა მშვიდობიანი ადგილი მთიანეთში ეპოვა და თერგის ზემო ნელთან დასახლებულა, სადაც სოფელი არზი (არნივი) დაუარსებია. ერთ-ერთი ვერსიით კი მთიელ ინგუშთა ზოგიერთი საზოგადოების წინაპარი წარმოშობით საქართველოდან ყოფილა. ასეა თუ ისეა, ხალხური ლეგენდები ქისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას საქართველოს ისტორიის ზოგიერთ მოვლენას უკავშირებს. ევლოვეების გვარის ლეგენდარული წინაპრები (რომლებიც დასახლებულნი არიან ასას ხეობის რამდენიმე მთის აულში: ევლოში, ნიუისა და პიალინგში), ზაუროვები სოფელ სალგიდან და სხვები საქართველოს მკვიდრებად მიიჩნეოდნენ. ბეკუზაროვების გვარი სოფელ ხამხიდან ხევსურული წარმომავლობის გვარად მიიჩნევა. „ჯარიახის რაიონიდან რამდენიმე ინგუშური გვარი ოდესღაც საქართველოში გადმოსახლდა და სადღაც თბილისის სიახლოვეს ცხოვრობენ. მიგრაციის მიზეზი ჯარიახის ხეობაში მცხოვრებ სხვა გვარებთან კონფლიქტი იყო. გადმოცემის მიხედვით, ხანდახან საქართველოში გადმოსახლებული ინგუშების შთამომავლები ჯარიახის ხეობაში ბრუნდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან დასაძმობილებლად და მშობლიური კავშირების შესანარჩუნებლად“ (ე. კრუპნოვი).

ინგუშურ ლეგენდებსა და გადმოცემებში იხახება ბევრი ცნობა წარსულში ინგუშების საქართველოდან ჩამოსახლების, ანდა ინგუშების საქართველოში ნასვლისა და სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ცნობილი მკვლევარი ნ. ჯალაბაძე აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხის ეთნოგენეზი ყოველთვის სხვა კავკასიელ ხალხთა ეთნოგენეზის კონტექსტში განიხილება, რაშიც განსაკუთრებით ვაინახური სუბსტრატი გამოირჩევა. ქართველი მემკვიდრე ლენტი მროველის (IX ს.) ცნობით, ქართველებსა და ვაინახებს გააჩნდათ საერთო წინაპარი. ამ ხალხთა ნათესაობაზე მეტყველებს მნიშვნელოვანი არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემებიც. ურთიერთგავლენა რომ დიდი იყო, ამას მოწმობს ინგუშური ტოპონიმის რელიქტები დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ცენტრალურ კავკასიონზე გამავალი საულელტეხილო გზების მიმდებარე ტერიტორიებზე. ამასთან ერთად, ჩანს ინგუშური მეტყველების ელემენტები დასავლურქართულ ენებშიც. საქართველოს მაღალმთიანეთის გენეტიკური კავშირი კავკასიის ვაინახურ მოსახლეობასთან ამ ხალხების მატერიალური კულტურის ძეგლებშიც არის მიკვლეული. მაგალითად, თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის საცხოვრებელი და საბრძოლო კომპლექსები და საძვალე ნაგებობები, ქვის გამოყენების ტექნიკითა და კონსტრუქციით, საოცრად ჰგავს ინგუშურ შენობებს. „ხევსურები და თუშები თვლიან, რომ სამშენებლო ტექნიკა (კომპლექსის აგება) მათ ინგუშებისგან ისწავლეს“. კავკასიაში არსებობს განსაკუთრებული სოციოკულტურული საზოგადოება, რომელიც სხვა ცივილიზაციური სისტემებისაგან განსხვავდება და აერთიანებს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალ ეროვნებას.

## ისა აღმაზოვი

(რუსეთი, ინგუშეთი, მაგასი)

### ქართლის მეფე ვახტანგ VI რუსეთის იმპერიისა და სპარსეთის საიდუმლო დიპლომატიაში

#### (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი)

XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთის იმპერია კასპიისპირეთსა და შუა აღმოსავლეთში თავისი პრიორიტეტების განსაზღვრისას და სპარსეთთან საგარეო პოლიტიკის გატარებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სპარსეთის ბატონობისგან შეწუნებული საქართველოს მმართველების რუსეთის მხარეზე გადაბირებას. ერთ-ერთი ასეთი მმართველი იყო ქართლის მეფე ვახტანგ VI (სექტემბერი, 1675 - მარტი, 1737), რომელიც იმდროინდელი რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ჰორიზონტზე გამოჩნდა. თავისი დროის მწერალსა და კანონმდებელს გამოჩენილი ადგილი ეკავა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს კულტურისა და სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. ქართლის სამეფოს მესვეური რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის მომხრე იყო და მისი დახმარებით იმედოვნებდა საქართველოს გათავისუფლებას უცხო დამპყრობლების - სპარსელებისგან.

პეტრე I-ის სპარსულ ლაშქრობაში მონაწილეობის შემდეგ, 1724 წლის ნოემბრის დასაწყისში მეფე ვახტანგ VI დიდი ამალით რუსეთში გაემგზავრა და ასტრახანში დასახლდა. რუსეთის მთავრობა ცდილობდა გამოეყენებინა ქართველი მეფის შესაძლებლობები და სურვილი, დახმარებოდა პეტერბურგს კავკასიურ და სპარსულ პოლიტიკაში. მისი ასტრახანში ყოფნის დროს ორჯერ იყო დაგეგმილი და ორგანიზებული დიპლომატიური მოგზაურობები (ზღვით) სპარსეთში რუსეთის მთავრობის მნიშვნელოვანი დავალებებით. ასე რომ, 1726 და 1728 წლებში მეფე ვახტანგ VI გაგზავნილი იყო დიპლომატიური მისიებით სპარსეთში. პირველ შემთხვევაში, იმპერატრიცა ეკატერინე I-ის რესკრიპტში ნათქვამია, რომ მხოლოდ ვახტანგ VI-ს, სპარსეთის საქმეებში გათვითცნობიერების გამო და „თქვენი დამსახურებით, ასევე იმ მაღალი პატივისცემით, რომელიც თქვენ გაქვთ იმ მხარეებში“ შეეძლო მიეღწია იმისთვის, რომ დაერწმუნებინა სპარსეთის შაჰ თაჰმასპ ყული ხანი (მომავალი ნადირ შაჰი) რუსეთის მხარეს გადმოსულიყო (РГАДА. Ф.4, оп.1, д.51, л.120б.). მეორედ, იმპერატორ პეტრე II-ის ბრძანებით, ის საჩქაროდ გაემგზავრა (ზღვით) ასტრახანიდან სპარსეთში იმპერატორის თანამოაზრე გენერალ-ანშეფ თავად ვ. ვ. დოლგოროუკოვის თანხლებით, რომელსაც ყველა საკითხზე უნდა მიეღო მეფე ვახტანგ VI-ს რჩევა.

დალესტინის რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ЦГА РД. Ф.379, оп.1, д.2, лл.82-89) ავტორმა გამოავლინა კავკასიისა და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს მეფე ვახტანგ VI-ის მიმონერას იმპერატორ პეტრე II-თან, თავად ვ.ვ. დოლგოროუკოვთან და ასტრახანის გუბერნატორ ი.ა. ვოლინსკისთან. დოკუმენტები ეხება 1728 წლის პერიოდს, როდესაც ვახტანგი აქტიურობდა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ სამსახურში. მეფე ვახტანგ VI-ის მიმონერის წარმოდგენილი მიმოხილვა, მეცნიერული სიახლისა და ორიგინალურობის გამო, შესაძლოა, საინტერესო იყო კავკასიელ მკვლევართათვის და საისტორიო მეცნიერებისთვის.

მიმონერის ძირითადი შინაარსი, რომელიც შედგება შემორჩენილი ოთხი წერილისგან, ასეთია: პირველ წერილში (ფურცელი, 88-88) იმპერატორი პეტრე II მიმართავს ფელდმარშალ თავად ვ. ვ. დოლგოროუკოვს და დეტალურად აცხობინებს ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მისიის შესახებ სპარსეთში უსაფრთხოდ გამგზავრების მარშრუტის მითითებით და იმ ადგილების გვერდის ავლით, სადაც არის „ჭირის დაავადება“. იმპერატორ პეტრე II-ის შიში „ჭირთან“ დაკავშირებით უსაფუძვლო არ იყო. წინა, 1727 წელს, ჭირისა და ქოლერის ეპიდემიამ, რომელიც გავრცელდა სამხრეთ რუსეთის კასპიისპირა რაიონებში და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ნაწილებში, მნიშვნელოვნად გაანადგურა ეს რეგიონები. წერილი დათარიღებულია 1728 წლის 30 მარტით.

მეორე წერილში (ფურცელი 82-83), რომელიც 1728 წლის 22 აპრილითაა დათარიღებული, მეფე ვახტანგ VI აცნობებს ასტრახანის გუბერნატორს სპარსეთიდან ასტრახანში გემებით დაბრუნების შესახებ და მის შემდგომ სურვილს მდინარე ვოლგით გაემგზავროს მოსკოვისკენ იმპერატორ პეტრე II-სთვის მოხსენების გასაკეთებლად. გუბერნატორი მეფეს აცნობებს, რომ ისევ გაჩენილი „საშიში ავადმყოფობის“ გამო, მისი შემდგომი მოგზაურობა მოსკოვში შესაძლოა გადაიდოს. თუმცა ვახტანგ VI გუბერნატორს ატყობინებს, რომ „ჩემთან ყველაფერი კარგადაა“ და „თუ ჩემი ხალხი ავად გახდება, მე ნაბრძანები მაქვს ასეთი ხალხი დავტოვო და თავად გავაგრძელო გზა“. წერილის ბოლოს ვახტანგ VI თხოვს ასტრახანის გუბერნატორს, ჩამოიტანოს მისი ბარგი გილიანიდან, ხოლო მის ძმას სიმონს და მის ხალხს უსაფრთხო ადგილი გამოუყოს დროებით საცხოვრებლად (ასტრახანში), სანამ ის არ გამოიძახებს მათ მოსკოვში. მეფე ასევე აცნობებს გუბერნატორს: „ჩემი ქვეშევრდომი, თავადი როსტომი, იქ არის და მისგან [წერილები] წაიღოს და მის შესახებ [ამბები] გამომიგზავნოს. მან იცხოვროს იქ განკარგულებამდე, რომელიც გაუგზავნა მის უდიდებულესობას გენერალ ფელდმარშალსა და თავად ვასილი ვლადიმროვიჩ დოლგორუკოვს და დაუყოვნებლივ გამოამგზავროს [თავადი როსტომი მეფესთან]“. წერილი სრულდება ფრაზით: „ყოველთვის თქვენი კეთილისმსურველი, მეფე საქართველოსი“ (ქართული ხელმოწერა).

მესამე წერილში (ფურცელი 84-85) ასტრახანის გუბერნატორი 1728 წლის 24 აპრილს მეფე ვახტანგ VI-ს საპასუხოდ წერს, სპარსეთიდან დაბრუნებისთანავე მოერიდოს „საშიშ ადგილებს“, განაგრძოს გზა მოსკოვისკენ მდინარე ვოლგით კრასნი იარის გავლით ან ცარიცინამდე გემებით.

მეოთხე წერილში (ფურცელი 86-87), რომელიც 1728 წლის 26 აპრილითაა დათარიღებული, მეფე ვახტანგ VI ასტრახანის გუბერნატორს აცნობებს, რომ მისი შემოფოთების გათვალისწინებით, ზღვიდან და სტეპებიდან რეგიონში ჭირისა და ქოლერის ეპიდემიის გავრცელების გამო, „ჩემს ხალხს ასეთი ავადმყოფობა არ ჭირს და არც ნავსულვართ სახიფათო ადგილებში და არავის შევუშვებთ ჩვენთან სახიფათო ადგილებიდან“ და ამიტომ ისინი აპირებენ უფრო შორს გადაადგილებას ვოლგის გასწვრივ,“ არ გაჩერდებიან კრასნი იარში და ცარიცინისკენ ნავლენ გემებით. ის ვერანაირად ვერ გაჩერდება, რადგან იმპერატორთან მიაქვს სასიხარულო ინფორმაცია სპარსეთში მოგზაურობიდან. აქვე წერილში კვლავ მოიხსენიება „ჩემი მსახური თავადი როსტომ პოლავანდევი“, რომელსაც აქვს მისდამი წერილები.

1736 წლამდე მეფე ვახტანგ VI სათავეში ედგა რამდენიმე დიპლომატიურ მისიას სამხრეთ კავკასიასა და სპარსეთში, რომელიც მიზნად ისახავდა ამ რეგიონებში რუსეთის პოლიტიკური გავლენის განმტკიცებას. პეტერბურგმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მეფის ღვაწლს იმპერიის საგარეო საქმეებში. 1735 წლის ოქტომბერში ასტრახანის გუბერნატორმა ი.პ. იზმაილოვმა სენატისგან მიიღო ბრძანებულება ვახტანგ VI-ის, მისი ოჯახისა და ამაღლის სახელმწიფოს მხრიდან სრული უზრუნველყოფის შესახებ. სიცოცხლის ბოლო წლები მეფემ ასტრახანში გაატარა. გარდაიცვალა 1737 წლის 26 მარტს და დაკრძალეს ასტრახანის კრემლის მიძინების ტაძარში.

## ენდრიუ ანდერსენი

(კანადა, ვიქტორია)

### საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ფორმირება 1918-1921 წ.წ.

მოხსენებაში საუბარია დემოკრატიული საქართველოს ტერიტორიის ფორმირების ისტორიულ და სამართლებრივ ასპექტებზე; როგორ იქცა მეზობლებთან სადავო ტერიტორიები საქართველოს ნაწილად ან რატომ დარჩა მის საზღვრებს გარეთ ის მიწები, რომლებზეც საქართველო უფლებებს აცხადებდა. განვიხილავთ, აგრეთვე, საბჭოეთ-საქართველოს 1921 წ. ომისა და გასაბჭოების შედეგებს ტერიტორიების დაკარგვასთან დაკავშირებით.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, ინგლისურ და სხვა ენებზე გამოქვეყნდა ბევრი ნაშრომი, რომლებშიც პირველ რესპუბლიკაში ამა თუ იმ ტერიტორიის ინკორპორაციის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტებია გაანალიზებული; თუმცა არც ერთი მათგანი არ განიხილავს მთლიანობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ ფორმირებას.

ჩვენი ნაშრომის ამოსავალია თემატური კვლევები, რომლებიც ეფუძნება საარქივო მასალას, საქართველოს ტერიტორიულ ცვლილებებში მონაწილე წამყვანი პოლიტიკოსებისა და სამხედროების მემუარებს, საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას.

კვლევამ ცხადყო, რომ თანამედროვე საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიის მცირე ნაწილიც კი არ აღმოჩენილა სამხედრო აგრესიის ან მოსახლეობის უმრავლესობის ნების დათრგუნვის შედეგად; ტერიტორიების ინკორპორაცია საქართველოს სახელმწიფოში განმტკიცებული იყო საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ამრიგად, არც ერთი დასახელებული ტერიტორია არ შეიძლება იქცეს სამართლებრივ ან თუნდაც მორალური დავის საგნად. იმავდროულად, ისტორიული პერსპექტივაც მოწმობს, რომ დღევანდელი საქართველოს ყოველი კუთხე მისი ნაწილი იყო შორეული ან ახლო წარსულიდან.

საქართველოს ტერიტორიული ფორმირებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის აგრესიული პოლიტიკის ფონზე; საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რუსეთის პოლიტიკა მიმართულია საქართველოს დანაწილებაზე, მისი ტერიტორიების ანექსიაზე და, საბოლოო ჯამში, საქართველოს, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს, დესუვერენიზაციაზე. კრემლი იყენებს სამხედრო აგრესიას და ტოტალურ პროპაგანდას; აყალბებს ისტორიასაც, რადგან საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია არ არის სათანადოდ შესწავლილი.

## **ავთანდილ არაბული**

(საქართველო, თბილისი)

### **„ქართული ენის თესაურუსი“ და ქართული ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის უახლესი ამოცანები**

აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში არაერთი მასშტაბური სამეცნიერო პროექტი დასახა და წარმატებით განახორციელა. ერთადერთი ასეთი მასშტაბური ჩანაფიქრი, რომელიც მეცნიერმა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მემკვიდრეობის (ამჟამინდელი „რუსთაველის კომიტეტის“) ბაზაზე წამოიწყო და რომელიც მას განუხორციელებელი დარჩა, არის „ქართული ენის თესაურუსის“ პროექტი.

„ქართული ენის თესაურუსი“ (ბერძ. Thesaurus „საუნჯე, საგანძური“) თავისი არსით მრავალგანზომილებიანი სამეცნიერო იდეაა, რომელიც პირველ რიგში, ცხადია, ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის შედგენას გულისხმობს; მაგრამ პროექტის მიზანდასახულება თავისთავად ღირებული ამ ამოცანით არ ამოიწურება. გამოიკვეთა რამდენიმე საბაზისო თუ შემადგენელი სამეცნიერო ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობა:

1. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამ ლექსიკური სამუშაოების სათანადო ტექსტური ბაზებით უზრუნველყოფა, რისთვისაც არსებითად ახლებურ რედაქტირებას მოითხოვს აკადემიურ გამოცემათა ტრადიციული პრინციპებით შექმნილი სოლიდური ლიტერატურული ნყაროები.

2. სალექსიკონო სამუშაოების პროგრამული უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ტექსტური მონაცემების სტრუქტურირების საერთო პრინციპების შემუშავება.

3. მასალის სალექსიკონო დამუშავების აუცილებელი პირობაა ძველი ქართული ორთოგრაფიის მაქსიმალური უნიფიცირება.

4. აუცილებელია წყაროების მითითების ერთგვაროვანი წესი და სისტემა (ერთიანი ქრონოზიბლოგრაფია).

თესაურუსის საფუძვლის ჩამყრელმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ ძველი ქართულის მონაცემთა ლემატიზაცია დამოუკიდებელი ამოცანაა და ახალი ქართულის მონაცემების ანალოგიური დამუშავება გარკვეული წესით, ისტორიზმის პრინციპის დაცვით უნდა დაუკავშირდეს მას. რაც მთავარია, ამ ეტაპზე ძველი ქართულის ლექსიკური მონაცემების (ლემების) საკმაოდ სოლიდური ბაზა არსებობს.

ამავე დროს, ლემატიზაციის ამოცანების ფარგლებში ძველი ქართული ლექსიკონის ბაზაზე იქნა დამუშავებული „ვეფხისტყაოსნი“, როგორც ერთგვარი „ხიდი“ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით.

თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა პირველადი წარმოდგენისათვის სასინჯ ტექსტურ ბაზად აღებულ იქნა და ავტონომიურად დამუშავდა „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ქართული თარგმანი, როგორც არქაიზებული სტილითა და მდიდარი ლექსიკური მონაცემებით გამორჩეული ნიმუში.

ახალი (მე-12 საუკუნის შემდგომი) ტექსტების ლექსიკოგრაფიულმა დამუშავებამ გამოკვეთა პროექტთან დაკავშირებული ორი დამოუკიდებელი ამოცანა:

ა) ცალკეული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონების შექმნა (აქტიურად მიმდინარეობს ბიბლიისა და „გარგანტუა და პანტაგრუელის“ სიმფონიების შედგენა).

ბ) ქართულ სინამდვილეში პირველად ხდება „ვეფხისტყაოსნის“ შესიტყვებათა ლექსიკონის შედგენა, რაც საფუძვლად დაედება ანალოგიურ სამუშაოებს ცალკეული ავტორებისა თუ ერთიანი ენობრივი ბაზისათვის.

„ქართული ენის თესაურუსის“ მითითებული ამოცანები გარკვეულად წარმოაჩენს იმ მრავალმხრივ სამუშაოებს, რაც დასახულ სამეცნიერო მიმართულებას უკავშირდება. ამ პროექტის ეტაპობრივი რეალიზების შედეგად უნდა შეიქმნას სანდო საფუძველი:

- ქართული ენის ისტორიული და ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონებისათვის;
- ქართული ენის მრავალგვარი ელექტრონული ლექსიკონებისათვის;
- ძველი ქართულისა და ახალი ქართულის სპელჩეკერებისათვის (მართლწერის შემოწმება);
- ქართული ენის გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) მოდელირებისათვის;
- ავტომატური თარგმნის პროგრამებისათვის და სხვ.

## გონელი არახამია

(საქართველო, თბილისი)

### ახალი „ქართლის ცხოვრების“ ფალავანდიშვილისეული ნუსხის შესწავლისათვის

ახალი „ქართლის ცხოვრების“ ფალავანდიშვილისეული ნუსხა რთული სტრუქტურული შედგენილობის ძეგლია. ხელნაწერში დაცული ტექსტის პირველი პლასტი გადაწერილია 1761 წ. სიონის ტაძრის მღვდლის ზაქარია მიქაძის მიერ. ამ დროს გადაწერილი ტექსტის, პირობითად, პირველი ნაწილი დასაწყისიდან („მეცნიერ კაცთა“ კომისიის წინასიტყვაობა) გიორგი ბრწყინვალის გამეფების ჩათვლით ტექსტობრივად მისდევს ახალი „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციას, უფრო ზუსტად, აღნიშნული რედაქციის ადრინდელ ვარიანტს, რომელიც შემოგვინახა რუმინ-ცევისეულმა და მისგან გადაწერილმა ნუსხებმა, ხოლო მეორე ნაწილი, ანუ XIV-XVII სს. ისტორია რედაქციულად წარმოადგენს არა ვახტანგისეულს, არამედ ამ უკანასკნელის გადაკეთებულ ვერსიას, რომელიც ეკუთვნის არა „მეცნიერ კაცებს“, არამედ სხვა, გვიანდელ (XVIII ს. 40-იანი წლები) რედაქტორს. იმავე 1761 წ. ზაქარია მღვდელმა თავისი გადაწერილი ტექსტის პირველ ნაწილში უცვლელად მოათავსა ახალი „ქართლის ცხოვრების“ სხვა, ადრინდელი ხელნაწერის (პირობითი სახელწოდებით ურბნული) მოზრდილი ფრაგმენტი, გადაწერილი ნუსხური ანბანით (59 ფურცლის მოცულობით, მოიცავდა ამბებს მამასახლისობის ხანიდან მეთავე მეფე მირდატამდე).



დასახელებული გადამწერი თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ, 1798-1800 წლებში, ამჟამად უკვე ნეკრესის ეპისკოპოსი ზაქარია - ყოფილი ამბროსი ხელმეორედ მიუბრუნდა თავის ხელნაწერს და ახალი ჩანართებით შეავსო, რომლებიც მან ჯერ კიდევ 1761 წ. აკინძული და წიგნად შეკრული ხელნაწერის არშიებსა და ჩანებებულ ფურცლებზე მოათავსა ტექსტის ე.წ. პირველი ნაწილის ფარგლებში. ამ ჩანართებში გადმოცემულია შემდეგი ამბები: წარმართულ ქართლში გავრცელებული ზნე-ჩვეულებები (P5r-v); მცხეთელი ებრაელის ელიოზის გამგზავრება იერუსალემში ებრაელ სჯულის მეცნიერთა შეკრებაზე ქრისტეს მოძღვრების განსახილველად და ელიოზის დედის დარიგება; წილისყრა ქრისტეს კვართზე და მცხეთელ ურიათა მიერ მცხეთაში მისი ჩამოტანა (P16r); ქრისტეს გამოცხადებით წმ. ღვთისმშობელი გახდა საქართველო მფარველი (P15v); წმ. ანდრია მოციქულის მოღვაწეობა საქართველოში (P17r-v-18r-v); იუსტინიანე კეისრის გადაწყვეტილებით ქართლისეკლესიის კათოლიკოსებად ამიერიდან ბერძნების ნაცვლად „დასხდებოდნენ ნათესავნი ქართველთანი“ (P83v); იმავე იუსტინიანეს მითითებით ქართლის მეფის ლაშქრობა ხასკუნთა წინააღმდეგ; V მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ორიგენიანთა დაგმობა; იუსტინიანეს დროს აფხაზთა მოქცევა (P88r-v); ანყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულთმოქმედება ერაკლე კეისრის ლაშქრობის დროს (P91r); ანტიოქიის პატრიარქის მიერ ქართლის ეკლესიისათვის კათოლიკოსის კურთხევის უფლების მინიჭება; იოანე გუთელ ეპისკოპოსის კურთხევა ქართლის კათოლიკოსის მიერ (P92r); VI მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ ქართლის ეკლესიის გათანაბრება მსოფლიო სამოციქულო ეკლესიებთან; ქართლის ეკლესიის საზღვრების აღიარება და კათოლიკოსის უფლებამოსილების დადასტურება (P94r); ქრონიკალური ცნობა რუსუდანის გარდაცვალების შესახებ (P191r).

აღნიშნული ჩანართები ფალავანდიშვილისეულ ნუსხაში შეტანილია ბარათაშვილისეული და ნინო დედოფლისეული ნუსხების ტიპის ხელნაწერიდან, რომლებიც ახალი „ქართლის ცხოვრების“ ყველაზე გვიანდელ რედაქციას (XVIII ს. 40-იან-50-იანი წლები) ეკუთვნიან.

## რუსუდან ასათიანი

(საქართველო, თბილისი)

### ენობრივ ფორმათა ფუნქციური „კლასტერები“

### სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე ქართულში

ენობრივი ნიშნის გამოხატულებისა და შინაარსის პლანებს შორის არსებული მიმართებების ამოცნობა-აღწერა და მათ შორის ცალსახა კავშირების დამყარება არის სტრუქტურული ენათმეცნიერების მთავარი ამოცანა.

ამ მიმართებების შესწავლა ეფექტურია, თუ ნიშნის სამივე ასპექტი - როგორც სინტაქტიკური, ისე სემანტიკური და პრაგმატიკული - იქნება გათვალისწინებული.

პრაგმატიკული ასპექტის წინამონევა გულისხმობს ნიშნის მნიშვნელობიდან მის ფუნქციებზე ყურადღების გადატანას: ფუნქციონალური მიდგომით ნიშანს არა მხოლოდ მისი მნიშვნელობისა და ფორმის, არამედ ენობრივ სისტემაში მისი ფუნქციების მიხედვით აანალიზებენ.

ფუნქციონალური მიდგომით ნათელი ხდება, რომ აღსანიშნავია (resp. მნიშვნელობა) და აღმნიშვნელს (resp. ფორმა) შორის ცალსახა მიმართების დამყარება ვერ ხერხდება, რამდენადაც შესაძლებელია:

1. ერთი ენობრივი ნიშნის ფორმა ერთდროულად, ერთსა და იმავე კონტექსტში რამდენიმე მნიშვნელობას გამოხატავდეს; და, პირიქით,

2. რამდენიმე ენობრივი ნიშნის განსხვავებული ფორმები კომპლექსურად ერთი დანიშნულებით გამოიყენებოდეს, ანუ ერთ ფუნქციაზე მიგვანიშნებდეს, და ენობრივ სისტემაში ფუნქციონირებდეს როგორც ერთი ერთეული.

ამგვარ მორფემათა ნიმუშები გავრცელებულია ე.წ. ფლექსიურ (res. ფუზიურ) ენებში ენებში, სადაც ერთი და იგივე აფიქსური მორფემა რამდენიმე მნიშვნელობას ერთდროულად გამოხატავს; მაგალითად, ქართულში მესამე სუბიექტური პირის მორფემის აღმნიშვნელი -ს ერთდროულად აღნიშნავს მნიშვნელობათა კომპლექსს: ან {სუბიექტი, მესამე პირი, მხოლობითი, აქტიური ზმნა, ანმყო}, ან {სუბიექტი, მესამე პირი, მხოლობითი, კავშირებითი კილო}. ფუზიის ამგვარი შემთხვევები: (ერთი ფორმა  $\leftrightarrow$  რამდენიმე მნიშვნელობა) - საკმაოდ გავრცელებულია ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში და სათანადოდ არის კიდევ განალიზებული. თუმცა, ფუზიის მეორე შემთხვევა: ერთი მნიშვნელობა/ფუნქცია  $\leftrightarrow$  რამდენიმე ფორმა, რომლის კლასიკურ ნიმუშად ასახელებენ ლათინურ ენას, ნაკლებად არის გამოვლენილი და შესწავლილი ქართულში.

ფონოლოგიის დონეზე ამგვარი, ე.წ. კლასტერული, შემთხვევების ნიმუშს წარმოადგენს გ. ახვლედიანის მიერ გამოვლენილი და სათანადოდ შესწავლილი ჰარმონიული კომპლექსები.

მოხსნებაში განალიზებული იქნება სწორედ ასეთი კლასტერული შემთხვევები ქართულში მორფოლოგიის (მაგ., ვნებითი გვარის, უწყვეტლის და კონტაქტის ფორმები) და სინტაქსის (მაგ., დანართსახელიანი სახელური ფრაზები, კავშირებითი კილოს ფორმები) დონეებზე.

## დავით ახლოური

(საქართველო, გორი)

### სოფელ ჩხუნეთის ისტორიიდან

ძველი ქართული სოფელი, დღეს უკვე ნასოფლარი ჩხუნეთი მდებარეობს ქსნის მარჯვენა შენაკად ჭურთულას ხეობაში, მარჯვენა მხარეს, ახალგორიდან 35, ხოლო ლარგვისიდან 17-18 კილომეტრის დაშორებით და შედიოდა ჯერ დორეთკრის, შემდეგ ლარგვისის თემში. ჩხუნეთი ჭურთის ხეობის იმ სოფლების რიგს მიეკუთვნება, სადაც XVIII საუკუნიდან ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული ოსები მკვიდრდებოდნენ. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მიგვანიშნებს, ქსანზე მათ დაიკავეს ის ადგილები, სადაც ადრე ქართველი გლეხები ცხოვრობდნენ. ჩხუნეთის სახელწოდება ისეთივე ქართულია, როგორც ჭურთის ხეობის ოსებით დასახლებული სხვა სოფლებისა. ჯ. გვასალია მიხედვით, სახელის ფუძე „ჩხუ“ მეგრულიდან უნდა მომდინარეობდეს, რაც ძროხას ნიშნავს... ამ მოსაზრებას განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ჩხუნეთის გვერდით მინდორს საძროხილს უწოდებენ.

ერთმანეთის მეზობლად სოფლების ჯორთისისა და ჩხუნეთის არსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ მხარეში მესაქონლეობის განვითარების მაღალ დონესა და ცხოველის კულტის წინა პლანზე წამოწევას. 1772 წლის ზაფხულში, ქსნის ხეობაში მოგზაურობისას, ჩხუნეთს პირადად ეწვია გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი. იგი 30 ივნისს ლარგვისში შეჩერდა. მეორე დღეს კი გვი მიერეთისკენ აიღო... ჭურთის მიმართულებით მგზავრობისას იგი ახდენს ცქუნეთის (როგორც თვითონ უწოდებს) ლოკალიზებას.

გერმანელი მოგზაურის ცნობით, ჩხუნეთში უკვე ჩანან ოსები. რთული სათქმელია, მოიაზრება თუ არა ეს სოფელი იოანე ბატონიშვილის ქართლ-კახეთის აღწერაში ნახსენებ ჭურთისხევის 8 „ოსის სოფელს“ შორის, რადგან იოანეს 1803 წლის საუფლისწულო აღწერაში. 1804 წლის რუსულ კამერალურ აღწერაში მოხსენიებული ოსებით დასახლებული ჭურთისხევის ყველა სოფელია ნახსენები, ჩქუნეთის გარდა.

პირველი რუსული კამერალური აღწერის მიხედვით კი ჩხუნეთში მცხოვრები ოსები მეზატონე გლახი ფიცხელაუროვს (ფიცხელაურს) ეკუთვნოდნენ. სულ სოფელ ჩხუნეთში ცხოვრობდა 9 ოჯახი, 44 მამაკაცი, 25 ქალი, ჰქონდათ 34 დღის სახნავი მიწა, 26 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 71 თივა. გადაუხდიათ 60 მანეთი და 60 კაპიკი.

ჩხუნეთში უმრავლესობა მელაძეები ცხოვრობდნენ (8 კომლი), მხოლოდ ერთი კომლი იყო ნაგაძე. გვარები, ქართულის მსგავსად, ძე-ზე ბოლოვდებოდა და ერთვოდა **чирт** - შვილის მნიშვნელობით. მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და მეცხვარეობა გახლდათ. გადასახადს, რომელიც ხიზნებისათვის დამახასიათებლად მაღალი იყო, მემამულე ფიცხელაურს უხდიდნენ...

სოფლის ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია მეცხრამეტე საუკუნის წმინდა გიორგის ნიში. ეკლესიის ზარზე წარწერა გვამცნობს, რომ იქ დამკვიდრებულ ეროვნებით ოს, მაგრამ მენტალიტეტით უკვე ქართველ მელაძეებს ძველი ეკლესიის ადგილზე აგებულ ახალ მართლმადიდებლურ წმინდა გიორგის ტაძრისთვის შეუწირავთ ზარი და ბოლნური ჯვარი ქართული მხედრული წარწერებით (ბოლნური ჯვრის წარწერა თარიღდება 1843 წლით). ჯვრის ცენტრში წმინდა გიორგია გამოსახული.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მელაძეების შთამომავალი დრიაევეები ჯერ კიდევ მკვიდრობდნენ ჩხუნეთში. მათთან ერთად აქ უცხოვრიათ ჯანიგაევეებსა და მუზაევეებს, რომლებიც მეზობელი სოფლებიდან უნდა იყვნენ მისულები.

## ქეთევან ახობაძე

(საქართველო, თბილისი)

### XXI საუკუნის გამოწვევა – კულტურის კრიზისის გავლენა საზოგადოებაზე და პოლიტიკურ კულტურაზე

დღეს, რეალურად, XXI საუკუნის 20-იანი წლებია და თუ კაცობრიობის ისტორიულ განვითარებას თვალს გადავავლებთ, ამ ახალ განზომილებებში კვლავ ბოლომდე - გაურკვეველ თუ „ვერ გარკვეულ და განმეორებად“ საკითხებს ვუბრუნდებით. საკითხებს, რომელზედაც XIX-XX საუკუნის ყველა მიმართულების ანთროპოლოგები ფიქრობდნენ, ბჭობდნენ, თეორიებს ქმნიდნენ, ზოგჯერ ცდებოდნენ თუ არც ცდებოდნენ...

ნაშრომი ეძღვნება პრობლემას - როგორ გავლენას ახდენს **კულტურის კრიზისი საზოგადოებაზე და პოლიტიკურ ურთიერთობებზე, პოლიტიკურ კულტურაზე.**

თანამედროვე კულტურის კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ის, რომ იგი ვითარდება როგორც ცხოვრების კრიზისი და თუ, ჩვეულებრივ, კულტურის კრიზისი - ადამიანის საქმიანობის სულიერი სფეროს კრიზისად აღიქმებოდა, გავლენას მის მხოლოდ ზოგიერთ ასპექტზე ახდენდა, ახლა ის არ შემოიფარგლება საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურული და სულიერი სფეროთი. კრიზისის შედეგებმა სერიოზული გავლენა იქონია მთლიანობაში მსოფლიო კულტურულ განვითარებაზე. აქედან გამომდინარეობს მისი ერთ-ერთი თვისება - გავრცელება დედამიწის მთელ სივრცეში. ამ საკითხებთან დაკავშირებით, მიუხედავად გავრცელებული განსხვავებული თვალსაზრისებისა, წარმოდგენილ ნაშრომში შევეცდები შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით, იმის მტკიცებულების წარმოდგენას, რომ განვითარებადი კულტურის კრიზისი რომელიმე კონკრეტული ქვეყნისა თუ კონტინენტისთვის კი არ არის დამახასიათებელი, ის შეეხო დედამიწის აბსოლუტურად ყველა კუთხეს, ვინაიდან ამჟამად, გლობალიზაციის წყალობით, ყველა საზოგადოება - განუყოფლად არის ურთიერთდაკავშირებული არამხოლოდ ეკონომიკური, პოლიტიკური, არამედ კულტურული ურთიერთობებით.

კულტურის და სულიერების კრიზისი კაცობრიობას გარკვეულ ეტაპებზე განსაკუთრებით უმძაფრდება. ეს კრიზისი დგას დღესაც მსოფლიოში, რომლის ახალი ტალღა ჯერ კიდევ 2008 წლიდან დაიწყო... ფიქრის დროც თითქოს აღარ დარჩა, რადგან სამომავლო გზავნილები არამარტო დასაფიქრებელი, არამედ შემამფოთებელიცაა!

აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ კითხვაზე - **„ვის ეკუთვნის მომავალი?“,** პასუხი უკვე გზავნილის სახით გაჩნდა გლობალურ სამყაროში: თუ კულტურა არ იქნება, არც მომავალი გვექნება! - **„No Culture, No Future“!**

## რენა ბაირამოვა

(აზერბაიჯანი, ბაქო)

### აზერბაიჯანში რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა და ნარიმან ნარიმანოვი (1920)

1920 წლის აპრილის რევოლუციის შემდეგ აზერბაიჯანში რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი გახდა. გაცილებით რბილი პოზიცია ეკავა საბჭოთა აზერბაიჯანის ერთ-ერთ მსხვილ სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეს ნარიმან ნარიმანოვს. მისი აზრით, საბჭოთა ხელისუფლებას მოსახლეობისთვის არ უნდა აეკრძალა რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობა, მეჩეთში ლოცვა, ყურანის კითხვა. ყოველი მოქალაქისთვის უნდა მიეცათ უფლება, სკოლის გარეთ თავისი შვილისთვის ესწავლებინა ყურანი და რელიგიის საფუძვლები. ის წერდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ნება უნდა დაერთო ახალდაქორწინებულებისთვის, სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ, მეჩეთში ხელი მოეწერათ. ამას ერთი უპირატესობა ჰქონდა: თუ ოჯახი დაინგრეოდა, კაცს ქალის წინაშე ფინანსური ვალდებულება გაუჩნდებოდა. ნ. ნარიმანოვის პოზიციით, სახელმწიფომ უნდა შექმნას მრავალსაფეხურიანი რელიგიური კომიტეტები, ყველა მეჩეთს უნდა ჰყავდეს თავისი ხელმძღვანელი, რომელსაც კენჭისყრით აირჩევენ. ნარიმან ნარიმანოვი რელიგიის სკოლაში შესწავლას შეუძლებლად მიიჩნევდა.

## მირანდა ბაშელიშვილი

(საქართველო, თბილისი)

### ახალი გამოწვევა რეგიონში ირანისთვის

სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულ რეგიონს საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ირანის რეგიონულ პოლიტიკაში. თანამედროვე პირობებში აღნიშნული რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური როლი კიდევ უფრო გაიზარდა. სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები გავლენას ახდენს ირანის უსაფრთხოებაზე, ეკონომიკასა და პოლიტიკურ დღის წესრიგზე. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა 2020 წელს ყარაბაღის კონფლიქტის ფართომასშტაბიანი ესკალაცია იყო, რომელიც ყარაბაღის მეორე ომის სახელით არის ცნობილი.

ყარაბაღის მეორე ომის დაწყებიდან ცოტა ხანში ირანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მხარეებს მოლაპარაკებების გზით ვითარების დარეგულირებისკენ მოუწოდეს და შუამავლის როლის შესრულების მზადყოფნა გამოთქვეს. ოფიციალური თეირანი მხარს უჭერს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას და მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს. ეს პოზიცია ირანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ომის მიმდინარეობის დროსაც დააფიქსირეს.

ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის სამხრეთ კავკასიაში ვითარების დარეგულირება და სტაბილურობის შენარჩუნება პრიორიტეტად რჩება. თუმცა ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის რუსეთის ჩართულობით გაფორმებული შეთანხმება რეგიონში არსებული დე-ფაქტო საზღვრების ცვლილებას იწვევს, რაც თეირანისთვის ახალ გამოწვევებს ქმნის. ომის შემდეგ პერიოდში ყარაბაღში რუსეთის სამშვიდობო მისიის ყოფნა, ახალი სატრანსპორტო დერეფნების გახსნის შესაძლებლობა ფუნდამენტურად ცვლის პოლიტიკურ წესრიგს სამხრეთ კავკასიაში, რაც ირანისთვის ნაკლებად მომგებიან ვითარებას ქმნის და თეირანს რეგიონში პოლიტიკის გააქტიურებისკენ უბიძგებს.

**ნანა ბახსოლიანი**  
(საქართველო, თბილისი)  
**საზღვრის ცნება ბიბლიაში**

• სახელმწიფო საზღვრების ჩამოყალიბების ისტორიას ვხვდებით ძველი აღთქმის სხვადასხვა ნიგნებში - ტობის, ივდითის, ესთერის, იობის ნიგნები, ფსალმუნი, იგავთა ნიგნი, ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ნინასწარმეტყველთა ნიგნები - ესაია, ბარუქი, ეზეკიელი, მეფეთა 1, 11, 111, IV, ნეშტთა I, II, ეზრას I, II, III, მოსეს ხუთნიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი, რიცხვთა. უძველეს დროს მეზობელი ქვეყნები ერთმანეთისაგან ისეთი ბუნებრივი და ძნელად გასავალი ზღუდეებით იყო გამიჯნული, როგორცაა ტყეები, მდინარეები... ბიბლიის ნიგნებში საზღვრის შექმნა/ დადგენა ღმერთის მიერ განხორციელებული ქმედებაა. საზღვრად შეიძლება დადგენილი ყოფილიყო ძველი, მთა, ქუაბი, ზღვა, დაბნები, უდაბნო.

• ავტორის თვალსაზრისით, ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ებრაელ ერს უნდა გაეგლო უდაბნოს გზა, რომ შესულიყო აღთქმულ ქვეყანაში. ამ მოვლენას სიმბოლური და მისტიური მნიშვნელობა ჰქონდა. ერი დაბანაკდა უდაბნოში „მთასა თანა ღმერთისასა (გამ.18.5) მთა, კლდე ის ადგილია, საიდანაც მოსესთვის უფლის არსებობა განიცდება. ესაა სინას მთა. ათი მცნების გადაცემის შემდეგ სინას მთას სინას უდაბნო ეწოდა, მაშასადამე, მთამ მიირქვა უდაბნოს სახელწოდება - სინას მთა, სინას უდაბნო.

• ავტორის ყურადღება იმ მნიშვნელოვან გარემოებასაც ექცევა, რომ საზღვარი როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვში ქვეყნის ტერიტორიის მონახაზს მიუთითებდა. „საზღვრების“ ან ტერიტორიის გაგებით გვხვდება ძველი აღთქმის არაერთ პასაჟში - „გვერდი“, „სანაპირო“, „კიდური“, „პირი“, „ზღვარი“, „კლდე“, „ტუჩი“ (როგორც ბუნებრივი საზღვარი). მაშასადამე, „ზღვარი“, „პირი“, „კიდე“, „დასასრული“, „ხელი“, რომელიც გამოიყენებოდა მრავალფეროვან აპლიკაციებში როგორც პირდაპირი, ასევე, გადატანითი მნიშვნელობით და სივრცულ და იდეოლოგიურ კონცეფციებს აღნიშნავდა.

• ჩატარებული კვლევის შედეგად, ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ საზღვრის ცნება ბიბლიაში, გეოგრაფიულთან ერთად, ეთნიკურ, რელიგიურ და პოლიტიკურ სამკვიდრებელს გამოხატავდა. საზღვარი ადგენდა ღვთაებრივ წესრიგს მის შიგნით, მაშასადამე ცივილიზაციას, რომელიც მის გარეთ არსებულ მიწებსა და მასზე მოსახლე ხალხებს ნაციონალური იდენტობით და რელიგიით ემიჯნებოდა. საზღვარი ჰყოფდა და ერთმანეთს უპირისპირებდა ორ სამყაროს და, ამავდროულად, იყო ის პარადოქსული ადგილი, სადაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. საზღვრების გარეშე არ არსებობს წესრიგი, კანონი და სამართლიანობა.

**თამარ ბელაშვილი**  
(საქართველო, თბილისი)

**ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისთვის“**

XX ს-ის ქართველ ხელოვანთა შორის, ვინც „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე იმუშავა, ერთ-ერთი გამორჩეულია ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე. 1990-იანი წლებით თარიღდება „ვეფხისტყაოსნისთვის“ შექმნილი ნამუშევრების ეს სერია, რომელიც მხატვარს დაუსრულებელი დარჩა. თუმცა ცალკეული, დასრულებული ნამუშევრების რაოდენობა ამ თემაზე თამამად მსჯელობის საფუძველს ქმნის. საოცარი ძალით აირეკლა „ვეფხისტყაოსანმა“ ხელოვანის მიერ, საეკლესიო მხატვრობაზე მუშაობის დროს მიღებული უდიდესი ცოდნა. მასში თითქოს გამთლიანდა საერო და სასულიერო ნაკადი, მანამდე არსებულ ბევრ კითხვას მოეძებნა შესატყვისი, გაძლიერდა ერთი მხრივ, შუა საუკუნეების ნიგნის ილუსტრაციის თემა და ამასთან, ქართულ რეალობას ნაზიარები აღმოსავლური კულტურული პლასტიკა.

დავით კაკაბძის შემდეგ, შურა ბანძელაძე იყო პირველი ქართველი მხატვარი, ვინც თავისი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს სამეცნიერო ენად აბსტრაქცია აირჩია. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობისას კი მან კვლავ ფორმა დააბრუნა სასურათე ზედაპირზე. გამოსახულება ცხადყო, რომ ხელოვანმა შეძლო მთელი მანამდელი, შემოქმედებითი ძიებების აკუმულირება სწორედ ამ ერთ ნაწარმოებში და ტექსტის ვიზუალურ-მხატვრული ადეკვატის საკუთარი ვერსიის შექმნა.

„ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისას მხატვარი ახერხებს საბოლოოდ განთავისუფლდეს ყოველგვარი მხატვრული ტენდენციისა და მიმდინარეობისაგან. იქნება ეს XX ს-ის პირველი ნახევრის თითქმის ყველა ევროპული თუ ამერიკული მხატვრული ნაკადი, აკადემიური ხატვა და სოცრელიზმის ფორმისეული პროგრამა, საეკლესიო მხატვრობა და ქანდაკება, ნიგნის ილუსტრაცია და საერო მონუმენტური მხატვრობა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ. ძლიერი, თვითმყოფადი, მაკაფიოდ ინდივიდუალური სამეცნიერო ენა, აზროვნების უსაზღვროდ ფართო მასშტაბი და სამყაროს აღქმის საკუთარი მხატვრულ-სტილისტური ვერსია - ასეთია შურა ბანძელაძისეული ილუსტრაციები ამ პოემისთვის.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ალექსანდრე ბანძელაძე არა მხოლოდ ილუსტრირებას ახდენს ამ ნაწარმოების, არამედ ის ტექსტის გადამწერიცაა. მან ხელით გადამწერილი ტექსტი მხატვრულ კომპოზიციებს შეუთანადა და ამით შუა საუკუნეების ხელნაწერების დარად, ნიგნის ერთიანი მხატვრული კომპოზიცია შექმნა. ტექსტის დასურათებატების ისტორიული ტრადიცია, ფორმატქმნის თანამედროვე სამეცნიერო ენა და ტოტალიტარიზმის ნგრევის სანყის ეტაპზე განხორციელებული მხატვრული „პროექტი“, რომელიც რომ არა პოსტსაბჭოთა რეალობა პოსტმოდერნის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშთა შორის დაიმკვიდრებდა ადგილს - ასეთია ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის მიერ შექმნილი ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისთვის“.

## ნაირა ბეპიევი

(საქართველო, თბილისი)

### დედის მსოფლხედვა ბალადაში „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“

მსოფლიო ფოლკლორში იშვიათია შემთხვევა, როცა შვილმოკლული დედა მკვლელის ვაჟკაცურ თვისებებს აღიარებს, მის მიმართ გარკვეული სიბრალულიც კი აღეძვრება და მისი დედისადმი თანაგრძნობისა და დარდისრთაზიარობის სურვილი გაუჩნდება.რ

ნაშრომში საგანგებოდ განვიხილავთ ქალის, დედის სახეს ერთ-ერთ ბალადაში - „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“. შვილმოკლული დედა დასტირის შვილს, რომელიც ვეფხვთან ორთაბრძოლაში დაიღუპა.რიგი, ამავე დროს, დასტირის ვეფხვს, რომელმაც მოკლა მისი შვილი, აღიარებს მის შემართებულ თვისებებს და მისი დედის გლოვის თანაზიარიც ხდება.რ

„ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, უპირველესად, ყურადღებას იქცევს იმ ჰუმანური იდეებით, რომელიც ქალის, დედის სახით ამაღლებული ზნეობის ადამიანის მსოფლმხედველობას გვაცნობს, რომელიც კაცთმოყვარეობის, მიმტევებლობის წარმოუდგენელ სიმადლეზეა ასული.

ოსურ ფოლკლორში დედა თავის მიცვალებულთან ერთად ტირის სხვა დედათა სატირალსაც, თუმცა აქ ის არ არის მისი შვილის მკვლელის დედა. ზოგადად ასეთ მძიმე ტრაგიკულ ვითარებაში დედა პოულობს თანაგრძნობის უნარს სხვა დედათა მიმართ, უკიდურეს ნუხილს გამოხატავს და მათაც დასტირის.

## ოლიკო ბერიძე

(საქართველო, თბილისი)

### ეთნიკური უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება (აგათია სქოლასტიკოსის საისტორიო თხზულების მიხედვით)

V-VI საუკუნეების აღმოსავლეთი რომის იმპერია წარმოადგენდა ძალიან დიდ ტერიტორიაზე გადაჭიმულ, ძირითადად სხვადასხვა ეთნიკური ტომების დაპყრობითი ომებით ხელოვნურად შეკავშირებულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმს. ეს იყო სხვადასხვა ტომთა და ხალხთა ხელოვნური კონგლომერატი, ისინი დამპყრობელთა მათ მიწაზე გამოჩენამდე, საკუთარი ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ მშვიდობიანად, მაგრამ იმპერიის აგრესიული პოლიტიკის მსხვერპლნი გახდნენ. დიდია სია იმ ეროვნული უმცირესობებისა, რომელთა შესახებაც ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი გვიყვება ზოგჯერ ვრცლად, ზოგჯერ მოზომილად, რამდენიმე შტრიხით (მაგალითად, ბურგუნდების შესახებ წერია, რომ ეს გოთური ტომი ცხოვრობს საკუთარი შრომით და საუკეთესონი არიან სამხედრო საქმეში, ხოლო ფრანკების შესახებ ნათქვამია, რომ მეთაურნი ატარებენ გრძელ თმას, ხოლო მდაბიოები იკვებდნენ მრგვლად მოკლედ და აკრძალული აქვთ გრძელი თმის ტარება, რადგან ეს მეფეთა პატივია მხოლოდ, ხოლო, თუ ავტორს ვენდობით, ის ყოველთვის ყველაფერს განზრახ შელამაზების გარეშე გვიყვება. აგათია ხომ თავისი შრომის დასაწყისშივე აცხადებს, რომ წარსულის ამბების გადმოცემისას ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ სიმართლეზე და ამბავთა და მოვლენათა გაშუქებისას მიუკერძოებელი მსაჯული იქნება.

მოხსენებაში განხილული იქნება აგათიას ცნობები, ობიექტური რეალობა მისიმიანელების, საბირების, დილიმნიტების, ჰერულების, ლაზების, ქანების, ანტების და სხვა ეთნიკური უმცირესობების შესახებ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბევრ მათგანს აგათია ვრცლად ახასიათებს, რამდენიმეს კი - მოკლე შტრიხებით. ზოგიერთ ტომს ჰყავს მეფე, აქვს სათათბირო საბჭო, ახასიათებს ურთიერთპატივისცემა. ისინი ცდილობენ მშვიდობიანად, დიპლომატიური გზით მოაგვარონ საკითხები, მისდევენ ხელოსნობას, აქვთ ისტორიული მეხსიერება და ამაცობენ თავიანთი წარსულით, არიან მამაცობით გამორჩეულნი, ბიზანტიის ჯარში მსახურობენ, არიან დანიანურებულები და უკავიათ მაღალი სამხედრო თანამდებობები. ზოგი ტომი ვერ პატიებს შეურაცხყოფას დამპყრობელს და, აგათიას აზრით, ეწირება საკუთარ ამპარტავნებას, ზოგ ტომს დაკანონებული აქვს სოციალურად განმასხვავებელი ნიშნები, აქვთ საკუთარი გამორჩეული საბრძოლო იარაღი, საბრძოლო ტაქტიკა, და აგრეთვე, სოციალურ-ეკონომიკური ყოფის სხვა დამახასიათებელი ნიშნები. აგათია ამართლებს იმპერიის დამპყრობლურ პოლიტიკას, თუმცა ცდილობს იყოს მართალი, არ მალავს რომელთა ნაკლსაც, ხშირად გაუმართლებელ სისასტიკეს დაპყრობილ ტომთა მიმართ, რის გამოც, მაგალითად, ლაზებს, და არა მარტო მათ, უჭირთ რომელთა მიღება და მათ პოლიტიკასა და ყოფასთან შეგუება.

## ვლადიმერ ბესოლოვი

(რუსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ვლადიკავკაზი)

### ევრაზიის მთიანი ზოლის უძველესი ცენტრისტული ნაგებობების არქიტექტურული მორფოტიპები პირველად გამყრელიძე-ივანოვის მიერ წამოყენებული სამეცნიერო კონცეფციის შუქზე

გამყრელიძე-ივანოვის სამეცნიერო კონცეფციის მადეტერმინირებული პოტენციალი სამხრეთ და დიდი კავკასიის ტრადიციული არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის გაგებაში. საქართველოში თითქმის ყოველწლიური ყოფნისა და ქართველ კოლეგებთან, მათ შორის თამაზ გამყრელიძესა და

როინ მეტრეველთან შეხვედრების დროს შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით ჰიპოთეზას ინდოევროპული პრაენისა და პროტოკულტურის, ინდოევროპული ტომების წინარესამშობლოს შესახებ.

გამყრელიძე-ივანოვის თეორიის შუქზე, ინდოევროპული დიალექტური ერთობის ფილიაციისა და უძველესი ტომების მიგრაციული ტალღების ირადიაციის გათვალისწინებით, შევძელით აგვეხსნა ზოგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემა, ადრე თეთრი ლაქის სახით არსებული მსოფლიო არქიტექტურათმცოდნეობაში, სახელდობრ: განგვესაზღვრა უძველესი ცენტრისტული არქიტექტურული მორფოტიპების ჩასახვის პირველადი არეალი, მათი ჩამოყალიბების ეტაპები და გავრცელების ვექტორები - სახლები, აკლდამები და სამლოცველოები სომხეთის, აღმოსავლეთ საქართველოსა და დიდი კავკასიის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე, ადგილობრივი ავტოქტონური ტომებისა და ძირძველი მთიელი ხალხებისა.

ევრაზიის ბალკანურ-კავკასიურ-პამირული მთიანი ზოლის ქვეყნებისა და ხალხების ტრადიციული არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის მიწისზედა რეალიები, დღემდე ბიოსფეროს გამაკეთილშობილებელი, გვევლინება უდავო, თვალზილულ და წონად მტკიცებად გამყრელიძე-ივანოვის სამეცნიერო კონცეფციისა მსოფლიო ირანისტიკასა, არმენოლოგიასა, კავკასიოლოგიასა და ინდოევროპეისტიკაში მთლიანად.

## ანდრეი ბოიკო-გაგარინი

(უკრაინა, კიევი)

## იური ზაიონჩკოვსკი

(უკრაინა, ხარკოვი)

### თოხთამიშ ხანის ამიერკავკასიური მონეტები უკრაინიდან

მოსხენებაში წარმოდგენილია ოქროს ურდოს ყაენის, თოხთამიშის სახელით მოჭრილი იშვიათი ვერცხლის მონეტები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში აღმოჩნდა უკრაინაში.

ცნობილია, რომ 1385-1396 წწ. თოხთამიშ-ხანის მთელი საგარეოპოლიტიური ძალისხმევა თემურლენგის წინააღმდეგ ბრძოლისკენ იყო მიმართული. დაპირისპირების პირველ ეტაპზე თოხთამიში ცდილობდა, არ დაეშვა თემურლენგის მიახლოება ოქროს ურდოს საზღვრებთან. 1385 წ. თოხთამიში თავრიზის მბრძანებელს, აჰმედ ალაირს შეუკავშირდა, მაგრამ სულ მალე აჰმედი თემურთან ბრძოლაში დამარცხდა. ამის შემდეგ თოხთამიშმა დაიმორჩილა ჯალაირიანთა სამფლობელოები ამიერკავკასიაში, რომლებიც თემურს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაპყრობილი. თოხთამიშის ხელში აღმოჩნდა შირვანის ქალაქები: შამახა, შაბერანი, მაჰმუდაბადი, გუშტასპი, ბაქო, აგრეთვე ჯალაირიანთა სახელმწიფოს ჩრდილოეთი რეგიონები ქალაქ თავრიზით.

დაპყრობილ ტერიტორიებზე თოხთამიშის მონეტების ემისია დაიწყო. კარგად არის ცნობილი ბაქოში, დარუბანდში, მაჰმუდაბადში, თავრიზში, შაბერანსა და შემახაში მოჭრილი ვერცხლის მონეტები. ისინი ჰიჯრით 787-792 წწ. მოიჭრა. მონეტების ზედწერილი უნივერსალურია: ერთ მხარეს მუსლიმური რწმენის ფორმულა და ოთხი ხალიფას სახელია, ხოლო მეორე მხარეს - ყაენის სახელი და ტიტული: *სულტანი უმალლესი, თოხთამიშ ბაჰადურ ხანი, განიგრძოს მეფობა მისი (السُلطان الأعظم توفتاش بهادر خان خلد ملكه)*. აღნიშნულია, აგრეთვე, წელი და ჭედვის ადგილი.

ამიერკავკასიაში თოხთამიშის ბატონობის პირველ ოთხ წელიწადში იჭრებოდა ორმაგი დირჰემები საშუალო წონით 1.9 გრ. ჰიჯრით 791-792 წწ. მიჯნიდან კი მონეტების წონა 1.4 გრ-მდე შემცირდა. ჰიჯრით 792 წ. თოხთამიშის მონეტების ემისია ამიერკავკასიის ქალაქებში შეწყდა - როგორც ჩანს, 792-793 წწ. მიჯნაზე (1390-1391 წწ.) ის ამიერკავკასიას გაეცალა.

მკვლევრები თოხთამიშის მონეტებს XIX ს-დან სწავლობენ. ისინი გამოქვეყნებულია ხ. ფრენის, პ. საველიევის, ა. მარკოვის, ე. პახომოვის, მ. შეიფედინის შრომებში; თუმცა, შემთხვევაში, ვფიქრობთ, შეუძლებელია მტკიცება, რომ სიქების ყველა გამოყენებული წყვილი სრულად



გამოქვეყნებულია. რამდენიმე წელია, რაც ჩვენ ვადასტურებთ აღნიშნულ ცალებს უკრაინის ნუმიზმატიკურ საგანძურში. ბაქოში მოჭრილი მონეტა აღმოჩნდა ხარკოვის ოლქის ქალაქ ჩუგუიევში, XV ს-ის დასაწყისის ჯუჩიდური დანგების განძში. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბაქოში (**بaku**), დარუბანდში (**در بند**), მაჰმუდაბადში (**محمودآباد**), შაბერანსა (**شابران**) და შემახაში (**شماخی**) მოჭრილი მონეტები აღმოჩენილია დონეცკის ოლქში. ისინი ნაპოვნია დანგების დიდ განძში, რომელიც 1410-იანი წლებით თარიღდება. საინტერესოა, რომ ისინი განძის ყველაზე მძიმე ცალები იყო. ემისიის ადგილი ყველა მონეტაზე იკითხება, მაგრამ თარიღი არ ყოფილა დატანილი.

ჩვენ შემდგომშიც გავაგრძელებთ უკრაინაში აღმოჩენილ თოხთამიშის ამიერკავკასიური მონეტების კვლევას და შედეგების შესახებ ვაცნობებთ სამეცნიერო საზოგადოებას.

## ოლგა ბრუსინა

(რუსეთი, მოსკოვი)

### შიიტ ქალთა რელიგიური პრაქტიკები მუჰარამის თვეში დერბენტში

(დაღესტანი, რუსეთი)

IEA-სა და RAS-ის მკვლევრებმა ო.ი. ბრუსინამ და ე. მ.სეიტოვამ დერბენტში (დაღესტანი, რუსეთი) აზერბაიჯანულ თემში ჩაატარეს საველე ეთნოგრაფიული კვლევა 2020 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, მუჰარამის შიიტური რელიგიური დღესასწაულის დროს. აქ ამ პერიოდში ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე ატარებენ რელიგიურ რიტუალებსა და სხვადასხვა აქტივობებს. ავტორი მუშაობდა აზერბაიჯანული თემის ქალ წარმომადგენლებთან.

დერბენტი მრავალი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის ფუნქციას ასრულებდა. შიიტი აზერბაიჯანელები, რომლებიც ამ ქალაქის მოსახლეთა ერთ-ერთ უძველეს ჯგუფს შეადგენენ, წარსულში მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდნენ. დღევანდელი მონაცემებით, აზერბაიჯანელები ქალაქის საერთო მოსახლეობის მესამედია (დაახლოებით 40 ათასი) და, ძირითადად, დასახლებულნი არიან უძველეს *მაჰალეებში*, რომლებიც წარინ-კალას ციხესიმაგრის მიდამოებში მდებარეობს. ისინი ქმნიან მჭიდრო ეთნო-რელიგიურ საზოგადოებას, რომელსაც აერთიანებს რელიგია, მშობლიური აზერბაიჯანული ენა და ნათესაური კავშირები.

შიიტებისათვის დამახასიათებელი ყოველწლიური დღესასწაული *მუჰარამის* თვის პირველ დეკადაში, *აშურას* დღეებში ტარდება. სამგლოვიარო ღონისძიება, რომელიც 10 დღის განმავლობაში გრძელდება, ეძღვნება 680 წელს კარბალას ბრძოლაში დაღუპულ ჰუსეინისა და მისი ოჯახის ხსოვნას. *მეჯლისები* (შეხვედრები) ყოველ საღამოს ჯუმას მთავარ და სხვა მეჩეთებში იმართება. მეჯლისის მოიცავს საერთო ლოცვას, წინასწარმეტყველისა და 12 იმამის გახსენებას, *ახუნდის* (იმამის) ქადაგებას. *რუზხანები* (მკითხველები) მღერიან *მერსიას* (გლოვის ლექსებს).

ამ შეხვედრებს 2020 წლის აგვისტოში დავესწარით. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში აღნიშნული რელიგიური დღესასწაული უფრო გაიზარდა, რაც დაკავშირებულია მაჰალის მცხოვრებთა რელიგიური აქტივობით და დერბენტში მოქმედი შიიტთა ჰუმანიტარული და სოციალური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით.

ჯუმას მეჩეთს ყოველ საღამოს რამდენიმე ასეული ადამიანი სტუმრობდა. ქალებისათვის სპეციალური ოთახი და ასევე ეზოს ნაწილი იყო გამოყოფილი. ყოველ საღამოს ეწყობოდა მამაკაცთა მსვლელობა მეჩეთისკენ წმინდა ბანერებით (*ალამ აპარამ*). მონაწილეები რიტმულად ყვიროდნენ: *“შაჰ ჰუსეინ, ვაჰ ჰუსეინ!”* და ამასთან *სამგლოვიარო თვითგვემას* ასრულებდნენ. მამაკაცები ამ ქმედებებს ჯუმას მეჩეთშიც აგრძელებდნენ, მაშინ როცა ქალები *ახუნდისა* და *როუზხანების* სიტყვებს უსმენდნენ და მამაკაცთა მოქმედებებს ფანჯრებიდან ინტერესით უყურებდნენ. ყველა დამსწრეს ჩაი და ქალების მიერ მორთმეული ტკბილეული (*ეჰსანი*) ურიგდებოდა, რომელიც ნებაყოფლობით შემოწირულებას წარმოადგენს ღმერთის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ეს შესანიშნავი განიხილება, როგორც *ბარაქა* (მადლი).

ქალები ალამ აპარამში ირიბად მონაწილეობდნენ. ისინი ხშირად იმ ოჯახის დედებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ეჰსანს (რიტუალურ ტრაპეზს) მართავდნენ საკუთარ სახლში - „პირობის (ნაზრის)“ მიხედვით, ეს ფაქტი სურვილების ახდენას უწყობს ხელს. ეს ტრაპეზი ალამ აპარამის მონაწილეთათვისაა განკუთვნილი, მასპინძლის სახლში კი 30-40 ან მეტი ადამიანიც კი მიდის სტუმრად. ქალები და მამაკაცები ცალკე ოთახებში ტრაპეზობენ. მანამდე მერსიას უსმენენ და ლოცვებს კითხულობენ:

*„ნაზრ, შენ შემენიე და მე შევასრულებ. მე თვითონ გითხარი, რომ თუ ჩემი შვილი უნივერსიტეტში მოენყობა, მე [დათქმას] შევასრულებ. ალამ აპარამის 40 მონაწილე მოვა, ჩვენი ნათესავებიც მოვინვიეთ. ისინი 16:30-ზე მოვიდნენ, აქ ლოცვები წაიკითხეს, ჩვენ თითოეულ მათგანს ძღვენი გადავეცით, მონაწილეები კი ფულით- 100-100 რუბლით დავასაჩუქრეთ.“*

უშუალოდ აშურას წინა ღამით, ზოგიერთი მასპინძელი აწყობს „შაჰსეი-ვაჰსეის“ რიტუალს. ტრაპეზი ეჰსანის მიხედვით, წინ უნდა უსწრებდნეს ცერემონიას, რომლის შემდეგაც მამაკაცები მიმართავენ კოლექტიურ ლოცვას თვითგვემით ეზოში, ზოგიერთი მათგანი კი თავზე ხანჯლებით მსუბუქ ჭრილობებს იყენებს. ამ დროს სისხლის წვეთები მხრებზე მოგდებულ თეთრი მოსასხამზე ეცემა. ქალები მამაკაცებს შორიდან უყურებენ. მოსასხამზე დაცემული სისხლის ახალი წვეთები მიიჩნევიან ბარაქად და მათ ქალები სამკურნალოდაც იყენებენ.

ამ ღამით დერბენტელი შიიტები კასპიის ზღვის სანაპიროებთან მიდიან და ზღვაში ყრიან ტკბილეულსა და ფურცლებს, რომლებზეც მათი სურვილებია დანერილი. დილით აშურაზე შიიტები ჯუმას მეჩეთისკენ მსვლელობას აწყობენ. მამაკაცები მსვლელობას ბანერებით ხელში მიუყვებიან, ქალები და ბავშვებიც ახლოს ტრიალებენ. მეჩეთში ლოცვის დასრულების შემდეგ, მამაკაცები სამხრეთით მდებარე „დულ-დულ ალის“ სასაფლაოზე მიდიან. ხემსის შემდეგ მათ ქალებიც უერთდებიან. ადგილობრივი რწმენის თანახმად, იმამმა ალიმ ეს ადგილი თავისი ცხენით - დულ-დულით მოინახულა, ამ უკანასკნელმა კი ჩლიქის კვალი დატოვა. ქალები ამ ადგილს ბარაქის მისაღებად შუბლით ეხებიან. ტკბილეულს, მაგალითად ეჰსანს, საფლავეებზე ტოვებენ. იქვე, სპეციალურ შენობაში, ქალები აღავლენენ სამგლოვიარო მერსიას კითხვას და ჩაისა და ეჰსანებს არიგებენ. აშურას დღეებში, ზოგიერთი დიასახლისი აწყობს ქალთა შეხვედრებს (მეჯლისებს), რომელსაც ეჰსანითა და მერსიას კითხვით იწყებენ.

ასეთ ცერემონიაზე აშურას მომდევნო დღეს, მცირე მეჩეთში მიგვინვიეს. ახალგაზრდა ქალი, რომელიც მაშინ იწყებდა როუზხანობას და შეხვედრის ორგანიზატორი და ფინანსური მხარდამჭერი იყო, ეჰსანებით შეგვხვდა. მერსია წარმოადგენს პოეტურ კრებულს, რომელიც იმამ ჰუსეინს, მის ოჯახსა და კარბალის ბრძოლაში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებსა თუ სხვა ამბებს ასახავს. როუზხანის ხელოვნება გულისხმობს კარგი ხმისა და ტექსტის ხმამაღლა კითხვის უნარის არსებობას. ამგვარ შეხვედრებს, როგორც წესი, რამდენიმე როუზხანი ესწრება და ცვლის ერთმანეთს. არიან ქალები, რომლებიც თავად წერენ მერსიას და მეჯლისებზე კითხულობენ. მერსიას შესრულება ღირსეულ საქმედ მიიჩნევა, ამდენად როუზხანებსა და მერსიას მწერლებს აზერბაიჯანულ საზოგადოებაში განსაკუთრებულად მაღალი სოციალური სტატუსი აქვთ.

მიჩნეულია, რომ უძველეს ქალაქ დერბენტის მკვიდრ აზერბაიჯანელებში შიიტური ტრადიციებისა და ჩვეულებების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შეიძლება ითქვას, რომ დერბენტის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უამრავი დღესასწაულია დაკავშირებული რელიგიასთან, განსაკუთრებით კი მუჰარამის დღეებში. ამგვარ დღესასწაულთა უმეტესობაში ქალებს უფრო მეტად შეუძლიათ და აქვთ სურვილი იყვნენ რელიგიურად აქტიურები, ვიდრე მათ ქმრებსა და შვილებს, რადგან მამაკაცები ძირითადად ფულის გამომუშავებით არიან დაკავებული. ქალები სეკულარულ გართობას ხშირად ამჯობინებენ რელიგიურ დღესასწაულებს. მათი უმეტესობა რამდენჯერმე იწყებს პილიგრიმობას (ზიარათს) მეზობელი აზერბაიჯანის წმინდა ადგილების მოსალოცად, ხოლო ჯგუფურ პილიგრიმობას ერაყში, ირანში, სირიასა და ჰაჯის მექაში. ამგვარი მოქმედებანი მათ საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობასა და საზოგადოებაში ავტორიტეტს მატებთ. რელიგიურად აქტიური დედები ხდებიან პატივისცემის ობიექტნი, სარგებლობენ სოციალური პრესტიჟითა და გავლენებით, ეს გარემოება კი ახალგაზრდა ქალებს შიიტური თემის რიტუალურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობისაკენ უბიძგებს.

## ელდარ ბუბულაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### 1927-1935 წლებში საქართველოში არსებული უცნობი „საქართველოს-ეროვნულ სოციალისტური პარტიის“ ისტორიიდან

ნაშრომში შესწავლილია 1927-1935 წლებში საქართველოში არსებული დღემდე უცნობი ეროვნულ-სოციალისტური პარტიის ისტორია. ირკვევა, რომ 1927 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე წერეთლის ინიციატივით დაარსდა ეროვნულ-სოციალისტური პარტია, რომლის წევრები იყვნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. პარტიის ახალგაზრდულ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ვახტანგ და დავით გამრეკელები. 1932 წელს, პარტიის ერთ-ერთი წევრის დაპატიმრების გამო, ორგანიზაციამ დროებით არალეგალური მუშაობა შეაჩერა. 1934 წლიდან პარტიამ მუშაობა განაახლა, გაიზარდა პარტიის წევრთა რაოდენობა. ამავე წელს, ორგანიზაციის მუშაობის გააქტიურების მიზნით, შეიქმნა პარტიის უმაღლესი საბჭო 5 კაცის შემადგენლობით.

პარტიის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა. პარტიის წესდების მიხედვით, „საქართველოს, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეულის აღდგენის დღიდანვე გამოცხადებული უნდა იქნეს დროებითი ეროვნული დიქტატურა, როგორც სახელმწიფოებრივი მართვის ფორმა. ყველა ძალა და ენერჯია მიმართული უნდა ყოფილიყო ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერისა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა განმტკიცებისაკენ.“

წესდების მიხედვით, დაძლეული უნდა ყოფილიყო კლასთა შორის ბრძოლის გამწვავება. ეროვნული უმცირესობები ისარგებლებდნენ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა უფლებებით კულტურული ავტონომიის ჩათვლით, თუ, რასაკვირველია, იგი ხელს არ შეუშლიდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.

პროგრამაში აღნიშნულია, რომ „პარტია არის სოციალისტური და მისი ბაზისი არის პროლეტარიატი, როგორც კლასი და გლეხობა.“

პარტიის წესდება უარყოფს ინტერნაციონალიზმის ბოლშევიკურ გაგებას და მას „წითელი იმპერიალიზმის“ სახელით მოიხსენიებს. პარტიის მიზანი იყო: „ეროვნებით სოციალიზმისაკენ, რაც ნიშნავს იმას, რომ თითოეული ეროვნება თავისი დამახასიათებელი ნიშნებით და შინაგან განვითარების დაცვით შევა სოციალიზმში.“

წესდებაში ხაზგასმულია, რომ პარტია წინააღმდეგია თავისი მიზნები განახორციელოს შეიარაღებული აჯანყების გზით. აღნიშნულია, რომ ბოლშევიკური რეჟიმი კრიზისს განიცდის, რასაც უეჭველია მათი კრახი მოჰყვება. ბოლშევიკების მარცხს ქართველი საზოგადოება მომზადებული უნდა შეხვდეს. მიზნიდან გამომდინარე, მასების მომზადების მიზნით, პარტიას მიაჩნდა არალეგალური პროპაგანდის გაწევა. მათი აზრით, ახალი თაობა უნდა აღიზარდოს „ახალი საღი პრინციპებსა და იდეებზე, როგორც მებრძოლი ბუნების მატარებელი.“

1935 წელს საქართველოს უშიშროების ორგანოებმა გამოავლინა „საქართველოს ეროვნულ-სოციალისტური პარტია“, დააკავეს პარტიის აქტივისტები და ნივთმტკიცებებიც ამოიღეს. განაჩენი გამოუტანეს და სასჯელის სხვადასხვა ფორმა მიუსაჯეს 24 პიროვნებას. აღსანიშნავია, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ ზოგიერთმა პიროვნებამ უშიშროების ორგანოებში დაიწყო მუშაობა.

## პაატა ბუხრაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### ცენტრალური კავკასიის მთიანეთის უძველესი მოსახლეობის ეთნოკულტურული ისტორიიდან

უხსოვარი დროიდან საცხოვრისი მთლიანი და განუყოფელი ოჯახის სულიერ სიმბოლოს და ერთგვარ „ტაძრსაც“ კი წარმოადგენდა. ოჯახური კერპების არსებობა, არქეოლოგიურად, ცენტრალური კავკასიის უძველესი მოსახლეობის ცხოვრებაშიც დადასტურდა.

ოჯახის მფარველ ანგელოზს, „ფუძის ანგელოზს“, საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ცნობილმა ქართველმა ეთნოგრაფმა მ. ჩართოლანმა. მან, შეისწავლა სვანურ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული სახლის კერპი და გაარკვია, რომ მისი სახელი - „ჩხუდანი“ ჯერ კიდევ უძველეს ხანებიდან ქართველურ ენებში წინარექრისტიანული ხანის ოჯახური ღვთაების გამოსახულების აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო.

ოჯახური კერპების არსებობა, ჩვენის აზრით, არქეოლოგიურად დადასტურებულია ცენტრალური კავკასიის მთიანეთის უძველესი მოსახლეობის ყოფაშიც. საუარის ნამოსახლარზე გამოვლინდა საკულტო სათავსო, სადაც აღმართული იყო ქვის კერპი. იგი წარმოადგენს მინაში ვერტიკალურად ჩასმულ მოგრძო და მოხრილ ქვას. ეს კერპი ძალიან ნააგავს სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ ოჯახის კერპს - „ჩხუდანს“.

როგორც ეს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზით ირკვევა, ცენტრალურ კავკასიის უძველეს მოსახლეობას, დღევანდელი აფხაზეთ-სვანეთ-რაჭა-ფშავ-ხევსურეთ-ჩეჩნეთ-დაღესტნის მთელს ზოლზე, ადრეული ხანებიდანვე საერთო სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივი აგებულება ახასიათებდა. იგი სათავსს იღებდა ოჯახური კულტმსახურებიდან რაც საერთოკავსიურ სივრცეში გამოკვეთილად ჯერ კიდევ ენეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანებიდან დასტურდება.

## მანანა გაბაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### სვეტიცხოვლის ფრესკისა და კორცხელის ტაძრის ფასადის დროშები

სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის ფრესკაზე (XVII ს.) გამოსახული დროშები მენამული ფერისაა კუთხეში ოქროსფერი ჯვრით. ქართული ტაძრების სხვა ფრესკებზე ანალოგიური დროშები არ დასტურდება, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ უჩვეულო და უნიკალურად აღიარებულ ფრესკას, რომელზეც ზღვა და საზღვაო თემატიკაა დადასტურებული. ამ ფრესკაზე მუშაობისას, რომლის ახსნაც ვერ ხერხდებოდა, მასზე ასახული სხვადასხვა სიმბოლოები და დრამატული თემები 1453 წ. ოსმალთა მიერ ბიზანტიის დამხობის გამოძახილად მივიჩნიეთ, რომელიც მხატვრობისთვის ნიშანდობლივ ენაზე ქართული პოლიტიკის ნააზრევისა და ანტიოსმალური კოალიციის გაფორმების შედეგია. სწორედ ამ ფრესკის ორ აფრიან ხომალდზე აღნიშნული დროშები აღმართული, თუმცა ისინი ამ ხასიათის ცნობებთან დაკავშირებულ სათანადო ლიტერატურაში არ ასახულან. იგივე უნდა ითქვას ამავე საუკუნის კორცხელის ტაძრის ფასადზე წარმოდგენილ სვეტიცხოვლის მსგავს დროშაზეც, რომლებიც ურთიერთკავშირში შევისწავლეთ.

სვეტიცხოვლის დროშების კვლევისას ვუჩვენეთ რამდენად გამიზნული იყო მათი დადასტურება განსაკუთრებული მისიის, მძლავრი იდეოლოგიური ფუნქციის მატარებელი საქართველოს მთავარ საკათედრო ტაძარში. დროშებს ტაძრის მთლიან კონტექსტში განვიხილავთ და, ცხადია, XVII საუკუნეში მიმდინარე პროცესების ქრილში. მხედველობაში ვიღებთ იმ ფაქტორსაც, როდესაც 1453 წლის შემდეგ, ისლამიზაციის გაძლიერებას საქართველო ევროპეიზაციის პროცესებს უპირისპირებს, რაც გარკვეული ნიშნებით სვეტიცხოვლის ფრესკაზეც გამოვლინდა და რომლის კონტექსტშიც აღნიშნულ დროშებსაც განვიხილავთ. ეს ხდება „მცირე რენესანსად“ წოდებულ ეპოქაში პატრიოტული თემების აღორძინებისა და ეროვნული იდეოლოგიის გაძლიერების პირობებში, რომლის ნაწილადაც ამ დროშებსაც მივიჩნევთ, ისევე როგორც მათ საზღვაო ფაქტორთან კავშირს. ეს ის თემატიკაა, სვეტიცხოველში ქართლის დედოფალმა მარიამმა (1634-1680/83) რომ შემოიტანა.

აღნიშნული დროშები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ საქართველოს საზღვაო ქვეყნებისა და დასავლეთისთვის ცნობადს ხდიდნენ, მით უმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც, როგორც აკად. თამაზ გამყრელიძემ გვიჩვენა, ევროპელები 1575 წ. ევროპული რუკის (ორტელიუსი) მიხედვით საქართველოს დასავლეთის ნაწილად მიიჩნევდნენ. აღნიშნული დროშები ევროპულ რუკებზეც დასტურდება და ქართველებსა და ევროპელებს შორის დიპლომატიური მოლაპარაკების დროსაც

ფიგურირებენ. ესპანეთში ჩასულ ქართველ დიპლომატებს, როდესაც ქართული დროშის აღწერას სთხოვენ, ისინი სვეტიცხოველსა და კორცხელში გამოსახულ დროშებს წარმოაჩენენ.

ნიშანდობლივია, რომ დროშები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გვხვდებიან და ერთიანი საქართველოს იდეასაც გამოხატავენ, აგრეთვე იმ პოლიტიკურ კოორდინაციას, რომელიც და-ძმას, ოდიშის მთავარ ლევან II დადიანსა (1611-1657) და ქართლის დედოფალ მარიამს შორის არსებობდა. ამდენად, აღნიშნული დროშები საქართველოს დაშლილობის პერიოდშიც ერთიანობის დემონსტრირების მაგალითიცაა და სიმბოლო მტერთან მებრძოლი ოპტიმისტი ქვეყნისა. აღნიშნული დროშები ეროვნული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის გაძლიერებაზეც მიანიშნებდნენ, რაც ურთულეს ვითარებაში ქართული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, ქართველობის დაცვასა და შენარჩუნებას ნიშნავდა, რომლის ერთ-ერთ მძლავრ კერასაც სვეტიცხოველი წარმოადგენდა.

ჯვარი ქართულ დროშებზე, გარდა იმისა, რომ ქრისტიანულ სამყაროს კრავდა, 1453 წლის შემდეგ, საერთო საფრთხეებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო დიდ დატვირთვასა და მნიშვნელობას იძენს. ჯვარი გვხვდება არაერთ ევროპულ დროშაზე. მაგალითად, გენუის დროშაზე ჯვარი წმინდა გიორგის სიმბოლოა. არ გამოვირიცხავთ, რომ სვეტიცხოველის ქართული დროშების ჯვრები ასევე წმინდა გიორგის სიმბოლო იყოს, რაც საინტერესო პარალელის გავლებს შესაძლებლობას იძლევა სვეტიცხოველის წმ. გიორგის ბარელიეფთან, რომელიც სვეტიცხოველის საზღვაო თემატიკის ფრესკასთან მიმართებაში და მის სხვადასხვა სიმბოლოებთან კავშირში საინტერესოდ იკითხება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ეს დროშები ევროპული ვექსილოლოგიური ენის იდენტურია, რაც ასევე ევროპეიზაციის ტენდენციებს ასახავს.

სარა ბარნაველი ქართული დროშების კვლევისას, საქართველოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ახალ ისტორიულ პირობებში მათში არსებულ ცვლილებებს შენიშნავდა. ეს ეხება სვეტიცხოველისა და კორცხელის დროშებსაც, რომლებიც ამ ხასიათის მწირი ცნობების დროს უძვირფასესი წყაროა ამ მიმართულებით კვლევის შემდგომი გაგრძელების გზაზე.

რაც შეეხება ბოლოდროინდელ მცდელობას სვეტიცხოველის დროშების ვენეციურად წარმოჩენისა, ის არანაირად არ ჯდება ქართველი მეფეების მიერ მისიონერების მიმართ წარმართულ პოლიტიკაში. ნიშანდობლივია, რომ მისიონერები საქართველოსთან დაკავშირებული ყველა დეტალის აღნიშვნისას სვეტიცხოველის ამ დროშების თაობაზე არაფერს ამბობენ. კათოლიკე მისიონერებმა საქართველოში მართლმადიდებლობა რომ ვერ დაამარცხეს, ამის მიზეზს (რაზეც საგანგებოდ მსჯელობენ) ქართველი ხალხის მართლმადიდებლობისადმი, მეფისა და ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებაში ხედავენ.

## **თამაზ გამყრელიძე, მარინე ივანიშვილი** (საქართველო, თბილისი)

### **აკადემიკოსები აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი – ენათმეცნიერებაში ახალი თეორიული მიმდინარეობის („სტრუქტურალიზმის“) წინამორბედნი**

აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის შემოქმედება უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ისინი, ფაქტობრივად, იმ თეორიულ-ლინგვისტური მიმდინარეობის წინამორბედნი აღმოჩნდნენ, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც ენის სტრუქტურულ-ფუნქციური (ფუნქციონალურ-ფონოლოგიური) ანალიზი. ეს ფაქტი, სამწუხაროდ, ნაკლებადაა ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის და ჩვენი მოვალეობაა ფართოდ გავაცნოთ მათი ნააზრევი და დამსახურებული ადგილი მივუჩინოთ მსოფლიო ენათმეცნიერების ისტორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ აკაკი შანიძეს არ მოუცია თავისი ლინგვისტური კონცეფციისა და მე-თოდოლოგიის მთლიანი ფორმულირება, ენისადმი (ამ შემთხვევაში ქართული ენისადმი) მთელი თავისი მეცნიერული მიდგომითა და ენობრივი ანალიზის გამოყენებული ხერხებისა და მეთოდების მიხედვით, აკაკი შანიძის ლინგვისტური თეორია უნდა განვიხილოთ როგორც სტრუქტურულ-ფუნქციური და ენათმეცნიერების ისტორიაში ის იმ მიმდინარეობებს შევადაროთ, რომლებიც შემდგომ ფერდინანდ დე სოსიურის სინქრონიული თეორიისა და პრალის საენათმეცნიერო სკოლის სტრუქტურალიზმის სახით ჩამოყალიბდნენ.

გიორგი ახვლედიანი ფონოლოგიური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი წარმომადგენელია. გიორგი ახვლედიანის შრომებში აშკარად ვლინდება ფუნქციონალური თვალსაზრისი ენის ბგერითი შედგენილობის ანალიზისას, და, თუმცა აქ ჯერ არა გვაქვს „დიფერენციალური ნიშნის“ ცნება, შემოტანილი მეცნიერებაში უფრო გვიან ნიკოლოზ ტრუბეცკოისა და რომან იაკობსონის მიერ, უკვე აშკარად იჩენს თავს დაპირისპირება კონკრეტულ ბგერასა და ფონემას, როგორც ენის ფუნქციონალურ ერთეულს, შორის. ეს იყო იმ დროისათვის უდიდესი მიღწევა, ენის ბგერითი ერთეულის ფუნქციონალური თვალსაზრისით განხილვის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ნიმუში ენათმეცნიერების ისტორიაში.

## ნუნუ გელდიაშვილი

(საქართველო, თელავი)

### სინონიმთა სტრუქტურა და ემოციური დისკურსები ქართული მცირე პროზის ტექსტების მიხედვით

სინონიმია უნივერსალური მოვლენაა, რომელიც მოიცავს ენის თითქმის ყველა მხარეს და საშუალებას გვაძლევს, მაქსიმალური სიზუსტით გადმოვცეთ სათქმელი, დავახასიათოთ ესა თუ ის საგანი ან მოვლენა ისე, რომ მეტყველება არ იყოს ერთფეროვანი.

მიუხედავად იმისა, რომ სინონიმის პრობლემას ეძღვნება არაერთი ნაშრომი, იგი დღემდე მაინც რჩება ენათმეცნიერების ერთ-ერთ სადავო საკითხად და არ არსებობს ერთი ზოგადი დეფინიცია, რომელიც ამომწურავად ასახავდა მის არსს.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ სინონიმები სტრუქტურულად და ემოციურად საკმაოდ მნიშვნელოვანი სემანტიკა ქართული მცირე პროზის ტექსტებისათვის სტილისტიკური სრულფასოვნების მისაღწევად. უმეტეს შემთხვევაში მწერლები ერთ სინონიმურ წყვილს იყენებენ: **დასახლდნენ/დაფუძნდნენ; საყვარელი/სასურველი...** გვხვდება სამ- და მეტწევრიანი ნაირგვარი შედგენილობის სინონიმური რიგებიც: **ამღერდნენ/აჟღერდნენ/ანრიალდნენ...**

განსაკუთრებით საინტერესოა ნიმუშები, როცა სინონიმური რიგის შემადგენლად, ცალკეული სიტყვების გარდა, ფრაზეოლოგიზმებიცაა: **დამშვიდდა/დანყარდა/სიამოვნების ოფლმა შუბლზე გადმოჰხეთქა...** ნიშანდობლივი აღმოჩნდა ერთ წინადადებაში რამდენიმე (სხვადასხვა) სინონიმური წყვილის/რიგის მონაცვლეობა: **მომინელა/გამათავა/ხელს ვუნყოფდი/ვეხმარებოდი...;** ვხვდებით სინონიმური წყვილის ან რიგის გამეორების შემთხვევებსაც, რაც კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს ექსპრესიას და მკაფიოდ უსვამს ხაზს სინონიმით გამოხატულ მოვლენას: **დარიგება/მითითება/სწავლება.../უსწორება/ასწავლიდა/განუმარტავდა;**

მცირე პროზის ტექსტებში სინონიმურ წყვილებს/რიგებს ძირითადად ქმნის **ზმნა: ეალერსები-ან/ეხვევიანლ;** შედარებით ნაკლებადაა სინონიმური წყვილები **საწყისით: ხვენწა/ვედრება...; არსებითი სახელით: ვარამი/დარდი...; ზედსართავებით და ზმნიზედებით: საყვარელი/სასურველი; მარტოდ/უთვისტომოდ...**

რაც შეეხება ემოციური დისკურსების მიხედვით კლასიფიცირებას, სინონიმია ქართული მცირე პროზის ტექსტებში ძირითადად ემსახურება სევდის, ბრაზის გამოხატვას. გამოხატულია ასევე ისეთი ბაზისური ემოციები, როგორებიცაა: **შიში/ძრწოლა** (ატოკდნენ/აბორგდნენ/აზვავდნენ/გაბრაზდნენ/აბუბუნდნენ); **ზიზღი** (გაბლენძილი/ ბურჟუა/არამზადა); **ბრაზი** (კანკალი/თახთახი); **სიძულვილი** (ავაზაკები/თავხედები); **სევდა** (კვნესა/გმინვა); **სიხარული/ზედნიერება** (დამშვიდდა/ დანყარდა)...

სინონიმთა უმრავლესობა იდეოგრაფიულია, თუმცა მათი დაახლოებით მესამედი ნაწილი სტილურ ფგუფს განეკუთვნება, რაც, ალბათ, სინონიმური წყვილის/რიგის შემადგენლად ფრაზეოლოგიზმის არსებობითაა განპირობებული: **გამაცოცხლებლის/სულის ჩამდგმელის...;** ჩვენი აზრით, მწერლისეულ ერთეულებად შეიძლება განვიხილოთ: მოუდუნდა/მოელემა; შეერთდნენ/შედედდნენ/ხმაზე მიანყვეს...

ამდენად, ასეთი ნაირგვარობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სინონიმია ენის ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი ნაწილი და ლექსიკის გამდიდრების საუკეთესო საშუალებაა.

## ირინე გვიანაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### ილარიონ ქართველი, და მისი კვალი ქართულ არქიტექტურაზე

ილარიონ ქართველი (IX ს) ის სასულიერო მოღვაწეა, ვის სახელსაც უკავშირდება ევროპაში პირველი ქართული მონასტრის, ჰრომანას დაარსება. სიცოცხლეშივე კულტად ქცეული წმინდანის შესახებ ცნობები გიორგი მთაწმინდელს შეუტანია დიდ სვინაქსარში. ანონიმი ავტორის ჰაგიოგრაფიული თხზულება დანვრილებით მოგვითხრობს ილარიონის მოღვაწეობაზე უცხოეთში, თუმცა არც თუ ბევრია ცნობილი მისი სამშობლოსთან კავშირების შესახებ. მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი იყო წარჩინებული ოჯახის შვილი კახეთიდან და რომ იღვანა გარეჯის ლავრაში, მემკვიდრეობით მიღებული ქონებით კახეთში დედათა და მამათა მონასტრები დაარსა და სამშობლოში აღარასოდეს დაბრუნებულა. აღნიშნული მოხსენების მიზანია ილარიონ ქართველის ნაკვალევის ჩვენება კახეთის არქიტექტურის მაგალითზე.

## ელენე გიუნაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### სასანური ონომასტიკის კვლევის საკითხები საქართველოში

ისლამამდელი ირანისა და საქართველოს ისტორიულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ეს კონტაქტები ჯერ კიდევ აქემენიანთა ეპოქიდან მიმდინარეობს (ძვ. წ. VI-IV სს), ხოლო მომდევნო პერიოდებში, განსაკუთრებით სასანელთა დინასტიის მმართველობის დროს (ახ. წ. III-VII სს), მეტად ინტენსიურ ხასიათს იღებს.

სასანური ირანის ღრმა გავლენა ქართულ ცივილიზაციაზე სათანადოდ აისახა როგორც იმავე დროის, ასევე გვიანდელი ხანის ქართულ სულიერსა და მატერიალურ კულტურაში.

სასანელთა ექსპანსიას ქართლში თან ახლდა მათი ოფიციალური, რელიგიური და სალიტერატურო ენის – საშუალო სპარსულის ფართოდ გავრცელება.

სასანელებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად ქართულ სალიტერატურო ენაში მრავალი საშუალო ირანული (უმთავრესად, საშუალო სპარსული) საკუთარი სახელია შეთვისებული. „საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა ირანული საკუთარი სახელების ფართოდ გავრცელებული ტრადიცია“ (გ. წერეთელი).

სასანური ონომასტიკის მეცნიერული კვლევა დაკავშირებულია გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნის, აკადემიკოს გიორგი წერეთლის (1904-1973) სახელთან. ნაშრომში „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“, თბ. 1960, გ. წერეთელმა სათანადოდ განმარტა ქართულ წარწერებში მოხსენიებული სასანური სახელები (ბურზენ და გრი-ორმიზდ), მოახდინა მათი დაკავშირება ირანულ სამყაროსთან და ამით დააზუსტა წარწერებში აღწერილი ისტორიული ფაქტები.

სასანური ონომასტიკის კვლევის ტრადიცია გააგრძელეს აკადემიკოს გიორგი წერეთლის მონაწევრებმა – პროფესორმა მზია ანდრონიკაშვილმა (1920-2006) და პროფესორმა თეო ჩხეიძემ (1929-2013).

მოხსენებაში წარმოდგენილია სასანური ონომასტიკის შესწავლის ისტორია და თანამედროვე კვლევის საკითხები.

## **ნინო გოგიაშვილი**

(საქართველო, თელავი)

### **მზის კონცეპტი ესმა ონიანის პოეზიაში**

თანამედროვე ქართველი მხატვრისა და პოეტის - ესმა ონიანის ტექსტები ავტორის მრავალგანზომილებიანი არტისტული ხედვის განსაკუთრებული ნიმუშებია. მის ლექსებში, სახვითი ხელოვნება, მუსიკა და პოეზია უხილავი მგრძნობელობითი სენსორების მიერ აბსოლუტურად სინქრონულად აღიქმება და ნატიფ პლასტებად ლაგდება. ესმა ონიანის მშობლიური კუთხის - სვანეთის მითოსური და ფოლკლორული სურათ-ხატები, ალუზიები და რემინისცენციები განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მის პოეზიას.

მოცემულ მოხსენებაში მსურს ვისაუბრო მზის უნივერსალურ კონცეპტზე ესმა ონიანის პოეზიაში, რომელიც მითოსური, ფოლკლორული, არქეტიპული, ბიბლიური და ურბანული კონოტაციური პლანებით იკითხება. მზის სემიოტიკური ნიშანი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მისი ლექსების სვანურ ციკლში, რაც სვანური მითოლოგიის საფუძველზეა დამყარებული. „მზეო, მომადექ!“ - მისი ლექსების თავისებური ლაიტმოტივია, რაც მზისგან შექმნილი ქართული იდიომებისა და ფრაზეოლოგიზმების ექსკლუზიურ გარდათქმას წარმოადგენს. მითოსი და ნადირობის ქალღმერთი დალი, წინაპრები, ხელოვნების ნიმუშები, ყოველდღიური რუტინა, ძველი უბნები, ემოციური კასკადი და მარადიული ეგზისტენციალური ლაბირინთები ესმა ონიანის ლექსებში ხშირად მზის და მზესთან დაკავშირებული მეტაფორებით ცხადდება; „მზისმეტყველება“ მისი პოეზიის თვისებაცაა.

მოხსენებაში განხილულია კარლ გუსტავ იუნგის არქეტიპები, როგორც ფსიქიკის უნივერსალური მოდელი და, მზის არქეტიპული კონცეპტი ესმა ონიანის პოეზიაში, სადაც ქვეცნობიერში ჩალექილი „მზე“ პოეტურ კონსტრუქციებად განსხვავდება.

მოხსენება ეფუძნება კვლევის ჰერმენევტიკულ, ანალიტიკურ და კომპარატივულ მეთოდებს. ძირითად საკვლევ მასალად წარმოდგენილია ესმა ონიანის სრული კრებული - „ისევ მე ვარ?! ისევ მოვსულვარ“!

## **თამარ გოგოლაძე**

(საქართველო, გორი)

### **ილიას ფენომენი დოკუმენტურ ესეში**

#### **(შ. ზოიძის „საქართველოს გოლგოთა“)**

ილია ჭავჭავაძის პიროვნება მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ერმა მითოსურ საბურველში გაახვია. ამით აიხსნება, ტომებად არსებულ მეცნიერულ გამოკვლევათა ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალის გარდა, მასზე ბიოგრაფიული რომანის შექმნის აუცილებლობაც. თავად ილია საკმაოდ სიტყვაძუნწი იყო საკუთარი ავტობიოგრაფიის გადმოცემაში. მოგვიანებით, ერთ პერიოდში ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ ილია ჭავჭავაძის მიმართ დროებით შეაფერხა პოეტის, მოაზროვნის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის შესახებ მეცნიერული კვლევის პროცესი.



XIX საუკუნიდან მოყოლებული, მწერლის ვრცელი ბიოგრაფიის გარდა, საფუძველი ეყრება ლიტერატურულ ბიოგრაფიულ რომანს. ლიტერატურულ ბიოგრაფიულ რომანზე საუბრისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, რამდენად დოკუმენტურია იგი და რამდენად მწერლის ფანტაზიით გაფართოებულ-გაშლილი. ერთი რამე კი ცხადია, რომ იგი დოკუმენტური პროზაა. მაგრამ დოკუმენტურ პროზაში ესეის სახეც კიდევ უფრო სპეციფიკურია.

ყოველივე ზემოთქმული იმისთვის დაგვჭირდა, რომ განგვესაზღვრა პოეტ, ლიტერატურათმცოდნე შოთა ზოიძის 1997 წელს ილია ჭავჭავაძის შესახებ გამოცემული ნაშრომის „საქართველოს გოლგოთა“ ჟანრობრივი სპეციფიკა.

თვით ავტორი შ. ზოიძე ერთგან შენიშნავს: „სამწუხაროდ, დღესდღეობით არ გვაქვს, მისი სრულყოფილი ბიოგრაფიული რომანი, როგორც ამბობენ „ბიოგრაფიული კრიტიკა“, როგორც ჩანს იგი ღირსეულ კალამს ელოდება“ (შ. ზოიძე, 1997:115).

თუმცა 1982 წელს უკვე გამოსული იყო ალექსანდრე კალანდაძის ტრილოგიის („ნეიშანის ფიცი“, „შარავანდედი“) მესამე ტომი - ილია ჭავჭავაძის შესახებ ლიტერატურული ბიოგრაფიული რომანი „გარდამოხსნა“. უკვე გვიან, 21-ე საუკუნეში, 2020 წელს კი იქნება ლიტერატურული ბიოგრაფიული რომანი როსტომ ჩხეიძისა „მუხა უდაბნოში“ ანუ „ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკა“.

ლიტერატურული ბიოგრაფიული რომანია შოთა ზოიძის „საქართველოს გოლგოთა“ თუ სხვა რომელიმე სახეობის დოკუმენტური პროზა, ეს საკითხი იქნება მიმოხილული წინამდებარე მოხსენებაში.

წიგნის ავტორს ღრმად და საფუძვლიანად შეუსწავლია ილია ჭავჭავაძის შესახებ არსებული საკმაოდ ვრცელი 30 დასახელების ხელნაწერი თუ ბეჭდური ლიტერატურა მოგონებების, მემუარების თუ საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციების სახით, შეუგროვებია ვრცელის ფოტო მასალა (არქივებიდან), მოუწვია ილიას ადგილები და პოეტური ფანტაზიის მოშველიებით გაუსიგრძელებია ილიას ფენომენი.

თავად ავტორი ნაშრომის წინასიტყვაობაში განსაზღვრავს დოკუმენტური პროზის ამ ჟანრს: „წიგნი არ არის მეცნიერული გამოკვლევა. მისი აგებულება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ავტორის თავისუფალი აზრები ესეისტური პროზის კალაპოტში მოედინება. მიუხედავად იმისა, რომ ზღვა მასალა არსებობს, დიდი მწერლის მონამებრივი ცხოვრება და სიკვდილი მომავალშიც გახდება მძაფრი განსჯის საგანი. ეს წიგნიც ამისი მაგალითია“ (შ. ზოიძე, 1997:5). თუმცა წიგნის რედაქტორი დავით თევდორაძეა, უცნობია, წინასიტყვაობა ავტორისაა თუ რედაქტორისა. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ შ. ზოიძე ეთანხმებოდა წინასიტყვაობის ავტორს. თუმცა ამისი მტკიცება თავად ნაშრომი უნდა იყოს.

ჩვეულებრივი მოკვდავის მანტია მოასხა ილიას მხრებზე ნაშრომის ავტორმა; ამას ფაქტები, დოკუმენტური მონაცემები ადასტურებს: წარმოშობა, დაბადება, სწავლა, სამსახური, ოჯახური მდგომარეობა, გარდაცვალება. თუმცა ყოველი ფაქტის უკან შემალული რეალური იერსახის ჩვენება ავტორმა მაინც შეძლო. ამას ხელს უწყობს პროლოგი, 15 თავი და ეპილოგი, რომლის დასათაურება და ილიასაგან მოხმობილი ეპიგრაფი მეტ ვიზუალიზაციას ჰმატებს ნაფიქრ-ნათქვამს: „ოქროს აკვანი“, „მზიანი ჩრდილი“, „მუხის ფოთოლი“ და სხვ.

ესაა პოეტური შთაგონების ხატის პროზაული განფენა. იქნებ ჭარბია ეს შენიშვნა პოეტისათვის, რომელიც ჩაღრმავებია ილიას ფენომენს, ილიას მითოსურ სამყაროს, რომელიც არამცთუ მეოცე, ოცდამეერთე საუკუნეშიც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

## ქეთევან გოდერძიშვილი

(საქართველო, თბილისი)

### კვაზიონიმთა რაობა

ქართულ ონომასტიკურ ლიტერატურაში ჩვენ მიერ პირველადაა გამოყოფილი სახელდების გარკვეული ჯგუფი ასევე ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტერმინით კვაზიონიმი.

**კვაზიონიმი ვუნოდეთ ამა თუ პიროვნების (თუნდაც ადგილის) აღმნიშვნელ ისეთ სიტყვებს ან შესიტყვებებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ასრულებენ ანთროპონიმის ფუნქციას, კერძოდ, აღნიშნავენ ერთ გარკვეულ პირს, მეორე მხრივ, მათი ანთროპონიმობა მოჩვენებითია, რასაც ჩვენი ტერმინის კომპონენტად წარმოდგენილი კვაზი(=ვითომ) ადასტურებს. კვაზიონიმი ფორმით არ არის საკუთარი სახელი, ის აღწერთი ხასიათის აღმნიშვნელია სახელდების საიდენტიფიკაციო ფუნქციით:** დიაკონი ერთი ვინმე, ძუძუმტე მისი საკუთარი, ოთარაანთ ქვრივი, წინოლას დედა...

კვაზიონიმი, შეიძლება ითქვას, პროზაული სახელია, ზოგჯერ მძიმეც დასტურდება ადამიანის სახელმდებელ ამ ტიპის შესიტყვებაში (კაცი, რომელიც იცინის). ტერმინ ონიმთან დართული „კვაზი“ სრულიად არ ამცირებს ამ ტიპის სახელდების ღირებულებას, პირიქით, გრივერ ფარულავას სიტყვებით, მისით სახელდებულის „საგულისხმო პირველობასაც“ მიანიშნებს. ასე რომ, კვაზიონიმი რქმევის უდავოდ ანგარიშგასაწვეი ფორმაა, რაც მათავარია, არსებობს ჩვენს სინამდვილეში და მას გვერდს ვერ ავუვლით.

შესიტყვების კვაზიონიმად ჩამოყალიბება გარკვეულწილად განაპირობა ძველი ქართული ენის ნაწევრის ფუნქციამ, რომლის დანიშნულება იყო ზოგადიდან კერძოს გამოყოფა და მისი მეშვეობით აპელაციის ქცევა დენოტატის აღმნიშვნელად: „უთხრა სპარსმან მან“. აქ ნაწევრით მინიშნებულია, რომ ეს სპარსი ნებისმიერი სპარსთაგანი კი არ არის, არამედ კონკრეტულად ის... კაცი ერთი სპარსი, რომელიც შუშანიკთან შევიდა.

#### კვაზიონიმთა სემანტიკური ჯგუფებია:

**1.** გარეგნობის გამომხატველი კვაზიონიმები; **2.** მოქმედების აღმნიშვნელი კვაზიონიმები; **3.** შინაგანი ბუნებისა თუ ხასიათის გამომვლენი კვაზიონიმები; **4.** სოციალური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობის მიმანიშნებელი კვაზიონიმები; **5.** მოხელობა-მოსაქმეობის ამსახველი კვაზიონიმები; **6.** სიბრძნისა და გონიერების ამსახველი კვაზიონიმები; **7.** ადგილის ან წარმომავლობის მიხედვით შერქმეული კვაზიონიმები; **8.** ამოჩემებული სიტყვის ან საგნის მიხედვით შერქმეული კვაზიონიმები; **9.** ნათესაობის მიმანიშნებელი კვაზიონიმები; **10.** რიგობითობის გამომხატველი კვაზიონიმები; **11.** ნაცვალსახელური კვაზიონიმები

#### სტრუქტურული თვალსაზრისით გამოვყავით 2 ჯგუფი:

**I.** ლექსიკური ერთეულებით – ანუ ცალკეული სიტყვებითა თუ სიტყვაშენაერთებით,  
**II.** გრაფემებით – ანუ ინიციალებითა და მათემატიკური სიმბოლოებით გამოხატული კვაზიონიმები.

## ზაურ გუმაშვილი

(საქართველო, თელავი)

### რელიგია XIII-XV საუკუნეების ჩრდილო კავკასიაში

XIII-XV სს-ში ჩრდილო კავკასიაში ფართო გავრცელება ჰპოვა ისლამურმა რელიგიამ. ამ რელიგიის გამყარებისა და გაფართოების საქმეში უდიდესი როლი ითამაშეს როგორც ოქროს ურდომ, სადაც ისლამი დაფუძნდა და განმტკიცდა XIII-XV სს-ში, ასევე თემურ-ლენგმა. „ომი რწმენისათვის“ ქრისტიანების და წარმართების წინააღმდეგ ჩრდილო კავკასიაში გადაიქცა ე.წ. „გაზიების“ (მებრძოლების) მუდმივ სარენაოდ“. მაგრამ ჩვენ მიერ განსახილველ პერიოდში ისლამი გაბატონებულ რელიგიად ჩამოყალიბდა მხოლოდ სამხრეთ და ცენტრალურ დაღესტანში. XIV საუკუნეში ისლამი მიიღო ზირიხგერანმა. დაახლოებით ამავე პერიოდში ისლამი გავრცელდა ავარიაში, ხოლო

1475 წელს იგი აღიარეს გიდატლის მცხოვრებთა ც. ისლამის მქადაგებელთა შორის, შამხალეებთან (ყაზიტუმუხის) ერთად ძალზე აქტიურები იყვნენ რუტულის „გაზიები“, ცახურის, ხირეკის და სხვა. ისლამს ასევე ქადაგებდნენ სპეციალურად ამ მიზნით ჩრდილო კავკასიაში ჩამოსული შეიხები ირანიდან, ერაყიდან, იემენიდან, ბუხარიდან და აღმოსავლეთის სხვა მუსლიმური სახელმწიფოებიდან. XV საუკუნეში ისლამის რელიგიამ გავრცელება დაიწყო ცენტრალურ კავკასიაში, კერძოდ, ყაბარდოელებში.

დალესტანსა და მთისწინა კავკასიის ქალაქთა ცენტრალურ ნაწილში ერთდროულად შენდებოდა მეჩეთები. XIV საუკუნეში მეჩეთი ფუნქციონირებდა პიატიგორიეში, თუმცა აღნიშნული პერიოდისათვის ჩრდილოკავკასიის რიგი რაიონის მცხოვრებნი ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევარნი იყვნენ.

მართლმადიდებელი ეკლესიები ფუნქციონირებდნენ მაჯარში, ზემო და ქვემო ჯულათში, მატრეგში, ყარაჩაის მთიან ნაწილში, ბალყარეთში, ჩრდილო ოსეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და დალესტანში.

ავარეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ბალყარეთში, ყუბანის მხარეში, სტავროპოლში მიკვლევულ სამარხებში, რომლებიც თარიღდება XIII-XV სს-ით, არქეოლოგებმა მრავალგზის აღმოაჩინეს როგორც ქვისგან, ისე მეტალისაგან ნაკეთები ჯვრები.

ჩრდილო კავკასიაში მართლმადიდებლური რელიგიის მიმდევართა შორის იყვნენ ბერძნები, ქართველები და ადგილობრივი მცხოვრებნი. მათ შორის ერთ-ერთი იერეი პედერიკო, რომელიც გარდაიცვალა ყუბანის მხარეში 1380 წელს, სავარაუდოდ ადიღეელი იყო.

მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია ოფიციალურად დამკვიდრდა ოსეთში, ჩრდილო კავკასიის დასავლეთ ნაწილსა და ცენტრალურ კავკასიაში. XIII ს-ის დასასრულისათვის ზიხების ეპარქია დროებით შეუერთდა ალანთა ეპარქიას, მაგრამ უკვე 1317 წელისათვის კვლავ დამოუკიდებელი გახდა. ამ დროისათვის ცნობილი იყო კავკასიის ეპარქია, რომლის ადგილმდებარეობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის. 1347 წელს ალანიის ეპარქია გაერთიანდა პიცუნდისა და სოტირიუპოლის (აბაზგების) ეპარქიებთან. 1347 წელს ალანიის მიტროპოლიტი თავის ფუნქციებს ასრულებდა არამარტო ალანიაში, ასევე მართლმადიდებელ ტანაისის (აზოვის) და სარაის მაცხოვრებლებშიც. სულ ბოლოს ალანიის ეპარქიას ახსენებენ 1366 წელს, ხოლო ზიხებისას - 1398 წელს. იმ ადგილებშიც კი, სადაც თითქოს გაბატონებული იყო ისლამი, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა უარი არა თქვა ქრისტიანობაზე. ასე მაგალითად, არქიეპისკოპოსი იოანე დე გალინი ფონტიბუსი, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა დალესტანი, წერდა, რომ მისი მცხოვრებნი (ლეზგები) ერთნი „მისდევნენ წარმართებს - მეორენი - ქართველებს - ხოლო ნაწილი კი ქრისტიანებს“, მაშინ ქართველმა კათოლიკოსმა ევფიმემ ჩამოაყალიბა თავისი ეპარქია, რადგანაც აქ ნახა მრავალი მართლმადიდებლური ეკლესია დალესტანის სხვადასხვა მხარეში. მათ რიცხვში ცარუხში, „ხუნძეთში“, ასევე ჩეჩნეთში („ნახჩე“).

## **მარიამ გურეშიძე**

(საქართველო, თბილისი)

### **ჰაჯი მურათი - რინდების ფენომენი**

ნაშრომი ეხება საკითხს, რომელიც უკავშირდება ჩრდილო კავკასიაში მურიდების ბრძოლას მეფის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ (XIX საუკუნე), აღნიშნული ფენომენის ხელშემწყობ მიზეზებსა და მასში წვლილის შემტან პირებს, პირველ სამ იმამს: ჰამზათ ბეგს, ყაზი მულას, იმამ შამილსა და, ასევე, მურიდ ჰაჯი მურატს. საქართველოს ეროვნულ არქივში ჩემ მიერ მიკვლეული დოკუმენტის, სიმონ ესაძის სტატიის „ჰაჯი მურატის“, საფუძველზე განხილულია მურიდიზმი XIX საუკუნეში ჩრდილო კავკასიაში და ჰაჯი მურატის როლი.

იმამ შამილის მიერ რუსეთის იმპერიის წინაარმდეგ წარმოებული აჯანყება (1834-1859) მურიდიზმის სახელით დამკვიდრდა, ვინაიდან იმამის მებრძოლენი ამავე დროს იყვნენ სუფიელი მორჩილები-მურიდეები (არაბული სიტყვიდან: **مريد**). ჩრდილო კავკასიაში მურიდიზმი იყო სამხედრო-პოლიტიკური იდეოლოგია, სუფიურ სწავლებაზე დაფუძნებული; დაკავშირებული გეოპოლიტიკურ ცვლილებასთან და საერთაშორისო გავლენასთან. საკითხის სიღრმისეულმა შესწავლამ საინტერესო კავშირი დაგვანახვა სუფიზმის წიაღში წარმოქმნილ ორ ფენომენს შორის (მურიდიზმი და რინდობა). ზემოთ აღნიშნული საარქივო დოკუმენტების, ასევე, ე. ჯაველიძისა და ვ. გაბაშვილის ნაშრომების შეჯერების საფუძველზე, ვფიქრობთ, სრული სურათი დავინახეთ იმისა, რომ სუფიზმმა რინდებისა და მურიდების მეშვეობით შეაკავშირა, იდეოლოგიურად გააერთიანა, დაამკვიდრა, განსაზღვრა ნესრიგი და უდიდესი წვლილი შეიტანა ჩრდილო კავკასიელთა ბრძოლის ფორმირებაში.

## **ასია დარბინიანი, დიანა ანფიმიადი**

(სომხეთი, ერევანი)

### **თანამედროვე სომხური პოეზიის ქართული თარგმანის**

#### **რამდენიმე საკითხისათვის**

**(თანამედროვე სომხური პოეზიის ანთოლოგიის მასალებზე დაყრდნობით)**

სხვადასხვა ენა სხვადასხვა მსოფლხედვაა. თუ ამ უკვე ფრთიან გამოთქმად ქცეული თეზიდან გამოვალთ, მაშინ თარგმანი არა მხოლოდ ტექსტის, არამედ მსოფლმხედველობის სხვა ენაზე წარმოდგენილ ვარიაციად წარმოგვიდგება, რაც დამატებითი პასუხისმგებლობით დატვირთავს, როგორც ავტორს, ასევე მთარგმნელს.

განსაკუთრებით რთულია პოეზიის ახალი ენობრივი და პოეტური რეალობის შექმნა სხვა ენაზე, რაც, როგორც ზუსტიც არ უნდა იყოს, მაინც სხვა ენობრივი სამყაროს კუთვნილებაა, ერთგვარი ხელახალი შემოქმედებითი პროცესია.

თანამედროვე სომხური პოეზიის ანთოლოგია რამდენიმეწლიანი თანამშრომლობის ლოგიკური შედეგი და მასალების თავმოყრაა. წარმოდგენილი სტატიის ავტორების მთარგმნელობითი ტანდემი კი 2015 წელს დაიწყო, მწერალთა სახლის მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალიდან, როდესაც პოეტმა შოთა იათაშვილმა თანამედროვე სომეხი პოეტის, ვიოლეტ გრიგორიანის, ლექსების თარგმნა შემოგვთავაზა. სწორედ ამ თარგმანებისთვის 2016 წელს მივიღეთ ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემია საუკეთესო პოეტური თარგმანისთვის. ვიოლეტ გრიგორიანის პოეზიის თარგმანს მოჰყვა ჰასმიკ სიმონიანის, მარინე პეტროსიანის, გეგორქ გილანცის, არფი ვოსკანიანის, ვაჰე არსენის პოეზიის თარგმანები. რადგან საკმაოდ უხვი და საინტერესო მასალა დაგვიგროვდა, გადავწყვიტეთ ანთოლოგიის გამოცემა. ანთოლოგიაში შესული დანარჩენი ავტორების – ანა დავითიანის, კარენ ანტაშიანის, ედუარდ ჰარენცის, ჰუსიკ არას – ლექსები ვთარგმნეთ, ერთგვარი წრე შევკარით, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, მრავალფეროვანი პოეტური ესთეტიკისა და კონცეფციის ავტორთა ერთ კრებულში წარმოდგენა თანამედროვე პოეტური პროცესებით დაინტერესებული მკითხველისთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, ორი უძველესი ენის, ქართულისა და სომხურის, ეს დიალოგი კი – მნიშვნელოვან ლიტერატურული მოვლენად გვესახება.

ანთოლოგიის ორივე მთარგმნელის პროფესიული, ლინგვისტური ინტერესიდან გამომდინარე, ასევე თარგმანის პროცესში წამოჭრილი მრავალი საკითხისა თუ პრობლემის გადაწყვეტის კვალდაკვალ მიღებული ლინგვისტური გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, ჩვენი ტექსტობრივი, ემპირიული მასალა სამეცნიერო ტექსტად გვექცია და ორი უძველესი და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ენის პოეტური სტრუქტურის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი გვეჩვენებინა.

თარგმანის საინტერესო ეტაპს წარმოადგენს ბზკარედული საფეხური, ბზკარედი ერთგვარი მედიუმია ორიგინალსა და თარგმანის ენას შორის, ატარებს რა ორივე ენის გარკვეულ თვისებებს, ამიტომაც ბზკარედის ენას მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

სომხურიდან ქართულ ენაზე პოეზიის თარგმანისას საინტერესო ტენდენციები და ერთგვარი სირთულეები გამოიკვეთა, როგორც მორფოლოგიურ, ასევე სინტაქსურ დონეზე. ასევე, თანამედროვე სომხური პოეზიის სპეციფიკის გათვალისწინებით სიტყვანარმოებისა და დერივაციის წესების გამოყენება გახდა საჭირო, რაც ხშირად საკმაოდ თამამ ლინგვისტურ და შემოქმედებით გადანყვეტილებებს მოითხოვდა. სწორედ ამ პროცესის ასახვის საშუალებით, ერთგვარი სისტემური ნაბიჯების ჩვენებით გადაწყვეტიტად ამ ორი ენის სპეციფიკის აღმწერი სამეცნიერო კვლევა გვეწარმოებინა, რომლის შედეგებსაც წარმოვადგენთ მოხსენებაში.

## თამარ დემეტრაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### ამბივალენტური ირანული ძირი \*warz- : სემანტიკური ანალიზი

ირანული ტომები, რომლებიც ბერძნების მიერ სკვითებად იწოდებოდნენ, ხოლო აქემენიდები საკებს უწოდებდნენ, არიან საშუალო აღმოსავლური ირანული ენებისა და დღემდე ცოცხალი ახალი ირანული ენის - ოსურის წინაპრები. პრეისლამური ძველი ჩრდილოაღმოსავლური ირანული ენობრივი ჯგუფი სკვითური/საკა დოკუმენტირებულია მხოლოდ ონომასტიკონით. ოსური არის სკვითური ენობრივი ტრადიციის მემკვიდრე.

მოხსენებაში განხილულია პოლისემიის პრობლემა ოსური ენის მასალაზე დაყრდნობით. წარმოდგენილია ირანულ ენებში პოლისემიის რიგი საკვანძო საკითხები, გამოვლენილია სემანტიკური ნიუანსები.

ოს. *warzyn*: *warzt/warzun*: *warzt* 'სიყვარული (უყვარს), ტრფობა'. ირანული \**warz-* 'ქმედება, მუშაობა', ინდოევროპული \**werg-* 'ქმედება'. ოსურში \**warz-* ზმნა მნიშვნელობით 'ქმედება' არ ფიქსირდება.

წარმოშობით სიტყვა დაკავშირებული იყო ძველ მაგიურ წარმოდგენებთან და აღნიშნავდა 'ჯადოქრობას, გრძნეულებას ვინმეს სასიკეთოდ ან საზიანოდ'. სიტყვის მაგიური სემანტიკა ჩანს ირანულ ენებში: ფალაური *warz* 'სასწაული, ზებუნებრივი ძალა', ორმური *warz-* 'შელოცვა, გრძნეობით შეკვრა', სოლდური \**warz (wrz)* 'სასწაული'.

დემონიზაციის სემანტიკის გარეშე ეს სიტყვა აღნიშნავს 'მოქმედებას, კეთებას, მუშაობას, მიწის დამუშავებას': ახალი სპარსული *warzīdan*, ფალაური *warzītan*, ავესტური *varəz-*, გერმ. *wirken, Werk*.

სემანტიკურად დაკავშირებულია, ერთი მხრივ, 'კეთება' და 'ჯადოქრობა' (მაგალითად, შდრ. ოსური *kælaen* 'ჯადო, თილისმა', რომელიც მოდის \**karyana-* ← *kar-* 'კეთება', ძველი ინდური *karta-, krtya-* 'მისნობა, ჯადოქრობა', *krtyakrt-* 'ჯადოქარი'), მეორე მხრივ, სემანტიკურად დაკავშირებულია 'მისნობა' და 'სიყვარული' (მაგალითად, შდრ. ძველი ინდური *pri-*, ავესტური *frī-* 'სიყვარული (უყვარს)'), ავესტური *ā-frī-* 'დალოცვა-დანყველა').

სიყვარულის მნიშვნელობით \**warz-* სხვა ირანულ ენებშიც გვხვდება საკუთარ სახელებში: ძველი სპარსული *Artavardiya-* ← \**Arta-warzia-*, ფალაური *Ašawarzan*, სოლდური *βyw'rz* (\**Baga-warza*) 'ღვთისმოყვარე'.

ირანული ენებში პოლისემიურობის მიზეზები სიტყვის სემანტიკური ამბივალენტურობით აიხსნება. უძველესი ირანული ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ამბივალენტურობა ყველა ისლამური პერიოდის ირანული ენებიდან მხოლოდ ოსურს ახასიათებს. ოსური ენის ლექსიკაში შენარჩუნებულია ამბივალენტური მნიშვნელობა, რაც უკავშირდება სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ ფაქტორებს.

## ლილია დერგაჩოვა

(ავსტრია, ვენა)

### ტრაპიზონის მონეტები და მათი ქართული მინაბაძები ბერლინსა და ოდესაში დაცული XIX საუკუნის კერძო კოლექციებიდან

მოსხენებაში წარმოდგენილია XIX ს-ში შექმნილი ორი კოლექცია, რომლებიც შეიცავს XIII-XV სს-ში ტრაპიზონის იმპერიაში მოჭრილ მონეტებს და მათ ქართულ მინაბაძებს.

პირველი კოლექცია ეკუთვნოდა გერმანელ აღმოსავლეთმცოდნესა და დიპლომატს ერნსტ ოტო ფრიდრიხ შერმან ბლაუს (1828-1879); მან თვითონ აღწერა კოლექცია პერიოდულ გამოცემაში *Blätter für Münz-, Siegel- und Wappenkunde IV (1868)*. მისი კოლექცია შეიძინა ბერლინის საიმპერატორო მიუნცკაბინეტმა (ამჟამად Staatliche Museen zu Berlin – Preußischer Kulturbesitz, Münzkabinett).

მეორე კოლექციას რაც შეეხება - ოდესის მუზეუმში დაცული ტრაპიზონის მონეტების კოლექცია შემონიშნული იყო სხვადასხვა პირის მიერ XIX ს-ში; შემომნიშველთა შორის იყო ო. ბლაუც. ეს კოლექცია დღემდე უცნობია სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

მოსხენებაში წარმოვადგენთ თითოეულ კოლექციას და მათ კომპარატივისტულ ანალიზს; გამოვიყენებთ ნუმისმატიკურ მეთოდებს იმ ცალკეების გამოსავლენად, რომლებიც ო. ბლაუს უნდა შემოეწინა.

## ოთარ დოლიძე

საქართველო, თბილისი)

### სოხუმის დაცემა. 1993 წლის 27 სექტემბერი

1993 წლის 27 სექტემბერი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული თარიღია. სოხუმის დაცემამ საბოლოოდ განსაზღვრა აფხაზეთის ომის შედეგები. აფხაზეთის 1992-1993 წწ. ომმა საქართველოს უახლეს ისტორიაზე უდიდესი გავლენა მოახდინა.

აფხაზეთის ომის ისტორიის, მისი სამხედრო-სტრატეგიული ანალიზის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში, კონფლიქტოლოგიაში, პოლიტოლოგიაში სიღრმისეული და ფართო სპექტრით შესწავლის საგანი არ გამხდარა, მაშინ როდესაც აფხაზმა მეცნიერებმა ამ ომს მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს. შეიძლება მათი მეცნიერული დონე ან მოვლენების ობიექტურად ასახვა და შეფასება ბევრ კითხვას ბადებდეს, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზურ ისტორიოგრაფიაში ამ ომის შესწავლის თვალსაზრისით ბევრი რამ არის გაკეთებული. სანინალმდეგოდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებო განხილვის საგანი არ გამხდარა ომის პერიპეტიების შესწავლა; სათანადო ანალიზის საგანი არ გამხდარა სოხუმის დაცემა, რაც აფხაზეთის ომში საბოლოო დამარცხების უმთავრესი მიზეზი გახდა.

კვლევის მიზანია სხვადასხვა სახის წყაროებისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე 1992-1993 წწ. აფხაზეთის ომში სოხუმის დაცემის მიზეზების, დაშვებული შეცდომების ობიექტურად გაანალიზება და სათანადო დასკვნების სამომავლოდ გათვალისწინება.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერულად შევისწავლოთ 1993 წლის ივლისის ბრძოლები, რამაც განსაზღვრა ომის საბოლოო შედეგი; ასევე, გასათვალისწინებელია ქართული მხარის მიერ 1993 წლის 27 ივლისის სოჭის შეთანხმების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების უპირობოდ შესრულება, რამაც საომარ რეგიონში არსებული საკვანძო პოზიციების შესუსტება გამოიწვია; ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება; იმჟამინდელ სამხედრო სისტემაში არსებული პრობლემები და სხვ.

აფხაზეთის ომმა ქართველი და აფხაზი ხალხების ცხოვრებას მძიმე დაღი დაასვა. საჭიროა მისი გავრცელების გაანალიზება, რათა ქართველებმა და აფხაზებმა წარსულის შეცდომების გაცნობიერება და კვლავ ერთად ცხოვრება შეეძლოთ.

## თამარა დრაგაძე

(ინგლისი, ლონდონი)

## ლია მელიქიშვილი

(საქართველო, თბილისი)

### კიბერეთოგრაფია და ქართული იდენტობა

ჩვენს ბოლო გამოკვლევაში, შევეცადეთ გაგვეჩვენოთ, თუ როგორ ხდება ქართული იდენტობის საზოგადოებრივი წარმოდგენებისა და რიტუალების (მაგალითად, საქორწინო ცეკვა) კლასიკური შესწავლის სფეროდან სოციალურ ქსელებზე ორიენტირება და უფრო მეტად უნიფიცირება რეგიონულ განსხვავებებთან. რამდენად იქნება შენარჩუნებული ეს განსხვავებები ტურიზმის და უცხოელი ტურისტების მოლოდინის თვალსაზრისით?

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტზე წვდომის ხარისხი ჯერ კიდევ არაერთგვაროვანია საქართველოში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალ თაობას აქვს წვდომა მსოფლიო ქსელთან და მისი მომხმარებელია. მობილურ ტელეფონებზე ჩანერილი ოჯახის ყოფის ამსახველი ვიდეოები მთელ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული. ის აკავშირებს ერთმანეთთან დიასპორის წევრებს, რომლებიც ქართული ტრადიციის საკუთარ ვერსიებს აზიარებენ. ასევე გასათვალისწინებელია, განსაკუთრებით ცეკვებისა და სიმღერების სემტხვევაში, რომ მსოფლიოს მრავალი უცხოური ჯგუფი სწავლობს და ასრულებს მათ, ნებისმიერი ქართული ეროვნული კონტექსტის გარეშე.

არის თუ არა გამოწვევა საუკეთესო ტრადიციების მქონე ქართულ ეთნოლოგიურ სკოლაში განსწავლული მეცნიერისთვის, განაგრძოს მოგზაურობა ექსკლუზიურად სოფლად და შეძლებისდაგვარად ჩაინეროს ტრადიციული ყოფის ნებისმიერი ფრაგმენტი? უგულებელყოს მომავალ თაობაზე ინტერნეტის გავლენა, ან გააცნობიეროს, რომ ჩვენ, როგორც მეცნიერებს არ გვევალება, შევცვალოთ დამოკიდებულება გამოკვლევების მიმართ, არამედ უნდა ავირჩიოთ კვლევის ახალი სფეროები, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა ინტერნეტში ქართული იდენტობის შესახებ არსებული ზოგიერთი წარმოდგენის შესწავლა.

მოხსენებაში განხილულია ჩვენი კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული ზოგიერთი შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ ასახავს ინტერნეტი ქართული საზოგადოების ცხოვრების სტილის ცვლილებებს სოფლად და ქალაქად; თავს უფლებას მივცემთ თუნდაც ვარაუდის სახით, მომავალზე ვისუბროთ.

## ნიკოლაე დურა

(რუმინეთი, ბუქარესტი)

### მიხეილ სტეფანეშვილის წვლილის შესახებ ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციაში პირველი ბექდვითი საქმიანობით საქართველოში

პირველი ბექდური წიგნები საქართველოში რუმინელი ტიპოგრაფის, ლვთისმეტყველისა და მწერლის მიხაილ სტეფანის (მიხეილ სტეფანეშვილის) წყალობით გამოჩნდა, რომელიც იმ დროის ერთ-ერთი გამორჩეული ტიპოგრაფის ანთიმოზ ივერიელის უახლოესი თანამოაზრე იყო.

1705-1708 წლებში ანთიმოზ ივერიელი, რიმნიკუს (რიმნიკუ-ვილჩას) არქიეპარქის ეპისკოპოსი, მოგვიანებით კი, 1708-1716 წლებში - მთავარეპისკოპოსი და „რუმინული მიწის“ (ვლახეთის) მიტროპოლიტი, 1716 წელს ოსმალებმა მოკლეს. იგი მონამეობრივად აღესრულა მაცხოვრის, იესო ქრისტეს სახელითა და იმ დროს ოსმალეთის უღელქვეშ მყოფი ყველა ქრისტიანის თავისუფლებისათვის.

ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციაში მიხეილ სტეფანეშვილის მიერ შეტანილი წვლილის უკეთ გასაგებად, სრულიად აუცილებელი იყო საკითხისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომა. ნაშრომში გამოვიყენე ისტორიული ცნობები როგორც მოცემული ეპოქის ქარ-

თველი და რუმინელი ხალხების ენისა და კულტურის, ისე ბეჭდვითი საქმიანობის შესახებ, ვინაიდან ეს უკანასკნელი ხელს უწყობდა არამხოლოდ კულტურისა და ენების, არამედ მათი ისტორიის პოპულარიზაციასაც.

იმავედროულად, გამოვიყენე როგორც საერო (ისტორიულ-ლიტერატურული), ისე რელიგიური ხასიათის წყაროები, რათა მკითხველისთვის უკეთ გამეცნო რელიგიურ-კულტურული ატმოსფეროს კონტექსტი და ამ ორი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

მკითხველი შეიტყობს, რომ მიხეილ სტეფანეშვილი, ქართლის გამგებლის (ქართლის მეფის) ვახტანგ VI-ის სპეციალური თხოვნით, საქართველოში მიავლინა ვლახეთის გამგებელმა, რუმინელმა პრინცმა კონსტანტინ ბრანკოვეანუმ.

პირველი, ვინც კონსტანტინ ბრანკოვეანუსა (†1714 წ.) და მის ცნობილ ტიპოგრაფ მიხაილ შტეფანს (მიხეილ სტეფანეშვილთან) ესაუბრა ქართულ მინაზე ბეჭდური ნიგნების არარსებობაზე, იყო ანთიმოზ ივერიელი, ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტი და მართლმადიდებელი.

ქართული რეალობა რუმინელ პრინც კონსტანტინ ბრანკოვეანუს, რომელიც იმდროინდელ მართლმადიდებლურ სამყაროში ბეჭდვითი ნიგნების ჭეშმარიტი მეცენატი აღმოჩნდა, ასევე აცნობა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოზმა, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი სხვადასხვა მართლმადიდებლურ ქვეყანაში (რუმინეთის სამთავროები, საქართველო და რუსეთი) მოგზაურობას დაუთმო საკუთარი საპატრიარქოსთვის თანხების შესაგროვებლად და რომელიც, სამწუხაროდ, იმ დროს არაბი მუსლიმების ტყვეობაში იყო.

პირველი ნიგნები აღმოსავლეთის ბერძნულ საპატრიარქოებში (იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის) რუმინეთის სამთავროების ტერიტორიაზე იბეჭდებოდა (პირველი მათგანი 1508 წელს გამოიცა).

თბილისში მრავალრიცხოვან ვიზიტაგან ერთ-ერთის დროს იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოზმა ქართლის გამგებელ ვახტანგს ურჩია, ეთხოვა ვლახეთის პრინც კონსტანტინ ბრანკოვეანუსთვის საქართველოში ტიპოგრაფიისა და საჭირო რაოდენობის ტიპოგრაფების გამოგზავნა პირველი ნიგნების დასაბეჭდად.

მართლაც, მისი თხოვნის პასუხად, 1708 წლის დასაწყისში პრინცმა კონსტანტინ ბრანკოვეანუმ თბილისში სტამბის დასაარსებლად გაგზავნა საჭირო ყველა მასალა და ბეჭდვის ოსტატი მიხეილ სტეფანეშვილი რამდენიმე შეგირდთან ერთად.

ქართული და რუმინული წყაროები გვამცნობენ, რომ მიხეილ სტეფანეშვილი და მისი გუნდი საქართველოში 1712-1713 წლამდე მუშაობდა. მათ არაერთი ნიგნიც დაბეჭდეს.

ნაშრომი შეიცავს მითითებებს საქართველოში გამოცემულ ნიგნებზე მიხეილ სტეფანეშვილის მიერ შესრულებულ წარწერებისა და ხელმოწერილი წინასიტყვაობების შესახებ. აღნიშნული წარმოადგენს ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში სტეფანეშვილის მიერ ნიგნების ბეჭდვით შეტანილი წვლილის უტყუარ დასტურს.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ მიხეილ სტეფანეშვილის წვლილი ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში ჩვენს ქვეყნებს შორის უძველესი კულტურული და სასულიერო ურთიერთობების უტყუარი დასტურია. თითქმის ორი ათასწლეულის მანძილზე ორი ქვეყნის ხალხი მშობლიურ ენაზე აღიარებდა ერთ მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიას, რისი შედეგიცაა მათი საერთო მდიდარი კულტურული და რელიგიურ-ქრისტიანული მემკვიდრეობა, რომელიც ამ ქვეყნების ხალხებს მკვეთრად გამოხატულ ქრისტიანულ იდენტობას ანიჭებს.



## კარინა ვამლინგი

(შვედეთი, მალმო)

### კავკასიის როგორც რეგიონის იდენტიფიცირება ისტორიული პერსპექტივით „კავკასიის“ ცნების გამოყენება კორპუსებზე კვლევის შედეგად

კავკასიის კვლევას (Caucasus Studies), როგორც რეგიონის შესწავლას, აქვს ხანგრძლივი ტრადიციები. წინამდებარე ნაშრომში განიხილება საკითხი, თუ როდიდან ჩნდება ევროპაში კავკასიის, როგორც რეგიონის (და არა მთათა სისტემის) გაგება. ამის გარკვევა მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხთან, თუ რა იგულისხმება რეგიონულ კონცეფციაში „კავკასია“ და როგორ შეიცვალა ეს კონცეფცია დროთა განმავლობაში სხვადასხვა ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტში. უკვე ანტიკურ პერიოდში დიდი კავკასიონის ქედი იყო კარგად ჩამოყალიბებული გეოგრაფიული ცნება და რეგულარულად ჩნდებოდა ადრეულ რუკებზე. ამ ნაშრომში ჩვენ არ ვეხებით საკითხებს, დაკავშირებულს კავკასიის რეგიონთან ენობრივი, ეთნოგრაფიული, ისტორიული, არქეოლოგიური, კულტურული თუ სხვა საერთო ნიშნებით. აქ ყურადღება გამახვილებულია რეგიონალურ კონცეფციაზე „კავკასია“ და ამ ცნების ცვალებადობაზე სხვადასხვა კონტექსტში და პერიოდში.

პირველადი გაგება ცნებისა „კავკასია“ უკავშირდება კავკასიონის ქედს. შემდგომში ჩნდება „კავკასიის“ ცნების გაფართოება, რომელიც ეხება მიმდებარე რეგიონებს. ამასთან დაკავშირებულია ზედსართავი სახელი „კავკასიური“ (მისი მრავალფეროვანი და ასევე სპეციალური გამოყენებით) და „კავკასიელები“, მნიშვნელობების მსგავსი მრავალფეროვანი სპექტრით. ამ ნაშრომში პირველ რიგში განვიხილავთ „კავკასიის“ ცნების გაფართოების ასპექტებს, რაც ეხება მიმდებარე კავკასიის ქედის რეგიონებს.

კვლევა ეფუძნება ორ კორპუსს: მე-18 და მე-19 საუკუნეების შვედური გაზეთების ერთ დიგიტალურ კორპუსს და რეგიონის ძველი ევროპული რუკების ერთ კორპუსს (16-19 სს.). მედიაკორპუსი იკვლევს ახალი ამბებისა და სხვა მასალების დისკურსს შვედურ პრესაში წარმოდგენილი ორიგინალური შვედური ტექსტების, აგრეთვე, მეტწილად გერმანული, ინგლისური, ფრანგული, პოლონური, რუსული, თურქული და სხვა წყაროებიდან თარგმნილი და ადაპტირებული ტექსტების საფუძველზე. საგაზეთო სტატიებში მოძიებული იქნა საკვანძო სიტყვები *Caucasus*, *Kaukasus*, *Caucasien*, *Kaukasien* და *Transkaukasien*. მათი გამოყენება გაანალიზებულია შესაძლო რეგიონულ ან სხვა ინტერპრეტაციებთან დაკავშირებით. რუკები შესწავლილია სპეციალურ წყაროებზე შერჩეულ გეოგრაფიულ არეალზე და რუკების ორიგინალური დასახელების საფუძველზე.

განხილულ მასალაში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ კავკასიის რეგიონის მნიშვნელოვანი რუკები ჩნდება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ახალი ამბებისადმი მიძღვნილი სტატიები, რომლებშიც მოხსენიებულია კავკასია, იშვიათად გვხვდება XVIII საუკუნეში. უმეტეს შემთხვევაში ისინი კავკასიის ქედს ეხება და არა კავკასიის რეგიონს. ამგვარად, როგორც ძველი საგაზეთო სტატიების, ისე ძველი რუკების შესწავლა მიუთითებს, რომ რეგიონული ცნების „კავკასიის“ გამოყენება უფრო ფართოდ ვიდრე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. შეიძლება აღინიშნოს, რომ ადრეულ პერიოდის მასალებში „კავკასიის“ ცნება რეგიონალური გაგებით უფრო ხშირად ეხება ჩრდილოეთ კავკასიას.

## ეკა ვარდოშვილი

(საქართველო, თბილისი)

### თამარ მეფის სახე ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში

ღვთისმშობლის სახე ქართულ მწერლობაში იქცა პარადიგმად, რომლითაც გამოიხატა უმაღლესი იდეალები. ეს პარადიგმა თავისებურად გამოვლინდა თამარ მეფის, ვითარცა პერსონაჟისა და ვითარცა სახე-იდების, სახისმეტყველებისას.

იოანე შავთელის „აბდულმესიანსა“ და ჩახრუხადის „თამარიანში“ თამარის სადიდებლად შექმნილ ამ სახოტბო ნაწარმოებებში, დედოფალი წარმოდგენილია სახელმწიფოებრივი და ღვთიური ნიშნებით. იოანე შავთელს ეკუთვნის, აგრეთვე, „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“. თუ „გალობანი“ სიმბოლურად თამარის სახეს დავინახავთ და მას დავუკავშირებთ ვარძიის მიძინების ტაძარში თამარის ფრესკულ გამოსახულებას, ვნახავთ, რომ მათ აერთიანებთ ერთი იდეა, იდეა მფარველობისა და ხსნისა. ამ იდეის საუკეთესო გამოსახულებაა გრ. ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რომელშიც ავტორი საღვთო ეპიტეტებით ამკობს თამარს. ლექსში თამარია საქართველოს დიდების სიმბოლო, პოეტი თამარს, ვითარცა ერის სულიერ მფარველს, ისე მიმართავს. ამ შემთხვევაში რელიგიური მემკვიდრეობა გამოძეგნადა, როგორც ეროვნული ტრადიცია.

თამარ მეფის სახისმეტყველება დამახასიათებელია, ასევე, ვ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის.

ევროპელი ავტორებიდან თამარ მეფის სახეს ვხვდებით ალ. დიუმას „კავკასიაში“. დიუმა წერს: „თამარ მეფე საქართველოში ყველაზე საყვარელი და პოულარული პიროვნებაა. იგი თანამედროვე საფრანგეთის მეფის ლუდოვიკოსი და ისიც მასავით მთელი სიცოცხლე შეუპოვრად ებრძოდა მაჰმადიანებს“ (დიუმა). დიუმა ზუსტად განსაზღვრავს თამარის ღვანლსა და დამსახურებას, მის ადგილს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში.

ო. უორდროპი წიგნში „საქართველოს სამეფო“ საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ საუბრობს თამარ მეფეზე. აღნიშნავს, რომ „თამარ მეფე ცნობილია, როგორც მგოსანთა მფარველი და შთამავგონებელი“ (უორდროპი). ის თამარის სახეს უკავშირებს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, შავთელისა და ჩახრუხადის ქმნილებებს. განიხილავს, ასევე, გრ. ორბელიანის ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

თამარ მეფის სახე არის ლიტერატურული პარადიგმა, რომელიც დამახასიათებელია როგორც ქართული, ასევე, - ევროპული ლიტერატურისათვის.

## ვალერიან ვაშაკიძე

(საქართველო თბილისი)

### ტერმინი „საზღვარი“ ანტიკურ წყაროებში

ანტიკური ცივილიზაციის ხანგრძლივ მონაკვეთში კავკასიის ხალხების განსახლების არეალისა და აქ წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეულების საზღვრების დადგენა-დაზუსტებისათვის ბერძნული და ლათინურენოვანი ტექსტების მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულია. კიდევ უფრო დაბეჯითებით ეს ითქმის იმ ხანაზე, რომელიც, ტრადიციული დაყოფით, კლასიკურ, ელინისტურ და რომაულ პერიოდებს მოიცავს.

ბერძენ და რომაელ ავტორთა თხზულებებში დაცული ცნობების საისტორიო წყაროდ გამოყენებისას მკვლევრის წინაშე წამოიჭრება არაერთი პრობლემა (მაგ; პირველწყაროს მოძიება და დათარიღება, ავტორის მსოფლმხედველობის განსაზღვრა, თხზულების ჟანრისა და დანშნულების გათვალისწინება და სხვ.), რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესია გამოყენებული ტერმინების შესწავლა და იმის დადგენა, რა გაგებას დებს კონკრეტული ავტორი ამა თუ იმ ცნებაში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გავარკვიოთ „საზღვრის“ მნიშვნელობა ანტიკურ მწერლობაში და ის ტერმინები, რომლითაც მას ბერძენ-რომაელი ავტორები გადმოსცემენ.

კლასიკური, ელინისტური და რომაული ხანის ბერძნულ და ლათინურენოვან ტექსტებში „საზღვრის“ ცნებისა და მისი აღმნიშვნელი ტერმინების კვლევამ აჩვენა:

- „საზღვარს“ ბერძნულენოვან წყაროებში შეესაბამება ტერმინი „ὄρις“ (პოროს), ლათინურენოვანში - „terminus“ (ტერმინუს) და „finis“ (ფინის) და მათგან ნაწარმოები ფორმები;

• „საზღვარი“ არის ეთნოსების/ხალხების, ქვეყნების, სახელმწიფოებისა და სამყაროს ნაწილების/კონტინენტების გამყოფი მიჯნა;

• ავტორები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ საზღვრებს, რომლებიც ბუნებრივ ზღუდეებზე (მდინარეები, სრუტეები, ტბები, ზღვები, მთათა სისტემები) გადის, რაც მათი თანადროული შეხედულებების ასახვას წარმოადგენს, რომელიც არქაულ ტრადიციებს ეფუძნება;

• იქ, სადაც ბუნებრივი გამყოფები არ არსებობდა, სასაზღვრო ნიშნებად გამოიყენებოდა ხელოვნური ზღუდეები (თხრილები, სიმაგრეები და ა. შ.) ან სპეციალური ქვის სვეტები სათანადო წარწერებით;

• ანტიკური ავტორები საზღვრის მიმართ სათანადო პატივისცემას ამჟღავნებენ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საზღვრის ზუსტად დადგენას, რადგან კარგად იყო გაცნობიერებული, რომ უამისობა მეზობლებს შორის ტერიტორიული დავების მიზეზი ხდებოდა.

## ნათელა ვაჩნაძე, ელენე გიუნაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### კავკასიის იბერია // ქართლის სამეფო-რელიგიურ შეჯახებათა ასპარეზი (VI საუკუნე)

VI საუკუნე ის ხანაა საქართველოსთვის, როდესაც იგი, ორად გაგლეჯილი, ორი უძლიერესი იმპერიის ხანგრძლივი ქიშპობისა და დაუნდობელი ბრძოლების სივრცედ ქცეულიყო. მის ერთ ნაწილს, ქართლის სამეფოდ ნოდებულს, სწორედ ამ ეპოქაში ძლევამოსილი სასანიდების წყალობით დაჰკარგვოდა დამოუკიდებლობა და შუა საუკუნეების სახელმწიფოებრიობის უპირველესი ნიშანი – სამეფო ტახტი - თავს დამხობოდა. უკანასკნელ ხანებში ჩვენი კვლევის საგანია ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის შესანიშნავი ძეგლის აბიბოს ნეკრესელის „ნამების“ ტექსტი, არაერთი ქართველი მეცნიერის მიერ შესწავლილი და ღრმად გაანალიზებული. ამოუწურავია საკითხთა წრე, რომელსაც იტევს ეს პატარა თხზულება და ვინ იცის, კიდევ რა შეიძლება მისგან გამოდნეს, რადგან გარდა იმ საპატიო მისიისა, რაც ჰაგიოგრაფიას ზოგადად აკისრია, ამ ძეგლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც ქართლის რელიგიური ვითარების, ისე თვით სასანელთა პოლიტიკის შესამეცნებლად, ასე აქტიურად რომ ატარებდნენ „ქუეყანასა ქართლისასა“, რომელიც მათთვის ერთ-ერთი გახლდათ დაპყრობილთა შორის „რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა პართასა და იგინი ჴელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა“, გვაუწყებს ავტორი. მეორეგან ვკითხულობთ: „... ადგილნი მრავალნი განჰმზადნეს მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათვის ქუეყანისა და მრავალთა შეაცთუნებდეს დაუმტკიცებელსა სარწმუნოებასა გონებითა ნაკლულევანთა.“ წინამდებარე კონტექსტი ნაკითხულია /ბერნადეტ მარტენ-ჰიზარი/ როგორც დამპყრობლის მისიონერული განზრახვა და არა როგორც ძალადობრივი პოლიტიკის გატარება დაპყრობილ ქვეყანაში. ამგვარი მსჯელობა ნიადაგს აცლის არამარტო სიტყვას „დაეპყრა“ არამედ მთელ კონტექსტს და რომ კორექტულნი ვიყოთ, მხოლოდ ერთს ვიტყვი: მთელი პროცესის ასე გამარტივება თავად პროცესს სხვა მიმართულებით წაიყვანს. თუ საქმე ასე იყო, **მაშინ რატომ ჰქონდა ადგილი აჯანყებებს დამპყრობლის მიმართ?!** საკმარისი არ არის მთელი პასაჟი „და „ კავშირს მიბმული „... მრავალთა შეაცდუნებდეს დაუმტკიცებელსა სარწმუნოებასა გონებითა ნაკლულევანთა“, ამგვარი თვალსაზრისის დასაბუთებისათვის, პართთა მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან ანალოგიური მაგალითის მოტანაა ვფიქრობ საჭირო.

სასანელთა რელიგიის-ზოროასტრიზმის-რეკონსტრუქციის, მისი არსის ამოხსნის, ძალადობრივი და არაძალადობრივი მეთოდებით, მათივე შემუშავებულით, დანერგვის, ქრისტიანობასთან ჭიდილის, ცხარე პაექრობის, ანტიმაზდეანური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთების ასეთი დამაჯერებელი სურათი იშვიათად იძებნება ქართული ჰაგიოგრაფიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. თუ გულწრფელნი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ძეგლი აღნიშნული პრობლემის კვლევისას საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე სათანადოდ გამოყენებული არ არის. მოხსენებაში წარ-

მოდგენილია ზოგი ექსცერპტი ჩვენეული წაკითხვითა და ინგლისური თარგმანით, წამოწეულია საკითხი ირანის ძველი და ახალი ღმერთების შესახებ; მოცემულია ზოროასტრული მოძღვრების უმთავრესი ატრიბუტის-ცეცხლის რაობაარა მარტოოდენ სასანურ, არამედ ჯერ კიდევ მასზე შორეულ, აქემენიდების ეპოქაში; წარმოვადგენთ პროცესს, რომელშიც გამოხატულია ცეცხლის ტრანსფორმაცია და ღმერთად ქცევა სასანელების მმართველობაში, მისი დანერგვა ქრისტიანულ ქვეყანაში; მითითებულია მიზეზი ცეცხლის უღმრთოებისა, რაც ადასტურებს თხზულების ავტორის ან მისი წყაროს შემქმნელის ღრმად განსწავლულობას აღნიშნულ საკითხში.

ათეული წლების განმავლობაში მეცნიერთა მთელი თაობების რუდუნებით ჩამოყალიბებული თვალსაზრისები, მათ შორის ჩვენიც, ემყარებოდა მრავალ ხელნაწერთა შორის ორს, რომლებიც ყველაზე ადრინდელი ტექტების შემცველი იყო. მათგან პირველი, რომელიც ვრცელ ვერსიად იწოდება და **ტ**ლიტერით აღინიშნება, IX საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება, ხოლო მეორე, ე.წ. მოკლე და **ყ**ლიტერით აღნიშნული ვერსია- X საუკუნის მეორე ნახევრით. მაგრამ, ვითარება შეცვალა იმ ბედნიერმა შესაძლებლობამ, რომელიც კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთ მალალი კვალიფიკაციის ხელნაწერთმცოდნეებს მიეცათ, რომელთაც სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში № / Sin geo -48/ და № / Sin geo-50/ მიაკვლიეს აბიბოს ნეკრესელის „წამების“ ტექსტი, № / Sin geo-50/-ში დადასტურებული VI საუკუნის დამლევითა და, უკიდურეს შემთხვევაში, VII საუკუნის 30-იანი წლების მახლობელი ხანით არის დათარიღებული (ზაზა ალექსიძე).

სწორედ ზაზა ალექსიძე გახლავთ ახლად აღმოჩენილი რედაქციის პირველი მკვლევარი და გამომცემელი, რომელიც თვლის, რომ იხსნება არსენ ქართლისა კათალიკოსის ვრცელი რედაქციის ავტორობის საკითხი. ვფიქრობთ, რომ ახალი რედაქციის უცნობი ავტორი, მოვლენათა თანამედროვე და თვითმხილველი სასულიერო პირი უნდა იყოს, რასაც მისი ერუდიცია მოწმობს ამ მეტად რთულ, მნიშვნელოვან, **სენსიტიურ საკითხში**, მიუხედავად იმისა, რომ ახალ აღმოჩენაზე დამყარებული გამოკვლევით მოხსნილია საკითხი ვრცელი რედაქციის, ანუ **რ**ედაქციის ავტორად არსენ კათალიკოსის მიჩნევისა (ზაზა ალექსიძე), რომლის ზეობით მეცნიერნი აღნიშნულ რედაქციას ათარიღებდნენ. ახალმა აღმოჩენამ ბევრი რამ შეცვალა: ზოგი ჰიპოთეზა მოხსნა, ზოგი არგუმენტირებული თვალსაზრისიც კი დიდი ივანე ჯავახიშვილის და სხვათა ნააზრევი განამტკიცა, ხოლო ახალ თაობას შემდგომი კვლევებისთვის გზა გაუხსნა დევიზით - „ეძიებდე და ჰპოვებდე“.

მოხსენებას თვალსაჩინოებისთვის ფონად გასდევს ჩვენს მიერ შერჩეული ექსცერპტები ორი რედაქციით, არქეოლოგიური მასალა, აღმოჩენილი ნეკრესსა და ძველი ქართლის სამეფოს სხვა, მხოლოდ „წამების“ თანადროულ ლოკაციებში და წარმოდგენილი იქნება ეკრანზე.

## გიორგი ვახტანგაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### ჩაი ხანას როლი აზერბაიჯანში ყარაბაღიდან იძულებით გადაადგილებული მამაკაცების რესოციალიზაციის პროცესში

იძულებით გადაადგილებულ პირთა რესოციალიზაციისა და ახალ საცხოვრებელ გარემოსთან ადაპტაციის პროცესი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემას წარმოადგენს. ამ მხრივ მიჩნეულია, რომ ეკონომიკურ თუ ტრადიციულ ღირებულებით სისტემაში მომხდარი ცვლილებები (რომელიც ტრანზიციის პროცესში იჩენს თავს), პირველ რიგში, საცხოვრებელ გარემოზე აისახება.

ეს საკითხი სივრცის ანთროპოლოგიაში, ჰენრი ლეფევრის თეორიის მიხედვით, გაანალიზებულია სივრცის, როგორც სოციალური კონსტრუქტისა და სივრცის წარმოების პროცესის წარმოდგენის გზით. სივრცის ფენომენი შესაძლებელია კონცეპტუალიზებულ იქნას როგორც მოქმედი პირებისა და მათი უშუალო მოქმედებების ერთგვარი შედეგი, რაც თავს იჩენს სივრცის წარმოების სამ-

გვარი რეპრეზენტაციის გზით: 1) რეპრეზენტაციათა სივრცე (ფიზიკური, საცხოვრებელი გარემო), 2) სივრცის რეპრეზენტაცია (წარმოდგენილი სივრცე) და 3) სივრცითი პრაქტიკები (აღქმული სივრცე). ეს თეორია, როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი, „საგანთა სოციალური ყოფაზე“ დაკვირვების საშუალებას იძლევა და თან წარმოაჩენს ურთიერთკავშირს არსებულ სივრცესა და მისი, საზოგადოების მიერ წარმოდგენილ „იდეალურ ტიპს“ შორის.

წარმოდგენილი თვისებრივი მონაცემები დაფუძნებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბერგენის უნივერსიტეტების გაცვლითი პროგრამის (NorGePart) ფარგლებში 2022 წლის თებერვლიდან მაისამდე აზერბაიჯანში ჩატარებული საველე ეთნოგრაფიულ კვლევის ნაწილზე: კერძოდ, ოთხ ჩაღრმავებულ ინტერვიუსა და მონაწილე დაკვირვების მეთოდით ბაქოში, ალდამის დევენილთა დასახლებაში დაფიქსირებულ მონაცემებზე.

წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბაქოში მოპოვებულმა მონაცემებმა ნათლად წარმოაჩინა სოციალური ინსტიტუტის (ჩაი ხანას) როლი იძულებით გადაადგილებული აზერბაიჯანელი მამაკაცების რესოციალიზაციის, ახალ გარემოსთან ადაპტაციისა და ომის გამოცდილების გადალახვის პროცესში. ამ მხრივ, ჩაი ხანა წარმოჩნდა, როგორც სოციალური ინტერაქციებისათვის განკუთვნილი განსაკუთრებული ფიზიკური სივრცე, რომელიც, ერთი მხრივ, ადამიანთა წარსულ ცხოვრებისეულ გამოცდილებებზე დაყრდნობით შეიქმნა, მეორე მხრივ კი, ომის შემდეგ შექმნილი ახალი ეკონომიკური და კულტურული სიტუაციის გათვალისწინებით, ახალი მნიშვნელობები შეიძინა.

## ხვთისო ზარიძე

(საქართველო თბილისი)

### ქართული ჰაგიოგრაფიის რეალისტური ბუნება

1. ჰაგიოგრაფია, ჩვეულებრივი მწერლობის მსგავსად, ხალხური შემოქმედებიდან არ მოდის. იგი მწიგნობრულია, რადგან ამ გზით მიგნებულ თემას - „დაცემული ადამის ამაღლებას“, ანუ ადამიანის განღმრთობას ასახავს. ამაღლება ანუ განღმრთობა კი სინანულით, ხორციელი მეს ჩახშობით მიიღწევა.

2. გაქრისტიანებიდანვე ამ ჟანრმა ქართულ ლიტერატურაშიც შემოაღწია. ოღონდ, განღმრთობისათვის თვითგვემული პერსონაჟი მან თავიდანვე ქვეყნის ეროვნულ-სარწმუნოებრივი თავისთავადობისათვის წამებულ პიროვნებად აქცია. თვითგვემიდან მოქმედებამ რეალურ სივრცეში გადაინაცვლა. ამან კი თემათა გამრავალფეროვნება და სიუჟეტთა ნაირგვარობა მოითხოვა: იგი უმეტესად იმას ასახავდა, რასაც ადამიანი მარტილობამდე მიჰყავდა. ასეა აგებული, მაგალითად, „შუშანიკის წამება“.

სიუჟეტურად სხვაგვარია „ევსტათი მცხეთელის წამება“. იგი იმის დასამტკიცებლად არის დაწერილი, რომ ქრისტიანობა უფრო ჭეშმარიტი და ადამიანურად მიმზიდველია, ვიდრე მაზდეანობა.

„აბოს წამების“ სიუჟეტის აღნაგობა კი სამოელის წერილმა განსაზღვრა: შენ თავად იცი, როგორ ენამა აბო, „ხელყავ“ და აღწერე, რომ მან „მეოხად ჩუენდა“, ქართველთათვის იმარტივლო, სწერს იგი იოვანე საბანისძეს. აბო კი ქრისტიანობამდე ისლამში დაეჭვებამ მიიყვანა...

თემატურად ასევე გამრავალფეროვნებულია ქართული „ცხოვრებანიც“. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ მოგვითხრობს, გარემოს რა თავისებურების გამო ირჩევს სამონასტრე ადგილს სერაპიონი. რა მიმზიდველ სანახაობად აქცევს ამ გარემოს „ხელი ხელვანთა მუშაკთა“, როცა მონასტრით დაამშვენებენ მას. თეოფანიას კი, რომელსაც უნდა მიენიშნებინა ადგილი ოსტატისათვის, ამ შემთხვევაში მხოლოდ სერაპიონის არჩევანის დადასტურების ფუნქციაღა რჩება.

„იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ კი უფრო ისტორიულ-სამართლებრივი ძეგლია. იმის დასამტკიცებლად არის დაწერილი, რომ „ივირონი“ ქართველებმა ბერძენთათვის გაღებული სისხლის საფასურით ააგეს. ექვთიმეს მონაზვნური სახე კი ისეა მოდელირებული, რომ მან საბოლოოდ

გააქარწყლოს ბერძენთა ბრალდება, თითქოს ქართველებმა ეს სავანე მწვალელობის ბუდედ აქციეს.

3. მოქმედება-ურთიერთობების რეალურ სივრცეში გატანამ ასახვაში პირობითობის შესუსტება და რეალიზმის გაძლიერება განაპირობა. პერსონაჟებს ინდივიდუალურობის ნიშნებიც კი გაუჩნდათ. თემა კი, არსებითად, მხატვრულ ამოცანად იქცა, რაც, უმეტესად, შესანიშნავად აქვთ დასმული და გადაჭრილი ქართველ ჰაგიოგრაფებს.

## **დავით თინიკაშვილი**

(საქართველო, თბილისი)

### **საქართველოში ევროპელ კათოლიკე მისიონერთა საბოლოო მიზნისა და მისი მიღწევის საშუალებების ეფექტურობის შესახებ (მე-17-18 სს.)**

ევროპიდან რომის კათოლიკე მისიონერების საქართველოში შემოსვლა მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება და ეს მოვლენა მისაღები იყო ორივე (რომი, საქართველო) მხარისთვის. სწორედ ამ პერიოდიდან მიიჩნევა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (სმე) დასავლეთის კათოლიკური ეკლესიისგან დაშორებულად, განცალკევებულად და არა მასთან დაპირისპირების შედეგად განხეთქილებაში მყოფად. სმე, ასე ვთქვათ, ინერციულად დაშორდა რომს. ამ ორ ეკლესიას შორის საეკლესიო კონფლიქტს, როგორც ეს კონსტანტინეპოლისა და რომის ეკლესიებს შორის მოხდა 1054 წელს, ადგილი არ ჰქონია, თუმცა ფაქტია, რომ მათ შორის სტრუქტურული და იურისდიქციული ერთიანობა არ არსებობდა. რასაკვირველია, მისიონერების საქართველოში გამოგზავნის ყველაზე მთავარი მიზანი სმე-ს რომის კათოლიკურ ეკლესიასთან ერთიანობის (უნია) მიღწევისთვის ნიადაგის მომზადება იყო და ამას სრულიად გაცხადებული სახე ჰქონდა. მაგრამ საინტერესოა ამ მიზნისთვის მოღვაწე კათოლიკე მისიონერების შრომას როგორი ხასიათი და რა შედეგები ჰქონდა საქართველოსთვის – პოზიტიური იყო ეს შედეგები თუ ნეგატიური ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში როგორც მოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში? სავსებით ნათელია, რომ საქართველოში შემოსული ევროპელი ბერები არ ყოფილან მხოლოდ რელიგიური მოღვაწენი. ისინი სხვადასხვა სახის ფუნქციებს ასრულებდნენ, რითაც თავის როლს თამაშობდნენ ქვეყნის განვითარებაში. ევროპელ ბერებს შორის იყვნენ ექიმები, პედაგოგები, ინჟინრები, მხატვრები, მწერლები და სხვა. ისინი დიპლომატიურ სამსახურსაც კი უწევდნენ ქართველ მეფეებს და ცდილობდნენ პოლიტიკური შინაარსის რჩევებით თავისი წვლილი შეეტანათ როგორც საქართველოს შიდა პრობლემების მოგვარებაში (მაგ., დაპირისპირებული მონარქების შერიგება), ისე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფეებისა და ერისმთავრების საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში ევროპასთან დაახლოების მიზნით. რომში გაგზავნილი მოხსენებითი ბარათების საფუძველზე გაანალიზებული და შეფასებული იქნება როგორც მისიონერთა დამოკიდებულება ქართველ სასულიერო და საერო პირებისადმი, აგრეთვე, ზოგადად, ქართველთა ყოფა-ცხოვრებისადმი, ისე ქართველების დამოკიდებულება ევროპელი მისიონერებისადმი. პარალელებისთვის ასევე განხილული იქნება საქართველოში მყოფი სომხებისა და ბერძნების მიმართება ევროპელი კათოლიკე მისიონერებისადმი. ევროპელი მისიონერების როლი გამოიკვეთება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთში, მე-17-18 საუკუნეები, როდესაც ყველაზე ძლიერი იყო კათოლიკე მისიონერთა გავლენა და პოპულარობა საქართველოში.

## ხათუნა კალანდარიშვილი

(საქართველო, თბილისი)

### ილია ჭავჭავაძე - ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მკვლევარი

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება არაერთი მეცნიერის კვლევის ობიექტი გამხდარა. მაგრამ კვლევის ის ასპექტი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გამოკვეთა თავის „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულს, ამ დრომდე ნაკლებადაა მოქცეული ქართველ ლიტერატურისმცოდნეთა ყურადღების არეალში.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, რწმენის საკითხი დგას და ნაჩვენებია ის უნუგემო მდგომარეობა, რაც ადამიანს ეუფლება რწმენის დაკარგვის შემთხვევაში. ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას ამ სიბრტყეზე განიხილავს, როგორც ერთ მთლიანობას, მიიჩნევს რა, რომ მისი ლექსები პოეტის საერთო სულიერი მდგომარეობის ცალკეულ გამოვლინებებს წარმოადგენს. ის ეძებს ურთიერთკავშირს ამ ლექსებს შორის და ამით აღადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაგანი სამყაროს სურათს.

ილია ჭავჭავაძე ზოგადადამიანურ ჭრილში განიხილავს ბარათაშვილის შემოქმედებაში გამოკვეთილ სარწმუნოებრივი ეჭვისა და სულის უბინაობის პრობლემას. მისი აზრით, ამგვარი ძიების პროცესი ყველა დროისათვის დამახასიათებელია; ის რწმენის შერყევადან იღებს სათავეს და უმნიშვნელოვანესია მთელი კაცობრიობისთვის.

ილია მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა - ადამიანთან, მის არსებობასთან, რწმენასთან დაკავშირებული ფილოსოფიური საკითხები - მუდმივად დგას კაცობრიობის წინაშე მას შემდეგ, რაც კაცთა მოდგმა არსებობს. ამ საკითხებზე პასუხის პოვნას ესწრაფვის ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის შემოქმედებაში. ამით იგი იქცევა საყოველთაო პროცესის ორგანულ ნაწილად ქართულ სინამდვილეში.

ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილს გამორჩეულ ადგილს აკუთვნებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მისი სიტყვით, ის პირველია ქართველ პოეტთა შორის, რომელმაც ქართული აზრი კაცობრიობის განვითარების საერთო ფერხულში ჩააბა, „კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დაანაფა“.

## დალი კანდელაკი, ეკატერინე რაისნერი

(საქართველო, თბილისი)

### მრავალეროვანი და მრავალფეროვანი კავკასია: ტრაუგოთ ვალდფოგელის მოგზაურობის ჩანაწერები

ტრაუგოთ ვალდფოგელი (1861-1930) საკმაოდ მრავალმხრივი, ნიჭიერი და ენერგიული ადამიანი იყო. მან გაიარა გზა სკოლის მასწავლებლიდან შვეიცარიის ეროვნული საბჭოს წევრამდე. ვალდფოგელის მოგზაურობა კავკასიაში 1892 წელს დაახლოებით ექვს თვეს გაგრძელდა. ის კონსტანტინოპოლიდან გემით გაემართა ბათუმში, იქიდან მატარებლით, ცხენით, ფეხით, მარტო ან ვინმე თანმხლებთან ერთად მოგზაურობდა; საქართველოში გერმანულ კოლონიებს ეწვია; შემდეგ თბილისიდან აზერბაიჯანში გაემგზავრა, სადაც ასევე ესტუმრა გერმანულ კოლონიებს. მოგზაურობმა დაათვალიერა ბაქო, გზა გააგრძელა სამხრეთით, ციხე-ქალაქ შუშამდე. მან საქართველოს სამხედრო გზით დატოვა საქართველო, ვლადიკავკაზი, ხოლო შემდეგ რუსეთის სამხრეთი ნაწილი მოიხილა.

ვალდფოგელის კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები წინადადებულ ენაზე 1897 წელს გამოიცა. ავტორი თხზულებაში - „მოგზაურობის სურათები კავკასიიდან“ - საკითხთა ფართო წრეს მიმოიხილავს. ის მკითხველს საკუთარ განცდებს უზიარებს, არ მალავს ნანახით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს; აღწერს კავკასიის ბუნებას, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ქალაქებსა და სოფლებს. გონებამახვილურად ეხმიანება კავკასიელების ტრადიციებს, ადათებს, რომელიც მისთვის სრულიად უცხო იყო. წიგნში უხვად გვხვდება კავკასიაში მცხოვრები სხვა-

დასხვა ეროვნების ხალხთა აღწერა: ქართველების, თათრების, სომხების, რუსების, გერმანელების და სხვ.

სავარაუდოა, რომ ვალდფოგელის ჩამოსვლის მიზანს გერმანული კოლონიების მონახულება წარმოადგენდა. მისი წიგნის თითქმის ნახევარზე მეტი საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებული კოლონიების დახასიათებას ეთმობა. მოგზაური აღწერს სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები კოლონისტების ყოველდღიურ ცხოვრებას, მთავრობის გატარებულ ზომებს და მათ დამოკიდებულებას რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ხელისუფლებისადმი, არსებულ ენობრივ სიტუაციას, რელიგიისადმი მათ დამოკიდებულებას, კოლონიების გავლენას ადგილობრივ მოსახლეობაზე და სხვ.

წიგნი კავკასიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს წარმოადგენს უქმნის XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის სამხრეთ კავკასიის შესახებ. ტ. ვალდფოგელზე მისი ერთ-ერთი თანამედროვე შენიშნავს: „დოქტორი ვალდფოგელი ადვილად ვერ ელეოდა იდეას; მას შეეძლო ყველანაირი საფრთხის იგნორირება მნიშვნელოვანი იდეის გამო“. მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, 31 წლის შვეიცარიელი მასწავლებლის ერთ-ერთი იდეად მისი კავკასიაში მოგზაურობა უნდა მივიჩნიოთ.

## **ნანული კაჭარავა** (საქართველო, თბილისი) **კავკასიოლოგია თურქეთში**

ევროკავშირში შესასვლელად მზადების ხანგრძლივი დროის პერიოდში თურქეთის მთავრობა ითვალისწინებდა ევროკავშირის მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქვეყნის მთავრობისა და მმართველი პარტიის რადიკალურად შეცვლილი პოლიტიკური კურსის წყალობით ყურადღება მიექცა თურქეთში არსებულ ენებსა და დიალექტებს, რის შედეგადაც რეგიონალურ უნივერსიტეტებში დაშვებული იქნა ორი კავკასიური ენის - ქართული და ჩერქეზული ენებისა და ლიტერატურის მიმართულებები.

დღეს თურქეთის ოთხ - ყარსის, არდაჰანის, რიზესა და დუზჯეს უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილებები, რომელთა შემადგენლობაშია ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებები. ართვინის უნივერსიტეტის წესდებაში დევს კავკასიოლოგიის განყოფილების გახსნა, მაგრამ ჯერჯერობით ეს მიმართულება არ ამოქმედებულა. 2005 წელს პირველად თურქეთში კავკასიის სახელობის ყარსის უნივერსიტეტში გაიხსნა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება, ხოლო 2006 სასწავლო წლიდან მან სტუდენტებიც მიიღო. 2008 წლიდან უკვე არდაჰანის (ისტორიული არტაანის) უნივერსიტეტის წესდებაში გათვალისწინებული იყო ქართული ენის განყოფილების ამოქმედება, ხოლო 2013 წელს რეჯებ თაიფ ერდოღანის სახელობის რიზეს უნივერსიტეტსა და ქ. დუზჯეს უნივერსიტეტს ნება დაერთო გაეხსნათ კავკასიური ენების განყოფილებები. დუზჯეს უნივერსიტეტმა იმავე წელსვე მიიღო სტუდენტები, ხოლო რიზეს უნივერსიტეტში სტუდენტური სემესტრი 2016 წელს შეუდგა სწავლა-განათლებას.

დუზჯეს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენის მიმართულებას, დანარჩენ სამ ქართველოლოგიის ცენტრთან შედარებით, ის უპირატესობა გააჩნია, რომ აქვს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სწავლების ორი საფეხური. ასევე აქ 2013 წელს პირველად თურქეთში ამოქმედდა მეორე კავკასიური ენის, ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის მიმართულება, სადაც ფუნქციონირებს სწავლების სამივე საფეხური: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. 2018 წელს კი ქ. კაისერის ერჯიესის უნივერსიტეტში გაიხსნა ჩერქეზული ენების უკვე მეორე, კერძოდ, ყაბარდოული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაც.

დუზჯეში ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პედაგოგები არიან ადიღეის რესპუბლიკის მაიკოპის უნივერსიტეტიდან ჩამოსული პროფესორები, რომლებიც კარგად იცნობენ საქართველოს კავკასიოლოგიურ სკოლას. მათი უფროსი თაობის წარმომადგენლები არიან



ასაკოვანი, ფრიად დაფასებული ქალბატონები, რომელთაც თბილისში აქვთ დაცული საკანდიდატო დისერტაციები და არიან ჩვენი კორიფეების - არნოლდ ჩიქობავასა და გიორგი ჩიტაიას მოწაფეები. ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილებას მჭიდრო კავშირი აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის კათედრასა და ჩერქეზული კულტურის ცენტრთან. დუზჯეს უნივერსიტეტში მიმდინარეობს აქტიური სამზადისი მესამე კავკასიური ენის, აფხაზური ენისა და ლიტერატურის მიმართულების გასახსნელად.

## გია კვაშილავა

(საქართველი, თბილისი)

### A კლასის ხაზოვანი წარწერების პროტოქართველურ ენაზე გაშიფრვის შესახებ

ამ ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს გაშიფრვის შედეგები ბრინჯაოს ხანის A კლასის ხაზოვანი (LA) წარწერებისა, რომლებიც გავრცელებული იყო ეგეოსისზღვისპირეთის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე აღმოაჩინეს პალესტინაში, ბულგარეთსა და საქართველოში.

LA წარწერების ტექსტები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ანგარიშებია, რომლებშიც დასტურდება ტოპონიმები, ანთროპონიმები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (მაგ., მარცვლეული), შინაური ცხოველები, ნატურალური რიცხვები, წილადები და სხვ.

ზოგიერთი გაშიფრული პროტოქართველური LA სიტყვა შემდეგია:

1. რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებების აღმნიშვნელი სიტყვები: ku-ro – „შეკვრა“, „შეკრება“, „შეგროვება“, „დამატება“; po-to-ku-ro – „ფართო შეკრება“, „საბოლოო ჯამი“; sa-ra<sub>2</sub> – „სრული“, „მთლიანად“, „სრულად“, „სულ“; ki-ro – „ნაკლებობა“, „კლება“, „გამოკლება“; ki-ri-si – „კილისა“, „ნაკლისა“ და ki-ri-ta<sub>2</sub> – „ნაკლითა“.

2. ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელები: ka-ti (აგრეთვე დასტურდება B კლასის ხაზოვანში = LB-ში) – „კუტოჟ“, „კოტო“, „კუტალი“; ka-di (წინარებერძნული κῆδος) – „კოდი“; ka-sa, ka-si (შუმერული ka-a-su, ხეთური ka-az-zi) – „კასრი“, „კოში“, „სალვინე ჭურჭელი“; di-di-ka-se – „დიდი კასრი“, „ქვევრი“; pi-ta-ka-se – „პატარა ჭურჭელი“; pa-ta-qe – „ძალიან პატარა ჭურჭელი“ და qa-pa<sub>3</sub> – „კოპე“, „კოფა“, „კოფი“, „სანყაო“.

3. მცენარის სახელწოდება mi-ta (აგრეთვე დასტურდება LB-ში) – „პიტნა“.

4. ტოპონიმები: ma-ka-ri-te – „კუნძული მაკრისი“, ანუ „ევბეა“ (პელასგ მაკრიელთა, ანუ მაკრონთა ტომის დასახლება, რომელიც დამონმებულია ძველ ბერძნულ ტექსტებში); pa-i-to (აგრეთვე დასტურდება LB-ში) – „ფესტოსი“; ra-\*swi-ti (აგრეთვე დასტურდება LB-ში) – „ლასითი“, კუნძული კრეტის რეგიონი; ანთროპონიმები: ku-ku-da-ra (აგრეთვე დასტურდება LB-ში) – „კოლხიდელი“; a-ja (აგრეთვე დასტურდება LB-ში) – „აია“ და ku-ta- (აგრეთვე დასტურდება LB-ში) – „კუტა-“ / „ქუთა-“.

5. LA-სთან დაკავშირებული წარწერები, რომლებიც საქართველოშია აღმოჩენილი უძველეს არტეფაქტებზე, გაშიფრულია როგორც ანთროპონიმები te-ku-si-ka/te-ku-si-ke – „ტეკუსიკა/ე“ და to-ja – „ტოია“; ტოპონიმი ku-ku-te-si1(?) – „კოლხეთისა“; ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელი ka-\*sa/ka-\*da(?) – „კოდი“, „კასრი“, „კოში“.

ზემოთ ჩამოთვლილი ძირეული მორფემები ასახავენ რეგულარულ ფონოლოგიურ და სემანტიკურ კავშირებს ქართველურ მასალებთან. ძირეული მორფემები CVC- სტრუქტურისაა, სუფიქსალური მორფემა – -VC/-V სტრუქტურისა. ეს ფონემატური სტრუქტურები პროტოქართველურ მორფემათა ძირითადი კანონიკური ფორმებია.

## ჰასმიკ კირაკოსიანი

(სომხეთი, ერევანი)

### სომხურ-სპარსული ბიბლიური თარგმანები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის კულტურათაშორის პრაქტიკაში XVIII ს-ის დასაწყისში

XVIII ს-ში შამახელმა სომეხმა მღვდელმა თარგმნა სახარება სომხურიდან სპარსულ ენაზე და შეამკო სომხური ასო-ნიშნებით. სახარების ხელნაწერი ინახება ერევნის მატენადარანის საცავში (Ms 8499). სპარსული ხელნაწერი სახარების კვლევა კულტურათაშორისი ურთიერთობის კონტექსტში მოითხოვს კულტურული ვითარების შესწავლას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, რომელიც ლინგვისტური და ეთნოკულტურული მრავალფეროვნებით და მრავალნაზნაგოვანი ურთიერთობებით გამოირჩევა. ამ ჭრილში ვადასტურებთ მეტად საინტერესო ლინგვისტურ მოვლენას – შირვანის ძველისძველი სომხური მოსახლეობის ენობრივ გადასვლას სპარსულენოვნებაზე (თათურენოვნებაზე) სომხურ-კავკასიური ბილინგვიზმის გვერდის ავლით. ამკარაა, რომ სპარსულ სახარებას პრაქტიკული გამოყენებაც ჰქონდა. მართალია, ღმრთისმსახურება კლასიკურ სომხურ ენაზე აღესრულებოდა, მაგრამ სომხურ რელიგიურ თემს წმინდა წერილი ესაჭიროებოდა სპარსულ ენაზე, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებული საერო ენა იყო.

თარგმნის პროცესში სომეხი მთარგმნელი ეძებდა „ეკვივალენტებს“; ის ითვალისწინებდა სომხური ტექსტის მიმართებას და კავშირს სპარსულთან, ისტორიულ და ენობრივ თავისებურებებს, თხრობის სტილს. მიუხედავად იმისა, რომ თარგმნილ სახარებას ტექსტური და პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, ჩვენ შეგვიძლია ის გამოვიყენოთ კულტურული კონტექსტის ანალიზისათვის:

1. სახარების სპარსული თარგმანი ავრცელებდა ქრისტიანულ სწავლებას სპარსულენოვან სომხებს შორს და, ამრიგად, ხელს უწყობდა ქრისტიანული კულტურის გაბატონებულ მდგომარეობას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

2. მსგავსი თარგმანების კულტურული პრაქტიკა სოციალურ აქტივობათა სფეროსაც განეკუთვნებოდა და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქრისტიანთა და მუსლიმთა ინტერკულტურულ ურთიერთობებსა თუ რელიგიურ დისკუსიებში.

## ლეილა კოლოევა

(რუსეთი, ინგუშეთი, მაგასი)

### სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებით წარმოქმნილი დავებისას ინგუშების შერიგების კონცეფცია ადათისა და შარიათის ნორმებით

სტატიაში განხილულია ინგუშების შერიგების კონცეფცია, რომელსაც დავების განხილვისას პრიორიტეტი ენიჭება. განსაკუთრებით ხაზგასმულია სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში დავების გადაწყვეტის ნაკლებად შესწავლილი საკითხი.

ინგუშთა საზოგადოებაში ცხოვრება რეგულირდება ერთდროულად - მუსლიმური კანონით (შარიათი), ინგუშთა ჩვეულებითი სამართლით (ადათი) და რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით. ამავდროულად, სამივე სამართლებრივი სისტემა მშვიდობიანად თანაარსებობს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობების გარეშე.

მხარეებს დავის გაჩენისთანავე, საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლიათ აირჩიონ სახელმწიფო სასამართლოსათვის მიმართვა ანდა დავის განხილვა ადათისა და შარიათის წესების მიხედვით. იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც დავის შარიათის სასამართლოში განხილვისას იყენებენ, წარმოადგენს წინასწარმეტყველ მუჰამედის სუნები: ფიქი (კანონი, კანონქვემდებარე აქტები), შარა და 4 მაჰალის კოდექსი (კანონები და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები), რომლებიც ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდობიან დასრულებასა და ერთობლივი შეთანხმების დადებას უწყობენ ხელს.

ზოგიერთი დავის მოსაგვარებლად ინგუშეთში ჩვეულებით სამართლის ექსპერტებსაც (შუამავლებს) მიმართავენ. შერიგების პროცესი შეიძლება დაიწყოს დავის გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე: 1) შუამავლების ჩართვისას; 2) იმამის მიმართვისას და დავის უშუალოდ იმამის ანდა მის მიერ წარდგენილი მომრიგებელი კომისიის მიერ განხილვისას; 3) იმამის წარდგინებით (ანდა მოსარჩელე-მოპასუხეების პირადი ინიციატივით) ქადიათს მიმართვისას ქადის მიერ დავის განხილვის თაობაზე შექმნილ მომრიგებელ კომისიაში; 4) რეგიონის მუსლიმთა სულიერი საბჭოს მუფთისათვის მიმართვისას. მოდავეთა საკითხების ყოვლისმომცველი განხილვა წარმოშობილი დავის ობიექტურად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

ამ ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი არასავალდებულოა და არსებითაც ზეპირ რეკომენდაციებს წარმოადგენს. ამ მითითებების შესრულება ალაჰის, წინასწარმეტყველ მუჰამედის, წმინდა ყურანისა და სუნას სახელითაა გამოცხადებული და, აღმასრულებელ ორგანოს არ არსებობის მიუხედავად, სახალხო ნორმების მიხედვით, მაინც გააჩნია მნიშვნელოვანი აღმასრულებელი ძალა. წამოჭრილი დავის ადათის ნორმების მიხედვით, ანდა შარიათის სასამართლოში განხილვაზე უარის თქმამ შეიძლება საზოგადოების ან რელიგიური ორგანიზაციების (იმამი, ქადიათი) ცენზურა. დამრღვევი შეიძლება საზოგადოებრივ ოსტრაკიზმსაც კი დაექვემდებაროს.

## თამთა კონჯარია

(საქართველო, თბილისი)

### დუხობორები საქართველოში -1895 წლის იარაღების დაწვა და

### მშვიდობის მანიფესტაცია

მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველოს რუკაზე განსაკუთრებული ადგილი უკავია XIX საუკუნის ორმოციან წლებში რუსეთიდან გადმოსახლებულ რელიგიურ-დისიდენტურ მოძრაობას - დუხობორებს.

დუხობორები ასობით წლები ცდილობდნენ ჩამოყალიბებულიყვნენ და ქცეულიყვნენ მტკიცე, შეკრულ რელიგიურ და სოციალურ ჯგუფად, რომელიც დროთა განმავლობაში ქმნიდა და აყალიბებდა თავის რელიგიურ ეთიკასა და მსოფლხმედველობას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ცარისტულ რუსეთთან თითქმის უწყვეტ დაპირსპირებაში იმყოფებოდნენ, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო დუხობორთა თემის ერთ-ერთ ძლიერ და ორგანიზებულ სისტემად ქცევას.

დუხობორთა ისტორიული და კოლექტიური მემკვიდრეობის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული როლი ითამაშა სამხრეთ კავკასიაში, სამ სხვადასხვა ადგილას 1895 წელს იარაღების დაწვის მშვიდობიანმა მანიფესტაციამ. დუხობორებმა ამ ქმედებით კიდევ ერთხელ აჩვენეს, თუ რას ნიშნავს ადამიანი იყოს რელიგიური და როგორ შეიძლება გამოიხატებოდეს რელიგიურობა ქმედებაში, რეალურ ცხოვრებაში და რამდენად აქვს უნარი ადამიანს თავისი რწმენა-წარმოდგენებით და რელიგიური ეთიკით შეცვალოს სამყარო არამხოლოდ ლოცვით, არამედ ქმედებით. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერ რელიგიურ თუ სპირიტუალურ (განსაკუთრებით კი რუსულ) მიმდინარეობებს შორის, დუხობორები არიან ადამიანები, რომლებმაც გვიჩვენეს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს, სულიერი და სოციალური არსებობის სინთეზი, სხეულისა და სულის ერთიანობა, როგორ ათავისუფლებს და აახლოებს ადამიანს ღმერთთან სამართლიანი და ჭეშმარიტი ცხოვრებით ცხოვრება.

მათი არსებობის განმავლობაში დუხობორთა რელიგიურ მოძრაობას ბევრ რთულ წინააღმდეგობასთან მოუწია გამკლავება, რათა 1895 წლის იარაღების დაწვის მშვიდობიან პროტესტამდე მოსულიყო და ქცეულიყო მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის სიმბოლოდ, რომლისთვისაც ქრისტეს გზა მიწიერ ხელისუფალთა მსახურებაზე უპირატესი იყო. ერთმნიშვნელოვნად რთულია და არა ობიექტურიც იმის თქმა, თითქოსდა, დუხობორები ოდითგანვე იყვნენ მშვი-

დობისათვის მებრძოლი საზოგადოება; ნამდვილად მოიძებნება მათ ისტორიაში ფაქტები, რომლებიც გვიყვებიან ამბებს, თუ როგორ თქვეს ჯარში მსახურებაზე და ომში მონაწილეობაზე უარი დუხობორთა თემის წარმომადგენლებმა რუსეთ-თურქეთის პირველი ომის დროს, თუმცა ომისადმი განსაკუთრებული წინააღმდეგობა ჩნდება უფრო მოგვიანო პერიოდში. მისი საწყისების მოძიება შესაძლებელია XIX საუკუნის 70-იან წლებში, ლუკერია კალმიკოვას ლიდერობისას, თუმცა განსაკუთრებულ ზენიტს აღწევს პეტრე ვერიგინის დროს. არსებობს მოსაზრებები, რომ დუხობორთა მძაფრ პაციფისტურ ძალად ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა დიდი რუსი მწერლის, ლევ ტოლსტოის შეხედულებებმა, რაც ბოროტებისადმი ძალადობრივი წინააღმდეგობის არ განეგვას გულისხმობდა და, თავის მხრივ, შთაგონებული იყო მათზე ქრისტეს ქადაგებით.

ნაშრომში მოცემულია ცდა, წარმოვაჩინოთ ის მიზეზები, რამაც დუხობორები 1895 წლის იარაღების დანვის მშვიდობიან მანიფესტაციამდე მიიყვანა; როგორ და რა გზებით ჩამოყალიბდა დუხობორთა მშვიდობის ეთიკა, რამდენად ჰქონდა ლევ ტოლსტოის ხედვას ზეგავლენა მათზე და თუკი ჰქონდა - როგორ მოახერხეს მათ საკუთარი რელიგიური ეთიკისა და დიდი რუსი მწერლის შეხედულებების სინთეზი.

## ქრისტიანე კოსტიკიანი, გოჭარ მხითარიანი

(სომხეთი, ერევანი)

### აღმოსავლეთ კავკასიის ქრისტიანთა გამაჰმადიანება XVII-XIX საუკუნეებში

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქრისტიანთა გამაჰმადიანება ხანგრძლივი პროცესია. ის არაბთა დაპყრობებიდან იწყება და დღესაც გრძელდება. გარკვეულ დროს, პოლიტიკურ თუ სხვა გარემოებათა წყალობით ეს პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა.

XVII-XIX სს-ში ამ პროცესს შემდეგი გარემოებები განსაზღვრავდა: სეფიანთა სახელმწიფოში ინკორპორაცია, ირანულ ადმინისტრაციულ ერთეულთა საფუძველზე სახანოების ჩამოყალიბება, ადგილობრივი მუსლიმური ადმინისტრაციის შენარჩუნება რუსეთის იმპერიაში, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა განუწყვეტელი შემოსევები მთელი პერიოდის განმავლობაში.

გამაჰმადიანებას ხელს უწყობდა ფისკალური და სხვა ეკონომიკური შეღავათები. ჯიზია და იმამ ჯაფარის კანონი იყო ის უმთავრესი ფაქტორები, რომლებიც აჩქარებდა ისლამზე გადასვლას როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ისე კავკასიის იმ რეგიონებში, რომლებიც ირანს ექვემდებარებოდა. ჯიზია (ინოდებოდა, აგრეთვე, *dīn-i pāk*, *abrishum-i dīnī*) არამუსლიმთათვის დაწესებული გადასახადი იყო, ხოლო იმამ ჯაფარის კანონი, რომელიც ირანში XVII ს-დან ამოქმედდა, განსაზღვრავდა გამაჰმადიანებული მემკვიდრეების უფლებებს გარდაცვლილი ქრისტიანი ნათესავების ქონებაზე.

XVIII-XIX სს-ში ადგილობრივი მაჰმადიანი მმართველები სდევნიდნენ ქრისტიანობას და მოსახლეობას ძალდატანებითაც ამაჰმადიანებდნენ; პარალელურად, მოქმედებდა ისლამიზაციის ეკონომიკური ფაქტორებიც. თანადროული წყაროების მოწმობით, ამგვარ პოლიტიკას ატარებდნენ შაქის ხანები: აჯი-ჩალაბი და ჯაფარ ყული-ხანი. ჩრდილოკავკასიელთა თავდასხმები რეგიონზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ქრისტიანთა გამაჰმადიანებისა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

მოსხენებაში გაანალიზებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ცნობები; წარმოჩენილია ეთნო-რელიგიური და დემოგრაფიული ცვლილებები აღნიშნული პერიოდის აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

## ბუბა კუდავა

(საქართველო, თბილისი)

### სამეფო კარის ფილოსოფია

#### (ძალაუფლების ისტორიიდან შუა საუკუნეების საქართველოში)

ძველ საქართველოში, სხვა კულტურათა გამოცდილების მსგავსად, აუცილებლად იარსებებდა სამეფო ხელისუფლებასთან დაკავშირებული უზოგადესი წარმოდგენები, აღქმები და დაუნერვლი კანონები. მართალია, პირდაპირი მითითებები წყაროებში არცთუ ხშირად გვხვდება, თუმცა სამეფო ხაზის ხანგრძლივი ისტორია და სამეფო იდეოლოგიის მატარებელი საისტორიო მწერლობა საშუალებას იძლევა წარმოდგენა შევიქმნათ ამა თუ იმ მონარქიულ ტრადიციაზე.

ქვემოთ მოცემული დაკვირვებები უმთავრესად ერთიანი საქართველოს სამეფოს მაგალითებზე შემუშავებული. ეს პერიოდი შედარებით შიდადინასტიური სტაბილურობით, სახელმწიფო ინსტიტუტების მეტი სიმყარითა და კლასიკური საისტორიო თხზულებების სიუხვით გამოირჩევა. რთულია ქვემოთ მოცემული დასკვნების განზოგადება ყველა პერიოდსა და ყოველ ქართულ სამეფოზე (თან, გამონაკლისების არსებობის პირობებში), თუმცა მონარქიული სისტემის ზოგადი ბუნებისა და ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით, გარკვეულწილად მაინც არის შესაძლებელი სამეფო კარის „ქართული ფილოსოფიის“ ცალკეული ასპექტების რეკონსტრუქცია.

#### 1. დაბადება

რატომ არ ვიცით მეფეთა დაბადების ზუსტი თარიღები, ადგილები და სხვა დეტალები? ასეთი ნიუანსები ქართველ მემატრიანებს არც მაშინ აინტერესებთ, როცა მეფეს ცალკე თხზულება ეძღვნება (ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე). მონაცემთა არარსებობა კიდევ უფრო თვალშისაცემია, თუ მას მეფეთა გარდაცვალების შესახებ ცნობების სიუხვესა და დეტალიზაციას შევადარებთ. მეორე მხრივ, წყაროს არასოდეს გამორჩება გამეფების აქტის აღნიშვნა, რადგან მეფის ცხოვრებაში სწორედ „მეფობა“ უმთავრესი. ჩანს, სანყის და უმთავრეს ნიშნულად სამეფო ლეგიტიმაციის მიღება ითვლებოდა (შდრ. ინდიქტიონი - წელთაღრიცხვა გამეფებიდან და არა შობიდან). ასე რომ, მემატრიანისთვის / საზოგადოებისთვის მონარქი მხოლოდ სამეფო გვირგვინის დადგმისას „იბადებოდა“. მანამდე იგი მხოლოდ უფლისწული იყო, რომლის მეფედ კურთხევა, უფროსი ძისაც კი, ყოველთვის როდი გახლდათ გარანტირებული.

#### 2. გარდაცვალება და დაკრძალვა

რატომ გვაქვს გაცილებით მეტი ცნობა მეფეთა გარდაცვალებასა და დაკრძალვაზე? მაგალითად, ბაგრატ III-იდან რუსუდანის ჩათვლით, ასეთი ინფორმაცია თითქმის ყველა მეფეზეა ცნობილი. აშკარაა, წყაროებისთვის მეფის აღსასრული უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი შობა. მეფის გარდაცვალება მეფობის / ეპოქის დასასრულია, შესაბამისად - მომავალი მონარქის ზეობის, ვითარცა ახალი პერიოდის, დასაწყისი. ძველ ისტორიკოსებს ასევე არ რჩებათ მხედველობიდან დაკრძალვის ადგილები - ამა თუ იმ ტერიტორიაზე სამეფო ლეგიტიმაციის განმსაზღვრელი ერთგვარი ნიშნულები.

#### 3. ქორწინება

როდის ქორწინდებოდნენ ქართველი მეფეები? წყაროებში არცთუ იშვიათად გვხვდება დედოფალთა სახელები და ცნობები მათი წარმომავლობის შესახებ, მაგრამ ზუსტი თარიღები და ქორწინების სხვა დეტალები ნაკლებად გვაქვს. თუმცა რამდენიმე შემთხვევაზე დაყრდნობით ერთგვარი „ნესის“ რეკონსტრუქციაა თითქოს შესაძლებელია. თანამეცხედრის „სწორად“ არჩევის საკითხი, როგორც სამეფო კარის ერთ-ერთი მთავარი და სასწრაფო საზრუნავი, სავარაუდოდ, სწორედ მეფედ კურთხევის შემდეგ დგებოდა დღის წესრიგში. სამეფო კარი თავს იკავებდა სამეფო კანდიდატის ქორწინებისგან მის კურთხევამდე და პირიქით, ზრუნავდა მის სასწრაფო შეუღლებაზე გამეფების შემდგომ. შესაბამისად, ეს პროცესი, განსხვავებით ზოგადსაერო ტრადიციებისაგან, ნაკლებად იქნებოდა დამოკიდებული ასაკზე (ბაგრატ IV დაახლოებით 12 წლის ასაკში დააქორწინეს, თამარი კი 25 წლამდე არ უნდა ყოფილიყო შეუღლებული). აღნიშნული ტრადიცია შესაფერისი, უფრო მაღა-

ლი სტატუსის თანამეცხედრის შერჩევის მიზნით უნდა დამკვიდრებულიყო - მეფის „ფასი“ უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე უფლისწულის, თუნდაც სამეფოდ გამზადებულია.

#### 4. მემკვიდრე

რატომ იყო მემკვიდრის საკითხი ასე მნიშვნელოვანი სამეფო კარისთვის? ადამიანის ბუნებრივი ინსტინქტი, შთამომავლობითი ჯაჭვი გააგრძელოს, განსაკუთრებით მძაფრდებოდა სამეფო ოჯახში. მეფისთვის (დედოფლისთვის და სამეფო კარისთვის, შესაბამისად) მემკვიდრის (ანუ უცილობლად ვაჟის) დაბადება ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ერთგვარი ვალდებულება და უდიდესი პასუხისმგებლობა ხდებოდა - მიუხედავად იმისა, იყო თუ არა სხვა კანდიდატები გვერდით შტოებში. მეორე მხრივ, მონარქიული სისტემა არ ირჩევდა საუკეთესოს (თუნდაც ოჯახიდან, გვარიდან) და ამ მხრივ არც საქართველო იყო გამონაკლისი. ჩვეულებრივ, მეფე უპირატესობას არა რჩეულს, არამედ უფროს ძეს ანიჭებდა, თუნდაც მეფობისთვის შეუფერებელს. უფროსი სამეფო ხაზის უწყვეტობის დოგმა სამეფო დინასტიისა და ქვეყნის სტაბილურობის ერთ-ერთ გარანტად მიიჩნეოდა, შესაბამისად, ამ პრინციპიდან გადახვევა, უმემკვიდრეობით თუ სხვა კანდიდატის გამეფებით გამოწვეული, სამეფო აღქმით, პოლიტიკურ ძალთა გადაადგილებებსა და ქაოსს იწვევდა და საფრთხეს უქმნიდა როგორც დინასტიის სიმყარეს, ისე ფეოდალურ წესრიგს.

#### 5. მეფობის დასასრული

რატომ არ თმობდა ასაკოვანი მეფე ტახტს სიცოცხლეშივე? მაგალითად, მეფე მსცოვანია, მომავალი მონარქი (ხან - დიდად საიმედო მემკვიდრე) უკვე ჩართულია სახელმწიფო საქმეებში, ზოგჯერ თანამოსაყდრედაც კი ზის, მაგრამ მეფე გარდაცვალებამდე მაინც ვერ / არ თმობს გვირგვინს (გვაქვს მხოლოდ გიორგი II-ის საკუთარი ნებით გადადგომის არადაამაჯერებელი ცნობა და ქართველ მეფეთა ბერად აღკვეცის რამდენიმე შემთხვევა). სუბიექტური ფაქტორებიც უნდა დავუშვათ, ძალაუფლების გადაცემა-გადანაწილების სირთულეებიც, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ტრადიციის მთავარი მიზეზი სამონარქიო წესრიგის ხელშეუხებლობა იყო. ძალაუფლების გადაცემის ნებისმიერი ჯანსაღი, ნებაყოფლობითი, მშვიდობიანი პრეცედენტი სამომავლოდ მრავალ მემკვიდრეს გაუჩენდა მამის ტახტიდან ჩამოცილებისა და გვირგვინის ნაჩქარევად მიღების ცდუნებას, რაც, სამეფო კარის ფილოსოფიით, დამაზიანებელი იქნებოდა სახელმწიფო და დინასტიური სტაბილურობისთვის.

## რუსუდან ლაბაძე

(საქართველო, თბილისი)

### საქართველო და კავკასია XIX საუკუნის მსოფლიო გეოგრაფიაში

1803 წელს კონრად მალტ-ბრუნიმ (1775-1826) ფრანგულენოვანი გეოგრაფიის პირველი ტომი გამოსცა. გამოცემა სულ თექვსმეტ ტომს მოიცავდა და 1803-1807 წლებში დაიბეჭდა. ფრანგი გეოგრაფი, კონრად მალტ-ბრუნი (ნარმოშობით დანიელი) პირველი იყო, ვინც ფრანგულ ენაზე გეოგრაფიის ტრაქტატი შეადგინა, რადგან მანამდე, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, საფრანგეთში ასეთი პუბლიკაცია არ არსებობდა. გამოცემის სახელწოდება იყო: „მსოფლიოს ყველა ნაწილის მათემატიკური, ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფია“.

თუმცა კონრად მალტ-ბრუნის ძირითად ნაშრომად „მსოფლიო გეოგრაფიის ზუსტი აღწერა ან მსოფლიოს ყველა ნაწილის აღწერა“ არის მიჩნეული. პირველი ფრანგული მსოფლიო გეოგრაფია 1810-1829 წლებში ექვს ტომად გამოიცა. მსოფლიო გეოგრაფიის ბოლო ტომი კონრად მალტ-ბრუნის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა გამოსცა. მალტ-ბრუნის მსოფლიო გეოგრაფიას ხარვეზების მიუხედავად, დიდი წარმატება მოჰყვა და დიდწილად შეუწყო ხელი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი დისციპლინის - გეოგრაფიის განვითარებას.

მსოფლიო გეოგრაფია მოიცავს მსოფლიოს ყველა კუთხის აღწერილობას, ძველი და თანამედროვე ხალხების ისტორიასა და გეოგრაფიას, მათემატიკური, ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრა-

ფიის ზოგად თეორიას; ასევე, ანალიტიკურ ცხრილებს, სახელთა, ადგილთა, მთებისა და ზღვების დასახელებების ანბანზე დალაგებულ ცხრილს და სხვ.

მოსხენებაში განხილული იქნება კონრად მალტ-ბრუნის მსოფლიო გეოგრაფიის მეორე, შესწორებული და შევსებული გამოცემის მე-5 ტომში დაცული ცნობები კავკასიის რეგიონის აღწერილობის, მათ შორის საქართველოს, „დიდი აბაზიის“ (აბაზგია), იმერეთის, სამეგრელოს, შირვანისა და სომხეთის შესახებ. ყურადღებას გავამახვილებთ გეოგრაფიის წყაროებზე: ანტიკური და XVIII-XIX საუკუნეების ავტორთა მონაცემებზე, რომლებსაც მალტ-ბრუნი ეყრდნობა თავის გეოგრაფიაში.

## **თამარ ლეკვეიშვილი**

(საქართველო, თბილისი)

### **ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანი - საქართველო-ირანის ურთიერთობები შაჰ აბას I-ის მმართველობის პერიოდში**

ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის XVII საუკუნის სპარსული წყარო შაჰ აბას I -ის (1587-1629) მმართველობის პერიოდის შესახებ წარმოადგენს ფაზლის დაკარგულად მიჩნეული ქრონიკის - „აფზალ ალ-თავარიხის“ (მშვენიერი ისტორია) მესამე ნაწილს, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლოს კემბრიჯში, ქრაის ქოლეჯის ბიბლიოთეკაში ინგლისელი ირანისტი, ჩარლზ მელვილის მიერ იქნა მიკვლეული.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი წყარო არამხოლოდ სეფიანთა ირანის პერიოდის შესახებ, არამედ ამ პერიოდის საქართველოს და, ზოგადად, კავკასიის ისტორიის უკეთ გასაგებად.

ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანი, ავტორი ამ ქრონიკებისა, წარმოშობით ესფაჰანიდან იყო. მის ნათესავებს ძირითადად მაღალი თანამდებობები ეკავათ. ფაზლის კარიერაც თავიდანვე კავკასიასთან და კერძოდ საქართველოსთანაც იყო დაკავშირებული. იგი იყო კახეთის მმართველის, ფეიქარ ხანის ვეზირი ყიზილბაშების ბატონობის პერიოდში (1616-1625). ამიტომ იგი სეფიანთა ირანისა და საქართველოს იმდროინდელი მოვლენების დიდი ნაწილის თვითმხილველია.

თხზულებაში ვრცლადაა მოთხრობილი შაჰ აბასის მმართველობის დროს განვითარებული მოვლენების შესახებ, განსაკუთრებული და დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს.

ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებლობა, წარმოგვედგინა რამდენიმე ცნობა ამ ისტორიული წყაროდან თარგმანითურთ და გაგვემახვილებინა ყურადღება მასში არსებულ გარკვეულ ინფორმაციულ შეუსაბამობებზე. ვაგრძელებთ რა მუშაობას ფაზლის ქრონიკის ქართულ თარგმანსა და სამეცნიერო შესწავლაზე, ამჟამად წარმოგიდგენთ ორ პასაჟს ირან-საქართველოს პოლიტიკური, ასევე სამეფო ოჯახების ურთიერთობების შესახებ და მის შედარებით ანალიზს ქართულ წყაროებთან მიმართებაში.

## **კონსტანტინე ლერნერი**

(ისრაელი, იერუსალიმი)

### **„არიან ქართლი“-ს შესაძლო ადგილმდებარეობისათვის**

ქართული ისტორიოგრაფიული ტრადიციის მიხედვით, ქართლის პირველი დი-ნასტია წარმომავლობით თითქოს მითური ქვეყნიდან - არიან ქართლიდან უნდა იყოს: „ ესე აზო წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა...“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

ამავე წარმომავლობისაა ქართლის სამეფო პანთეონის ღვთაებაც - გ ა ც ი: „და თანაჰყვანდა კერპნი ღმერთად - გ ა ც ი და გაიმ“ (იქვე); და კიდევ, უკვე ფარნავაზიანთა დროს გ ა ც ი სამეფო პანთეონის მეორე ( არმაზის გვერდით) ღვთაებად მოგვევლინება: „და აჰა, დგა კაცი ერთი

სპილენძისაი (არმაზი - კ. ლ.)... და მარჯულ მისა კერპი ოქროსაი და სახელი მისი გ ა ც ი... რომელი იგი ღმერთად ჰქონდეს მამათა თქუენდა ა რ ი ა ნ ქ ა რ თ ლ ა დ“ („ნინოს ცხოვრება“).

ამავე დროს გ ა ც ი ისტორიულად რეალურ ახლოაღმოსავლურ ღვთაებას წარმოადგენს, რომლის ტაძარი ძვ. წ. აღ. XII ს. ასურულ ლურსმულ წარწერაშია ნახსენები: „მე, იტიტიმ, უმაღლესმან მსაჯულმან და ინიზბალას ძემ, ეს (ნივთი - კ. ლ.) გ ა ც ი ს საგანძურიდან ჩემს ნადავლიდან შევსწირე უმაღლესს ქალღმერთს ინანას“ (ARI). ამდენად, ძვ. წ. აღ. II ათასწლეულში ასურეთის რომელღაც მეზობელ ქვეყანაში არსებობდა გ ა ც ი ს ტაძარი, რომელიც ასურელმა მოხელემ დალაშქრა.

ამავე დროს ცნობილია, რომ ხურიტების ერთ-ერთ სახელმწიფოს, მიტანის (ან მატიენას) ნენტრალურ ოლქს სწორედ გ ა ც ი ს სახელი ერქვა - გ ა ც უ რ ა (Openheim).

ასურულ სალაშქრო წარწერებში ხურიტების ძველ ეთნიკურ ტერიტორიას ტიგროსისა და ეფრატის ზემო ნელში ნ ა ი რ ი ეწოდებოდა და ამ სხვადასხვა ეთნოსით დასახლებულ რეგიონთან დაკავშირებულია ქართველური ტომის ტ ა ო ხ ე ბ-ის ისტორიაც. ასურეთის მეფის ტიგლატპილისერ I (1115 – 1079) ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ: „მე დავიპყარი ნ ა ი რ ი ს ვრცელი ქვეყანა ვიდრე დ ა ი ე ნ უ (დიაუხი // ტაოხი - კ. ლ.) მიწამდე და ზემო ზღვამდე დასავლეთში“ (ARI; „ზემო ზღვა“ ამ კონტექსტში ვ ა ნ ი ს ტბას გულისხმობს).

იმავე მეფის სხვა წარწერით, იმავე პერიოდში, იქვე მდ. ტიგროსის ზემო ნელში ვრცელ მთიან რეგიონში სხვა ქართველური ტომიც - მ უ შ კ უ (მეშეხი // მესხი) ბინადრობდა (ლერნერი 2017). ამ ცნობისა და გაცის წარმომავლობის გათვალისწინებით მაღალი ალბათობით სრულიად რეალური ქვეყანა ა რ ი ა ნ ქ ა რ თ ლ ი სწორედ ამ რეგიონში, ვანისა და ურმია ტბებს შორის, უძველეს ხურიტულ ეთნო-დიალექტურ ტერიტორიაზე უნდა ვიგულისხმოთ.

ა რ ი ა ნ ქ ა რ თ ლ ი ს ამგვარი ლოკალიზაცია თითქმის ზუსტად ემთხვევა თ. გამყრელიძეს მიერ მოხაზულ ქართველურ ტომთა განსახლების ისტორიულ არეალს (გამყრელიძე 1984).

## ჰაიკე ლიბაუ

(გერმანია, ბერლინი),

## მარინა ანდრაზაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### კავკასიელი/ქართველი ტყვეების აუდიოჩანაწერები გერმანიის ბანაკებში (1915-1918)

წინამდებარე გამოკვლევების ობიექტია პირველ მსოფლიო ომის მონაწილე კავკასიელი/ქართველი ტყვეების აუდიოჩანაწერები, შესრულებული მანჰაიმის, ორდრუფის, მიუნსტერის, პუხჰაიმის, ზაგენის და გერმანიის ტერიტორიაზე მდებარე მრავალ სხვა ბანაკში. გამოკვლევების მიზანია ამ ჩანაწერთა ანალიზი-შეფასება, ერთი მხრივ, ისტორიულ ქრილში მსოფლიო მოვლენების კონტექსტში, მეორე მხრივ კი, ლინგვისტიკისა და ლინგვოდიდაქტიკის პოზიციებიდან.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანიაში მოქმედ ბანაკებში თავმოყრილი იყო მსოფლიოს ყველა კუთხის სრულიად სხვადასხვა ერისა და ეროვნების, ასევე სხვადასხვა პროფესიის რამდენიმე მილიონი ადამიანი. ზოგიერთი ბანაკი გამოირჩეოდა საგანგებო დანიშნულებით, ანუ გამოიყენებოდა ამა თუ იმ პროფილით პროპაგანდის წარმოების მიზნით; ნიმუშად საკმარისია დავასახელოთ ნახევარმთვარის (Halbmondlager) ბანაკი ვიუნსდორფში, გაერთიანება ვაინბერგის ბანაკი (Weinberglager) ცოლენში. ცალკე მსჯელობის საგანია, თუ რაოდენ იზიდავდა მსგავსი ბანაკები იმ დროის გერმანელ მეცნიერებს მათთვის ერთობ უცხო და მიმზიდველი ისტორიოგრაფიული, ანთროპოლოგიური, ეთნოლოგიური, თვით ლინგვისტური და ხელოვნებათმცოდნეობითი ან მუსიკათმცოდნეობითი კუთხით კვლევების ჩასატარებლად; საამისოდ ისინი უფლებას მოიპოვებდნენ გერმანიის



სამხედრო ინსტიტუციებთან შეთანხმებით საგანგებო საშვის გაცემის საფუძველზე. სავარაუდოდ, მეცნიერთა ესოდენი დაინტერესება იმითაც უნდა აიხსნას, რომ იმდროინდელ მსოფლიოში გადაადგილებისთვის არსებული არასახარბიელო პირობები ნაკლებად აძლევდა მათ საშუალებას, კვლევები ეწარმოებინათ უშუალოდ ადგილზე, შორეულ უცხოეთში, გერმანიის საზღვრებს მიღმა.

წინამდებარე გამოკვლევა ძირითადად ეფუძნება ცვილის ფირფიტებზე გადატანილ ხმოვან ჩანაწერებს, რომელთა შეგროვების ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო გერმანელი ანგლისტი ვილჰელმ დიოგენი (1877–1967), უშუალოდ კავკასიის რეგიონის ტყვეების ჩანაწერებს კი მეურვეობა და კავკასიოლოგი და ქართველ ტყვეთა ქომაგი ადოლფ დირი (1867–1930). ამ მეცნიერთა მამოძრავებელი პირველადი მოტივი იყო სხვადასხვა ეთნოსის ენობრივ-კულტურული სიმდიდრის, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის, შენარჩუნება-დაკონსერვება; ძირითადი ამოცანა – მათი აღწერა სხვადასხვა კრიტერიუმთა (მათ შორის სოციოლინგვისტურის) გათვალისწინებით; მომდევნო ეტაპზე დაგეგმილი იყო ჩანაწერთა დიდაქტიზება და მათი ჩართვა უცხო ენათა სწავლების პროცესში. ამდენად, ზემოხსენებული ორივე მეცნიერი, ისევე როგორც მათი თანამოაზრენი, შეიძლება მივიჩნიოთ მსოფლიოში ენების სწავლების აუდირების მეთოდის იდეის მატარებელ პიონერებად. ზემოხსენებული ჩანაწერები ამჟამად ინახება ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ აუდიოარქივში.

## პაველ ლიბერა

(პოლონეთი, ვარშავა)

### ქართული კომიტეტი პოლონეთში (1922-1939 წწ.)

სტატია ეხება ომთაშორის პერიოდში პოლონეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ორგანიზაციის „ქართული კომიტეტის“ საქმიანობას. კომიტეტი დაფუძნებული იყო ვარშავაში და ორგანიზებას უწევდა ემიგრანტების პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ საქმიანობას. კომიტეტი ასევე დაკავებული იყო პოლონეთში მყოფი ქართველი სტუდენტების ფინანსური დახმარებით. იგი საქმიანობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე.

ქართული ემიგრაცია პოლონეთში ომთაშორის პერიოდში არც თუ ისე მრავალრიცხოვანი იყო (რამდენიმე ასეული ადამიანი), მაგრამ ძალიან აქტიური იყო. პოლონეთში ემიგრირებული იყვნენ: ქართველი სამხედროები, პოლიტიკოსები, მწერლები და ჟურნალისტები. ეს იყო პოლიტიკური ემიგრაცია, რომელიც ბოლშევიკური ოკუპაციის გამო საქართველოდან წავიდა. პოლონეთში ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ორგანიზაცია იყო ქართული კომიტეტი. მას სხვა ქალაქებში ფილიალები არ ჰქონდა და მხოლოდ ვარშავაში მდებარეობდა. კომიტეტი ორგანიზებას უკეთებდა ემიგრანტების პოლიტიკურ ცხოვრებას და აწყობდა სხვადასხვა ღონისძიებებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად (მაგალითად, 1924 წ.). ქართული კომიტეტი თანამშრომლობდა პრომეთეს კლუბთან, სხვა ემიგრანტებთან კავკასიიდან და საბჭოთა რუსეთის მიერ დამონებული ქვეყნებიდან. კომიტეტი პოლიტიკური საქმიანობის გარდა ეხმარებოდა პოლონეთში მყოფ ქართველ სტუდენტებსაც. კომიტეტმა მიიღო დაფინანსება პოლონეთის მთავრობისგან და თანხის მოსაპოვებლად წელიწადში ერთხელ აწყობდა „ქართულ საღამოს“ ვარშავაში. 1936 წელს კომიტეტმა მოაწყო ზეიმი შოთა რუსთაველის პატივსაცემად და მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსანი“ პოლონური თარგმანის მომზადებაში. კომიტეტი მოქმედებდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. ისტორიკოსებს აქამდე არ გამოუკვლევიათ ქართული კომიტეტის ისტორია, რადგან ამ საკითხზე არქივში ცოტა დოკუმენტია. როგორც პოლონეთის სოციალური დაცვის სამინისტროს ინსპექტირებამ აჩვენა, კომიტეტი კარგად არ ინახავდა დოკუმენტაციას და არქივს. მხოლოდ 1930-იანი წლების შუა ხანებში დაიწყო შეხვედრის ოქმების მომზადება. პოლონურ არქივში დაცულია პოლონეთში საქართველოს კომიტეტის საქმიანობის შესახებ რამდენიმე დოკუმენტი, მაგრამ ისინი ამ ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი საქმიანობის განხილვის საშუალებას იძლევა. რა თქმა უნდა, მეტი ინფორმაცია მოიპოვება ქართულ არქივებში, რომლებიც უცნობია პოლონელი მეცნიერებისთვის.

## ვახტანგ ლიჩელი (საქართველო, თბილისი)

### ერთი მოსაზრება ორი არქეოლოგიური ფაქტის შესახებ

გრაკლიან-ფაქტი დადასტურდა; გრაკლიანის აღმოჩენებს საქართველოს ძველი ისტორიის-თვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ძველი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: სამაროვანი და ნამოსახლარი. გორაზე, რომელიც მრავალფენიანი ძველია და რომელზეც დადასტურებულია 11 სხვადასხვა პერიოდის ნაშთი პალეოლითიდან (დაახლოებით 1 800 000 წელი) ვიდრე ადრექრისტოვანულ ხანამდე (ახ.წ. IV-V საუკუნეები), უკანასკნელ წლებში ორი უაღრესად საინტერესო ფაქტი გამოვლინდა.

სამაროვანი. გათხრილია 365 სამარხი და მოიცავს პერიოდს ადრე ბრინჯაოს ხანიდან (ძვ.წ. IV ათასწლეული) ვიდრე ახ.წ. IV-V საუკუნეებამდე. ტოპოგრაფიის თვალსაზრისით სამაროვანი ორ ძირითად ნაწილად იყოფა - I და II ტერასებზე განლაგებულია ძირითადად, ბრინჯაოს ხანის, ხოლო III და IV ტერასებზე – აქემენიდური და პოსტ-აქემენიდური ხანის სამარხები.

ნამოსახლარი. არქიტექტურული ნაშთები, რომლებიც ფუნქციურად სხვადასხვაგვარია (საცხოვრებელი, სამეურნეო, საკულტო, სანარმოო), ძირითადად, განეკუთვნება ძვ.წ. II-I ათასწლეულებს. გაცილებით ადრეული შენობები განადგურებულია სწორედ ამ ხანის ნაგებობების მშენებლობის დროს.

დღეისათვის მხოლოდ III და IV ტერასებზე გამოვლენილია 17 ნაგებობა.

პირველი არქეოლოგიური ფაქტი: წარწერა - ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულისა და I ათასწლეულის დასაწყისის შენობები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ ხანის სამლოცველოში აღმოჩენილი წარწერების კონტექსტში. განსაკუთრებით საყურადღებოა წარწერა „B“, რომელიც ძვ.წ. X საუკუნით თარიღდება. გრაფიკული თვალსაზრისით იგი ახლოა არამეულთან, თუმცა გვხვდება განსხვავებული ნიშნებიც. 2018 წელს აღმოჩნდა ქვის ლანგარზე ამოკვეთილი „B“ წარწერის ასოებით შესრულებული კიდევ ერთი მოკლე წარწერა, რომელშიც, ჩემი აზრით, საუბარია იმაზე, რომ ამ ქვის ლანგარში ორი „იბერიული მინა“ ხორბალი (ანუ 2X363 = 726 გრ.) ეტევა.

მეორე არქეოლოგიური ფაქტი: საწონები - გრაკლიან გორაზე აღმოჩნდა საწონების დიდი რაოდენობა, რომლებიც ექვსი სხვადასხვა ფორმით გამოირჩევა. ყველა მათგანი 363 გრამის ჯერადია. ეს არის ადგილობრივი წონის ერთეული (მე მას „იბერიული მინა“ ვუწოდებ), რომელიც ქრონოლოგიურად წარწერების გამოყენების ხანას ემთხვევა და მეორე უმნიშვნელოვანეს ინტელექტუალურ ინოვაციას წარმოადგენს (შეად. ზემოთ ნახსენები სანყაო, რომლის ტევადობა არის ორი იბერიული მინა) ცნობილია, რომ მას შეუძლია უჩვენოს აზროვნების შესაძლებლობა აბსტრაქტული რიცხვებისა და კომპლექსური მათემატიკური ურთიერთობების თვალსაზრისით; ამასთან, ის ხელს უწყობს მეცნიერების წარმოშობის ჩანასახების წარმოჩენას. გარდა ამისა, აღიარებულია, რომ საწონებისა და წონის სისტემის აღმოჩენა არის კაცობრიობის ადრეული ინტელექტუალური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტია.

ამდენად, ამ ორი არქეოლოგიური ფაქტის შესახებ (წარწერა, საწონები) მხოლოდ ერთი მოსაზრება შეიძლება არსებობდეს: ეს ფაქტები რეალური დასტურია იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში) მცხოვრები საზოგადოება ძვ.წ. X საუკუნეში სარგებლობდა ყველა იმ ინტელექტუალური მიღწევით, რითიც მახლობელი აღმოსავლეთი დაწინაურებული სახელმწიფოები, რაც ერთი მხრივ, ადგილობრივი საზოგადოების მაღალი ინტელექტუალური განვითარების დასტურია, ხოლო მეორე მხრივ, უჩვენებს იმას, რომ საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა მისულია სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის დონემდე.

## თამარ ლომთაძე, გიორგი გოგოლაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### ებრაელთა ქართულის სტატუსი: საკითხის მნიშვნელობისათვის

ქართველ ებრაელთა ქართული მეტყველების შესწავლას ორმხრივი ინტერესი ახლავს: ერთი მხრივ, ქართველოლოგიური და, მეორე მხრივ, სემიტოლოგიური; ორივე ეს მხარე თავისთავად მოიცავს სხვადასხვა ასპექტს: თეორიული ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, დიალექტოლოგიისა თუ კულტუროლოგიის თვალსაზრისით...

ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლა დაწყებული იქნა მეოცე საუკუნის დასასრულს; დღეისათვის მიღებულია საინტერესო შედეგები; წარმოჩნდა საკვლევე პრობლემებიც; უპირველესად – რა არის ქართველ ებრაელთა მეტყველების სტატუსი? ეს პრობლემა საინტერესოა, ერთი მხრივ, ქართული დიალექტოლოგიის პოზიციებიდან (1) და, მეორე მხრივ, „ებრაული ენების“ გადასახედიდან (2).

ებრაელთა მეტყველების სტატუსის გარკვევას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველური ენობრივი სივრცის აღწერის სრულყოფისათვის; მეორეც, ქართველ-ებრაელთა მეტყველების ადგილის განსაზღვრისათვის „ებრაელთა ენების“ არსებულ კლასიფიკაციაში.

XX საუკუნეში ებრაელთა კომპაქტური დასახლებები არსებობდა მთელ საქართველოში; შესაბამისად, ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ სხვადასხვა ქართველურ დიალექტურ გარემოში: ამ თვალსაზრისით (1) პასუხგასაცემია კითხვები: ა) როგორია სხვადასხვა კუთხის ქართველ ებრაელთა მეტყველების მიმართება იმ ქართულ დიალექტთან, რომლის ნიაღშიც ის არსებობს? ბ) რა არის საერთო და რა – განსხვავებული სხვადასხვა კუთხის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში; გ) ქართველ ებრაელთა ქართული მეტყველება ერთი ნაირსახეობაა ქართული ენისა თუ არა?

სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ებრაელთა მეტყველების შესასწავლად ჩამოყალიბდა „ებრაელთა ენების შედარებითი ლინგვისტიკა“; ჯერ რუსეთისა და შემდგომ საბჭოთა იმპერიების ეროვნულ-ენობრივი პოლიტიკის გამო ქართველ-ებრაელთა მეტყველების შესწავლა საერთო მიზანს გამოეთიშა. ეს გზა გასავლელია, რაც, ერთი მხრივ, ლინგვისტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება და, მეორე მხრივ – პრესტიჟი.

## მაია ლომია, რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი, ნინო ჭუმბურიძე

(საქართველო, თბილისი)

### ორმაგი უარყოფის ქრონოლოგიური უწინარესობის საკითხი:

### ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართება

უარყოფა უნივერსალური და რთული კატეგორიაა; იგი სხვადასხვა ენობრივ დონეზე გამოიხატება და ფუნქციურ-სემანტიკურად მრავალფეროვანია. უარყოფასთან დაკავშირებული სტილურ-გრამატიკული და პრაგმატიკული პროცესები ყოველთვის ერთნაირად არ არის გამოხატული თვით მონათესავე ენებში. ერთ-ერთი ასეთი მოვლენაა **ორმაგი უარყოფა** (უარყოფის ინტენსიფიკაცია), რომელიც განსხვავებულადაა წარმოდგენილი ქართველურ ენებში; კერძოდ, დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენისთვის, ხოლო სხვა ქართველურ ენებში (მეგრულში, ლაზურსა და სვანურში) არ დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ორმაგი უარყოფა (წინადადებაში ერთდროულად უარყოფის გამოხატვის ორი საშუალება) ძველი ქართული ენის ორიგინალურ და თარგმნილ ძეგლებში X-XI საუკუნეებამდე არ მოგვეპოვება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ორმაგი უარყოფის გაჩენა ენაში ადამიანის ცნობიერი სფეროს დაკვეთაა. საჭიროების დროს არასალიტერატურო ქართველური ენები ორმაგი უარყოფის ეფექტს სხვა ენობრივი საშუალებებით აღწევენ და არ მიმართავენ საკუთრივ ორმაგ უარყოფას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ესა თუ ის ენობრივი მოვლენა დიალექტ-

ტებსა და არასალიტერატურო ქართველურ ენებში მსგავსი საშუალებებით არის გამოხატული, რაც სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც დიალექტებიც და არასალიტერატურო ენებიც ზეპირმეტყველების ქარგაზეა აგებული. მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მონაცემების, ასევე ქართული ენის ზოგიერთი დიალექტის მონაცემთა გათვალისწინებითაც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სალიტერატურო ენაში ორმაგი უარყოფის ჩამოყალიბება დიალექტების საფუძველზე არ უნდა მომხდარიყო.

## **ჰიროტაკე მაედა**

(იაპონია, ტოკიო),

## **თამარ ლეკვეიშვილი**

(საქართველო, თბილისი)

### **ქაიხოსრო სააკაძის, გიორგი სააკაძის ძმის, ცხოვრებაზე**

ქაიხოსრო სააკაძე გიორგი სააკაძის ძმა იყო. ქაიხოსროს სახელი რამდენიმე ქართულმა დოკუმენტმა შემოგვინახა და მისი ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ფაზლი ხუზანი, სპარსი მოხელე და ისტორიკოსი, თავის ნარომში *Afzat al-Tavarikh* აღნიშნავს, რომ ქაიხოსრო სააკაძე დაიღუპა ბაღდადის ალყისას, 1623 წ. ჩვენს მოხსენებაში, ქართული და სპარსული წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, წარმოვაჩინეთ ქაიხოსრო სააკაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მისი, როგორც ყველაზე ძლიერი ქართველი თავადის ძმის, საქმიანობა კარგად აჩვენებს აღნიშნული ხანის საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარებას.

## **ვენერა მაკარიანი, ანი ავეტისიანი**

(სომხეთი, ერევანი)

### **დაღესტანთან დაკავშირებული ხელნაწერები: ისტორია, ენა (მატენადარანის არაბულ ხელნაწერთა კოლექცია)**

მოხსენებაში წარმოდგენილია ექვსი ხელნაწერი, რომლებიც დაღესტანს შეეხება. ხელნაწერები შესრულებულია არაბული დამწერლობით; ინახება მესროპ მაშტოცის სახელობის მატენადარანში.

ხუთი ხელნაწერი „დერბენტ-ნამეს“ XIX საუკუნის პირია. ორი პირი შესრულებულია არაბულ ენაზე, ორი - ოსმალური თურქულით, ერთიც - ლაკურ ენაზე, რომელსაც ოსმალურ-თურქული თარგმანიც ახლავს. ხელნაწერები სამ სხვადასხვა კრებულშია მოთავსებული.

მეექვსე ხელნაწერი თემატურად არ უკავშირდება დასახელებულ კრებულებს, მაგრამ ენობრივად ისიც დაღესტანს შეეხება. ეს არის ალი ალ-ქაბირ ალ-ყუმუხის რელიგიური შინაარსის ნაშრომი „მუხთასარ ალ-სალირ“ დალის ენაზე.

მომხსენებლები ყურადღებას ამახვილებენ ხელნაწერთა მნიშვნელობაზე, მათ კოდიკოლოგიურ და ტექსტოლოგიურ თავისებურებებზე.

მოხსენება დაინტერესებს დაღესტანის ისტორიითა და ენით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

## გორ მარგარიანი

(სომხეთი, ერევანი)

### შუა საუკუნეების საგადასახადო ტერმინები: ხალაი, ღალა და ყალანი

მოხსენების მიზანია, გაარკვიოს საგადასახადო ტერმინის ხალაი ეტიმოლოგია და მნიშვნელობა, ხალაის, როგორც ვალდებულების, მოქმედება სომხეთში განვითარებულ შუა საუკუნეებში; ახსნას, აგრეთვე გადასახადის შემოღების მექანიზმი და სუბიექტები. ეს ტერმინი ნაკლებად არის ცნობილი; ძირითადად, XI-XII სს. ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასტურდება და მისი არსი ბოლომდე არ არის გარკვეული. არსებობს მცდელობა, ტერმინი განიმარტოს როგორც ღვინოზე ან ვენახზე დაწესებული გადასახადი. ეს ვალდებულებაც გაიგივებულია სხვა ცნობილ გადასახადებთან. ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა ტერმინი და მისი მნიშვნელობა საქართველოში დამონშემული გადასახადის ღალა შესწავლის გზით. ღალა ცნობილია არაბთა ბატონობის დროიდან. უკვე XIX ს-ის დასაწყისიდან ცდილობენ ახსნან ღალას, როგორც გადასახადის რაობა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, თუმცა ამ ტერმინის განმარტება არ ყოფილა ბოლომდე გამოკვლეული. ამიტომ, ჩვენ, ღალასა და ხალაის პარალელურ შესწავლასთან ერთად, თავს მოუყურით და განვიხილავთ ადრე გამოთქმულ თვალსაზრისებს და განმარტებებს; წარმოვადგენთ დასაბუთებულ დასკვნას ჩვენთვის საინტერესო მოვლენაზე.

## პარმენ მარგველაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### რუსთველის ტექსტის „დაუსრულებლობის“ გამო

ვეფხისტყაოსნის ყველა, ვრცელი თუ მოკლე რედაქცია, მათ შორის ვახტანგისეული და ე.წ. „არტანუჯული“ ვერსიები, სხვადასხვა სისრულით, მაგრამ აუცილებლად გვთავაზობს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში დაბრუნებისა და გამეფების ამბავს და თავისებურად ცდილობს ტექსტის კომპოზიციურად „შეკვრას“ თუ დასრულებას, მაგრამ არც ერთი ეს ამბავი არ უნდა ეკუთვნოდეს რუსთველს – ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში დაბრუნება და მათი გამეფება არის რუსთველის ტექსტით ინიციირებული, მაგრამ არა რუსთველის, არამედ სხვათა მიერ „შეთავებული“ ამბავი.

დაბოლოების ნაწილში ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა და გამოცემათა ერთმანეთისაგან განსხვავებულობა და რუსთველის ტექსტის „პირველ წიგნად“ სახელდების ტრადიცია განაპირობა რუსთველის ტექსტის განზრახ „დაუსრულებლობამ“, პოემის დედნის სემანტიკურმა სტრუქტურამ, რომელიც არის რუსთველის განზრახვითი ქმედების, რუსთველური „შაირობის“ არსებითი რესურსი და მექანიზმი.

რუსთველის ტექსტის „დაუსრულებლობის“ შთაბეჭდილების წყაროა მისი ფუნქციური დანიშნულება და „შაირობისთვის“ მოხმობილი ლიტერატურული ხერხი, რომელიც ეფუძნება მოშაირეთათვის ისეთი დასრულებული ვერბალური საკომუნიკაციო ერთეულის შეთავაზებას, რომელიც პროლოგთან ძირითადი ტექსტის თავსებადობის გადამონშემბას, განსჯასა და ძიებას ახალისებს. რუსთველის ტექსტი არის დიალოგური კომუნიკაციისათვის გათვალისწინებული სასწავლო-სახელმძღვანელო ფუნქციური დანიშნულების დასრულებული ენობრივი ერთეული, „ამბის დასაწყისი პირველი“, „პირველი წიგნი“ სწავლისათვის მოშაირეთასა, თანამედროვე ტერმინოლოგიით კი, რეფერენციის ობიექტად გამიზნული ტექსტი, რომელიც ადრესატს, ერთი მხრივ, წარმოუჩენს და განუმარტავს რეფერენციის ელემენტს, ვეფხისტყაოსანს, და, მეორე მხრივ, აძლევს საყრდენ პლატფორმას ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მიჯნურობის პერსპექტივის განხილვისათვის და რუსთველის საღმრთო „შაირის“ საღმრთოდ გაგონებისა და შესმენისათვის.

როსტევიანის მიერ თინათინისა და ავთანდილის ცოლ-ქმრობის კურთხევითა და ავთანდილის გახელმწიფების მნიშვნელოვანი აქტით, რუსთველმა არაბეთში დაწყებული ამბავი არაბეთშივე დაასრულა და სანიმუშოდ სრულქმნა. მან, ორგანიზაციის სიუჟეტში, დაკარგვა-ძებნა-პოვნის მითოლოგიური სქემის შესატყვისად ასევე დაასრულა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მიჯნურობის ამბავი, მაგრამ მათი ინდოეთში დაბრუნების პრობლემა, როგორც განსჯის, ანალიზისა და ამოხსნისათვის შექუჩებულ ამოცანათა კრებული, გამონვევად განუსაზღვრა და შესთავაზა მოშაირებს. სწორედ ამ თვალსაზრისით და ამ პირობით, ამ პრაგმატიკის გათვალისწინებით არის მტკიცედ სტრუქტურირებული წამახალისებელი რიტორიკული დისკურსი „რუსთველური შაირი“ „დაუსრულებელი“.

## მაგომეტბაშირ მათიევი

(რუსეთი, ინგუშეთი, მაგასი)

### ინგუშური ნართების ეპოსის ეთნოგრაფიული რეალიები

როგორც ცნობილია, ინგუშური ნართების ეპოსი ერთ-ერთხ ყველაზე ძველია. ფორმირებისა და განვითარების პროცესში, მან ერთგვარად შთანთქმა მანამდე არსებული, გაცილებით უფრო ძველი ფოლკლორული ჟანრები. არაერთი მეცნიერის (მაგალითად ე. კრუპნოვი, უ. დალგატი, ი. დახკილგოვი, ა. მალსაგოვი, ა. გუტოვი და სხვ.) აზრით, ინგუშური ნართების ლეგენდები ოდესღაც სიმღერებისა და პროზაული ფორმებით არსებობდა, თუმცაღა მათი ჩანერა და გამოქვეყნება მხოლოდ მე-19 საუკუნის მიწურულსა და 20- საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო, რა დროსაც ეპოსის სასიმღერო ვერსიები უკვე დავიწყებული იყო. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ინგუშური ნართების ლეგენდების პროზაულ ვერსიებშიც კი უამრავი საინტერესო ეთნოგრაფიული ფაქტია შემორჩენილი.

ისინი განადიდებენ და აიდეალებენ ზოგიერთ ცხოველსა და ფრინველს, მაგალითად მგელს, შავარდენს, ირემსა და მტრედს. თითოეული მათგანი ეპიკური გმირების შემწეები არიან. შავარდენი გმირს გზას უჩვენებს, მტრედი გმირის დედას მისი ზიანის შესახებ აცნობს და ა.შ.

საგმირო ეპოსის ენაში წარმოდგენილია მთელი რიგი ნიშნებისა, რომლებიც არც ინგუშური ფოლკლორის სხვა ჟანრებში და არც თანამედროვე ინგუშურ ენაშია წარმოდგენილი. გავეცნოთ რამდენიმე მაგალითს:

siig sanna koacha dy - ნაპერწკალივით ცხელი რაში;

laddal goamyenna - მშვილდივით მოიდრიკა;

Siina of Khokkha - ლურჯი, როგორც მტრედი;

czechka (mass) malar - სწრაფად მათრობელი სასმელი;

yilbazi buka t1a selahashk va sanna - როგორც ელვა იბლისის ზურგზე.

განსაკუთრებით საინტერესოა ინგუშური ეპოსის შემდეგი ეპიზოდი: გმირის დას ატყობინებენ ძმის გარდაცვალებას. იგი იმდენად დათრგუნულია მწუხარებით, რომ არ ძალუძს ტანის სწორად დაჭერა და ამაგრებს მას „იბლისის კლანჭებით“ (yilbaza m1arash) ანუ ხის ან ლითონის ფირფიტებით. ინგუშური ფოლკლორის არცერთ სხვა ჟანრში მსგავსი არაფერია ნათქვამი.

ეპოსში უამრავი ჰიპერბოლაა გამოყენებული. მათი უმეტესობა საგმირო საქმეების აღწერისას გვხვდება. მაგალითად, კალოი კანტი კლდის უზარმაზარ ლოდებს ყრის თერგში; გამოქვაბულს ხერგავს იმხელა ფილებით, რომ 63 მონინალმდეგესაც არ შეუძლია მისი ადგილიდან დაძვრა.

თერგს სიმღერებში ბევრ ადგილას ვხვდებით. ის ერთგვარ ზღვარს წარმოადგენს „ჩვენსა“ და „მონინალმდეგის“ სამყაროებს შორის. მას ალერსიანად მიმართავენ და ლურჯთვალეებას უწოდებენ; გმირები უფროსი თანამებრძოლივით ესალმებიან.

ეპოსში ასევე ხშირია სისხლიანი შურისძიების მაგალითებიც. ისინი ეპიკური გმირის იდეალიზაციის განმტკიცების ელემენტებს წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც გმირი მონინალმდეგეს

ღია და პატიოსან ბრძოლაში კლავს, არ შეურაცხყოფს მიცვალებულის გვამს, მას გარეული ცხოველებისა და ფრინველებისაგან მალავს და ა.შ. ამდენად, ის კეთილშობილურად იქცევა. წარმოდგენილი მაგალითები უჩვენებს, რომ ინგუშური ნართების ეპოსი ღირებული ეთნოგრაფიული წყაროა.

## გიორგი მაჭარაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### ავტოკეფალია და ეკლესიოლოგია

2019 წლის იანვარში კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ავტოკეფალია მიანიჭა უკრაინას, რამაც ბევრი წინააღმდეგობა და უთანხმოება გამოიწვია. მართლმადიდებელი ეკლესიების უმეტესობამ (ჯერ კიდევ) არ ცნო უკრაინის ავტოკეფალია, მათ შორის საქართველომ.

ავტოკეფალიას სხვადასხვა ასპექტი აქვს (კანონიკური, ეკლესიოლოგიური, ისტორიული და ეროვნული). თვით ავტოკეფალიის ცნების განსაზღვრებაც კი არ არის მარტივი. განსხვავებული მიდგომებია ასევე ავტოკეფალიასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხთან, მაგალითად: ვის აქვს ავტოკეფალიის მინიჭების უფლება? არის ეს მუქმივი/სტატიკური კანონიკური სტატუსი, თუ შესაძლებელია მისი გაუქმება? აქვს თუ არა ავტოკეფალურ სინოდს უფლება, არ დაეთანხმოს კრეტის კრების გადაწყვეტილებებს? პატრიარქ ბართლომეოსის თანახმად, კრეტის კრების დოკუმენტები სავალდებულოა იმ ეკლესიებისთვისაც, რომლებსაც არ მიუღიათ მის მუშაობაში მონაწილეობა. საქართველო ერთ-ერთი მათგანია.

სერბეთის ეკლესიის სინოდმა არ დაუჭირა მხარი კრეტის კრების გადაწყვეტილებებს, მაგრამ სერბეთის პატრიარქმა ხელი მოაწერა მათ. შედეგად, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ სერბეთის ეკლესიამ მიიღო კრეტის დოკუმენტები. ამ შემთხვევაში საკითხი ასე დგება - ვის ეკუთვნის ავტოკეფალური ეკლესიის უმაღლესი ხელისუფლება, მხოლოდ პირველ იერარქს, თუ სინოდს?

სხვა საკვანძო საკითხი, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს ავტოკეფალური ეკლესიების უფლებრივ მდგომარეობას, დაკავშირებულია პენტარქიასთან, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე აღარ არსებობს, მაგრამ მისი ხელახლა შექმნის სურვილი თუ მცდელობა 2011-ში ისევ გამოჩნდა. პენტარქიის წევრებს სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებზე უფრო მეტი უფლებები უნდა ჰქონდეთ. კვიპროსის ეკლესია, რომელსაც ისტორიულად არასოდეს ჰქონია ასეთი სტატუსი, არასოდეს ყოფილა პენტარქიის წევრი (მისი პირველი იერარქი პატრიარქის ტიტულსაც არ ფლობს), ახლა უკვე განახლებული პენტარქიის მეხუთე წევრად განიხილება. ხომ არ ხდება ამით სხვა ავტოკეფალური ეკლესიების კანონიერი უფლებების დაკნინება?

ავტოკეფალიასთან დაკავშირებულ ამ საკითხებს, რელიგიურთან ერთად, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს.

## ნელი მახარაძე

(საქართველო, თბილისი)

### უცნობი ეტიმოლოგიის ბერძნული ლექსემა ἀβέλτερος და მისი ქართველური პარალელები

ბერძნული ენის განმარტებითი თუ ეტიმოლოგიური ლექსიკონების ავტორთა მიერ (სვიდა, დიმიტრაკოსი, ფრისკი, შანტრენი, ბუაზაკი, ბაბინიოტისი...) გაზიარებულია ბერძნული ზედსართავი სახელის **ἀβέλτερος** –ის ლექსიკოგრაფ ჰესიხიოსის (ახ.წ. V ს.) ეტიმოლოგია, რომლის თანახმადაც, აღნიშნული სიტყვის ფუძედ ივარაუდება **ἀγαθός** (კარგი, კეთილი, აზრიანი...) ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხის სუპლექტური ფორმა **βελτίων** (ეპ. იონ. **βέλτερος**), α-

თავსართით ( $\alpha$ -privatium), რომელიც სიტყვას ძირითადი შინაარსის საპირისპირო მნიშვნელობას ანიჭებს (გონიერი – უგონო, უგნური; აზრიანი – უაზრო და ა.შ.). რ. ბეეკესის მოწმობით, ამ ეტიმოლოგიაში მეცნიერთაგან პირველმა შეიტანა ეჭვი ვაკერნაგელმა, რომელმაც თავსართი  $\alpha$  (ალფა) გაურკვეველი წარმომავლობის პრეფიქსად მიიჩნია, ხოლო თავად რ. ბეეკესმა სიტყვის წარმომავლობა საერთოდ დაუდგენლად ჩასთავალა – წინაბერძნული შეიძლება იყოსო.

ამ კონტექსტში ყურადსაღებია ქართველურ ენებსა და დიალექტებში ფართოდ გავრცელებული, ბერძნულთან ფორმით და სემანტიკით თანმხვედრი ლექსემა ბენტერა, უამრავი სიმბოლურ-ექსპრესიული გადატანითი მნიშვნელობებით, ხმაბაძვითი ფონეტიკური გარდასახვებით, სემანტიკური გადასვლებით და, ამავე დროს, ძირეული, საყრდენი მნიშვნელობის შენარჩუნებით, რაშიც იგულისხმება შემდეგი:

**ბენტერა**-ს ჩვენ განვიხილავთ როგორც კომპოზიტს, შედგენილს ორი სრულხმოვნიანი მორფემული ელემენტით და მიმღობის მანარმოებელი საერთოქართველური -ა სუფიქსით: **ბენ-ტერ-ა**, განმარტებით „ბნელად მტრველი“ (ბნელი+ტრვა), ანუ დაბნეულად, უხეიროდ, უგზოუკვლოდ, მოსიარულე, მოხეტიალე, უჭკუო, უაზრო, თავგზააბნეული და მისთანანი. ლექსემის არქაულობას ადასტურებს კომპოზიტის შემადგენელ ძირეულ მორფემათა სრულხმოვნიაობა – (CVC კანონიკური კონსტრუქცია), ლექსემა **ბნელ**-ის საერთო-ქართველური არქეტიპი **\*ბანი||ბუნ>ბნ** – (მ. ჩუხუა, ჰ. ფენრიხი), პოლისემანტიური **ტრვა** ფუძის არქეტიპი **\*ტარი||ტერ>ტრ**, კომპლექსური მეთოდოლოგიით შესწავლილი თ. ცქიტიშვილის მიერ და აღიარებული საერთოქართველურ-ინდოევროპულ იზოგლოსად.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ჰიპოთეზის დამადასტურებელი სათანადო არგუმენტაცია.

## შორენა მახაჭაძე

(საქართველო, ბათუმი)

### ნიაზ ზოსიძის შემოქმედება და “Nonfiction” ჟანრის თავისებურებანი

ნიაზ ზოსიძის შემოქმედება **Nonfiction** ჟანრის ძალიან საინტერესო ნიმუშებს შეიცავს, ესენია: „ნეტაი ადრე მოსულიყავით“ (2018), „გომარჯოს ფერეიდანს“ (2019), „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“ (2020), „ცრემლს ნუ გამატან“ (2020). მათ ერთი საერთო გააჩნიათ: ავტორი გადმოგვცემს თავის მოგზაურობათა შთაბეჭდილებებს, მაგრამ მწერლის მოგზაურობის მიზანი არ არის სხვადასხვა ქვეყნის ღირსშესანიშნაობების გაცნობა/დათვალიერება ან ხალხის ცხოვრების თავისებურებების გაცნობა. მწერალი, ერთგვარად, დროში მოგზაურია, საქართველოს ისტორიის არცთუ ბედნიერი ეპოქის ფურცლებს შლის, იმ ნამსხვრევებსა და ფრაგმენტებს აგროვებს, აკვირდება, სწავლობს, 21-ე საუკუნეში ჯერ კიდევ რომ შემორჩენილა წარსულიდან; ფეხდაფეხ მოივლის და დაედებს წინაპართა ნაკვალევს ტაო-კლარჯეთსა თუ ფერეიდანში. ასე ჩაუდგა კვალში ნიაზ ზოსიძე ირანსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, შეეცადა მათი მინავლებულ-ჩამქრალი ქართული მოგონებების გამოცოცხლებას და სიტყვაში მოქცევას.

რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია ნიაზ ზოსიძის შემოქმედების ანალიზის საფუძველზე? - უპირველესად, ეს ტექსტები ჟანრობრივად “Nonfiction”-ს განეკუთვნება. ამ ჟანრში მთავარია ფაქტის, ამბის მიმართ ავტორის სუბიექტურ-ემოციური დამოკიდებულება, მისეული აღქმა, ხედვა, განწყობა, ის გრძნობები, რომლებსაც რეალურად მომხდარი მოვლენა ინვესს/აღძრავს მასში. ამდენად, თხრობის ის გულწრფელი მანერა, სადა, სწორხაზობრივი, მკაფიო და გასაგები სასაუბრო მეტყველება, რომელიც ასე დამახასიათებელია ნიაზ ზოსიძისთვის, ამ ჟანრის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად უნდა ჩავთვალოთ.

აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი ამ ტიპის ტექსტების კიდევ ერთ თავისებურებას: ფაქტის ობიექტურობა პლუს ხაზგასმული სუბიექტური პოზიცია ავტორისა, მისი ემოციური დამოკიდებუ-



ლება მოვლენებისა თუ კონკრეტული პირების მიმართ. არ უნდა დავივიწყოთ ავტორის განსაკუთრებული ყურადღება დეტალებისადმი და სხვადასხვა პირების პორტრეტების შექმნის ხელოვნებაც.

ერთი სპეციფიკური ხერხიც აქვს ნიაზ ზოსიძეს და მას, პირობითად, „დროში მოგზაურობა“ შეიძლება დავარქვათ. ამით ავტორი ახერხებს, დროის სამი განზომილების ერთიანობის განცდა შემოიტანოს თხრობაში. ამასთან ერთად, ისტორიული ნიაღვრების, ცნობილი თუ უცნობი ეპიზოდების გახსენების შემდეგ ის უკვე მკვეთრად ცვლის თხრობის ინტონაციას, ტემპს, დინამიკას და უკვე მოგზაურის ჩანაწერებს გვთავაზობს.

ნიაზ ზოსიძის ტექსტები გვარწმუნებს, რომ „Nonfiction“-ისთვის დამახასიათებელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, შიგაგანული ეკლექტიზმიც: მასში ავტორისეულმა თხრობამ შეიძლება ჩანახატის, მინიატურის, ნოველის ფორმა მიიღოს (ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ნიგნისთვის „ახლა სიკვდილი არ შეიძლება“), რომელთანაც მშვიდობიანად თანაარსებობს მეცნიერთა მიერ მოწოდებული ცნობები, ისტორიკოსთა ჩანაწერები, დოკუმენტური თუ მდიდარი ეთნოგრაფიული ფოლკლორული მასალა, რომელსაც დიდი მეცნიერული ღირებულება გააჩნია.

ნიაზ ზოსიძის ტექსტები პოსტმოდერნისტული მეტაპროზის ნიშნებსაც ატარებს. ავტორი არაერთხელ მიმართავს თვითრეფლექსიას, გვიხსნის თავისი წერის მანერას, ისტორიით დაინტერესების მიზეზებს.

ასე რომ, „Nonfiction“ ჟანრის უმთავრესი თავისებურება არის ფაქტის, მოვლენის, ამბის მხატვრულ-ესთეტიკურ მოვლენად გარდაქმნა ისე, რომ მკითხველს ეჭვი არ შეეპაროს მის რეალურობაში, ამასთან, მკაფიოდ იგრძნოს ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. ეს ამბები ამოღებულია ხალხის (ამ შემთხვევაში - ფერეიდნელებისა თუ მუჰაჯირების) კოლექტიური მახსოვრობის ყულაბიდან და მხატვრულად სახეცვლილნი, გრძობად-კონკრეტული მომენტებით გამდიდრებულნი ისევ უბრუნდებიან საზოგადოების არქეტიპთა განძთსაცავს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ გააქტიურდნენ და ჩაერთონ ეროვნული იდენტობისათვის ბრძოლაში. სწორედ ამიტომ აქვს „Nonfiction“ ჟანრის ნაწარმოებებს, კერძოდ, ნიაზ ზოსიძის ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტექსტებს არა მარტო მხატვრული, არამედ დიდი შემეცნებით-მეცნიერული ღირებულება და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ნაციონალურ-პოლიტიკური დანიშნულებაც.

## ლილიტ მელიქიანი

(სომხეთი, ერევანი)

### პოლიტიკური და ეკონომიკური წინაპირობები სომხური მოსახლეობის ახალი ჯგუფების ქართლ-კახეთში დასახლებლად

XIV-XV სს-ში სომხეთი და საქართველო ჩათრეული აღმოჩნდნენ მონღოლთა იმპერიის, ოქროს ურდოსა და თემურ ლენგის სახელმწიფოს დაპირისპირებაში. აღნიშნულ პერიოდში ცხოვრება სომხეთში გაუსაძლისი გახდა. სომხები მასობრივად ტოვებდნენ სამშობლოს და უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების ძიებაში უცხო ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში და, კერძოდ, ქართლ-კახეთში სახლდებოდნენ.

როდესაც ვსაუბრობთ ქართლ-კახეთში სომხური დასახლებების წარმოქმნის წინაპირობებზე, უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში, ისევე როგორც ქვეყნისა და მისი ქალაქების მნიშვნელობა დამპყრობლებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შუქი მოვფინოთ ქართველ მეფეთა პოლიტიკას მოახალშენების მიმართ და სომეხ მოახალშენეთა საქმიანობას.

XIV ს-ის 30-იანი წლებიდან მოკიდებული საქართველო ნელ-ნელა იცილებდა მონღოლთა უღელს. გადაიდგა ნაბიჯები ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. XIV ს-ში თბილისზე გადიოდა შუა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი სატრანზიტო გზაც: სულთანზე - ყარაბაღი - პარტავი (ბარდავი) - განძაკი (განჯა) - შამქორი - თბილისი; ამრიგად,

დამპყრობელთა თვალთახედვით, საქართველოზე კონტროლის დამყარება მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა მსოფლიო ვაჭრობაში ჩართვისთვის. იმავდროულად, აღმოსავლეთ საქართველოს რიგი ქალაქი კვლავ რჩებოდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრად.

XIV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში სომხეთმა და საქართველომ თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევები განიცადა. მისი სამიზნე ჩრდილოეთ კავკასია იყო, სადაც ახალი ძალით განახლდა ომი ოქროს ურდოს წინააღმდეგ. თემურ ლენგი ცდილობდა, ხელთ ეგდო სავაჭრო გზები, რომლებიც ამიერკავკასიიდან დასავლეთისკენ მიემართებოდა.

ალექსანდრე I-მა კონსტანტინეს ძემ (1412-1442) გადაჭრა რამდენიმე ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა. იმავდროულად, XIV-XV სს. ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება სომხეთში დეგრადირდებოდა და სომხური მოსახლეობაც იყრებოდა. ქართველი მეფეები ხელს უწყობდნენ სომხების მიგრაციას, ავითარებდნენ საქალაქო ცხოვრებას, ასახლებდნენ სომხებს ქალაქად და სოფლად, უქმნიდნენ ხელსაყრელ სავაჭრო პირობებს, სამეფო გვარის წარმომადგენლებს პატივსა და ტიტულებს უნარჩუნებდნენ. ყოველივე ამის შედეგად, სომხებს ცხოვრების შესაძლებლობა მიეცათ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კი ქვეყნის წინაშე მდგარ დემოგრაფიულ და ეკონომიკურ პრობლემებს აგვარებდა.

## ქრისტიანე მელქონიანი

(სომხეთი, ერევანი)

### თურქეთის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია საქართველოს მიმართ (1991-2020)

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა ევოლუციის კვლევა კარგად წარმოაჩენს თურქეთის სტრატეგიას საქართველოს მიმართ. საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობა თურქეთის რეგიონალურ პოლიტიკაში. 1990-იან წლებში თურქეთის სტრატეგიას საქართველოს მიმართ განაპირობებდა ისეთი ფაქტორები, როგორცაა თურქეთის ინტერესი ენერგოპროექტების განხორციელებაში და რეგიონში სტატუს ქვოს შენარჩუნებაში. აქედან გამომდინარე, თურქეთი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოსთან ურთიერთობის სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებს, უშიშროების სფეროში თანამშრომლობას. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებას აადვილებდა თურქეთის ალიანსი დასავლეთთან და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობისას, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ქართული ვექტორი ნეო-ოსმალური იდეოლოგიის ჩარჩოში ამოძრავდა. მიზნის მისაღწევად - რაც დიდად შეუწყობს ხელს თურქეთს რეგიონალურ ლიდერად და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგო-ჰაბად გარდაქმნაში - თურქეთი იყენებდა „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებს.

საქართველო, თავის მხრივ, თურქეთს აღიქვამდა სანდო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორად როგორც ორმხრივ, ისე რეგიონალურ ურთიერთობებში. ამგვარად, ორი ქვეყნის საერთო ინტერესებმა განაპირობა ორმხრივი ურთიერთობების განვითარება თითქმის ყველა სფეროში; ცალკეული პრობლემები და წინააღმდეგობები უკანა პლანზე გადავიდა.

წინამდებარე მოხსენებაში შესწავლილია თურქულ-ქართულ ურთიერთობათა ევოლუცია, წარმოჩენილია ახალი ტენდენციები ორმხრივი ურთიერთობების დღევანდელ ეტაპზე; გაანალიზებულია თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები; წარმოდგენილია ძირითადი დასკვნები ახალ ტენდენციებზე XXI ს-ის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში.

## ინესა მერაბიშვილი

(საქართველო, თბილისი)

### რატომ უნდა რუსთველმა თავის პოემას „ვეფხისტყაოსანი“?

ამ ბოლო ასი წლის მანძილზე ტექნიკურმა რევოლუციებმა ტოტალური ცვლილებები გამოიწვია კაცობრიობის განვითარების გზაზე. მიუხედავად არნახული პროგრესისა, ჩანს, სამყარომ მანც დაკარგა ის, რაც ყველაზე ძვირფასი იყო ადამიანისთვის. „სად არის სიბრძნე, რომელიც ჩვენ ცოდნის სანაცვლოდ დავკარგეთ? სად არის ცოდნა, რომელიც ინფორმაციაში ჩაგვეკარგა?“ – იკითხავს ტომას ელიოტი ჯერ კიდევ 1934 წელს. ამიტომაც მოხდა, რომ თანამედროვე ეპოქას აღარ ჰყავს ის გენიოსი შემოქმედები, საკუთრივ, ის მწერლები და პოეტები, რომლებიც წინა საუკუნეებში ასხივოსნებდნენ ადამიანის აზროვნებას. მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ დღესდღეობით გვაქვს მათ მიერ დანატოვარი ძვირფასი ტექსტები და გვაქვს საშუალება უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ მათ და იქ დაუნჯებულ სიბრძნე სამზეოზე გამოვიტანოთ. უდავოა, მხოლოდ ასეთი პროცესი შეგვადლებინებს, მეტი სიღრმისა და სიბრძნისათვის მოვამზადოთ მომავალი თაობები. ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ამას ემსახურება თანამედროვეობის ისეთი სამეცნიერო დარგები, როგორიც გახლავთ სემასიოლოგია, ტექსტის ლინგვისტიკა, ტექსტის ინტერპრეტაცია, ფსიქოლინგვისტიკა, თარგმანის ლინგვისტიკა, ინტერტექსტუალობა და სხვა.

წინამდებარე მოხსენება ეძღვნება რუსთველის ტექსტს, საკუთრივ, იმას, თუ რატომ უნდა ავტორმა თავის პოემას „ვეფხისტყაოსანი“.

ტარიელი ეძებს დაკარგულ მიჯნურს, ნესტან-დარეჯანს, რომლის სიყვარული მას მოსვენებას არ აძლევს. ის უკაცრიელ სივრცეში გაიჭრება და ტანჯვითა და სისხლის ცრემლებით აგრძელებს ცხოვრებას. მას თან მიჰყვება ნესტან-დარეჯანის ერთგული ასმათი. ნიშნად იმისა, რომ ნესტან-დარეჯანი ტარიელისთვის უმშვენიერესი ვეფხვის განსახიერებაა, ასმათი ტარიელს სწორედ ვეფხვის ტყავის კაბასა და ქუდს უკერავს. იქიდან მოყოლებული, ტარიელი ვეფხისტყაოსნად გვესახება. ეს გახლავთ ის ძირითადი მოტივაცია, რომლითაც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დღესდღეობით აიხსნება პოემის დასათაურება.

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავისი ფაბულითა და სტილისტიკით ზღაპარს წარმოადგენს და იქ ყველაფერი კეთილად მთავრდება, რუსთველის პოემა მრავალ ფილოსოფიურ ქარაგმას შეიცავს, რაც გახსნას მოითხოვს პოემის ერთიანი შინაარსობრივ-კონცეპტუალური სისტემის ფონზე.

მოხსენების მიზანია, მეტი სიღრმე შევიტანოთ კვლევაში და გამოვავლინოთ პოემის სახელდების ძირეული მიზეზი. საკითხის განხილვა აუცილებლად გულისხმობს, ერთი მხრივ, „მართალი სამართლის“ ცნების რუსთველისეული ინტერპრეტაციის დაზუსტებას, ხოლო, მეორე მხრივ, დიონისე არეოპაგელის სწავლების განხილვას პოემის ძირითად კონცეფციასთან მიმართებაში.

## ბორის მესხი, სერგეი ლუკიაშკო

(რუსეთი, დონის როსტოვი)

### კავკასიური სატევარი (ხანჯალი) კულტურის სარკეში

მოხსენების მიზანია, აჩვენოს ნივთიერი სამყაროს გავლენა ადამიანზე. ეს კავშირი, პრაქტიკულად, გამოუკვლეველია და ხშირად პოეტურ და მითოლოგიურ საბურველშია გახვეული. ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ ერთ ობიექტზე - კავკასიურ სატევარზე და მის როლზე კულტურაში.

კავკასიური სატევრის (ხანჯლის) ორი ფორმაა ცნობილი: სწორპირიანი ყამა და მოხრილპირიანი ბებუთი. ყამა ახლო აღმოსავლეთში ჩნდება XVII ს-ში და ფართოდ ვრცელდება XIX ს-ში. კავკასიაში ყამა ზეითნიკური მოვლენაა. ცნობილია სხვადასხვა ეროვნული სახეობები: ქართული, სომხური, ლეკური და ა.შ. ისინი განსხვავდება ფორმისა და გაფორმების დეტალებით, თუმცა ერთ ნიმუშზე დადის. საბრძოლო თვისებებისა და ზეკულტურული ხასიათის წყალობით, ის სწრაფად ვრცელდებოდა მეზობელ ხალხებშიც.

სხვადასხვა ხალხის კულტურაში სატევარი და მახვილი საკრალური, ხშირად პერსონიფიცირებული საგნები იყო და საკუთარ სახელსაც კი ატარებდა. სატევარს როგორც ფალურ სიმბოლოსაც სცემდნენ თავყანს, თუმცა კავკასიურ რეალობაში ეს ხაზი დეგრადირდა და შემორჩა მხოლოდ იარაღის ტარების წესში - მამაკაცის სხეულის წინა მხარეს, სარტყელზე ჩამოკიდებული სახით.

ყამა მამაკაცური ღირსების სიმბოლოსა და ეროვნული კოსტიუმის ელემენტს წარმოადგენდა. მას სარტყელზე/ქამარზე ატარებდნენ. ამ უკანასკნელს კულტურაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა, განასახიერებდა რა განსაზღვრულობასა და წესრიგს. სარტყლის/ქამრის ეს ფუნქცია ხანჯალზეც გადადიოდა. ვინც წელზე შემორტყმულ სატევარს ატარებდა, ის დამკვიდრებული წესებისადმი მორჩილებას და პატივისცემას გამოხატავდა.

ხანჯლის ტარება იყო წესიც და დემონსტრირებაც იმისა, რომ დაუსჯელი არავინ დარჩებოდა; მენტალობა კარნახობდა მთიელს, ყველგან და ყოველთვის ხანჯლით ხელში დაეცვა ქცევის ნორმები.

კავკასიაში სატევარი კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო. მამაკაცი ბავშვობიდანვე ეჩვეოდა იარაღის ტარებას; მოზარდმა იცოდა, რომ მას უნდა დაეცვა საკუთარი თავი, ოჯახი, გვარი.

ორთაბრძოლებში ხანჯალი გამოიყენებოდა; ეს ფაქტიც კარგად აჩვენებს მის, როგორც ღირსების დამცველის, სტატუსს.

ნივთების იერარქიაში ხანჯალასხმულ სამოსს უპირველესი ადგილი ეკავა. სატევარი პატრონის მდგომარეობასაც აჩვენებდა. მისი ქარქაშისა და პირის ორნამენტაცია და მემკვიდრეობით გადაცემა იარაღის განსაკუთრებულ როლს გამოხატავდა. სატევარი ბავშვს ადრეული ასაკიდან ეძლეოდა და მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდებოდა.

სატევრის საკრალური ბუნება განსაზღვრავდა მისი მფლობელის ქცევასაც. მას არ ჰქონდა უფლება, შეერცხვინა ოჯახური რელიქვია.

კავკასიის ომების (XIX ს.) შემდეგ ხანჯლის ტარება მოდური გახდა იმ რუს ოფიცრებს შორის, რომლებიც კავკასიაში მსახურობდნენ; კაზაკებისთვის კი სავალდებულო იარაღად იქცა. იმავდროულად, კავკასიელებს შეეზღუდათ იარაღის ტარების უფლება. უცხო ეთნიკურ გარემოში გავრცელებით იარაღი მოდურ ატრიბუტად გადაიქცა. შედეგად, დეგრადირდა მისი სიმბოლური ბუნება და ის კოსტიუმის დეტალად გადაიქცა.

## თამარ მესხი

(საქართველო, თბილისი)

### იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სტატუსი XVI საუკუნის პირველ ნახევარში

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დიდხანს იყო დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ ჯვრის მონასტრის სტატუსი არ იყო დამოკიდებული ქართველების საერთაშორისო ასპარეზზე გაძლიერება-დასუსტებაზე. ის პრივილეგიები კი, რომლებითაც ქართველები იერუსალიმში სარგებლობდნენ, საქართველოს ერთიანობის ან ძლიერი ქართველი მეფეების ძალისხმევის შედეგი კი არა, შორეული წარსულიდან მომდინარე ტრადიცია იყო.

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ ჯვრის მონასტრის სტატუსი უშუალოდ იყო დამოკიდებული იმ ხალხების პოლიტიკური ცხოვრების აღმავლობასა და დაქვეითებაზე, ვის ხელშიც იყო იერუსალიმი: ბიზანტიელების, სპარსელების, არაბების, ჯვაროსნების, მამლუქების თუ ოსმალების. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ სულთან ბაიბარსის დროს ჯვრის მონასტერი (1272 თუ 1273 წ.) მეჩეთად გადააკეთეს.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ჯვრის მონასტრის სტატუსზე უშუალოდ აისახა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა. ამ შემთხვევაში სტატუსში ვგულისხმობთ არამხოლოდ ჯვრის მონასტრის უფლებრივ და მატერიალურ მდგომარეობას, არამედ იმასაც, თუ როგორ მოიხსენიება მონასტერი ოსმალების სულთნების მიერ XVI საუკუნის პირველ ნახევარში გაცემულ ფირმანებში.

ეს ფირმანები დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ, რატომღაც, ყურადღება არავის გაუმახვილებია იმაზე, რომ 1517 წლის ფირმანში ჯვრის მონასტერი მოიხსენიება როგორც „მონასტერი გურჯთა“,

1538 წლის ფირმანში კი - „მეგრელთა და გურჯთა“, რაც იმის დასტურია, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ცდილობდნენ, ჯვრის მონასტერი თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ.

XVII საუკუნის ქართული და ბერძნული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ჯვრის მონასტერში ნინამძღვარი (ჯვარისმამა) იგზავნებოდა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოდან. ხსენებული ფირმანების მეშვეობით შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი 1538 წლიდან დაწყებული. თუმცა, საქართველოს ეკლესიური გაყოფის ამსახველი დოკუმენტიდან („მცნებაჲ სასჯულოჲ“, 1470-1474 წწ.) ჩანს, რომ ეკლესიის გათიშვის ინიციატორებს ჯვრის მონასტრის დაუფლება იმთავითვე განზრახული ჰქონიათ. ამის დასტურია დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის მოხსენიება საგანგებოდ შეთხზული ეპითეტებით „იერუსალიმის მარჯვენა“, „მარჯვენა ქრისტეს საფლავისა“ და ა.შ.

ქართული და ბერძნული დოკუმენტებიდან ისიც ჩანს, რომ ორი ჯვარისმამის ერთდროული მოღვაწეობა ჯვრის მონასტრისათვის საზიანო აღმოჩნდა.

## საბა მეტრეველი

(საქართველო, თბილისი)

### დავით გურამიშვილის მოთქმა ხმითა... „სად დავიმარხე! ხორციტ აქ ვლპები...“

(დავით გურამიშვილის გარდაცვალების 230-ე წლისთავი)

სად არ ატარა ბედისწერამ, რამდენჯერ წამოაცდენინა გულიდან ამონაკენესი „ვაი“, „ვამე“ და „ვაიმე“: ქვეყნის ავბედობის გამო საარაგვოდან ლამისყანას შეაფარა თავი, მაგრამ ლეკებმა გაიტაცეს. მათ ფული უნდოდათ, გურამიშვილის კი გამომსყიდველი არ გამოუჩნდა, ამიტომ გადაწყვიტეს გაყიდვა. პოეტმა გაპარვა მოახერხა და 1729 წელს მოსკოვში აღმოჩნდა. ვახტანგ VI-ის ამაღლებაში თანამდებობაც ებოძა – ჯაბადარბაშობა. მორიგი „ვაი“ ვახტანგის გარდაცვალება იყო. ყველაფერი ისევ თავდაყირა დადგა: 22 წელი შეაღია ბრძოლებს შვეციის, ოსმალეთის, პრუსიის ფრონტებზე. ჯანმრთელობაშერყეული დაბრუნდა შინ და ხელმეორედ შეუდგა მეურნეობის აღდგენას. კიდევ არაერთხელ წამოსცდა „ვაი“: პრუსიაში ტყვეობისას საცხოვრებელი დაკარგა და „მწარეთ გაცრცვილი“ გოდებდა. სიბერის ჟამს ხშირად უჩიოდა „ბერწოვნებას“, უშვილობასა და „მით სახლ-კარის დამბობას“. 87 წლის ასაკში მიიცვალა. მკვიდრი მამულიდან გამოძევებული, სხვის ქვეყანას შეფარებული უნოდა თავის ყოფას, ამ იძულებით დევნილობას. თავის დროზე ისიც მიგვანიშნა, სად უნდა დაკრძალულიყო, საგვარეულო ძვალშესალაგში – ზედაზენზე ან შიომღვიმეში. არ ეღირსა სამშობლოს მიწა!

დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან 230 წელი გავიდა. დღემდე ვერ ავუსრულეთ ოცნება და ვერ დავაბრუნეთ მამულში. 1946 წ. ეკრანებზე გამოსულმა ფილმმა „დავით გურამიშვილი“ ბიძგი მისცა უკრაინელებს, აქტიურად დაეწყოთ ზრუნვა პოეტის სახელის უკვდავებისთვის. მეცნიერები მონდომებით ეძებდნენ მის საფლავს. შედგა სახელმწიფო კომისიაც, რომელმაც საგანგებო აქტით დაადასტურა განსასვენებლის ადგილმდებარეობა და იმ ადგილზე ძეგლიც დაიდგა, თუმცა ზოგიერთი მას სიმბოლურ საფლავად მიიჩნევს. არსებობს ლეგიტიმური კითხვები აქტის სანდობის შესახებ. არც ისაა გამორიცხული, რომ დოკუმენტი პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით შექმნილიყო. პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია აქტის შესწავლა, ოღონდ შემსწავლელი არა ჩანს. დ. კოსარიკის ცნობა, რომ ეკლესიის დარაჯმა დავით გურამიშვილის სავარაუდო საფლავი მიანიშნა: უნინ აქ თუჯის ფილა იყო წარწერით "კნიაზ დავიდ გურამოვ", მთლად სანდო არ არის, რადგან, შესაძლოა, 150 წლის განმავლობაში თუჯის ფილისთვის ვინმეს ადგილი შეეცვალა. შესაბამისად, საეჭვო ხდება საფლავის პატრონის ვინაობა. გარდა ამისა, გურამიშვილს შთამომავლობა არ დარჩენია, ამიტომაც მისი ნეშტის დნმ-ის მონაცემებს ვერავის შეუდარებ. ახლა მის მეორე სამშობლოში ომია. რუსული ბომბი მირგოროდსაც მისწვდა; არც ქართლშია დიდი ლხინი - გარედანაც გვიტყვენ და შიგნითაც კარგა ხნის აშლილები ვართ. გურამიშვილის გადმოსვენებას სჭირდება ორი სახელმწიფოს კეთილი ნება. ამჟამად კი ამ საკითხის წინ წამოწევა, სხვადასხვა

მიზეზთა გამო, პოლიტიკურ სპეკულაციებს შეუწყობს ხელს და ამას მოთქმად დარჩება „სანუთროს სოფლისაგან ბევრის გზით ვნებული, მრავალს განსაცდელსა შინა შეყვანებული~ წამებული პოეტის სიტყვები: „სად დავიმარხე! ხორციით აქ ვლპები...“

## ნინო მინდაძე

(საქართველო, თბილისი)

### დაავადებებთან დაკავშირებული ხალხური ლექსიკა

#### სამედიცინო ანთროპოლოგიის კვლევის წყარო

სამედიცინო ანთროპოლოგია დღეს ანთროპოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი კვლევის სფერო საკმაოდ ფართოა და ტრადიციული მედიცინის საკითხების, მათ შორის ხალხური სამედიცინო ლექსიკის, შესწავლასაც ითვალისწინებს.

ამჯერად, დაავადებებთან დაკავშირებულ ხალხურ ლექსიკას შევხებით. ეს საკითხი ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ ქართველ მეცნიერებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ივ.ჯავახიშვილის დამსახურება. თავიანთ ნაშრომებში აღნიშნულ საკითხს სწავლობდნენ: თ. სახოკია, ს. მაკალათია, ვ.ბარდაველიძე და სხვ. ამ ასპექტით მეტად მნიშვნელოვანი კვლევა ტარდება ქართველი ფილოლოგების, ენათმეცნიერების, სამედიცინო დარგის მუშაკთა მიერ...

სხვადასხვა ენასა და კულტურაში დაავადების სახელწოდებას განსხვავებული ეტიმოლოგია აქვს. მაგ., საქართველოს მოსახლეობაში, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, დაავადების აღმნიშვნელი ყველაზე მეტად გავრცელებული სიტყვაა **ავადმყოფობა**, ხოლო დაავადებულის - **ავადმყოფი**, ნაკლებად გვხვდება ძველი ქართული **სენი** და **სნეული**. **ავადმყოფი** და **ავადმყოფობა**, როგორც ჩანს, ხალხურ დუალისტურ მსოფლმხედველობას - კეთილისა და ბოროტის დაპირისპირებას ეფუძნება, ასეთივე ეტიმოლოგია აქვს ინგლისურში დაავადების აღმნიშვნელ ერთ-ერთ ლექსემას - **Illness** (დაავადება) – ფუძე **ill** ბოროტებას აღნიშნავს. რუსულში ავადმყოფობის და ავადმყოფის აღმნიშვნელი ტერმინები ტკივილს - **боль**, **болезнь** (დაავადება), **больной** (ავადმყოფი), ხოლო ლათინური სიტყვა **Patient** (პაციენტი) ვნებას, ტანჯვას უკავშირდება.

ტრადიციულ მედიცინაში უნივერსალური თუ არა საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია დაავადებათა სიმპტომების, ეტიოლოგიის მიხედვით სახელდება. იგივე დასტურდება საქართველოში. დაავადებათა ხალხურ სახელწოდებებში ასახულია როგორც გარეგანი თვალსაჩინო სიმპტომები (წითელა, სიყვითლე, ...), ასევე შეგრძნება(თავის ტკივილი, კუჭის ტკივილი...), ზოგჯერ დაავადების ბუნება... ზოგიერთი დაავადების ხალხური სახელწოდება (კუ, უჟმური და სხვ.) გარკვეულ ინფორმაციას გვანვდის დაავადებათა შესახებ საქართველოში არსებულ უძველეს წარმოდგენებზე.

მეტად საინტერესოა ზოგიერთი ინფექციური დაავადების აღმნიშვნელი სიტყვები, მაგ., ყვავილი, ჩუტყვავილა//წყლის ყვავილი, ვარდკობა(ქუნთრუშა), რომლებიც, დაავადებათა სიმპტომების თავისებური აღქმის გამოვლენასთან ერთად, მათზე უძველესი წარმოდგენების აღდგენის საშუალებას იძლევა.

დაავადებებთან დაკავშირებული ხალხური ლექსიკა დაინტერესებს მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. სამედიცინო ანთროპოლოგებს, რადგან დაავადებათა, მათი სიმპტომების, ეტიოლოგიის, ბუნებისა და ხასიათის შესახებ არსებულ ტრადიციულ ცოდნას ასახავს; ეთნოლოგებს, რადგან, ზემოხსენებულთან ერთად, უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვანვდის. ვფიქრობ აღნიშნული ლექსიკა, მისი დიალექტური ფორმები დაინტერესებს ფსიქოლინგვისტიკის სპეციალისტებსაც იმდენად, რამდენადაც საქართველოს კუთხეების მკვიდრთა მიერ დაავადებათა სიმპტომების აღქმის თავისებურებების გამოვლენის პერსპექტივას სახავს.

## გიორგი მირზაბეკიანი

(სომხეთი, ერევანი)

### 1590 წლის ერევნის ვილაიეთის დიდი დავთარი

ოსმალეთ-ირანის 1579-1590 წწ. ომის დასრულების შემდეგ კავკასია, სხვა ტერიტორიებთან ერთად, ოსმალეთის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. პირველად ამასიის ზავის (1555 წ.) შემდეგ ძალთა ბალანსი კავკასიაში ოსმალეთის სასარგებლოდ დაირღვა, რამაც საშუალება მისცა ოსმალეთის მთავრობას, კონტროლი დაემყარებინა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მანამდე ირანს ჰქონდა დაპყრობილი.

ტრადიციულად, კონსტანტინოპოლი დაპყრობილ ქვეყნებში ვრცელ საგადასახადო დავთრებს (Tapu Tahrir Defterleri) იყენებდა. მსგავსი პოლიტიკა დამახასიათებელი იყო ოსმალეთის იმპერიისთვისაც. მაღალი პორტა რეგულარულად ქმნიდა საგადასახადო დავთრებს იმ ქვეყნებისთვის, საიდანაც სტაბილური შემოსავალი ჰქონდა. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ყოველ 40 წელიწადში პორტა მთელი იმპერიის მასშტაბით, მხარეებისა და რეგიონების ჩვეულებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, ადგენდა საბეგრო დავთრებს.

ანალოგიური პოლიტიკა დასტურდება სამხრეთ კავკასიაშიც. 1590 წელს ოსმალეთის მთავრობამ შეადგინა ერევნის ვილაიეთის დიდი დავთარი (Defter-i Mufassal-i Vilayet-i Revan).

ერევნის ვილაიეთის დიდი დავთარი უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულებისა და მათი საზღვრების, სოფლების სახელების, გადასახადების გადამხდელთა და კომლთა რაოდენობის, დემოგრაფიული ვითარებისა და ეთნიკური შემადგენლობის შესასწავლად. ადგილობრივი მოსახლეობისგან აკრეფილი გადასახადების კვლევა უმთავრეს როლს შეასრულებს ერევნის ვილაიეთის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური ვითარების აღსადგენად.

უაღრესად მნიშვნელოვანია ერევნის დავთრის შედარება სხვა დიდ დავთრებთან, მათ შორის, გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთართან (Defter-i Mufassal-i Vilayet-i Gürcistan) და სხვა თანადროულ პირველწყაროებთან.

## მანანა მიქაძე

(საქართველო, ქუთაისი)

### ხელსაქმის დარგობრივი ლექსიკისათვის

1. ქართული ენის ლექსიკის სრულყოფილი შესწავლისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დარგობრივი ლექსიკის თავისებურებათა გათვალისწინებაცაა. მოსაქმეობის ამსახველ ლექსიკურ მასალაში ხელშესახებად ჩანს ენისა და საზოგადოების მჭიდრო ურთიერთობა. რთვა-ქსოვა, ქარგვა მოსაქმეობის ერთ-ერთი მეტად გავრცელებული სახეობაა საქართველოში. ძველად ამ საქმით მხოლოდ ქალები იყვნენ დაკავებული. ოჯახური საფეიქრო წარმოება ისტორიულად ხელსაქმის მოყვარული ქალის შრომაზე იყო დამყარებული. ეს სპეციფიკა ასახულია კიდევ ლექსიკაში.

ძველად ქარგვით მხოლოდ დიდგვაროვანი ქალები იყვნენ დასაქმებულნი. ქარგვის ხელოვნების არაერთი საუკეთესო ნიმუშია დაცული საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში, განსაკუთრებით მდიდარია საქართველოს ხელოვნების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ა.შ. მუზეუმები. ქარგვის ნიმუშებით მდიდარია საეკლესიო აღკაზმულობანი ძველადაც და ახლაც.

ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს დიდგვაროვან ქართველ ქალთა უმეტესობას ქარგვის ხელოვნებისადმი დიდი ინტერესი ჰქონდა. ქართულ კაბას მუდამ ამკობდა ნაქარგობა. ძვირფასი ოქრომკედითა და ფერადი ძაფებით ნაქარგი გულისპირი და სარტყელი ქართველ ქალთა მაღალ

მხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებდა. ეს იყო ნამდვილი ხელოვნება და დიდ ოსტატობასთან ერთად დიდ გულმოდგინებასაც მოითხოვდა. სადღეისოდ ქართული ეროვნული ნაქარგობის, როგორც კაბის გასაწყობი საშუალების, ნიმუშები მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატად შემოგვრჩა.

ქალის ხელსაქმობა, კერძოდ ფეიქრობა, ძველ საქართველოში იმდენად გავრცელებული იყო, რომ მას თავისი მფარველიც კი ჰყოლია.

2. მართალია, საქართველოს ყველა კუთხეს მეურნეობის საკუთარი ძირითადი დარგები აქვს, მაგრამ რთვა-ქსოვა, ქარგვა თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული, ამ დარგებისათვის დამახასიათებელი ნესები საქართველოს კუთხეებში მეტ-ნაკლებად ერთნაირია, საჭირო იარაღებიც, შესაბამისად, მსგავსი. მაგრამ საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი ტერმინები, რომლებიც სხვა კუთხეებში ან არ დასტურდება, ან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

საინტერესოა, როგორია ხელსაქმესთან დაკავშირებული ლექსიკა ქართული ენის დიალექტებში, რა არის მათ შორის საერთო და რა - სპეციფიკური. ამ მიზნით ერთმანეთს შევუდარეთ დიალექტთა ლექსიკონები. როგორც მასალა ადასტურებს, შორეულ, ერთმანეთისაგან დაშორებულ დიალექტებსაც მოეპოვებათ ერთნაირი ლექსიკური ერთეულები.

კარგა ხანია ხელით ქსოვა მანქანით ქსოვამ შეცვალა. მანქანები ართავენ ძაფს, ქსოვენ ქსოვილებს. ამიტომ სოფლებში აღარ მისდევენ სელისა და კანაფის მოყვანა-დამუშავებას. იშვიათად იქსოვება აბრეშუმითაც მაშინ, როცა აბრეშუმით ქსოვის ტრადიცია ფეოდალურ საქართველოშიც იყო ცნობილი, უფრო მეტიც, ოქროქსოვილების წარმოების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში XIII საუკუნიდანაა ცნობილი. სვანეთში კი აღმოჩენილია X საუკუნით დათარიღებული ოქროქსოვილის ნაშთები.

ასევე შევისწავლეთ მანქანაზე ქსოვასთან დაკავშირებული ლექსიკა. გამოგვითხეთ და მერე ერთმანეთს შევუდარეთ ქუთაისის (სამნუხაროდ, უკვე ყოფილი) აბრეშუმკომბინატის, მაუდის ფაბრიკისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკის რამდენიმე ინჟინერი და მუშა, მათ მიერ გახსენებული ლექსიკური ერთეულები ერთმანეთს შევუდარეთ და დავაფიქსირეთ.

3. ჩვენ მიერ დაიდებნა რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული 1300, ქარგვასთან დაკავშირებული 350 ლექსიკური ერთეული. მათგან 300 სიტყვა მხოლოდ დიალექტების საკუთრებაა, 76 მიეკუთვნება ხელით ქსოვას, 47 - ხელით რთვას, 100 დართვისა და ქსოვის იარაღს, 9 ქარგვის ხელსაწყოს, ქარგვის ორნამენტის სახეობის აღმნიშვნელია 59, სხვადასხვა ტერმინია 171.

დაფიქსირებულთაგან 28 ერთეული არცერთ ლექსიკონში არ არის დადასტურებული.

## ნანა მრევლიშვილი

(საქართველო, თბილისი)

### კიმენ-სხოლიოთა ორგანიზების პრინციპები სასულიერო მწერლობის ძეგლებში (ეკლესიასტეს განმარტებათა გელათური რედაქციის მიხედვით)

ეგზეგეტიკის, როგორც ჟანრის, ჩამოყალიბება განაპირობა ბიბლიის ტექსტის განმარტების აუცილებლობამ. ბიბლიური წიგნების კომენტირებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და, სავარაუდოდ, უნდა მომდინარეობდეს ეზრას ეპოქიდან. თორა (მოსეს კანონი) მოითხოვდა გარკვეულ ინტერპრეტაციას, რის გამოც წარმოიშვა ჯგუფი მნიგნობრების სახელწოდებით, რომლებმაც დროთა განმავლობაში შეიმუშავეს ფორმალური პრინციპები, განმარტების ნესები; ჩამოყალიბდა ეგზეგეტიკოსთა სკოლები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თეოლოგიური აზრის განვითარების ისტორიაში. თუმცა, მოგვიანებით, ერესების წარმოშობის შემდეგ, იზღუდება თავისუფალი ინტერპრეტაციები, რაც, თავის მხრივ, აფერხებს ეგზეგეტიკის განვითარებასაც. მესამე პერიოდის ქრისტიანი მოღვაწეები უკვე ორიენტირებულები არიან არა იმდენად საკუთარი ნააზრევის გადმოცემაზე, რამდენადაც – წინა საუკუნეთა წმინდა მამების ნაშრომების ციტირება-კომპილირე-



ბაზე. ამგვარად იქმნება კატენებიანი საკითხავები, რომლებსაც ძველ ქართულ ხელნაწერებში კიმენ-სხოლიოებს უწოდებენ. ამგვარად შედგენილი ძეგლებით მდიდარია ძველი ქართული მწერლობა. ჩვენი მსჯელობა შეეხება ეკლესიასტეს განმარტებათა გელათურ რედაქციას (ხელნაწერი A 61) და მისი სტრუქტურული ორგანიზების პრინციპებს. ძეგლში კიმენურ საკითხავს – ეკლესიასტეს ბიბლიური ტექსტს - მოსდევს ორი ავტორის – მიტროფანე სმირნელი მიტროპოლიტისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი დიაკონის განმარტებები. ამას გარდა, მრავლად არის წარმოდგენილი ციტატები სხვა ავტორთა ნაშრომებიდან. სხოლიოთა ძირითადი ნაწილი ანონიმურია. ამას გარდა, გვხვდება ციტატები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ფსალმუნებიდან, წინასწარმეტყველთა წიგნებიდან, მცირე მთარგმანებელთა ნააზრევიდან, გვხვდება კლასიკური ფილოსოფიის დამომწეების ნიმუშებიც. ნაშრომი დეტალურად მიმოვიხილავთ იმ წყაროებს, რომლებსაც ავტორები ამ ეგზეგეტიკურ ძეგლში იყენებენ სხოლიო-კატენებისთვის, ვსაუბრობთ სხოლიოთა ორგანიზების ძირითად პრინციპებზე.

## მაისართ მუსაევა

(რუსეთი, დაღესტანი, მაჰაჭყალა)

### ფოლკლორი დაღესტნის ხალხთა კულტურის ტრადიციულ საქორწინო რიტუალში

საქორწინო რიტუალების ციკლი მტკიცედაა დაკავშირებული ოჯახურ ცერემონიებთან. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ნათლად იკვეთება კონკრეტული ხალხის ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და იდენტობა. იმ რიტუალების გარდა, რომლებიც თან ახლავს ამ პროცესის ყველა ეტაპს (ქორწილამდე, უშუალოდ საქორწინო და ქორწილის შემდეგ ცერემონიებს), ყურადსაღებია ფოლკლორიც (გამონათქვამები პატარძლებზე, დედამთილებსა და მულებზე), იგავები პატარძლის ძებნისა და მისი სამეურნეო თუ საშინაო საქმეების ცოდნის შესახებ, გაუთხოვარი და დასაქორწინებელი ახალგაზრდებისათვის შექმნილი დარიგებანი, კომიკური ლექსები საქმროს, პატარძლის, ცალკეული სტუმრებისა თუ ნათესავების შესახებ, სახოტბო სიმღერები, რომლებიც პატარძლის მშობლების სახლიდან გამოყვანისა და საქმროს ოჯახში შესვლისას სრულდება. დაღესტნური ოჯახისათვის ტრადიციულად დამახასიათებელია პატარძლის ქმრის სახლში დასახლება, ამ ნორმიდან გადახვევა კი (იგულისხმება ცოლის სახლში ცხოვრება) სირცხვილად მიიჩნეოდა, რასაც ადასტურებს ამ თემაზე უამრავი ხალხური გამონათქვამის არსებობა. წინასაქორწინო ჩვეულებებს შორის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პატარძლის შერჩევას, მორიგებასა და მაჭანკლობას. პატარძლის შერჩევა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, განისაზღვრება გოგონას რეპუტაციით, რომელიც ფასდებოდა დედის მისაღები ქცევისა და მანერების მიხედვით. პატარძალი აუცილებლად უნდა შერჩეულიყო შესაბამისი თუხუმიდან (ნათესავთა ჯგუფი) სოციალური სტატუსისა და სიმდიდრის გათვალისწინებით (ამ საკითხზეც უამრავი ანდაზა და გამონათქვამი არსებობს). საზოგადოებაში არსებული უარყოფითი დამოკიდებულება თუხუმისა და სოფლის ენდოგამიური ქორწინების დარღვევის მიმართ აგრეთვე ასახულია ტრადიციულ ფოლკლორშიც.

ქალები წინასწარ ეძებდნენ საკუთარი ვაჟიშვილებისათვის შესაფერის პატარძლებს. ბუნებრივია, არჩევანი შრომისმოყვარე გოგონებზე კეთდებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა გოგონების მეზობლების აზრს ენიჭებოდა.

პატარძლის შერჩევასთან დაკავშირებით, არსებობს სხვადასხვა იგავი, რომლებიც მნიშვნელობის მხრივ ერთნაირი, თუმცა ნიუანსობრივად განსხვავებულია თითოეული ერისა თუ საზოგადოებისათვის. ცნობილია ის ფართოდ გავრცელებული ხრიკებიც, რომლებსაც მაჭანკლები მიმართავდნენ, რათა უკეთ გაერკვიათ შერჩეული პატარძლის ყაირათიანობა და შრომისმოყვარეობა.

რაც შეეხება უშუალოდ საქორწინო ცერემონიას, ის ფოლკლორით (ძირითადად სიმღერებით) არის მდიდარი. განსაკუთრებით ეს ეხება მამის სახლიდან გაცილებისა და საქმროს სახლში

მიყვანის ეპიზოდებს. საქორწინო სიმღერები, როგორც სახობო, ასევე იუმორისტული, ყოველთვის მცირე მზადების შემდეგ, ექსპრომტად იქმნება და შერწყმულია ადამიანების ხასიათის თავისებურებებთან.

ზოგადად, საქორწინო ფოლკლორის ანალიზი გვიჩვენებს იმას, რომ „ხალხური სიბრძნის კვინტესენცია“ ვრცელდება სასიცოცხლო ციკლისათვის დამახასიათებელი რიტუალური კულტურის ყველა საფეხურზე.

## **თინათინ მშვიდობაძე**

(საქართველო, გორი)

### **კომპიუტერული ტექნოლოგიების ეფექტურობა ქართულ-კავკასიური კულტურული მემკვიდრეობის კვლევისათვის**

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ჩვენი პლანეტის ინტელექტუალური პოტენციალის, ისტორიულ-კულტურული ძეგლების, ტექნიკური მდგომარეობის შეფასება სრულყოფილი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს კი წარმოადგენს ძეგლის კონსტრუქციების დაზიანების მონიტორინგისათვის კომპიუტერული გრაფიკისა და ლაზერული სკანირების გამოყენების ეფექტურობა, სხვადასხვა ადგილებში ჩატარებული ესპერიმენტების შედეგების ჩვენებით.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები მსოფლიო ღირებულებისაა და საკაცობრიო კულტურის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს. ნაშრომში განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

აღნიშნული კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვანია კულტურული ძეგლების კონსტრუქციების შეფასებისა და დაკვირვებისათვის, მოულოდნელი რღვევის გაჩენის, ფარული დეფექტების დაგროვების რისკის პროგნოზირებისას, რაც წინაპირობაა შემორჩენილი ძეგლების აღდგენისა და რესტავრაციისათვის.

## **მარიკა მშვილდაძე**

(საქართველო, თბილისი)

### **ტიხე-ფორტუნას კულტი გვიან ანტიკური საქართველოს ტერიტორიაზე**

ტიხე-ფორტუნა ბედნიერების მომტანი ღვთაება იყო. მისი კულტი ნაყოფიერებას, სიუხვეს, ადამიანის ბედს უკავშირდებოდა. იგი ანტიკურ გლიპტიკაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ღვთაებას წარმოადგენდა. იმთავითვე ხალხმა ტიხე-ფორტუნა ადამიანის ცხოვრების თანამგზავრად მიიჩნია. ითვლებოდა ანტიოქიის, ალექსანდრიის მფარველად. ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ტიხე-ფორტუნას კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ ღვთაება ტიხე-ფორტუნა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კულტი იყო გვიან ანტიკური ხანის იბერია-კოლხეთში, რაც ანტიკურ სამყაროსთან პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების შედეგს წარმოადგენს. გვიან ანტიკურ ხანაში კოლხეთის შავიზღვისპირეთი რომის პროვინცია პონტოს შემადგენელი ნაწილია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო - ქართლი (იბერია) რომის მეგობარი და მოკავშირე ქვეყანა. ღვთაების გამოსახულებები გვხვდება როგორც ხელოვნების ნიმუშებზე (მცხეთა, არმაზისხევის №6 სამარხში დაფიქსირებული ვერცხლის ფიალის ფსკერზე გამოსახული ტიხე-ფორტუნა ახ.წ. II ს., ვერცხლის თეფშის ძირზე გამოსახული ტიხე-ფორტუნა ციხისძირის სამაროვნიდან ახ.წ. II-III სს.), ისე სამკლაურზე (ბიჭვინთა, ბიჭვინთის სამაროვანის №345 სამარხში (ლეგიონერის სამარხი) აღმოჩენილი ვერცხლის სამკლა-

ური, ახ.ნ. II-III სს.) და გლიპტიკურ ძეგლებზე. ტიხე-ფორტუნას გამოსახულებიანი საბეჭდავები დაფიქსირებულია მცხეთაში, ურბნისში, ჟინვალში, კლდეეთში, ბორში, გონიო-ავსაროსში... ღვთაების გამოსახულებიანი ინტალიოები დამზადებულია: სარდიონისგან, ქალცედონისგან, იასპისგან, ტოპაზისგან... რომლებიც ჩასმულია, როგორც რკინის, ისე ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ბეჭდებში. ნიშანდობლივია, რომ ტიხე-ფორტუნას კულტი ძირითადად გავრცელებულია ურბანის-ტულ ცენტრებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტიხე-ფორტუნა მოსახლეობის ყველა ფენაში, ჩვენი აზრით კი ძირითადად რომანიზებულ მოსახლეობაში იყო პოპულარული.

## პაატა ნაცვლიშვილი

(საქართველო, თბილისი)

### ულვაშიანი ქალი იოსებ გრიშაშვილის ლექსში

1922 წელს ჟურნალ „ილიონის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა იოსებ გრიშაშვილის ნაკლებად-ცნობილი ლექსი „ქალს ულვაშებით კეპით და ჯოხით“. ეს ლექსი ტერცეტებითაა დაწერილი და ვერსიფიკაციის თვალსაზრისით 2017 წელს იგი გამოწვლილვით შეისწავლა ცნობილმა ლექსმცოდნემ თამარ ბარბაქაძემ. მანვე დაადგინა, რომ ლექსი იმ პირველი პუბლიკაციის შემდეგ აღარსად გამოქვეყნებულა, სანამ თავად სრულად არ დაიმონმა იგი თავის გამოკვლევაში.

აღბათ მხოლოდ იმიტომ, რომ პროფ. თ. ბარბაქაძემ გრიშაშვილის ეს ლექსი ვერსიფიკაციული კუთხით გამოიკვლია, მისი ინტერესის მიღმა დარჩა ლექსის შინაარსი და ადრესატი. არადა, ეს ნაწარმოები სწორედ ამ მხრივ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რამდენადაც მას შეუძლია დამატებითი სინათლე მოჰფინოს ქართული ლიტერატურის ერთ საკამათო საკითხს, რომელიც გარშემო დისკუსია განსაკუთრებით გამძაფრდა ბოლო ათწლეულში.

საქმე ეხება პაოლო იაშვილის ცნობილი დარიანული ციკლის ლექსების ავტორობის საკითხს. დარიანულ ციკლში 14 ლექსში შედის, რომელთაგან პირველი 1915 წელს დაინერა, ბოლო კი – 1923 წელს. ისინი ელენე დარიანის სახელით გამოქვეყნდა იმდროინდელ პერიოდიკაში. დიდხანს უეჭველად ითვლებოდა, რომ „ელენე დარიანი“ პაოლო იაშვილის ფსევდონიმი იყო და დარიანული ციკლის ლექსები, ჩვეულებრივ, პაოლოს კრებულებში იბეჭდებოდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ცნობილმა ლიტერატორმა გიორგი ჯავახიშვილმა მის მიერ მიკვლეული ეპისტოლური თუ მემუარული მასალის საფუძველზე გამოთქვა ვარაუდი, რომ ელენე დარიანი სინამდვილეში ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი იყო, პაოლო იაშვილის ახლო მეგობარი თუ შეყვარებული.

ამ ვერსიამ იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცა დისკუსია საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტთა ვიწრო წრეს არ გასცილებია. ხოლო მას შემდეგ, რაც 2014 წელს ქართული ლიტერატურის მუზეუმში მოენყო ელენე ბაქრაძისადმი მიძღვნილი გამოფენა სახელწოდებით „ქალი პაოლოს უკან“, დისკუსია გასცდა ლიტერატურის სფეროს და სოციალურ-პოლიტიკური შეფერილობაც მიიღო, რამაც, ერთი მხრივ, გაზარდა დისკუსიის მონაწილეთა რაოდენობა თუ წრე და, მეორე მხრივ, უფრო მწვავე გახადა იგი. დისკუსია კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა ელენე ბაქრაძის ნაწარმოები (ლექსები, თარგმანები, დღიურები, წერილები) და მასში სრულად შეიტანა დარიანული ლექსები, როგორც ელენე ბაქრაძისა.

დისკუსიის მონაწილე ორივე მხარეს თავისი არგუმენტები აქვს. კამათი მიდის იმის შესახებ, თუ რა არის სინამდვილეში ელენე დარიანი – პაოლო იაშვილის წარმატებული და ილბლიანი მისტიფიკაცია თუ მხოლოდ ფსევდონიმი. და თუ ფსევდონიმია, მაშინ ვისი – პაოლო იაშვილის, ელენე ბაქრაძისა თუ ორივესი ერთად.

თუ „ელენე დარიანი“ ფსევდონიმია, იოსებ გრიშაშვილი, რომელიც უაღრესად სანდო და დაკვირვებული მკვლევარი იყო, მას აუცილებლად შეიტანდა თავის „ფსევდონიმების“ ლექსიკონში.

როგორც ჩანს, იგი არ თვლიდა ელენე დარიანს ფსევდონიმად და მიაჩნდა იგი პაოლო იაშვილის მეორე ეგოდ, მის ქალად გარდასახულ ორეულად, ერთგვარ ლიტერატურულ და ალბათ არა მხოლოდ ლიტერატურულ თამაშად, მისტიფიკაციად.

სწორედ ამის დასტური უნდა იყოს მისი ლექსი „ქალს უღვაშებით კეპით და ჯოხით“. უკვე ლექსის სათაური უბიძგებს საქმეში ჩახედული მკითხველს, რომ ეს ლექსი პაოლო იაშვილს, უკეთ – მის ქალურ ალტერეგოს უნდა ეძღვნებოდეს. რამდენადაც ცნობილია მისი ფოტოებიდან თუ თანამედროვეთა გადმოცემებიდან, უღვაში, კეპი და ჯოხი პაოლო იაშვილის გარეგნული იერის მკაფიოდ ინდივიდუალური პორტრეტული მახასიათებლებია.

ხოლო გრიშაშვილის ლექსი უნდა წარმოადგენდეს პაოლოს საიდუმლოს გათქმის, მისტიფიკაციის გახსნის საკმაოდ გამჭვირვალე, მაგრამ ფრთხილ ცდას, რაც ნათლად აირეკლა კიდევ ლექსში. ის ფაქტი, რომ იოსებ გრიშაშვილს ეს ლექსი მას მერე არც ერთ თავის წიგნში არ შეუტანია, გვაფიქრებინებს, რომ პაოლო იაშვილმა არ მოიწონა მისი საქციელი და შეიძლება საყვედურიც კი უთხრა მას მისტიფიკაციის გამჟღავნების გამო. სავარაუდოა, რომ ამავე მიზეზითაც ვერ მოხვდა ელენე დარიანი იოსებ გრიშაშვილის ფსევდონიმების ლექსიკონში.

უღვაშიან ქალთან დაკავშირებით, არ შეიძლება, აქვე არ გავიხსენოთ რუსი საბჭოთა პარტიული მუშაკის, მწერლის, სცენარისტისა და კრიტიკოსის ვლადიმერ სუტირინის წიგნი „ამიერკავკასიის ლიტერატურის ნარკვევები“, რომელიც 1928 წელს რუსულ ენაზე გამოსცა თბილისში გამომცემლობა „ზაკკნიგამ“. სტატიაში „ცისფერი ყანწები“ ავტორი ელენე დარიანის ლექსებზე საუბრობს, 92-ე გვერდზე ამ სახელს ბრჭყალებში სვამს და იქვე სქოლიოში წერს: „შესაძლოა ელენე დარიანი იპარსებოდა ან უღვაშს ატარებდა“. როგორც ჩანს, იმდროინდელი ქართული ლიტერატურის კულისებში ნაკლებად ჩახედულმა ავტორმა ელენე დარიანის ვინაობა იკითხა და ასეთი პასუხი მიიღო. არ არის გამორიცხული, რომ „უღვაშიანი ქალი“ ელენე დარიანის იმ დროისთვის საკმაოდ გავრცელებული ფსევდონიმი იყო.

შეიძლება იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ქალს უღვაშებით კეპით და ჯოხით“ კიდევ ერთ სარწმუნო არგუმენტად ჩაითვალოს იმის დასადასტურებლად, რომ ელენე დარიანი პაოლო იაშვილის ლიტერატურული მისტიფიკაციაა და არა ფსევდონიმი და რომ ელენე დარიანის სახელით გამოქვეყნებული 14-ვე ლექსი პაოლო იაშვილს ეკუთვნის.

## ირინე ნაჭყებია

(საქართველო, თბილისი)

### ლეიტენანტ პიშონის ცნობები საქართველოს შესახებ (1843)

ვენსენის სამხედრო არქივში დაცულია 1839-1843 წლებში მოჰამად შაჰის (1834-1848) გვარდიის სამხედრო ინსტრუქტორის, ფრანგი ლეიტენანტის, ჟიულ პიშონის მოხსენებითი ბარათი, სათურით – „La Géorgie“. ამ ხელნაწერში ლეიტენანტის მიერ ჯულფადან რედუტ-ყალემდე გავლილი მარშრუტის მიხედვითაა მოცემული ცნობები გზებისა და ხიდების მდგომარეობის, კაზაკების სადგურების, ქალაქებისა და დაბების შესახებ. პიშონის შეფასებით, თბილისის, მთელი კავკასიის გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციის იერსახე ევროპულ ცხოვრებაზე მიაწინებდა. ქალაქის მთავარი მოედნის გარშემო ლამაზი ნაგებობები იდგა, რომელთა შორის ლეიტენანტი ყაზარმის შენობასაც აღნიშნავს. ქუჩებში სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა ირეოდა, „დროშეები“ კი განუწყვეტილივ მოძრაობდნენ ყველა მიმართულებით. ბაზრებში რუსი, ქართველი, ჩერქეზი, სომეხი, სპარსელი, თურქი და სხვა ნეგოციანტები მნიშვნელოვან სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ რუსეთთან, ინდოეთსა და თურქეთთან. თბილისის თერმული წყლები მრავალ დაავადებას კურნავდა. ქალაქის შემოგარენში გერმანული კოლონიები იყო დაარსებული.

ფრანგმა ოფიცერმა ყურადღება მიაქცია ქალაქებსა და დაბებში განლაგებული სამხედრო ნაწილების რაოდენობას: თბილისის გარნიზონში დაახლოებით 10 000 ჯარისკაცი იყო; ძველი, აღდგე-

ნილი ციხესიმაგრის ყოველ ამბრაზურაში ზარბაზანი იდგა, იქ ინახებოდა სამხედრო შეიარაღების ერთ ნაწილიც. გორის გარნიზონი ერთი ბატალიონისგან შედგებოდა, ქუთაისის გარნიზონში დაახლოებით 2 000, რედუტ-ყალეში კი 3 000 კაციანი გარნიზონი იდგა.

პიშონის ცნობით, კავკასიის ჯარში, რომელიც ძირითადად კარგ მდგომარეობაში იყო, განსაკუთრებით თბილისში, 140 000 კაცი ირიცხებოდა, მაგრამ ეს არ იყო რუსეთის ჯარის ელიტა. ისინი მობილურ კოლონებს ქმნიდნენ, ზოგი ნაწილი სამხედრო მშენებლობებზე მუშაობდა, დანარჩენებს ახალი გზების გაყვანა ან ძველის შეკეთება ევალებოდათ. კავკასიაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების შეფასებისას, ფრანგი ლეიტენანტი აღნიშნავს როგორც გენერალ ნეიდგარტის წარუმატებლობას 1842 წლის შემოდგომაზე, ისე კავკასიის მთის ხალხების სამხედრო ძალას და რუსების წინააღმდეგ მათი ბრძოლის მეთოდებს. პიშონის შეფასებით, ასეთ მტერთან რუსეთის ომი დიდხანს გაგრძელდებოდა და ეს მას ყოველმხრივ მეტად ძვირად უჯდებოდა, რადგან ჩერქეზებთან ომისა და ადგილობრივი დაავადებების გამო ის ყოველწლიურად 16 000-დან 20 000-მდე კაცს კარგავდა.

## მაია ნაჭყებია

(საქართველო, თბილისი)

### განცვიფრების ესთეტიკა ქართული ბაროკოს პოეზიაში

1. ე.წ. „აღორძინების ხანის მწერლობა“, თემების, მოტივებისა და ტროპების თავისებურებებით ბაროკოს ლიტერატურისთვის დამახასიათებელი მხატვრული სისტემის ანალოგიურია. ამასთან, განცვიფრების, გაკვირვების, გაოცების და აღფრთოვანების გამონვევა ბაროკოს ეპოქის შემოქმედთა ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. ბაროკოს ესთეტიკამ ადამიანზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით განსაკუთრებული მხატვრული ენა შექმნა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წარმოსახვასა და გონებამახვილობას. ავტორის ჩანაფიქრს სიახლით, უჩვეულობით უნდა განეცვიფრებინა მკითხველი თუ მსმენელი. „ჩარხებრ მბრუნავ ლექსში“ არჩილი პირდაპირ აცხადებს: „ნაძღვევი ვარ, თუ ჩემს წინათ ეთქვას ვის“ და ამით ხაზს უსვამს ლექსის ორიგინალობასა და სიახლეს.

2. XVII-XVIII საუკუნეების ქართულ პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ანბანთქების ჟანრს. ამ ჟანრის ნაწარმოებები აქვთ შექმნილი თეიმურაზ პირველს, არჩილ მეორეს, ვახტანგ მეექვსეს, დავით გურამიშვილს და სხვებს. როგორც ჩანს, ანბანთქება დიდ პოპულარობით სარგებლობდა არა მხოლოდ თემატიკის გამო, რომელიც უმეტესწილად რელიგიური ხასიათისა იყო, არამედ მისი სხვადასხვა ვარიაციით გამართვის შესაძლებლობის გამო, რაც სათაურშიც აისახა, მაგალითად, არჩილის „ანბანთქება ახალი შემოღებული“.

3. „ამოცნობა“, „გაშიფვრა“, ბაროკოს სტილის ერთ-ერთი კონცეფციური ელემენტია, რასაც ზოგ შემთხვევაში კრიპტოგრამის სახე აქვს. ამ პერიოდშია შექმნილი არჩილ მეორეს „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“, რომელიც ქართული ვიზუალური პოეზიის, ფიგურული ლექსის უაღრესად გონებამახვილურ ნიმუშს წარმოადგენს. მასში ვირტუოზულად არის შერწყმული ეკლესიასტესეული ამაოება და წრებრუნვა და ცალკეული სიტყვების გარკვეული პრინციპით გადაადგილება, რაც ლექსში მოძრაობის ილუზიას ქმნის. იქმნებოდა ასევე აკროსტიქები და „ნაღმა-უკულმა საკითხავი ლექსები“ ანუ პალინდრომები. უაღრესად საყურადღებოა ვახტანგ მეექვსეს „მუხრანული“, ანუ ე.წ. კვადრატული ლექსი, რომელიც ჰორიზონტალურადაც იკითხება და ვერტიკალურადაც, მისი „ათცხრა-მეტური“ კი სინთეზური ნაწარმოებია, სადაც ერთმანეთს ერწყმის ლექსი, ნახაზი და ნახატი.

4. ამგვარი პოეზიის შექმნა განსაკუთრებულ ინტელექტუალურ ძალისხმევას და განაფულობას მოითხოვდა, ეს ერთგვარ პოეტური გონებამახვილური თამაშია, რომელიც დამყარებული ამოცნობაზე, გამოცნობაზე, მკითხველისა თუ მსმენელის გაკვირვებასა და განცვიფრებაზე, ეს გაოცების ესთეტიკაა. მიგვაჩნია, რომ ამგვარი თხზულებები, რომლებიც ამ პერიოდის ქართველ

ავტორებთან გვხვდება, ქმნიან გარკვეულ მთლიანობას, სისტემას და მას შეიძლება ვუნოდოთ ქართული ბაროკოს პოეზიის განცვიფრების ესთეტიკა.

## ევგენი ნესმეანოვი

(რუსეთი, დონის როსტოვი)

### ქართული და რუსული ეროვნული კულტურების სულიერი ნათესაობის შესახებ (რუსეთის ფედერაციის დონის ოლქის მაგალითზე)

როსტოვის ოლქი, ყოფილი „დონის არმიის“ ტერიტორიაა, სადაც ქართველებსა და რუსებს თანაცხოვრების გამოცდილება მე-18 საუკუნიდან აქვთ. XVIII-XIX საუკუნეებიდან დღემდე, დონსა და ყუბანს შორის მცხოვრები სხვა მრავალი ხალხისაგან განსხვავებით, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ქართველები აღიქმებოდნენ „მართლმადიდებლური რწმენის მქონე სულიერ მოკავშირეებად“ (სულიერ ღირებულებათა სისტემისა) და თანამებრძოლებად (ოსმალეთის იმპერიისა და მისი ვასალების წინააღმდეგ). ამ მოცემულობამ ორ ხალხს შორის არსებული ეთნიკური და ენობრივი განსხვავებები გადანონა და მთელ რიგ სფეროში (მათ შორის ხელოვნებისა და სოციალურ ურთიერთობებში) მათი სამომავლო ურთიერთობები განსაზღვრა.

ქართული ეროვნული კულტურის დადებითად აღქმის მომდევნო საფეხური გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის პერიოდში (60-70-იან წლებში). მე-20 საუკუნეში მოცემული მდგომარეობა თეორიულად დასაბუთდა.

ქართულ და რუსულ ინტელიგენციას შორის სოციო-კულტურული ურთიერთობები გამოვლინდა „მონათესავე კულტურებისა“ და „სულიერ ღირებულებათა“ იდეით, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოს მიერ ახალი სოციალისტური კულტურის შექმნის, დასავლური კულტურისა და ფაშისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე ჩამოყალიბდა. მას შემდეგ იკვეთება ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევა, რომლის მთავარ იდეასაც „ჩვენი ხალხების ორგანული კულტურული ურთიერთკავშირი“ და ეროვნული ინტელიგენციის ზოგადი - მორალური და ფსიქოლოგიური თავისებურებები შეადგენდა. ამ უკანასკნელთა შორის გამოიყოფოდა ინტელიგენციის ნევრთა „მსოფლმხედველობრივი სიფართოვე“, განათლების მაღალი დონე, კეთილშობილება და სხვა პიროვნული თვისებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ყოველდღიური ყოფითი კულტურის ანალიზს: სუფრის წესებს, დღესასწაულების აღნიშვნას, ოჯახურ ურთიერთობებსა და ა.შ.

მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მოყოლებული, ქვეყნის წამყვანი ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და კულტუროლოგები „კულტურათა ურთიერთგავლენებისა“ და „ხალხთა კულტურების“ იდეებიდან უკვე წინ სწევდნენ მოსაზრებებს „კავკასიელ და რუს ხალხთა კულტურების ჰარმონიულ კომბინაციებზე.“ ამ პერიოდიდან დაიწყო კავკასიური კულტურის, როგორც მთელისა და ქართველოლოგიური კვლევები. კავკასიური კვლევები განვითარდა ლენინგრადში (სანქტ-პეტერბურგში), მოსკოვში, თბილისსა და სხვა ქალაქებში.

1973 წელს დონის როსტოვში სსრკ მეცნიერებათა სამინისტროს ორგანიზაციული განყოფილება - ჩრდილოკავკასიური სამეცნიერო ცენტრის უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნა. იუ. ა. ჟდანოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი და კავკასიური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი იყო, კავკასიის, როგორც ევრაზიული კულტურის ცენტრის ცივილიზაციური და კულტურული იმიჯის ახალ, ორიგინალურ კონცეფციას ქმნის (იგივე „ევრაზიის მზის წნული“). ამ კონცეფციის მიხედვით, კავკასიური კულტურა, ანტიკური პერიოდიდან დაწყებული, ევროპული და რუსული კულტურების აკვნისა და ისტორიული განვითარების წყაროდ გვევლინება.

ჟდანოვის მიდგომის მიხედვით, ქართული კულტურა პირველად გაგებული „კავკასიური კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტად,“ ქართული ინტელიგენცია კი შეფასებულია „უმაღლესი განათლებისა... და უმაღლესი კულტურული ტრადიციების“ მქონედ.

მომდევნო 20 წლის განმავლობაში (1980-2000-იანები) „კავკასიის ხალხების კულტურის გადამწყვეტი ზეგავლენა რუსი ხალხის ჰუმანიტარულ კულტურაზე“ კიდევ გახდა აქტუალური და იუ. ა. ჟდანოვის წარმოდგენილ იდეებზე დაყრდნობით განვითარდა.

რაც შეეხება ქართული ეროვნულ კულტურის სამეცნიერო, მხატვრულ და ყოველდღიურობის ასპექტებს - ისინი გააზრებულ იქნა, როგორც „დონის რეგიონის ინტელექტუალური საზოგადოების აუცილებელი და განუყოფელი კომპონენტი.“

ქართული და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიები ბოლო ათწლეულის განმავლობაში აქტიურად ეწეოდნენ გასული საუკუნის ეროვნულ იდეებსა და მართლმადიდებლობის მორალურ პარადიგმებზე დაფუძნებული კულტურული დიალოგის პროპაგანდას. დღეს სწორედ „ეკლესიის დების“ კონცეფცია აღმოჩნდა ჩვენი ხალხების სულიერი ცხოვრების საყრდენი და ყველაზე ავტორიტეტული სოციალური ინსტიტუტი, რომელიც იმავდროულად არის ჩვენი ხალხების სულიერი იდენტობის საფუძველი.

## **ხათუნა ნიშნიანიძე**

(საქართველო, თბილისი)

### **დავით გურამიშვილის რეალური და მხატვრული დრო და სივრცე: „დავითიანისა“ და უკრაინული წყაროების მიხედვით**

დროისა და სივრცის ცნებას განსაზღვრავს, აშინაარსიანებს, საზრისს სძენს სუბიექტი (გმირი, ავტორი). ტექსტის სივრცეცა და დროც არის იქ და ისეთი, როგორი წარმოდგენით, განცდითა და საფიქრალითაც აღავსებს გმირს ავტორი. ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით “არც წარსული არსებობს, არც მომავალი და არც აწმყო... ყველაფერი არსებობს ადამიანის სულში”; მხატვრული ტექსტში კი სწორედ მთავარი გმირია ის ინსტანცია, რომლის პოზიციიდანაც ჩვენ აღვიქვამთ ტექსტუალურ დროსა და სივრცეს.

მხატვრული დრო და სივრცე მრავალსახოვანი და მრავალგანზომილებიანი კატეგორია. “დავითიანში” მნიშვნელობს რეალური, ონტოლოგიური, სიმბოლურ-ალეგორიული, მისტიკური და მხატვრული ანუ შემოქმედის დრო და სივრცე. “დავითიანის” დროსივრცული პრობლემის კვლევა ზემოჩამოთვლილ კატეგორიებთან მიმართებით უშუალოდაა დაკავშირებული და ითვალისწინებს ბიბლიურ-ქრისტოლოგიურ კონტექსტს. შესაბამისად, ბიბლიურ გააზრებათა საფუძველზე განვიხილავთ ნაწარმოების დრო-სივრცულ მოდელს.

საკითხის სრულყოფილი კვლევისთვის მნიშვნელოვანია დავით გურამიშვილის რეალური დროისა და სამოღვაწეო სივრცის შესახებ არსებული წყაროების გაცნობაც. საგულისხმოა, რომ თავად “დავითიანის” პოეტური კრებულის ავტორისეულ ხელნაწერს აქვს ექსტრატექსტუალური ჩანართები: “სარწყავისა და წისქვილის ამბავი და მოხაზულობა” (ტექსტი და ნახაზი), სხვა ნახაზები, მირიან ბატონიშვილისადმი მიწერილი არზა, ავტოპორტრეტი, ჩანახატები და მინაწერები.

დავით გურამიშვილის რეალური და მხატვრული დროსივრცული მახასიათებლების წარმოჩენა “დავითიანის” გარდა ქართულ, უკრაინულ, რუსულ ენაზე არსებული სამეცნიერო და დოკუმენტური მასალის გაცნობა-შესწავლასაც ითხოვს, სადაც საგულისხმო ინფორმაცია მოგვეპოვება. მოხსენებაში შევეხებით დ. კოსარიკის, მ. რილსკის და სხვა ავტორთა ნაშრომებს.

## პაველ ოლჟევსი

(პოლონეთი, ლოდი)

### საქართველო და სამხრეთ კავკასია საერთაშორისო ურთიერთობებში პირველი მსოფლიო ომის შემდგომ

მოხსენებაში ყურადღებას ვამახვილებთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობაზე 1918 წლის ოქტომბერ/ნოემბრიდან ვიდრე გასაბჭოებამდე (1921 წ. მარტი). აგრეთვე, ვისაუბრებთ სომხეთისა და აზერბაიჯანის საერთაშორისო ვითარებაზე იმავე პერიოდში. მოხსენების ძირითადი საკითხია საქართველოს ურთიერთობა ანტანტასთან, გენერალ დენიკინთან, საბჭოთა რუსეთთან და ქემალისტურ თურქეთთან, რასაც უდიდესი გავლენა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების საერთაშორისო მდგომარეობაზე 1918-1921 წწ-ში სხვა საკითხებთან ერთად განვიხილავთ ბრიტანელი და იტალიელი ჯარისკაცების ყოფნას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ამერიკის მანდატის საკითხს. გავიგებთ, აგრეთვე, თუ რა გავლენა ჰქონდა აზერბაიჯანის გასაბჭოებას საქართველოსა და სომხეთის საგარეო თუ საშინაო ვითარებაზე. მოხსენებაში შევეხებით ბათუმის საკითხსაც, რაც ლონდონისა და სან-რემოს კონფერენციებზეც (1920 წ.) განიხილებოდა; 1920 წლის მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებას, სომხეთ-აზერბაიჯანისა და თურქეთ-სომხეთის სამხედრო კონფლიქტებს და მათ გავლენას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. მოხსენებაში საუბარია იმ ძალისხმევაზე, რომელიც ქართველმა დიპლომატებმა გასწიეს ერთა ლიგაში გასაწევრიანებლად; სომხეთის გასაბჭოების (1920 წ. დეკემბერი) გავლენაზე საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე. დასასრულს, შევეხებით საქართველოს *de jure* აღიარებას 1921 წ. იანვარში, ამ აქტის მნიშვნელობას საქართველოს გასაბჭოებაზე (1921 წ. მარტი). მოხსენება ეფუძნება საარქივო მასალას, რომელიც ავტორმა მოიძია საფრანგეთის, ამერიკის და ინგლისის არქივებში, აგრეთვე, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

## თამარ ოსიძე

(საქართველო, თბილისი)

### ბიბლიური ალუზიები დევიდ ჰერბერტ ლორენსის რომანში „Lady Chatterley's Lover“ და მათი ტრანსფორმაციის საკითხი ქართულ თარგმანებში

დიდი ინგლისელი მწერლის, დევიდ ჰერბერტ ლორენსის, შემოქმედებაში მრავლადაა ბიბლიური ინტერტექსტები. მწერალს მიაჩნია, რომ ბიბლია ყველა ეპოქაში დროის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა ვიკითხოთ, რათა წმინდა წიგნს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ. აქედან გამომდინარე, მთარგმნელისათვის მნიშვნელოვანია ავტორის მსოფლმხედველობის ცოდნა იმ ინფორმაციის წვდომისათვის, რომელსაც ბიბლიური ალუზია მწერლის ტექსტში ჩართვით წარმოშობს.

მწერალი, სუბიექტური მსოფლალქმიდან გამომდინარე, ეპოქალური კონტექსტის პრიზმაში გაატარებს და გადაამუშავებს ბიბლიიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს. ყურადღებას შევაჩერებთ ბიბლიური ალუზიის, როგორც ინტერტექსტის, ლორენსისეულ ალქმა-გადმოცემასა და ქართულ თარგმანებში მათს ტრანსფორმაციაზე.

ლორენსის რომანის „Lady Chatterley's Lover“ („ლედი ჩეთერლის საყვარელი“) მეორე თავში აღწერილია გამალეპული ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში ნოტინგემშირის საგრაფოს სოფელ ტევერშოლის მაღაროთა ჭვარტლით გადაშავებული მიდამოები. ამ სანახაობას მწერალი ასე აღწერს: „And even on the **Christmas roses** the smuts settled persistently, incredible, like **black manna** from the skies of doom.“ ამ ნაწყვეტის ქართულად გადმოცემა ასე შეიძლებოდა: *შობის ვარდებსაც*



გამუდმებით ედებოდა ჭვარტლი, გასაოცარი, როგორც ზეციდან საბედისწეროდ წამოსული შავი მანანა.

აღნიშნულ ფრაგმენტში წარმოდგენილ ბიბლიურ ალუზიებს რომანის ერთ-ერთი მთარგმნელი, საერთოდ, არ ასახავს, მეორეს კი სამიზნე ტექსტში ეკვივალენტობის პრინციპის დარღვევით გადმოაქვს იგი. ლევან ინასარიძე ამ ეპიზოდს ასე გვანვდის: „წარმოიდგინეთ, ჰორტენზიებიც კი გაჭვარტლული იყო თითქოს ზეციდან წამოსული შავი მანანით.“

მოთხრობის „The Shadow in the Rose Garden“ („ვარდნარის ჩრდილში“) ქართულ თარგმანში შესიტყვება „the Tree of Heaven“ გამოტოვებულია. იგი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური დეტალია ლორენსის მრწამსის გამოხატვის თვალსაზრისით, რომელიც თარგმანში არ რეალიზებულა.

## დავით ოქროპირიძე

(საქართველო, თბილისი)

### „წმინდა ნინოს კულტის რელიგიური მეხსიერების განვითარება შუა საუკუნეების კავკასიაში“

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართლის მოქცევის ნარატიული წყაროების კრიტიკული გააზრება, რომელიც ეყრდნობა შუა საუკუნეების პერიოდში შექმნილ ტექსტებს.

აღსანიშნავია, რომ წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ლეგენდის გარდა არსებობდა საქართველოს გაქრისტიანების მრავალი სხვა ვერსიაც. კერძოდ, ცნობილია, რომ საქართველოში წმ. გრიგოლ პართელზე, ანდრია პირველწოდებულსა და მირიან მეფეზეც იქმნებოდა თვალსაზრისები ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით, მაგრამ მათ შესახებ წარმოდგენა დროის გარკვეულ მონაკვეთში უარყოფილ იქნა ან აღარ განვითარებულა.

ნაშრომში წარმოჩენილია აღნიშნული მოვლენის განმაპირობებელი ფაქტორებიც და იგი უკავშირდება კავკასიის რეგიონში მიმდინარე რელიგიურ ურთიერთობებს და კონფესიურ დიატრიბას.

რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით შესწავლილია შუა საუკუნეების ქართული ტექსტები, რომლებიც საშუალებას იძლევა, თვალი გავადევნოთ შუა საუკუნეებში წმ. ნინოს კულტის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს ქართულ რელიგიურ მეხსიერებაში.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია კავკასიური კულტურული ნარატივის გათვალისწინება, რაც წმ. ნინოს კულტის ჩამოყალიბებაზე ახდენდა გავლენას.

## მუსტაფა ოჯაქი

(თურქეთი, სტამბული)

### ოშკის მონასტრის კონსერვაციის საკითხები

ტაო-კლარჯეთის სამეფო მართავდა IX საუკუნის ბოლოდან XI საუკუნის დასაწყისამდე ტაო-კლარჯეთის ისტორიულ მხარეში, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ამ პერიოდში აშენდა მონასტრები, ეკლესიები, სამლოცველოები, ხიდები, სამლოცველოები. ეს საუკუნეები იყო ოქროს ხანა რეგიონისთვის არქიტექტურული თვალსაზრისით. მონასტრები, უდიდესი მონუმენტური შენობების კომპლექსი, საუკუნეების მანძილზე მოქმედებდნენ როგორც რელიგიური და საგანმანათლებლო ცენტრები. ოშკის მონასტერი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მონასტერია ტაო-კლარჯეთის მხარეში. მთავარი ეკლესია, რომელიც ეძღვნება წმინდა იოანე ნათლისმცემელს, აშენდა 963-973 წლებში. ოსმალეთის არქივის დოკუმენტების მიხედვით, სოფელში 1642 წელს ქრისტიანი მოსახლეობა არ იყო დარჩენილი. სამონასტრო კომპლექსი ამ თარი-

ლამდე მიტოვებული უნდა ყოფილიყო. მონასტრის ეკლესიის მე-19 საუკუნის ბოლოს დათარიღებული ვიზუალური წყაროებია მოპოვებული. ეკლესიის სამხრეთ ჯვრის მკლავში აშენდა მეჩეთი და გამოიყენებოდა 1960-იან წლებამდე. მიუხედავად იმისა, რომ 1980-იანი წლებიდან მოყოლებული ეკლესიისთვის არაერთხელ მოითხოვეს შეკეთება, თუმცა პროექტების მომზადება 2000-იან წლებში განხორციელდა. მონასტრის ეკლესიაში ქურდობის არაერთი მცდელობა ყოფილა, მოპარული იყო ორნამენტული ქვა. ოშკის მონასტრის შესახებ ბევრი კვლევა ჩატარდა თურქი და ქართველი აკადემიკოსების მიერ. რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა წინა პლანზე წამოვიდა 1992 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაფორმებული კულტურული ხელშეკრულებებით. ბოლო წლებში თურქეთ-საქართველოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებისა და ხელმოწერილი პროტოკოლების ფარგლებში დაიწყო პროექტები და აღდგენითი სამუშაოები. ოშკის მონასტრის ტაძარში ზომები გატარდა, მაგრამ აღდგენითი სამუშაოები ვერ დასრულდა 2021 წელს თურქეთსა და საქართველოს შორის პროტოკოლის ვადის ამოწურვის გამო. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ინფორმაციის მინოდებას საკონსერვაციო სამუშაოების უახლესი მდგომარეობის შესახებ და განიხილოს ოშკის მონასტრის სამომავლო სცენარის შესაძლებლობები.

## ნინო პოპიაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### პროზელიტიზმი ქართულ ჰაგიოგრაფიაში

პროზელიტიზმი განიმარტება, როგორც სარწმუნოების შეცვლა, ერთი რელიგიური მიმდინარეობიდან სხვა რელიგიურ მიმდინარეობაზე გადასვლა. ამასთან, პროზელიტიზმი არის სულიერი მისწრაფებების, იდეების, მოსაზრებების გადაცემა და გაზიარება. ასევე, პროზელიტიზმს ხშირ შემთხვევაში აქვს მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური ან ეკონომიკური საფუძვლები.

ქართულ ჰაგიოგრაფიაში პროზელიტიზმი რამდენიმე თხზულებაშია აღწერილი: უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“, უცნობი ავტორის „კოლაელ ყრმათა მარტვილობაში“, იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“, ასევე, პროზელიტიზმი ჟანრის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები შემორჩენილია ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში.

ქართულ ჰაგიოგრაფიაში პროზელიტი გმირის ასახვის თავისებურებები უახლოვდება ადრექრისტიანული „მარტვილობათა აქტების“ (ლათ. Acta Martyrum) გმირების ასახვის თავისებურებებს, რადგან პირველი ჰაგიოგრაფიული თხზულებების გმირები პროზელიტები არიან, ხოლო პროზელიტი გმირების აღწერისას უმთავრესი მიჯნა არის ნათლობის ფაქტი და მისი ფიქსირება, რომელსაც პროზელიტიურ მარტვილოლოგიაში უმთავრესი თემატური და იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ და იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ განსხვავებულად ერთად ამჟღავნებს პერსონაჟის ასახვის მოდელის მსგავსებას. მთავარი მსგავსება კი არის „ბუნებითი რჯულის“ ნებაყოფლობითი უარყოფა: ევსტათი მცხეთელი უარყოფს ცეცხლთაყვანისმცემლობას, ხოლო აბო თბილელი - მაჰმადიანობას.

მოსხენებაში ვისაუბრებთ პროზელიტი პერსონაჟების პერსონიფიცირების მოდელებზე. ყურადღებას გავამახვილებთ როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებზე.

**ერეკლე ჟორდანიას**  
(საქართველო, თბილისი)

**ტრაპეზუნტის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და  
მმართველობითი სტრუქტურის თავისებურებანი**

ცივილიზაციური კუთვნილების მიხედვით ტრაპეზუნტის იმპერია ბიზანტიური ტიპის სახელმწიფო იყო. მისი ძირითადი მახასიათებლები მართლმადიდებლობით, ბერძნული ენითა და სახელმწიფო ხელისუფლების ბიზანტიური კონცეფციით განისაზღვრებოდა. ყოველივე ეს ნათლად წარმოჩინდა როგორც იმპერიის სახელმწიფო იდეოლოგიაში, ასევე მის პოლიტიკურ, ეკლესიურ და საზოგადოებრივ მოწყობაში. სახელმწიფო დოკუმენტაციისა და წირვა-ლოცვის ბერძნულ ენაზე წარმოება კი კომენოსთა სამეფოს ცივილიზაციური კუთვნილების ყველაზე მკაფიო მტკიცებულება გახლავთ.

ამავე დროს, ტრაპეზუნტის იმპერია სოციალურ-კულტურული თავისებურებათა მთელი კომპლექსით გამოირჩეოდა, რაც, იმპერიის ეთნო-ლინგვისტურ სტრუქტურასთან ერთად, ნათლად გამოვლინდა დიდ კომენოსთა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასა მმართველობით სტრუქტურაში.

ტრაპეზუნტის სამეფოს ბირთვს ბიზანტიის იმპერიის ქალაქის ყოფილი თემის ტერიტორია შეადგენდა. იგი რვა გაერთიანებულ სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციულ ოლქებად (ბანდებად) და ერთ - ლაზიის თემად იყოფოდა. ეს უკანასკნელი უნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა როგორც ტრაპეზუნტის იმპერიის თავდაცვით სისტემაში, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი დიდი კომენოსების ხელისუფლების ერთგვარი დასაყდენიც კი იყო, რაც ნათლად გამოვლინდა როგორც ტრაპეზუნტის იმპერიის დაარსების დროს, ასევე 1340-1355 წლებში აქ მიმდინარე შინააშლილობისა და ტახტისათვის გააფთრებული ბრძოლის პერიოდში.

ადმინისტრაციული ოლქები, თავის მხრივ, უფრო მცირე, გამაგრებულ ტერიტორიულ ერთეულებად - კლისურებად (ხევებად) იყოფოდა. ბანდების ადმინისტრაციული საზღვრები დიდი მდინარეების ხეობებითა და აქ არსებული მთაგრეხილებით განისაზღვრებოდა. რელიეფის სირთულისა და გზების სიმწირის გამო ისინი, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთისაგან თითქმის იზოლირებულ ერთეულებსაც კი წარმოადგენდნენ. იმპერიის ამგვარ ადმინისტრაციულ -ტერიტორიულ მოწყობას, რაღა თქმა უნდა, პონტოს რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავდა, რაც, თავის მხრივ, სრულად შეესაბამებოდა ტრაპიზონის სამეფოს სამეურნეო საქმიანობისა და სახელმწიფოს თავდაცვის უზრუნველყოფისათვის საჭირო აუცილობელ მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში, თურქების ბატონობის პერიოდსა თუ ოსმალეთის იმპერიის არსებობის ხანაში ამ მხარის ტერიტორიული მოწყობის იგივე პრინციპი შენარჩუნდა და შეიძლება ითქვას, რომ იგი დღესაც კი მოქმედებს.

ბანდებს დუკები მართავდნენ, რომლებიც, ძირითადად, ადგილობრივი დიდებულებით იყვნენ წარმოდგენილნი. მათ დასაყრდენს საკუთარი მამულების ეკონომიური თუ ადამიანური რესურსი წარმოადგენდა. დუკებს უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელები - კეფალები - ექვემდებარებოდნენ. ისინი, ძირითადად, ტრაპეზუნტის იმპერიის სამხედრო ადმინისტრაციას წარმოადგენდნენ. ამასთანავე, მათ ფუნქციებს, ხშირ შემთხვევაში, თავად დუკები ითავსებდნენ ხოლმე.

ტრაპეზუნტის იმპერიის სოციალური მოწყობისა და მმართველობითი სისტემის ერთ-ერთი თავისებურება იმპერიის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში ადგილობრივი დიდებულების მიერ წარმოდგენილი ოჯახური კლანების არსებობა გახლდათ. ამ კლანების დაჯგუფებებისა და მათი თავკაცების, მაგალითად, ჭანიხიტების, კავასიტების, კამახინებისა თუ სხვათა გავლენა, ძირითადად, იმპერიის შიდა რეგიონებში ვრცელდებოდა. ამასთანავე, ისინი უპირატესად დიდი კომენოსების სამსახურში იდგნენ და მათი ეს, ასე ვთქვათ, არაფორმალური გავლენები სრულიად ბუნებრივად ერწყმოდა მათზე დაკისრებულ ადმინისტრაციულ ფუნქციებსა და მოვალეობებს. საიმპერატორო ხელისუფლება რეალურად დედაქალაქსა და დიდ ქალაქებზე, ზღვისპირა ზოლში, დიდ ხეობებსა და

იქ არსებულ ციხე-სიმაგრეებზე ვრცელდებოდა. ადგილობრივი დიდებულებისა და მმართველების, არხონტების კლანები კი თითქმის სრულად აკონტროლებდნენ იმპერიის ძირითად, პერიფერიულ ნაწილს. ცენტრალური ხელისუფლების მიერ მათი უფლებების შემცირებისა თუ მათი დაქვემდებარების მცდელობების მიუხედავად, მმართველობით სტრუქტურში თითქმის არაფერი იცვლებოდა. საიმპერატორო ხელისუფლების მიერ გატარებული ლონისძიებების შედეგად, ადგილობრივი სუვერენების ძალაუფლება, ხშირ შემთხვევაში, კი არ სუსტდებოდა, არამედ ძლიერდებოდა კიდევ. მიწის მსხვილი მესაკუთრეები და ადგილობრივი დიდებულები ცდილობდნენ გაეძლიერებინათ საკუთარი პოზიციები და უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღოთ იმპერიის არამარტო შიდა თუ განაპირა რეგიონების, არამედ საიმპერატორო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ოლქებისა და თვით იმპერიის დედაქალაქის მართვაში.

## იოსებ ჟორდანია

(ავსტრალია, მელბურნი)

### ქართული მრავალხმიანი სიმღერა როგორც ისტორიული წყარო

1. წარმოდგენილ მოხსენებაში მე შევეცდები დავასაბუთო, რომ მრავალხმიანობას ახასიათებს არაჩვეულებრივი სტაბილურობა, და აქვს შესაძლებლობა მიგვითითოს ერის ისტორიის უძველეს ფენებზე, ხალხებს შორის არსებულ გენეტიკურ ნათესაობაზე. მნიშვნელოვანია, რომ მრავალხმიანობის მონაცემები ამჟღავნებენ აშკარა სიახლოვეს ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემებთან, რაზეც მე მქონდა საუბარი ჯერ კიდევ 1988 წელს.

2. მიგრაციული პროცესების შესწავლაც მიგვანიშნებს, რომ მრავალხმიანობის გავრცელება არ ხდება ადსტრატული გზით (რაც ხშირია ენის გავრცელების შემთხვევებში). მრავალხმიანობის კერები, როგორც წესი, ავთონთონურ პოპულაციებში გვხვდება. ისიც სიმპტომატურია, რომ მრავალხმიანობა დღეისათვის გავრცელებულია მსოფლიოს გეოგრაფიულად ყველაზე უფრო იზოლირებულ რეგიონებში.

3. მრავალხმიანობის წარმოშობის ძველი მოდელი, რომლის მიხედვითაც მრავალხმიანობა არის გვიანდელი კულტურული აღმოჩენა, არ მართლდება. როგორც ჩანს, ჯგუფურად სიმღერის ევოლუციური ფუნქცია იყო ადამიანის წინაპრების გაერთიანება მტაცებლებისა და მტრებისაგან თავდასაცავად, და მას მილიონობით წლის ისტორია აქვს. ჯგუფური სიმღერისა და ცეკვის გამოყენება როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე პროფესიონალ მებრძოლებში კარგადაა ცნობილი, და პირდაპირ უკავშირდება „საბრძოლო ტრანსის“ ფენომენს.

4. საქართველოს შემთხვევაში მრავალხმიანობის მონაცემები მიგვითითებენ, რომ ქართველური ტომები არიან არამარტო კავკასიის, არამედ ევროპის უძველესი ავთონთონი მოსახლეები, და მათ აქვთ ფიზიკური ნათესაობა მთელ რიგ ჩრდილო კავკასიურ ხალხებთან (მათ შორის სხვა ენობრივი ოჯახების წარმომადგენლებთან). და ბოლოს, აღმოსავლეთ საქართველოში შეინიშნება გვიანდელი შენარევი, რომელიც, როგორც ჩანს, უკავშირდება ინდოევროპული ენების მატარებელი მოსახლეობის შემოსვლას.

## ჯაბა სამუშია, დავით ხოსროშვილი, გოჩა რატიანი

(საქართველო, თბილისი)

### საქართველო დიპლომატიური სამსახურის საიდუმლო მიმოწერა 1918-1921 წლებში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სამხედრო სამინისტროში სპეციალური ჯგუფი არსებობდა, რომლებიც საიდუმლო შიფროგრამებს ქმნიდა და შიფრავდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის მასალაში ათობით დაშიფრული დეპეშაა შემონახული, დასავლეთ ევროპიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან და სხვა. სამწუხაროდ, დღემდე მათი შინაარსი უცნობი იყო.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედებდა საიდუმლო მიმოწერის საკმაოდ გამართული სისტემა. ეროვნულ არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილი იყო მოსკოვის მისიასთან სასაუბროდ. მას ახლავს „განმარტება“ და „გარეშე საქმეთა სამინისტროს შიფრი.“

#### „განმარტება“

1. შიფრი ხუთ მარცვლიანია.

2. მეხუთე ხუთ მარცვლოვანის უკანასკნელი ორი ნიშანი არის გასაღები შიფრისა. ეს რიცხვი უნდა იყოს დაყენებული ასო „ტ“ პირდაპირ.

3. შიფრიანი დეპეშის შედგენის დროს ყოველ ორ ციფრიან რიცხვს, რომელიც უდრის დეპეშის ყოველ ასოს, უნდა გამოაკლოთ (გარდა გასაღებისა), ათ-ათი (10), მიღებულ დეპეშის გახსნის წინეთ ყოველ ორ ციფრიან რიცხვს (გარდა გასაღებისა) უნდა მიუმატოთ ათ-ათი და ისე ამოწეროთ შიფრიანი ფრაზების ტექსტი.“ ამას მოჰყვება სამინისტროს შიფრი, სადაც აღფავიციის შესაბამისი ასო-ნიშანი შეესაბამებოდა კონკრეტულ რიცხვს: ა - 33; ბ - 59; გ - 67; დ - 35; ე - 23; ვ - 53 და ა.შ. როგორც ვხედავთ, საიდუმლო მასალის გადასაცემად გამოყენებულია ქართული ანბანის 2-ნიშნა რიცხვებად შეცვლის წესი. დაშიფრული მასალა ტელეგრაფით ან კავშირგაბმულობის სხვა არხით (მაგ. რადიოგადამცემი) გადასაცემად ჩაინერგებოდა 5-ნიშნა ან 4-ნიშნა ციფრთა ჯგუფების ფორმით. გადასაგზავნი მასალა ზოგ შემთხვევაში შერეული სახისაა - ანუ გვხვდება ღია, კითხვადი ტექსტის კომბინაცია (მაგალითად, ფრანგულ ან ქართულ ენაზე) შიფრირებულ მასალასთან ერთად. ეს მეთოდი გამოიყენება გზავნილის ოპერატიულად მოსამზადებლად და გადასაცემად, როცა ნაკლებად მნიშვნელოვანი ცნობები ღიად ჩაინერგება, საიდუმლო, მაგ. სადაზვერვო ხასიათის კი - იშიფრება.

დაშიფრვა-გაშიფრვის დროს ხდება პლანშეტების გასრიალება იმდაგვარად, რომ ანბანის რომელიმე ასო, წინასწარ შეთანხმებული ალგორითმით, გაუსწორდეს რომელიმე კონკრეტულ 2-ნიშნა რიცხვს. შესაბამისად, დანარჩენი ანბანის ასოების შემცვლელი იქნება მათ გასწვრივ მდგომი 2-ნიშნა რიცხვი. ინსტრუქციის მიხედვით, შიფრის ერთჯერადი გასაღები უშუალოდ გაგზავნილ შიფროგრამაში ინახებოდა, კერძოდ, გასაღებს წარმოადგენდა შიფროგრამის მე-5 ჯგუფის ბოლო ორი ციფრი, რომლის გასწვრივაც უნდა განთავსებულიყო ქართული ანბანის რომელიმე კონკრეტული ასო.

არქივში დაცული შიფროგრამების კრიპტოანალიზით მოხერხდა იდენტიური შიფრგასაღებით დაშიფრული მასალის იდენტიფიცირება და სისტემატიზაცია.

ამ ეტაპზე „გატეხილია“ სამი გასაღები და საარქივო 36 დოკუმენტიდან სულ დეშიფრირებულია 29 დოკუმენტი: 11 - გასაღები №1-ით; 3 - გასაღები №2-ით და 15 - გასაღები №3-ით.

## ანუშ სარგსიანი

(სომხეთი, ერევანი)

### ნერსეს შნორჰალის სახელთან დაკავშირებული ლეგენდების მიღმა: „ნათესაობის რიგის შესახებ“ ტაბულის მაგალითზე

კილიკიის სომხეთის კათოლიკოსი ნერსეს შნორჰალი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა XII ს-ის სომხეთის საეკლესიო ცხოვრებაში. მან დიდი ამაგი დასდო სომხურ მწერლობას. მის სახელს ხშირად ახსენებდნენ მოგვიანო ხანის ავტორებიც და მას მიაწერდნენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ნერსეს კათოლიკოსის კალამს არ ეკუთვნოდა. მოხსენებაში შევეხებით ერთ-ერთ ასეთ ნაწარმოებს, რომელიც წარმოდგენილია XV ს-ის ავტორის ჰაკობ ღრიმეცის ტაბულაში „ნათესაობის რიგის შესახებ“. ეს ნაშრომი შეიქმნა მენოფის მონასტრის არქიმანდრიტის, თოვმა მენოფეცის (დახლ. 1416) დაკვეთით და მოგვიანებით შევიდა სომხეთის კანონთა წიგნში.

დასახელებულ ნაშრომში, სქემატური ტაბულებისა და კომენტარების თანხლებით, განსაზღვრულია სისხლით ნათესაობის რიგი მამის და დედის ხაზით. ღრიმეცის თანახმად, ნათესავეებს შორის ქორწინება დასაშვებია ოთხი თაობის შემდეგ. ნაშრომს ერთვის ექვსდონიანი სამკუთხედისა და წრიული ფორმის ტაბულის გამოსახულებები, რომლებიც იმავე შინაარსისაა. ორივეს თან ახლავს სათაური და კომენტარები. ღრიმეცის ცნობით, წრიული ფორმის ტაბულის ავტორი ნერსეს შნორჰალი ყოფილა.

ჩემს მოხსენებაში გარკვეულია ტაბულის წარმომავლობა. განვიხილავ, ერთი მხრივ, შნორჰალის „ენციკლიკურ ეპისტოლეს“ და მის სახელთან დაკავშირებულ ლეგენდებს, ხოლო, მეორე მხრივ, ღრიმეცის მოღვაწეობის დროსა და გარემოებას და წარმოვაჩინ ღრიმეც-შნორჰალის კავშირს ისტორიული მეხსიერების ჩავარდნის კონტექსტში.

## მაია სახოკია

(საქართველო, თბილისი)

### ქართველურ/ინდოევროპულ ენათა მორფოსინტაქსურ-მორფონოლოგიური დიაქრონიულ-ტიპოლოგიური პარალელები

ნაშრომში თავმოყრილია ავტორის სხვადასხვა დროის დიაქრონიულტიპოლოგიური კვლევებისა და ღრმა მორფოსინტაქსურდმორფონოლოგიური რეკონსტრუქციების წამყვანი შედეგები ქართველური (ქართული) და ინდოევროპული (რიგი სხვადასხვა ძველი და ახალი ენის) მასალის შეპირისპირების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული განხილვადი მონაცემები და ავრორისეული ანალიზი გარკვეულ თემატურ ბმამა აკად. თამაზ გამყრელიძის სამეცნიერო მემკვიდრეობასთან და ეხმიანება მის დასკვნებს სხვადასხვა ინდოევროპული (იე) და ქართველური (ქე) ენების ნაწილობრივი (პარციული) ტიპოლოგიური შეპირისპირების საფუძველზე; მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გარკვეული შეპირისპირებითი მონაცემები.

ფორმალური მორფოსინტაქსური კონეხი შეიძლება განმეორდეს სხვადასხვა ენობრივ დონეზე ერთდროულად, როგორც ორიგინალური დიაქრონიული და როგორც ტიპოლოგიურ-უნივერსალური ფენომენი. ამ თვალსაზრისით წარმოდგენილია რამდენიმე მორფოსინტაქსური ბლოგი და მორფონოლოგიური ელემენტი:

1. *პოსესიური ერგატიული (ერგატივიზებული) ირიბსუბიექტური აღწერითი პერფექტები* ლათინური ფორმულებით *eius/mihi factus est opera*. (ახალქართული ტიპები: (1) „ჩემი გაკეთებულია საქმე, (2) მას გაკეთებული აქვს საქმე. პერფექტული მორფოსინტაქსემები, კონსტრუქციები მოდელით: *S gen/S dat Agens+Past Pass Part+O nom*. პოსესიური ერგატიული (ერგატივიზებული) იე პოსესიური პერფექტები ფიქსირდება მრავალ დონეზე მოგვიანო პროტოინდოევროპული (\*პიე) დონის ჩათვლით.

2. ირიბი პოსესიურობა: ირიბი ქონა-ყოლის მორფოსინტაქსემები. ქართული (და, ზოგადად, ქართველური) სპეციალური ქონაყოლის ზმნები (*Verba Habendi*) აგებულია ირიბი პოსესიურობის მოდელზე *est mihi: S datPoss+OpssNom+V esse* (ქ. *მაქეს/მყავს*). იე ენებშიც ფართოდ ფუნქციობს დატიური (მიცემითბრუნვიანი ირიბსუბიექტური) ან გენიტიური (ნათესაობითბრუნვიანი ირიბსუბიექტური) მოდელები: *est mihi, eius est*; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ირიბი პოსესიურობის მოდელი აღდგენადია და აღდგენილია თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის \*პიე რეკონსტრუქციების მიხედვით მოდელით: *S dat/Sgen Poss+OpssNom+V esse*.

3. დატიური აფექტური მორფოსინტაქსემები (*Verba Sentiendi*). გვაქვს იე ირიბსუბიექტური აფექტური (გრძნობა-გუნების, მენტალობის) მორფოსინტაქსემები (*Verba Sentiendi*). ხერხდება ამ ბლოგის იდენტიფიცირება ნაწილობრივი ტიპოლოგიური შესატყვისობის სახით ქართულთან (ქვ ნორმა), ე. წ. ინვერსიული ტიპით (ქ. *მტკივა, მშია*). მრავლადაა ტიპოლოგიური პარალელები იე ენებში. ესაა დატიური (მიცემითბრუნვიანი ირიბსუბიექტური მოდელები ფორმულით: *S dat experiencer+Nom/Adv* ან *S dat experiencer+V* (*Verba Sentiendi, Verba Mentalis*)).

4. ობიექტური პირის მარკერები (ობიექტური რიგის კლიტიკური ზმნური მორფები). იე ში სხვადასხვა დიაქრონიულ დონეებზე მოიპოვება ქვ „მანის“ რიგის პირის მარკერთა (ნიშანთა) მსგავსი ტიპოლოგიური ტიპები. ასეთია, მაგ., ახალსპარსული ფაქტები (*didam-at, goftama-at* “გ-ნახე, გ-ითხარი”).

5. ეტიმოლოგიურ-მორფონოლოგიური წიაღსვლები ქვ//იე: ზმნური ძირები \*რ//\*R. განხილულ მორფოსინტაქსემთა ტიპოლოგიური კვლევისას გამოვლინდა ჰიპოთეტური, განხილვას დაქვემდებარებადი ფაქტებიც. მსჯელობა აქ გადადის სიღრმისეული მორფონოლოგიური თუ ძირობრივი (ფუძისეული) რეკონსტრუქციების სფეროში. ქვ ენებში გვაქვს ძირი \*რ „ყოფნა“ და ქონა-ყოლა ზმნებში თუ აღწერით პოსესიურ მორფოსინტაქსემებში (მაგ., სვან. მირი, ჟირი, ხორი; \*Hira, \*ira). ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში \*რ ძირი იკვეთება აღდგენად, რეკონსტრუირებად მონაცემებში. ამდენად, სახეზეა \*პქვ ძირი \*რ (\*R). იე-ში ამის ტიპოლოგიური ბადალია „ყოფნა“ ზმნათა ძირი \*R (ბალტ. YRA/ IR < \*IRA). ბოლო ათწლეულებში დადგინდა აგრეთვე \*პროტოალთაური (\*პალთ) ძირი \*AR (იაპ. ARU, ARI) „ყოფნა“ „არის“. ეს მრავალმხრივი მსჯელობის საგანია. სამსჯელოა ასევე ნოსტრატულ ელემენტად მიჩნეული ირიბი ბრ. მარკერი \*N (ქვ/იე).

## ლიუბოვ სოლოვიოვა (რუსეთი, მოსკოვი)

### „ცნობები თუშეთის შესახებ“ - როგორც მე-19 საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ეთნოგრაფიისა და ისტორიის წყარო

თუშეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიისათვის ღირებულ წყაროს წარმოადგენს სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის არქივის ხელნაწერი, რომლის ავტორიც იყო მღვდელი ჰეროდოან ელიოძიევი (ელიოსიძე) სოფელ იენისიდან. „ცნობები თუშეთის შესახებ“ შესრულებულია საქართველოს ეგზარქოსისა და ქართლ-კახეთის არქივისკოპოს ისიდორეს მხარდაჭერით, რაც თავის მხრივ, აიხსნება იმ განსაკუთრებული ინტერესით, რომელსაც ეკლესიის წინამძღვრები საქართველოს მთიანი რეგიონების მიმართ იჩენდნენ.

„ცნობები...“, ავტორის თქმით, შედგენილია მისივე დაკვირვებისა და ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. სახასიათოა, რომ ავტორი თუშეთს „საკვირველ და თითქმის უცნობ ქვეყანას“ უწოდებს.

ხელნაწერი შეიცავს ცნობებს თუშეთის წარმოშობასა და მათ განსახლებაზე. ამასთან ერთად, მოცემულია ცნობები თუშური თემებისა და მათი სოფლების სახელების, სოფელში მამაკაცი და

ქალი მცხოვრებლების რაოდენობის, თუმურ თემებში გავრცელებული ენების (ქართული და ქისტური) შესახებ.

საინტერესოა მონაცემები თუშების მატერიალური კულტურისა და საქმიანობის შესახებ: საცხოვრებლის მოწყობა (4-5 სართულიანი კოშკები და სახლები), მამაკაცთა (მესაქონლეობა, რაც თუშთა მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენს) და ქალთა (ხელსაქმე, მატყლის დამუშავება...) ყოველდღიური საქმიანობა. დეტალურადაა აღწერილი შირაქსა და თრიალეთში საქონლის გადარეკვისა და საზაფხულოდ მათი მთაში დაბრუნების მომენტები. ქალთა სამოსის აღწერისას ავტორი ვერცხლის სამკაულის დეტალურ აღწერილობასა და მათ სახელწოდებებს გვთავაზობს. აღნიშნულია თუშების აქტიური სავაჭრო ურთიერთობანი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა (თბილისი, თელავი და სიღნაღი, და მეზობელ მაღალმთიანეთთან (ქისტეთი და დიდო).

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადგილობრივი რელიგიური რწმენისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის მდგომარეობას. ავტორი განიხილავს მიზეზებს, რის გამოც თუშებს შორის ქრისტიანი მღვდლების ნაცვლად სალოცავთა სპეციალური მსახურნი (დეკანოზი, მნათე) არსებობენ და მისდევენ სისხლიან მსხვერპლშენიშვნებს. ავტორი აღწერს საკრალური ადგილების სივრცეში ორგანიზებას, გამოყენებულ ჭურჭელს (ვერცხლის თასები, სპილენძის ქვაბები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ნივთები), სადღესასწაულო შემონიშნულობებს (ვერძები, ხარები, ღვინო, პური, კვერები), დეკანოზის მიერ წარმოთქმულ ლოცვებს. დღესასწაულების თანმდევ გასართობებს (დოღი, სიმღერები და ცეკვები, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა), ქადაგის წინასწარმეტყველებებს.

ხელნაწერი ასევე შეიცავს საინტერესო ცნობებს ბავშვის დაბადების, ნიშნობისა და ქორწილის რიტუალებზე. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება დაკრძალვისა და გლოვის ტრადიციებზე.

ავტორი იმონებს ფოლკლორული შემოქმედების რამდენიმე ნიმუშსაც: მოსაგონებელ სიმღერებს, ლოცვების ტექსტებს, ლეგენდებს ალვანის ველზე.

„ცნობები თუშეთის შესახებ“ შეიცავს ქართველი თუშების მე-19 საუკუნის ცხოვრების წესის, ყოველდღიურობისა და ტრადიციების მოკლე, მაგრამ მრავალმხრივ და ზუსტ აღწერას. ასევე მათ ურთიერთობებს მეზობელ ქისტებთან, დიდოელებთან და ლეზგებთან. ავტორმა დააფიქსირა ბევრი ქართული მატერიალურ კულტურასთან, საოჯახო რიტუალებთან და რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებული ტერმინი. ხელნაწერი ღირებული წყაროა და იმ პერიოდის შესახებ შექმნილ ნაშრომებს ინფორმაციულად ავსებს.

## ნატო სონღულაშვილი

(საქართველო, თბილისი)

### საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების ეროვნულ-უმცირესობათა განათლება (XX საუკუნის 40-იანი წლები)

საქართველოში „საბჭოთა რეჟიმის“ ისტორიის შესწავლა თანამედროვე ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ აქტიურ და უდავოდ გამორჩეულ პრობლემას წარმოადგენს. ფაქტია, რომ მსოფლიო ისტორიაში XX საუკუნის აღნიშნული ეტაპი წინააღმდეგობებით, აზრთა განსხვავებულობით, იდეათა ჭიდილის და სამეცნიერო და არა მხოლოდ, წრეებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებითა და შეფასებებითაა ცნობილი.

1921-1991 წლებში განვითარებული მოვლენები, მათი ცალკეული მხარეები არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის ობიექტი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი სპეციალური ლიტერატურა არსებობს, თუმცა დრო გარკვეულ რედაქტირებას უკეთებს სამეცნიერო ლიტერატურას, იცვლება საკითხისადმი მიდგომა, პრობლემათა შეფასება-შესწავლის ტენდენციები და გარკვეულ ეტაპზე საჭიროება მოითხოვს ისტორიის გადააზრებას და დროის ლაბირინთებში „“-„-“ ფაქტების სააშკარა-ოზე გამოტანას. სპეციალისტთა წრეებისთვის უცხო არ არის საბჭოთა სისტემის მიერ დამკვიდრე-



ბული და შემორჩენილი გადმონაშთები, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენს და ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს კიდევ საზოგადოების გარკვეული ნაწილის მსოფლმხედველობას. აღნიშნულს ხელს უწყობს საკითხის ცალმხრივი გაშუქების მცდელობანი და ფართო წრეებისთვის უცნობი ცალკეული ისტორიული წყაროები.

## ეთერ სოსელია

(საქართველო, თბილისი)

### ქართული მრავალწევრა თანხმოვანთკომპლექსები და ფონოტაქტიკური ტენდენციები

ცნობილი ფაქტია, რომ ქართული ენა თანხმოვანთკომპლექსთა მრავალფეროვნებითა და მრავალროცხოვნებით ხასიათდება, რასაც დიაქრონიული საფუძველი აქვს და რაც სინქრონიულად ვლინდება თანხმოვანთა კომბინირების ფართო შესაძლებლობაში და თვით თანხმოვანთკომპლექსთა სიგრძეში. ერთი მორფემის (როგორც წესი, ძირეული მორფემის) ფარგლებში თანხმოვანთკომპლექსის სიგრძე ქართულში მერყეობს 2-დან 6-ის ჩათვლით.

მოსხენებაში განხილულია ქართული მრავალწევრა (ოთხი ან მეტი რაოდენობის წევრის შემცველი) თანხმოვანთკომპლექსები. გასაგებია, რომ მრავალწევრა თანხმოვანთკომპლექსთაგან რაოდენობრივად ყველაზე მეტია ოთხწევრა კომპლექსები (სულ 82), ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსი არის 15, ხოლო ექვსწევრა თანხმოვანთკომპლექსთა რაოდენობა არის 3.

მოსხენებაში თითოეული ეს ჯგუფი (კომპლექსში წევრთა რაოდენობის შესაბამისი) გაანალიზებულია ცალ-ცალკე:

ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსთა დიდი ნაწილი (40,2%) შეიცავს /რ/ სონორს კომპლექსში მეორე პოზიციაზე ( $C_1$ რ $C_3$ C $C_4$  ტიპისა). აღნიშნულ ტიპში  $C_3$ C $C_4$ , როგორც წესი, ან ჰარმონიულ კომპლექსს ქმნის, ან  $C_4$  = /ვ/,  $C_1$ -ის პოზიციაზე კი ყველაზე ხშირად /ბ/ ან /ფ/ ფონემაა წარმოდგენილი;

ხუთწევრა თანხმოვანთკომპლექსების დიდი ნაწილი ერთგვარად თითქოს ეყრდნობა ოთხწევრა კომპლექსების სტრუქტურას და კომპლექსში თანხმოვანთა რაოდენობა იზრდება, ძირითადად, /ვ/ ფონემის დამატების ხარჯზე: შესაძლოა გვექონდეს:  $C_5$  = /ვ/ – ამ შემთხვევაში /ვ/ ჰარმონიული კომპლექსის მომდევნო პოზიციაშია (ჰარმონიული კომპლექსის წინა პოზიციაში კი დგას სონორი), ან  $C_4$  = /ვ/ – ამ შემთხვევაში სონორი მოსდევს /ვ/-ს;

ექვსწევრა თანხმოვანთკომპლექსებიც ეფუძნება ხუთწევრა კომპლექსების უმეტესი ნაწილის სტრუქტურას (რომლებშიც, ჰარმონიული კომპლექსის მომდევნო პოზიციაში  $C_5$  = /ვ/) და კომპლექსის მეექვსე წევრად წარმოდგენილია /ნ/ სონორი.

მრავალწევრა თანხმოვანთკომპლექსთა თითოეულ ჯგუფში კიდევ სხვა სტრუქტურული ტიპებია განხილული და გამოვლენილია შესაბამისი ფონოტაქტიკური ტენდენციები.

## ნესტან სულავა

(საქართველო, თბილისი)

### აფხაზეთი როგორც პოლიტიკური და ქრისტიანული კულტურის დროსივრცული არეალი ქართულ ჰაგიოგრაფიაში

ქართულმა ჰაგიოგრაფიამ ასახა საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სამეფოს, სამთავროს პოლიტიკურ-სოციალური, იდეოლოგიური და კულტურულ-ისტორიული ვითარება, რომელსაც გარკვეული გეოგრაფიული სივრცის ფიზიკური მდგომარეობისა და სიმბოლური გააზრების კონტექსტიც აქვს. ამ თხზულებათა სამოქმედო არეალია ქართლი, კახეთი, სამხრეთ საქართველო, დასავ-

ლეთ საქართველო; თითოეული მათგანი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სახელით იხსენიება. აფხაზეთისა და მისი კულტურული სივრცის წარმოსახვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ის პრობლემაა, რომელიც მოიცავს აფხაზეთის, როგორც VIII-X საუკუნეების დასავლეთ საქართველოს, პოლიტიკურ-იდეოლოგიური და კულტურული ფონის საფუძველზე აქ მიმდინარე მოქმედებებისა და მოვლენების ჩვენებას, შესაბამისად, იმ წმინდანთა სახეების წარმოჩენას, რომლებიც ან აფხაზეთის //დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი არიან, ან მას უკავშირდებიან. ეს ჰაგიოგრაფიული თხზულებებია: იოვანე საბანის ძის „წმ. აბო ტფილელის წამება“ და გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, რომლებშიც მთავარი პერსონაჟების სამოღვაწეო არეალი აფხაზეთსაც სწვდება. აქვეა განსახილველი „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ XII საუკუნეში შექმნილი მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციები, რომლებშიც მოქმედების გეოგრაფიული არეალი აფხაზეთია, ხოლო დროის თვალსაზრისით იგი VIII საუკუნის ამბებს ასახავს. ე.ი. სამივე ჰაგიოგრაფიული თხზულება ერთი ეპოქის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, სასულიერო-საეკლესიო, სოციალურ, კულტურულ ვითარებას წარმოაჩენს. ამიტომ ვამახვილებთ ყურადღებას VIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში, ამ პერიოდში აფხაზეთად ნოდებულ ქვეყანაში, მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ, საეკლესიო-რელიგიურ და კულტურულ ვითარებაზე. მათში მეტნაკლებად აისახება აფხაზეთის სამეფოს მდგომარეობა. VIII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში მეფობდა ლეონ მეორე, თავისი წინამორბედის, ლეონ პირველის მსგავსად, სახელმწიფოებრივი და რელიგიური ცნობიერებით გამორჩეული პიროვნება, რომელმაც გააერთიანა დასავლეთ საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ყველა პოლიტიკური ერთეული და, როგორც აფხაზეთის სამთავროს მთავრის მემკვიდრემ, შექმნა ერთიანი სახელმწიფო - აფხაზეთის სამეფო. მართალია, ლეონ მეორის მეფობის დროს აფხაზეთი ჯერ კიდევ ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენას განიცდიდა, მაგრამ იგი რელიგიურ-ეკლესიურად არ იზიარებდა ბიზანტიაში მიმდინარე რელიგიურ ბრძოლებს, კერძოდ ხატმებრძოლობის ერესს და რჩებოდა ხატთაყვანისმცემელ ეპარქიად. აფხაზეთის ეკლესია გამოეყო მწვალებლობაში ჩავარდნილ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და ორიენტაცია აიღო ანტიოქიის საპატრიარქოზე, ხოლო IX საუკუნის პირველ ნახევარში დამოუკიდებლობა მოიპოვა და მცხეთის საკათალიკოსო ტახტს დაუკავშირდა, რამაც ტრადიციულად მას საბოლოოდ საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის ნიაღში დაუმკვიდრა ადგილი. საქართველოს ეკლესიის სტატუსი საუკუნეების განმავლობაში განსხვავებული იყო, მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ საქართველოზე, აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე, საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ეპარქიებზე. მიუხედავად ამისა, იყო ისტორიული დრო, როდესაც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე (მაგ., ბიჭვინთის საეპისკოპოსო) ბერძნული საეპისკოპოსოები არსებობდა, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სამხედრო ცენტრების არსებობითაა ახსნილი.

ზემოთ დასახელებული სამი თხზულების წმინდან პერსონაჟთა სამოღვაწეო არეალი აფხაზეთია, რომელიც პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეს წარმოადგენს, როგორც „ყოველი ქართლის“ განუყოფელი ნაწილი, რომელთანაც საერთო აქვს სახელმწიფო ენა და სარწმუნოება მამულთან, ტერიტორიასთან ერთად. გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გამოთქმული თვალსაზრისი - „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კვრიელესონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, გინათუ „უფალო, შეგვწყალენ“ (ძეგლები, 1963/1964: 290) - სწვდება და გულისხმობს აფხაზეთსაც, როგორც „ყოველი ქართლის“ სრულუფლებიან ნაწილს და წევრს. „ლოცვაჲ ყოველი“ სრული ლიტურგიული პროცესია და იგი ქართულ ენაზე სრულდება „ყოველი ქართლის“ ტერიტორიაზე, ხოლო „კვრიელესონის“ ბერძნულად თქმა, ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, ან „უფალო, შეგვწყალენ“ ქართულ ეკლესიას აერთიანებს მთელ მართლმადიდებლურ სამყაროსთან, რითაც მყარდება ეკლესიათა ერთობა, უნია.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, ხსენებულ თხზულებებში აფხაზეთის თემა წამყვანი არაა, რადგან ჰაგიოგრაფიის მიზანი წმინდანის ხატ-სახის ჩვენებაა. პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ფონი ჰაგიოგრაფს სჭირდება წმინდანის სახის უკეთ წარმოსახავად, მაგრამ რეალურად გვიჩვენებს იმ ვითარებასაც, რომელშიც

უნეგს მას ცხოვრება, მოღვაწეობა, მონამებრივი აღსასრული. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიაში გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ისტორიული გეოგრაფიული არეალი, რადგან ამ მოვლენებისა და სივრცის ასახვით ჰაგიოგრაფია საუკეთესო ისტორიულ წყაროდ გვევლინება, მით უმეტეს, რომ იოვანე საბანის ძისა და გიორგი მერჩულის თანამედროვე საქართველოს ვითარების ამსახველი საისტორიო თხზულებები, თანამედროვეთა მიერ აღწერილი, არ შემოგვრჩა, მათ შესახებ გვიანდელი ისტორიკოსები მოგვითხრობენ.

## **ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი**

(საქართველო, თბილისი)

### **კავკასიური სივრცე „დავითიანში“**

„დავითიანი“ მრავალმხრივი, მრავალგანზომილებიანი, რთული სტრუქტურის მქონე ნაწარმოებია, რომლის მხატვრული კონცეფციის კვლევა მისი წინამორბედი და თანამედროვე ქართული და უცხოური მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული ეპოქების მახასიათებელი მხატვრულ-ესთეტიკური შრეებისა და სისტემების, საღვთისმეტყველო ლიტერატურის გათვალისწინებით უნდა წარმართოს. დავით გურამიშვილის შემოქმედების მთელი სისრულით შესწავლა, ერთი მხრივ, ქართულ და, მეორე მხრივ, ევროპულ ინტერკულტურულ კონტექსტში მოითხოვს დავით გურამიშვილის პოეზიის საფუძვლების მოძიებას სხვადასხვა ცივილიზაციურ სამყაროში, კერძოდ: 1. ქართულ ტრადიციებთან მიმართების დადგენას და 2. დასავლეთევროპული, უკრაინული, პოლონური და რუსული ლიტერატურულ-კულტურული ანალოგიების წარმოჩენას მის შემოქმედებაში, ტიპოლოგიურ მსგავსებათა ისტორიული კონტექსტის განსაზღვრას, თანამედროვე კულტუროლოგიურ პროცესებთან მის დაკავშირებას, რადგან პოეტს სწორედ ამ არეალში მოუხდა ცხოვრების უდიდესი ნაწილის გატარება და ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნა; ეს ისტორიულ-ფილოლოგიური აზროვნების ევროპულ ტრადიციებთან ინტეგრაციის გამოსავლენად მიმართული კვლევის მახასიათებელია. ამ კონტექსტშია მოქცეული დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროში კავკასიის დროსივრცული არეალი და მისი მხატვრული ღირებულება, რადგან მან, როგორც ქართულ ტრადიციებსა და დასავლურ სამყაროს შორის მოქცეულმა, დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე უდიდესი კვალი დატოვა.

უნდა აღინიშნოს, „დავითიანში“ კავკასიის თემა წამყვანი არაა, რადგან დავით გურამიშვილის პოეტური მემკვიდრეობის მიზანი ღმერთის, სამყაროს, ქვეყნის, ადამიანის ადგილის განსაზღვრაა, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი ადამიანს ეთმობა, რაც გურამიშვილის იმ სტროფშია გამოხატული, რომლითაც ადამიანის თვითშემეცნების საფუძვლები გაიაზრება: „ყმანვილი უნდა სწავლობდეს / საცნობლად თავისადაო, / ვინ არის, სიღამ მოსულა, / სად არის, წავა სადაო“. ამ ოთხ თეზისშია მოქცეული პოეტის მიერ პირადად განცდილი იძულებითი ყოფნა კავკასიურ სივრცეში. მიუხედავად ამისა, კავკასიურმა სივრცემ გადამწყვეტი როლი შეასრულა დავით გურამიშვილის ცხოვრებაში და ღრმა კვალი დააჩნია მის პოეტურ შემოქმედებას. პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ფონი პოეტს სჭირდება თავისი ქვეყნისა და მოქალაქის სახის უკეთ წარმოსახავად. ამიტომ, რეალურად გვიჩვენებს იმ ვითარებას, რომელშიც მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ თვალთახედვითაა მნიშვნელოვანი „დავითიანში“ გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ისტორიულ-გეოგრაფიული არეალი, რომელსაც ავტორისეული დროსივრცული აღქმა უდევს საფუძვლად. ამ მოვლენებისა და სივრცის ასახვით დავით გურამიშვილის თხზულება ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ წყაროდ გვევლინება იმ ისტორიულ თხზულებებთან ერთად, რომლებიც ჟანრული თვალსაზრისით მხატვრული არაა და ისტორიულია.

ოსმალთა და სპარსელთა შემოსევების შედეგად ფეოდალური შინააშლილობით დაუძლურებული საქართველოში შექმნილ უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებას ემატებოდა ლეკთა თარეში. ყოველივე ამან დავით გურამიშვილის ოჯახზე, კერძოდ, მის პირად ცხოვრებაზე, დიდი გავლენა მოახ-

დინა და მისი ცხოვრება ტრაგიკულად წარმართა. საბედისწერო აღმოჩნდა მოყვრებთან გახიზვნა ლამისყანაში, საიდანაც გაიტაცეს ლეკებმა დაღესტანში, სოფელ ოსოქოლოში.

კავკასიის მთიან სივრცეში მყოფი დავით გურამიშვილის განცდები, ფიქრები, მძიმე ფიზიკური ყოფა გახდა პოეტისათვის სულიერი მედიტაციის საფუძველი, რომელიც მის მრავალფეროვან ლირიკულ ნაწარმოებებში გამოვლინდა და, რომლებმაც წარმოაჩინეს მისი შინაგანი ბუნება და სულიერი სამყარო. აქ ყალიბდება დავით გურამიშვილის პოეტური „მე“, რომლისთვისაც უმთავრესია თვითშემეცნებისა და თვითდამკვიდრების მოტივი. თვითშემეცნების გზაზე მან გამოკვეთა სამყარო-სამშობლო-პიროვნება, საიდანაც პიროვნებამ უნდა გააცნობიეროს, საიდან მოდის, ვინ არის, საით მიილტვის. საამისოდ მისი ყურადღება მიმართულია მაცხოვრისადმი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი, რომელთაც მიმართავს სიმბოლური და ალეგორიული აზროვნების გამომსახველი მხატვრული სისტემით და, რომლებიც შეენევიან დაღესტანში ტყვეობისას, რათა გაექცეს თავს დატყვევებულ განსაცდელს. სწორედ, ამ სულიერ განცდათა და მის საფუძველზე პოეტის მედიტაციურ განსჯაზე გვექნება საუბარი მოხსენებაში.

## ნინო სულავა

(საქართველო, თბილისი)

### კოლხური ენა და კოლხური ბრინჯაოს კულტურა

ამ ნაშრომის ინსპირაცია აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის მცირე მოცულობის, მაგრამ შესანიშნავი სტატია, რომელიც ეძღვნება ძველი კოლხეთის ეთნიკურ იდენტიფიკაციას. სტატიაში დასმული შეკითხვისთვის - „რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი? რა მოსახლეობა დახვდათ კოლხეთში არგონავტებს“ შესაძლებელია პარალელური არქეოლოგიური მონაცემების მისადაგება - კოლხეთში არსებული მატერიალურ-კულტურული ვითარება და არგონავტების მოგზაურობის ქრონოლოგიისა და გარემოებების საკითხი.

არგონავტების ლაშქრობის დროს, მიკენურ ეპოქაში, კოლხეთში იწყება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრითა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული „კოლხური ბრინჯაოს კულტურის“ სახელით ცნობილი, დასავლეთ საქართველოს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ფართოდ დამკვიდრებული ზანურენოვანი (მეგრულ-ჭანური) მოსახლეობის ეთნიკური მასით.

თ. გამყრელიძის აზრით, ბერძნების მოსვლის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო დიალექტი - მეგრულ-ლაზურის წინაპარი, რომელზედაც ტყავი აღინიშნებოდა ტყოვ-ტკოვ ფორმით; ხოლო ბერძნები ტყავის აღსანიშნავად იყენებდნენ კოვ-ს. ეს სიტყვა, რომელსაც ბერძნულში არ ეძებნება ინდოევროპული შესატყვისი და ბერძნულისთვის უცხო ენობრივი სამყაროდან აღებული უნდა ჩაითვალოს, ბერძნებმა უთუოდ შეითვისეს იმ ქვეყანაში, რომელთანაც ჰქონდათ კონტაქტი და სადაც გავრცელებული იყო ცხვრის ტყავის კულტი.

ჩვენის აზრით კი, ცხვრის ტყავის კულტი დაკავშირებულია ბერძნების იმ ინტერესთან, რაც სტრაბონის მიხედვით აისახა არგონავტების მოგზაურობის მიზანში - „... ამ ქვეყნის (კოლხეთის) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბაბს. ამ მიზნით პირველი მგზავრობა ფრიქსემ მოაწყო. . .“ ეს ინტერესი - ლითონები, მეტალურგია - იყო ის, რითაც კოლხეთი, კავკასიის ერთადერთი ისტორიულ წყაროებში სახელდებული და ბერძნული მითოლოგიური თემებით (არგონავტიკა, პრომეთეს მითი) ცნობილი ქვეყანა, გაიცნო თანადროულმა გარესამყარომ.

არგონავტების მითში, მთავარი პერსონაჟების გარდა, არის ორი მნიშვნელოვანი პერსონაჟი საკულტო ცხოველის სახით, რომელიც საინტერესოა კოლხურ ბრინჯაოს კულტურასთან დაკავშირებით. ეს არის განსაკუთრებული საკულტო მნიშვნელობის ცხვრის ტყავი, ოქროს სანმისი და ოქროს სანმისის მცველი გველეშაპი.

კოლხეთის არქეოლოგიურ მასალაში მრავლად მოიპოვება ორივე ცხოველის ამსახველი მასალები.

ბრინჯაოს ვერძის ფიგურები/ცხვრის გამოსახულებები წარმოდგენილია როგორც მთლიანი ქანდაკებების სახით, ასევე საკიდებისა და სხვა ნივთებისათვის „ცხვრის თავით“ დამატებითი შემკულობის სახით (მარტვილი, ხარაგოული, ბრილი, სვანეთი).

გველემაპი კი „კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში“ ფართოდ გავრცელებული „ფანტასტიკური ცხოველის“, მცველის ერთ-ერთი სახეა (ნ. მარი, ბ. კუფტინი, ნ. აბაკელია, ნ. სულავა, ნ. ლორთქიფანიძე), რომელიც გამოსახულია კოლხური ბრინჯაოს კულტურის თითქმის ყველა ნივთზე - კოლხური ცულიდან დაწყებული ფიბულებით დამთავრებული.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის მატარებლების ყოფა, გაცხადებული საკულტო ცხოველებში, აისახა ბერძნულ მითში.

ამ არტეფაქტების მიხედვით გარკვეული საყრდენები დაემატა მკვლევარის მოსაზრებას ანუ ეთნიკურ იდენტიფიკაციას - „მედეა და აიეტი, აიას ქვეყნის ხალხი მეტყველებდა მეგრულ-ლაზურის წინაპარ, კოლხურ ენაზე. სახელი კოლხური მართებულად უწოდა ამ წინაპარ ენას აკაკი შანიძემ“.

## ქეთევან ტომარაძე

(საქართველო, თბილისი)

### **„ველური დივიზიის“ ქართველი მებრძოლები კატი დადეშქელიანის მემუარებში**

1934 წელს ფრანგული ხელნაწერიდან ინგლისურ ენაზე ითარგმნა და ლონდონში გამოიცა ქართველი ემიგრანტი ქალის, კატი დადეშქელიანის მემუარები, სახელწოდებით - „თავადის ქალი მუნდირში“ (Princess Kati Dadeshkeliani, Princess in Uniform, G. Bell & Sons, LTD, London, 1934).

მემუარების არსებობისა და მისი ავტორის შესახებ, როგორც საბჭოთა პერიოში, ისე სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ფართო საზოგადოებისთვის თითქმის არაფერი იყო ცნობილი. ქვეყანაში არსებული იდეოლოგიური წნეხისა და საბჭოთა ხელისუფლების მისამართით გამოთქმული მკაცრი შეფასებების გამო, კატი დადეშქელიანის სახელს, კარგა ხანს, ტაბუ ჰქონდა დადებული.

საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. დადეშქელიანის მემუარებმა გამოსვლისთანავე მიიპყრო ინგლისურენოვანი მკითხველის ყურადღება და მას არაერთი გამოსმაურება მოჰყვა. მალე, ნიგნის ავტორის სახელმა, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე მწერალთა შთამბეჭდავი ნუსხა დაამშვენა. კატი (ეკატერინე-ჩიჩი) დადეშქელიანი პირველი მსოფლიო ომის ენციკლოპედიაში - სომერსეტ მოემის, მედოქს ფორდის, ჯეიმს ჯოისის, ერნესტ ჰემინგუეის, გერტრუდა სტაინის, რიჩარდ რაიტის, ანდრე მალროსა და სხვა სახელოვან მწერალთა გვერდით არის დასახელებული, როგორც ომზე შექმნილი მიშვნელოვანი ნიგნის ავტორი.

მამაკაცის მუნდირში გადაცმული კატი დადეშქელიანი პირველ მსოფლიო ომში „ველურ დივიზიაში“ ჯემალ დადეშქელიანის სახელით იბრძოდა. ბევრმა ქართველმა ოფიცერმა, ვინც კატის კარგად იცნობდა, მას საიდუმლო შეუნახა და ომის დამთავრებამდე, არა თუ სიტყვით, უბრალო ქცევითაც კი არ მიუნიშნებიათ, რომ საბრძოლო ოპერაციებში, ჯემალის სახელით, ქალი იღებდა მონაწილეობას. კატი, სიცოცხლის ბოლომდე, მათი მადლიერი დარჩა და ეს განცდა წიგნშიც ასახა.

კატი დადეშქელიანი „ველური დივიზიის“ თათართა ლეგიონში გაანაწილეს, რომელსაც დიმიტრი ბაგრატიონი მეთაურობდა. ლეგიონი ფრონტის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ახორციელებდა შეტევებს და სერიოზულ წარმატებებს აღწევდა. ამ წარმატებების შემოქმედი, დიმიტრი ბაგრატიონთან ერთად, სხვა ქართველი ოფიცრებიც იყვნენ, რომლებსაც კატი მიმზიდველად გვიხატავს.

მემუარების გამოქვეყნებამდე მხოლოდ ოფიციალური წყაროებით ვიცნობდით 1812 წლის სამამულო ომის გმირის, პეტრე ბაგრატიონის ძმის შვილიშვილს, დიმიტრი ბაგრატიონს, რომელიც

ყველა გამოცემაში ნიჭიერ სტრატეგად, შეუპოვარ მებრძოლად და სამხედრო საქმის საუკეთესო მცოდნედ არის დახასიათებული. თუმცა არაფერი ვიცოდით მისი დრამატული ეპიზოდებით აღსავსე ცხოვრებაზე. კატი დადეშქელიანი უდიდესი სიმპათიით განიმსჭვალა დიმიტრი ბაგრატიონის მიმართ და ცოცხლად და საინტერესოდ აღწერა პიროვნება, რომელიც მისთვის ჭეშარიტი ქართველი მებრძოლის განსახიერებას წარმოადგენდა. ომში დიმიტრის და, ელიზავეტა ბაგრატიონიც მონაწილეობდა როგორც მონაწილეთა და. კატის დახასიათებით, ამ ექსპანსიურ, მრავალმხრივი ინტერესების მქონე ქალბატონს კატისთან და ბაბილინა ერისთავთან, კატის დედასთან, რომელიც ომის დროს ასევე მონაწილეთა და იყო, ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.

სხვა მნიშვნელოვან ეპიზოდებთან ერთად, მემუარებში აღწერილია 1916 წლის 22 მაისის საეტაპო მნიშვნელობის ბრძოლა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ანალებში „ბრუსილოვის გარღვევის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქართველებმა. ალექსანდრე ბრუსილოვის, თბილისელი კაცის გვერდით, ბევრი მამაცი და სახელოვანი ქართველი იბრძოდა. კატი დადეშქელიანი აღფრთოვანებულია ქართველთა საბრძოლო ჟინითა და გმირული შემართებით. მართალია, გარკვეული მიზეზებს გამო, იგი პირდაპირ არ ასახელებს უჩა დადიანს, მაგრამ ინფორმირებული მკითხველი აღწერით იოლად მიხვდება, რომელ პერსონაჟში იგულისხმება ნიკოლოზ მეორის ერთგული კონვოი.

მემუარები გვერდს ვერ უვლის გიორგი ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძის, ილია ორბელიანის ვაჟს, რომლის ქალიშვილი მარია, შემდგომში კატის ძმის, თენგიზ დადეშქელიანის ცოლი ხდება. პირველ მსოფლიო ომში, გენერალ-ლეიტენანტის რანგში, გიორგი ორბელიანი პრინცი ოლდენბურგის სანიტარულ-საევაკუაციო ნაწილის უმაღლეს სარდლობაში მსახურობდა. გიორგი ორბელიანმა და ნაპოლეონ მიურატმა, სხვა ქართველ მეომრებთან ერთად, მამაცურად იბრძოლეს „ველურ დივიზიაში“.

კატი არაერთ ქართველ წარჩინებულ სამხედროსა და ქართული არისტოკრატის სახელოვან წარმომადგენელს აღწერს - გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძეს, მუშნი და ოთარ დადიანებს, თათუმ დადიანს, ვინმე წერეთელს, სვან მებრძოლს, რომელსაც მკერდს მრავალი ჯილდო უმშვენებს და სხვა.

მონარქისტული იდეებით შთაგონებული კატი დადეშქელიანი ბოლომდე მეფის ერთგული რჩება. პირველი მსოფლიო ომის დროს განვითარებულ მოვლენებს იგი რომანოვების დინასტიისადმი სრული მხარდაჭერის რაკურსში განიხილავს. მისთვის მიუღებელია რევოლუცია, რომელიც ღალატსა და ნგრევას ბადებს და ცივილიზაციას ანადგურებს. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე თითოეული ქართველის გმირული თავგანწირვა, კეთილშობილება, კეთილგანწყობილი ურთიერთობა სხვა ეროვნების ადამიანებთან, ორგანიზატორული ნიჭით, საზრიანობით, პასუხისმგებლობით აღჭურვილი მებრძოლი ქალისთვის, რომელმაც ომში ორი წმიდა გიორგის ჯვარი დაიმსახურა, რაინდული სულის აღზევების, ბოროტებასთან ბრძოლის, ტრადიციისა და ეთნოფსიქოლოგიის სანიმუშო გამოვლენის უტყუარი მაგალითებია.

## კვირ ტუიტი

(კანადა, მონრეალი)

### ირითადი და თანდებულთან საზიარო პრევერბთა შედარებისთვის სვანურში

გეზის პრეფიქსები, ანუ ზმნისწინები (პრევერბები) გვხვდება ოთხივე ქართველურ ენაში - ისინი დგას ზმნური კომპლექსის მარცხენა მხარეს. პრევერბთა რაოდენობა ოთხივე ენაში მნიშვნელოვნად ცვალებადობს და ყველაზე მეტად ორ ზანურ - მეგრულ და ლაზურ - ენაში, ყველაზე ნაკლებად კი - სვანურში - ამ ოჯახის ყველაზე შორეულ წევრთან - გვხვდება. კერძოდ, სვანურში გვხვდება მხოლოდ რვა პრევერბი, რომლებიც მდებარეობისა და მორფოფონემური მახასიათებლების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა. თანდებულთან საზიარო ოთხ პრევერბს (იგივე, პრევერბ-თანდებულს) (ჟი- (ზემოთ), ჩუ- (ქვემოთ), (ი)სგა- (-ში/შიგნით), ქა- (-გან/გარეთ) ახასიათებს კლიტიკური ბუნება, რომელიც ძველ

ქართულში გამოყენებული ზმნისწინების ბუნების ანალოგიურია, და შესაძლებელია მათი გამოყოფა ზმნისგან; აღნიშნულის საპირისპიროდ, ოთხი ძირითადი პრევერბი (ან-, ა(დ)-, ეს-, ლა-) შერწყმულია ზმნასთან, რასაც ცხადყოფს ისეთი მორფოფონემატური პროცესები, როგორიცაა ასიმილაცია და მიგრაცია. სვანურ ენაში გამოყენებულ ძირითად პრევერბთა და პრევერბ-თანდებულთა შედარების ძირითადი მაჩვენებლები (პარამეტრები) მოყვანილია ქვემოთ, ცხრილში:

	ძირითადი პრევერბი (IPV)	თანდებულთან საზიარო პრევერბი (OPV)
მორფოფონემატიკა	მჭიდროდ უკავშირდება ზმნას	კლიტიკური
ლექსიკური ავტონომია	მხოლოდ უღლებად ზმნებში	შეიძლება შეგვხვდეს ზმნურ არსებით სახელთან
ეტიმოლოგია	უცნობი	ერთნაირფუძიანი სახელები ქართველურ ენებში
origo	მონაწილის/ობიექტის აღმნიშვნელი (P <sup>s</sup> , P <sup>o</sup> )	მოვლენის აღმნიშვნელი (E <sup>s</sup> , E <sup>o</sup> )
გრამატიკული ფუნქცია	i. სრული ასპექტი ii. მდგომარეობა/სტატუსი (ევიდენციალური, ინფერენციალური)	დრო (მომავალი)

პარამეტრს, სახელწოდებით *origo*, განსაკუთრებული როლი აკისრია. თანდებულთან საზიარო პრევერბების მიმართულებითი ფუნქციით გამოისახება მოძრაობა ორიენტირებთან მიმართებაში საუბრისას ან ნარატიულ კონტექსტში (იაკობსონის E<sup>s</sup>, E<sup>o</sup>). ძირითადი პრევერბების სემანტიკური მახასიათებლების დახასიათება შედარებით მარტივია. მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან პრევერბი ან- აღნიშნავს მიმართულებას მოსაუბრის მიმართულებით და ამ ნიშნით იგი ა(დ)- პრევერბის საპირისპიროა, რომელიც შეიძლება აღნიშნავდეს მოსაუბრისგან მიმართულ მოძრაობას, თუმცა უმრავლეს ზმნასთან მისი ფუნქცია წმინდად ასპექტუალურია. ძირითადი პრევერბი ეს-, როგორც წესი, გამოიყენება ზმნებთან, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედებას, მიმართულს მიზნისკენ ან ზედაპირისკენ (ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, მას თან სდევს საზედაო (სუპერესიული) ვერსია, მაგ., ეს-ეს-ეს-ეს-ეს-ეს-ეს „დააწვიმა ვინმეს/რამეს“, შდრ. ლა-ი-უჩხ-ე „ინვიმა“). ძირითადი პრევერბი ლა- ძირითადად ერწმის ზმნებს სუბიექტურ ან ობიექტურ ვერსიაში, და საკომუნიკაციო ზმნებს (ანუ ზმნებს, რომლებიც აღნიშნავს მოქმედებას, მიმართულს მონაწილე ადამიანისაკენ; მაგ., ლა-ი-ბ-ე „მოიბა, მიიბა...“, შდრ. ად-ბ-ე „დააბა“). საერთო ჯამში, ძირითადი პრევერბების სივრცითი ან მეტაფორული მიმართულებადობა განისაზღვრება კომუნიკაციის აქტის მონაწილეებით (იაკობსონის P<sup>s</sup>, პირველ რიგში, მოსაუბრით), ან ნათქვამის ძირითადი არგუმენტებით (ქვემდებარე, ირიბი დამატება) (P<sup>o</sup>).

ნაშრომში განხილულია კავშირი ზემოხსენებული ორი ტიპის პრევერბის *origo*-ს ორ სახეობასა და გრამატიკულ ფუნქციებს შორის, უპირველესად კი, ქ. მარგიანი-სუბარის ნოვატორულ ნაშრომთან დაკავშირებით სვანურ ენაში ევიდენციალური და ინფერენციალური ზმნური პარადიგმების გამოყენების შესახებ. სტატიის ბოლოს მიმოხილულია საკითხი, თუ რამდენად ნარმოადგენს ძირითადი პრევერბის კატეგორია უნიკალურს სვანური ენისთვის ქართველური ენების ოჯახში და სხვა რომელი ლინგვისტური მახასიათებლები შეიძლება მივანეროთ მას (მაგ., დეიქტური ზმნების არსებობა სვანურში, რომლებიც შეესაბამება ინგლისურ წყვილებს “მოსვლა/წასვლა” და “მოტანა/წალება”).

## ირაკლი ფაღავა

(საქართველო, თბილისი)

### ახალი მონაცემები ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონეტების კავკასიაში მიმოქცევის თაობაზე

(სირმა აბაზების შემცველი ორი განძი მანავიდან და კოჭრიდან)

ამ ნაშრომით ვაქვეყნებთ 1790-იანი წწ. დასასრულს ტეზავირებულ ორ განძს, რომლებიც შეიცავს თბილისში (ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქში) მოჭრილ სირმა აბაზებს (ფართოდ მიმოიქცეოდა მეზობელი სახანოების ტერიტორიებზედაც).

ერთი განძი შემთხვევით ნაპოვნია მანავის ციხის მიდამოებში (კახეთში), ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე, 2019 წ. სამწუხაროდ, განძი გაიფანტა, მაგრამ მოვახერხეთ თითქმის ყველა მონეტის გამოსახულების მიღება. განძი შეიცავდა ყველაზე ცოტა 116 ვერცხლის მონეტას; უკლებლივ ყველა ქართლ-კახეთის სამეფოს სირმა აბაზს წარმოადგენდა (თარიღებით ჰ. 1182: 2 ც.; 1183: 6; 1184: 10; 1189: 1; 1190: 15; 1191: 8; 1192: 16; 1193: 20; 1194: 6; 1195: 5; 1203: 1; 1205: 1; 1206: 1; 1207: 6; 1208: 1; 1210: 1; 1211: 8; 1213: 1; თარიღი არ იკითხება: 7). უგვიანესი მონეტა დათარიღებულია ჰ. 1213 (1798/9) წლით, განძი XIX ს. მონეტებს არ შეიცავდა. შესაბამისად, განძს XVIII ს. ბოლო წლებით ვათარიღებთ.

მეორე განძი შემთხვევით ნაპოვნია თბილისის სიახლოვეს, კოჯორში, 2022 წ. ის შეიცავდა 36 მონეტას: 35 სირმა აბაზს (ჰ. 1182: 1; 1183: 1; 1184: 1; 1193: 2; 1194: 6; 1195: 5; 1202: 1; 1206: 1; 1207: 1; 1211: 4; თარიღი არ იკითხება: 21) და 1 განჯის აბაზიანს, სირმა ტიპის (ჰ. 1204 ან 1205). საყურადღებოა, რომ ყველა მონეტას მირჩილვის კვალი შერჩენოდა, ანუ ტეზავრაციამდე რაღაც სამკაულს ამშვენებდა. უგვიანესი მონეტა დათარიღებულია ჰ. 1211 (1796/7) წლით, განძი XIX ს. მონეტებს არ შეიცავდა. შესაბამისად, ამ განძსაც XVIII ს. ბოლო წლებით ვათარიღებთ.

ორივე განძი ასახავს სამხრეთ კავკასიაში სამონეტო მიმოქცევას რეგიონის რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობამდე და წარმოადგენს ძვირფასპირველწყაროს XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს, სამხრეთ კავკასიის სახანოებისა და, საზოგადოდ, კავკასიის ნუმისმატიკური, ისევე როგორც ეკონომიკური ისტორიის მეტაანალიზისთვის.

## მამია ფაღავა, მათა ბარამიძე

(საქართველო, ბათუმი)

### ანთროპოტოპონიმთა ერთი ჯგუფი შავშეთიდან

ტოპონიმია „მინის ენააო“ ხშირად იმეორებენ მკვლევრები, რაც ჭეშმარიტებაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ სინტაგმის გაგრძელება: „ხოლო მინა წიგნია, რომელშიც კაცობრიობის ისტორია გეოგრაფიული ნომენკლატურითაა ჩანერილი“ (ნ. ნადეჟინი). გამომდინარე თქმულიდან, შავშეთის მინა „ქართული წიგნია“, რომელსაც (სხვა მრავალთან ერთად) შეუნახავს და ჩვენამდე მოუტანია აქ მცხოვრები ოჯახების//სახლების ხსოვნა; ჩანს, ეს ოჯახები ქმნიდა სოფლის უბნებს, ზოგჯერ მთელ სოფელსაც. ასეთი ტოპონიმების ფუძედ ოჯახის უფროსის სახელია...

აღვნიშნავთ, რომ გეოგრაფიული სახელების შეკრება და ანალიზი მყარი საფუძველია კუთხისა თუ ქვეყნის ისტორიის შესასწავლად: რაც დაივიწყა სოფელმა, ქვეყანამ, „ახსოვს“ მინას, სხვაგვარად მინამ შეინახა წარსულის ხსოვნა. სწორედ ეს ხსოვნა გვაძლევს საშუალებას ვუთხრათ „ახალი“, „ცრუ ისტორიის“ ავტორებს, რომ შავშეთის აბორიგენი მოსახლეობა ყივჩაღები/ყივჩაღები კი არ არიან, არამედ ქართველები, შავშები, ოღონდ წინაპართა ენადაკარგულნი. ასიმილაციის გზაზე მდგარი კუთხის წარსულის აღსადგენად ტოპონიმია უტყუარი წყაროა, ოღონდ დაკვირვებით



უნდა შევისწავლოთ იგი... საველე ექსპედიციას ერთი ტაოელი გულნაკლული გვეუბნებოდა: ზემო სოფელში ამტიციებენ, რომ გურჯები არ არიან. „ადგილის სახელები გურჯი, ანე და ბაბოე გურჯულა ხვარათობენ, შენ თურქი რაფერ ხარ?“ იმ ზემოსოფლელსაც გაუგებთ, თუ გავითვალისწინებთ თურქეთელ ქართველთა ცნობიერების ერთ მომენტს: ქართველი, გურჯი ხარ, თუ ქართული ენა იცი, თუ შენი ქოხის/სახლის ენა ქართულია. მათთვის ეროვნული კუთვნილების მთავარი ნიშანი ქართული ენაა, წინაპართა ენა.

მოხსენებაში ვსაუბრობთ შავშეთის ტოპონიმის ერთ ჯგუფზე, რომელთა ფუძე პიროვნების სახელისაგან/მეტსახელისაგან არის ნაწარმოები: კოკლი-ეთი<\*კოკოლა-ეთი. კოკოლა მამაკაცის სახელი ჩანს; გორომ-ეთი<\*გორგომ-ეთი გ'ს დაკარგვით. გორგომა მამაკაცის სახელი/მეტსახელი ჩანს, დაცული გვარში გორგომასძე>გორგომაძე; ხანთუმ-ეთი ხანთუმის სახლის კუთვნილი მამულია (ხანთუმი საკუთარი სახელი ჩანს. ისტორიულ წყაროებში გვხვდება ხანთუმისძენი)... ანალოგიური წარმოებისაა: ბელემ-ეთი, მარკულ-ეთი, ქადაგ-ეთი, წინვ-ეთი, მიქელ-ეთი, კუტალ-ეთი, ქიზინ-ეთი... დასახელებული გეოგრაფიული სახელები -ეთ სუფიქსითაა ნაწარმოები.

ქართულ მეცნიერებაში -ეთ სუფიქსის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული: ა. -ეთ აწარმოებს გვარ-სახელებს; ბ. -ეთ კრებითობას გამოხატავს და ანთროპონიმებისაგან (სხვა სახელებისგანაც) აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს. ჩვენს მიერ მომხმობილი მასალები ამის დასტურია. იშვიათად -ეთ მანარმოებლიანი „გვარიც“ დასტურდება, სადაც -ეთ<ენტ (იენტ)'ისაგან.

## მარინა ფუთურიძე

(საქართველო, თბილისი)

### მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანული კულტურების ქრონოლოგიური კვეთის ამსახველი ინტერმედიალური ეტაპის კვლევისათვის

ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის ხანაში მკვლევრები ვარაუდობენ საერთოქართველური ენის დაშლის პროცესს, რაც აკად. თ. გამყრელიძის ფართო ინტერესისა და საგანგებო კვლევის საგანი იყო. ეს თემა უშუალოდაა დაკავშირებული მტკვარ-არაქსისა და უშუალოდ მომდევნო ადრეყორღანული კულტურების ქრონოლოგიურ-კულტურული ურთიერთმიმართების საკითხთან. მტკვარ-არაქსის კულტურამ თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე განვითარების სხვადასხვა ეტაპები განვლო, ხოლო მისი მიწურულისათვის დადგა ის ფაზა, რომელმაც მის წიაღში წარმოაჩინა ახალი კულტურული პლასტი, ცნობილი ადრეყორღანული კულტურის სახელით. დღემდე სადისკუსიო ეს თემა საგანგებო კვლევას საჭიროებს, რადგან მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანული კულტურების თანაარსებობის მოკლე ეტაპის შესახებ აქამდე ძალიან ფრთხილი ვარაუდები თუ იყო გამოთქმული და ისიც იშვიათად. ვფიქრობთ, რომ დღეს ჩვენ მეტი დამაჯერებლობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ კომპლექსებზე თუ ცალკეულ კონკრეტულ მონაცემებზე, რაც საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ მტკვარ-არაქსის კულტურის მიწურულს ახალი ინტერმედიალური (ტრანზიტული) ფაზის დიფერენცირების შესახებ. შესაძლებელია, რომ ბრინჯაოს ხანის ქრონოლოგიურ სქემაში ის აღვნიშნოთ როგორც მტკვარ-არაქსი IV/ I ფაზა, რაც მიუთითებს, რომ ეს კონკრეტული ეტაპი ასახავს ორი სხვადასხვა კულტურის დამახასიათებელ არტეფაქტთა შეხვედრის პროცესს. მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანული კულტურებისათვის სპეციფიკური კერამიკული კომპლექსების თანაარსებობა მოასწავებს ერთი კულტურის დასრულებისა და ისტორიის ასპარეზზე ახალი კულტურის გამოჩენის უშუალოდ წინამორბედი ფაზის არსებობას, როცა ორივე კულტურა ერთმანეთს ხვდება ძალიან მოკლე პერიოდის მანძილზე. ამ საყურადღებო ინტერმედიალური ეტაპის ძეგლები ჯერ კიდევ საკმაოდ ლიმიტირებული რაოდენობითაა გვაქვს (ხაშურის ნაცარგორის ნამოსახლარი, ციხიაგორას ნამოსახლარი, ნამგალა 3, ნამგალა მიწის ყორღანების ჯგუფი, ყორღანი #2 და ბოლოს, ბერიკლდეების ნამოსახლარის სუსტი სიმძლავრის ერთი კულ-

ტურული ფენა (?!), თუმცა ისინი მაინც ნათლად წარმოგვიჩვენებენ მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანებისათვის დამახასიათებელი ტრადიციების შესხვედრის რთულ კულტურულ ლანდშაფტს. ადრე ბრინჯაოს ხანის მიწურულის ამ ეტაპის ამსახველი ნამოსახლარი და სამარხეული კომპლექსების საფუძველზე შევეცდებით დავახასიათოთ მტკვარ-არაქსის IV/ I ფაზისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. აღნიშნული საკითხი დღეისათვის საკმაოდ პრობლემურ თემატიკათა შორისაა, რომლის შესახებაც დისკუსია მკვლევართა შორის კვლავ გრძელდება. ამასთან, ზემოაღნიშნული კომპლექსებიდან ზოგი დღემდე არ შესულა სამეცნიერო მიმოქცევაში, რადგან, მაგალითისათვის, ნამგალა მინის ყორღანი #2 მხოლოდ შარშან გაითხარა, ხოლო სხვა ძეგლებიდან სრულად მხოლოდ ციხიაგორას ნამოსახლარის მასალაა გამოქვეყნებული.

## **თამარ ფხალაძე, ლია ახალაძე, ნინო შიოლაშვილი, გვანცა ბურდული, გელა ქისტაური**

(საქართველო, თბილისი)

### **თრუსოს ხეობა ევროპელ დიპლომატთა და მოგზაურთა ჩანაწერებში**

ცენტრალურ კავკასიონზე მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარე - თრუსო, ხეობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთ სასაზღვრო სისტემაში წამყავნ როლს ასრულებდა.

თრუსოს ხეობის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და ისტორიული წარსულის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ნარატიულ და სხვა სახის წყაროებში. ძველი და შუა საუკუნეების ავტორთა გარდა, თრუსოს ხეობაზე დაკვირვებები აქვს რუსეთის საიმპერატორო აკადემიისა და რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ეგიდით კავკასიაში ჩამოსულ ევროპელ, რუს და სხვა სწავლულებს, მოგზაურებსა და ვაჭრებს.

უცხოელ ავტორთა ცნობების ერთი ნაწილი შედის, ზოგადად, კავკასიის ან საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებში, ნაწილი თრუსოს ხეობის შესწავლის სხვადასხვა ეტაპზე ქართველ მეცნიერებს აქვთ გამოყენებული, ხოლო ნაწილს პირველად ვიყენებთ თრუსოს ხეობის კვლევის კონტექსტში. ჩვენი ნაშრომის მიზანია თვალი გავადევნოთ უცხოელი ავტორების მრავალრიცხოვან ცნობებს, რომლებიც ხეობის ინტერდისციპლინარული კვლევის საშუალებას იძლევა და მნიშვნელოვან საისტორიო წყაროებს წარმოადგენენ თრუსოს ხეობის შესასწავლად.

კვლევის დროს გამოყენებული ისტორიულ-მეცნიერებითი მეთოდის, კონტენტ-ანალიზისა და წყაროთა ციკლური შესწავლის საფუძველზე, გაანალიზებულია უცხოელი ავტორების იოჰან გიულდენშტედტის, აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის, რობერტ კერ პორტერის, გოტფრიდ მერცბახერის, ანრი ფარამონრბლანშარის, *ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს*, დიტრიხ კრისტოფ ფონ რომელის, იულიუს კლაპროტის, იაკობ რაინგის, ჯონ ბუჩან ტელფერის და მრავალი სხვა ავტორის ცნობები.

ევროპელ დიპლომატთა და მოგზაურთა ჩანაწერები არაერთგვაროვანია და დაწერილია სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანების მიერ, ზოგი ეკუთვნის სიძველისმოყვარულებს, ზოგი დიპლომატს ან ვაჭარს, ზოგი სხვადასხვა სახელმწიფოს დაზვერვის სამსახურის წარმომადგენლებს. ეს საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა კუთხით დავინახოთ თრუსოს ხეობა და, შესაბამისად, ევროპელთა ცნობები, შეხედულებები და დასკვნები, თვით მცირე ჩანაწერებიც კი, რომლებიც მნიშვნელოვან და საინტერესო პირველწყაროს წარმოადგენენ თრუსოს სხვადასხვა ეპოქის ისტორიული რეალობის, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების, დასახლების ტიპების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, მატერიალური კულტურის ძეგლების, მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის, ტრადიციული ყოფის, სამეურნეო საქმიანობის, ტოპონიმების, ჰიდრონიმებისა და ანთროპონიმების შესასწავლად. მართალია ჩანაწერებში ზოგჯერ ვხვდებით შეცდომებსა და ანაქრონიზმებს, ტენდენციურ შეხედუ-

ლებებსა და არასწორ დასკვნებს, მაგრამ მთავარია, რომ ეს ცნობები მონოდებულია თვითმხილველთა მიერ და წყაროების ანალიზისა და სინთეზის, ციკლური შესწავლის მეთოდები საფუძველს იძლევა სწორი დასკვნების გამოტანისთვის.

*კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური გრანტით დაფინანსებული პროექტის „თრუსოს ხეობის დემოგრაფია და მოსახლეობის კულტურული იდენტობები“-ს ფარგლებში. საგრანტო ხელშეკრულების № FR-19-7379*

## **თეა ქამუშაძე**

(საქართველო, თბილისი)

### **კოვიდ პანდემიის კვლევა და ქართული აკადემიური გარემო**

კოვიდ პანდემიამ, როგორც გლობალურმა მოვლენამ, საგულისხმო გავლენა იქონია ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფეროზე, მათ შორის აკადემიურ გარემოზე. როდესაც ვსაუბრობ ქართულ აკადემიურ გარემოზე, ამ შეთხვევაში ვგულისხმობ, მხოლოდ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე მკვლევართა გარკვეულ ჯგუფს.

მოცემული მოხსენება წარმოადგენს დიდი საკვლევო პროექტის ნაწილს, რომლის მიზანია პანდემიის გავლენის გაანალიზება ქართულ საზოგადოებაზე. მოცემულ მოხსენებაში წარმოვადგენ ანთროპოლოგიური კვლევის წინასწარ შედეგებს. კონკრეტული კვლევა მიზნად ისახავდა, იმის გარკვევას თუ როგორ უპასუხა არსებულ გამოწვევებს ქართულმა აკადემიურმა საზოგადოებამ. როგორი იყო საზოგადოების აღქმა, კრიტიკულ მომენტში, ზოგადად აკადემიისა და ექსპერტული ცოდნის მიმართ. ამ შეთხვევაში საინტერესოა რამდენად გააქტიურდა არსებული სამეცნიერო ცოდნა და გამოცდილება ეპიდემიებთან, დაავადებებთან და სხვადასხვა ტიპის კრიზისთან კავშირში. ჩემი კვლევის საგანია, იმის დადგენა თუ რამდენად გაიზარდა საზოგადოებაში ინტერესი ზოგადად სამეცნიერო კვლევებისა და აკადემიური ცოდნის მიმართ და თავად მეცნიერების დაინტერესება როგორ ჩამოყალიბდა კონკრეტული საკითხების მიმართ. ამავე კვლევის ნაწილია იმ მედიუმების კვლევა, რომლებმა არსებული აკადემიური ცოდნა უფრო ფართო საზოგადოებამდე უნდა მიიტანონ.

მოცემული კვლევის ფარგლებში განვიხილავ მეცნიერთა სტრატეგიებს პანდემიასთან ადაპტაციის კუთხითაც, საინტერესოა თუ როგორ მოხერხდა შეზღუდვების პირობებში მიმდინარე კვლევების წარმოება, განსაკუთრებით, მაშინ როცა კვლევა სავსე სამუშაოებსაც მოიცავს. როგორ მოხდა ტექნოლოგიების გამოყენება ეთნოგრაფიული კვლევის პირობებში.

კვლევისათვის შევარჩიე მეცნიერთა ჯგუფი, რომლებთან უშუალო გამოკითხვის მეთოდით მოვიპოვე შესაბამისი ინფორმაცია; ასევე გავანალიზე ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების კონტექსტები სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით; მოვახდინე სოციალური მედიის კვლევა, კონკრეტული ინტერესების გათვალისწინებით. ამ კვლევისათვის განვიხილავ, რამდენიმე ოფიციალურ მედია საშუალებების საინფორმაციო პოლიტიკასაც და მასში ასახულ ინტელექტუალურ, აკადემიურ ცოდნას ეპიდემიების თუ ზოგადად კრიზისული ვითარების შესახებ. კვლევისა და პრეზენტაციის ნაწილი იქნება, ასევე, ავტო რეფლექსიაც, ვინაიდან კონკრეტული კვლევის იდეა, სწორედ პანდემიას უკავშირდება.

მოხსენებაში დასკვნის სახით წარმოვადგენ კვლევის მნიშვნელოვან შედეგებს, რომელიც მიმართული იქნება ახსნას თუ როგორი იყო ქართული აკადემიის პასუხი პანდემიასთან მიმართებით და რა შეცვალა სამომავლო კვლევებთან მიმართებაში არსებულმა გამოწვევამ, როგორც შინაარსის, ისე მისი შედეგების დისემინაციის კუთხით.

## ქეთევან ქუთათელაძე

(საქართველო, თბილისი)

### საზღვრის აღმნიშვნელი სახელწოდებები ქართულ წყაროებში

სახელმწიფო საზღვრის დაცულობა ქვეყნის დამოუკიდებლობის სანინდარია, ამიტომ საზღვრის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის ახსნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „ქართლის ცხოვრებაში“ საზღვარი ორი მნიშვნელობით იხსენიება, როგორც გამყოფი ხაზი სხვადასხვა ქვეყნებს შორის და საზღვარი, როგორც მხარე, ქვეყანა, პოლიტიკურად კუთვნილი ტერიტორია.

**საზღვარი** მომდინარეობს „ზღვარიდან“. საზღვრის, მიჯნის შექმნას, „საზღვრის დადება“ ეწოდება. „ზღვარის“ ფონეტიკური ფორმაა „მზღვარი“. ფშავ-ხევსურულ დიალექტზე „მძღვარი“ არის საზღვარი, სხვა მნიშვნელობით, „ორი ყანის მიჯნა“. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტების მიხედვით, მხარის მნიშვნელობით „მზღვარს“ ერთგვარად შეესაბამება „არე“, „კერძო“, „ადგილი“, „თემი“. აღნიშნული სახელწოდებები არ გამოირიცხავს და მოიცავს კიდევ მომიჯნავე სასაზღვრო მხარეებს.

„ქართლის ცხოვრებაში“ „საზღვარი ქართლისად“ იწოდება კლარჯეთის, სამშვილდის, წუნდისა და ჰერეთის საერისთავოთა მხარეები, რაც გულისხმობს ქართლის სამეფოს კუთვნილ საზღვრისპირა მომიჯნავე ტერიტორიებს, რომელთა ხელყოფა ზოგჯერ ხდებოდა გარეშე ძალთა მიერ.

„საზღვართა მიხუმა“ მომიჯნავე სასაზღვრო ტერიტორიის წართმევას ნიშნავდა. საქართველოს მეფეს ევალებოდა საზღვრების დაცვა. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ „სახელმწიფოს ახალშემოერთებული ქვეყნის და საზღვრის მცველად და გამგედ ითვლებოდა“ „მონაპირე“, რომელიც „ნაპირის“-გან მომდინარეობს. „ახალი ქართლის ცხოვრების“ შესამე ტექსი ასახელებს „ნაპირის მცველს“.

ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება სახელწოდებები: „მართებული, სამართლიანი, სარწმუნო, უზადო საზღვარი“. „საზღვარ-წესდადებითა“, გულისხმობს კონკრეტული საზღვრის დაწესების წესს. ყურადღებას იმსახურებს „ნიშნით ზღვარნი“, რომელსაც იყენებდნენ საზღვრის დაწესების დროს.

სასაზღვრო ნიშნად იყენებდნენ დიდ, რაიმე ნიშნით გამორჩეულ ქვებს, რომელთაც „სამანი“ („სამანი ქუა“, „ქვასამანი“, „სამძღვარი ქუა“) ერქვა. საზღვრისთვის სამანის დადგმას „გასამნა“ ან „სამღვრად გაჩენა“, „სამძღვრების ჩასხმა“ ეწოდებოდა. გამიჯვნის პროცესი მოხსენიებულია, როგორც „გაესამძღრა“, „გაუსამძღვრეთ“, „გაუსამძღვრა“. ასე ხდებოდა „სამძღვრის გარიგება“. გურულ დიალექტზე „სამანე“ არის „საზღვარი, მიჯნა, ზღვარი, ზღვრის დასადებად მიწაში ჩაფლული სამი ქვა“. იგივე მნიშვნელობა აქვს მთიულურად „სამანა“-ს. მოხვეურ დიალექტზე კი „სამან“-ი ნიშნავდა თემიდან მოკვეთილი ადამიანისთვის მიჯნის დადებას, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ მას აღარ შეეძლო თემის ტერიტორიაზე შესვლა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ძველ სომხურად „საჰმან“ (ՏԱՀՄԱՆ) არის საზღვარი, კიდე.

ტერიტორიის მითვისების მიზნით ადგილი ჰქონდა „სამანის მოგლეჯას“, რომელსაც „სამძღვრების მოშლა“ ეწოდებოდა, რაც დასჯადი იყო. „დასტურლამალში“ ქართლისა და კახეთის გამყოფი ხაზის აღწერისას მოიხსენიება „სამანაო გზა“, რომელიც სასაზღვრო გზას ნიშნავს.

## რამაზ ქურდაძე

(საქართველო, თბილისი)

### ე – ი ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეთა ერთიანი ინდექსის აუცილებლობისათვის ქართულში

სპეციალურ ლიტერატურაში დრეკ-ს – დრიკ-ა ე – ი ტიპის ხმოვანმონაცვლე, აბლაუტურ, ზმნურ ფუძეთა სიებს ცალ-ცალკე ვადასტურებთ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდებისა თუ თანამედროვე ქართული ენის ქვესისტემების მიხედვით.

ბუნებრივია, აღნიშნული სია-ინდექსების არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ასე ცალ-ცალკე არსებული სიები მაინც ვერ ჩაითვლება ბოლომდე სრულყოფილად, რადგან მათში ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეორდება, რაც ხელს უშლის ამ ზმნურ ფუძეთა საერთო რაოდენობის დადგენას; გარდა ამისა ამ გამეორებათა გამო გაურკვეველია, ქართული ენის განვითარების რომელ პერიოდსა თუ ქვესისტემას უნდა მივაკუთვნოთ ესა თუ ის ხმოვანმონაცვლე ფუძე, თუ ზოგადად ყველა პერიოდისა და ქვესისტემის კუთვნილებად ჩავთვალოთ.

ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად აუცილებელია შედგეს ხმოვანმონაცვლე ზმნურ ფუძეთა ერთიანი, რამდენადაც შესაძლებელია ზუსტი რაოდენობის კრებსითი სია-ინდექსი – ცალკე სვეტში ანბანის რიგზე დალაგებული ხმოვანმონაცვლე ზმნური ფუძეებით, ხოლო მომდევნო სვეტსა (თუ სვეტებში) მიეთითოს ქართული ენის განვითარების რომელ პერიოდსა თუ ქვესისტემაში დასტურდება ესა თუ ის ფორმა.

მოხსენებში განხილულია ცალკეული პრაქტიკული საკითხებიც, რაც აღნიშნული სია-ინდექსის შედგენასთან არის დაკავშირებული.

## მუშედ ღაპრიანი

(სომხეთი, ერევანი)

### სომხეთის საგარეო პოლიტიკური ინიციატივები 2018 წლის შემდგომ: მოტივაცია და შედეგები

უკანასკნელ ათწლეულებში პოსტ-საბჭოთა ქვეყნებსა და შუა აღმოსავლეთში დაგროვდა და გაანალიზდა ცოდნა იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე.

ცვლილებამ ხელისუფლებაში იმოქმედა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზეც. „არაძალადობრივ ხავერდოვან რევოლუციად“ მონათლული ქურჩის საპროტესტო აქციებით (2018 წ.) მოსულმა ხელისუფლებამ სომხეთში დიდად არ შეცვალა საგარეო პოლიტიკური კურსი, თუმცა ხელისუფლებაში მოსული ეს პარტია 2018 წლამდე მკაცრად აკრიტიკებდა წინამორბედთა საგარეო პოლიტიკას და სტრატეგიას.

მიუხედავად ამისა, სომხეთის ახალმა ხელისუფლებამ გააქტიურა პოლიტიკა შუა აღმოსავლეთის რეგიონში. ჩვენს მოხსენებაში გაანალიზებულია ყველა ეს მაგალითი, წარმატებული თუ წარუმატებელი ინიციატივებით.

ნიკოლ ფაშინიანის მთავრობამ (2018-2020 წწ. სომხეთის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდნენ ფაშინიანი, საგარეო საქმეთა მინისტრი ზოჰრაბ მნაცაკანიანი და პრეზიდენტი არმენ სარგისიანი) გაააქტიურა ურთიერთობები ისრაელთან და საელჩოც გახსნა თელ-ავივში, რითაც გამოიწვია ირანის, სამხრეთის მეზობლისა და მთავარი საგარეო პარტნიორის, უკმაყოფილება.

მთავრობამ დაამტკიცა გამნაღმველთა ჯგუფის გაგზავნა სირიაში რუსეთთან სათანამშრომლოდ. აშშ-მა უკმაყოფილება გამოხატა ამ გადაწყვეტილების გამო. პარალელურად, სომხეთი შეეცადა, გაეღრმავებინა ურთიერთობები იმ ქვეყნებთან, რომლებსაც გაუუარესდათ თურქეთთან და-

მოკიდებულება; მათ შორის საბერძნეთთან, ეგვიპტესთან, კვიპროსთან და არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან.

კვლევა აჯამებს ძირითად საგარეო პოლიტიკურ ცვლილებებს იმ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, რომლებმაც რევოლუცია გამოიარეს და უდარებს სომხეთის მაგალითს. წარმოდგენილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სომხეთის საგარეო პოლიტიკის წარმართვაზე. დასასრულს, მოცემულია დასაბუთებული პასუხი გაეცეს კითხვას, თუ რატომ დგამენ რევოლუციური მთავრობები ახალ ნაბიჯებს შუა აღმოსავლეთში და რა შედეგი მოსდევს ამას.

## დავით ყოლბაია

(პოლონეთი, ვარშავა)

### ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული უცნობი აპოკრიფული ხელნაწერი

აქ წარმოდგენილი ქართული ხელნაწერი ერთ-ერთია იმ აპოკრიფულ ძეგლებიდან, რომელიც სრულად ქრისტეს ცხოვრებას მოგვითხრობს. ეს აპოკრიფი გვიანდელი (XIX საუკუნეში) ქართული ხელნაწერია, რომელიც ოქსფორდის ბოდლეს (MS. Wardr. d. 14. 48 ფ.; ქალაქი; 22×17 სმ) ბიბლიოთეკაშია შენახული. გრიგოლ ფერაძემ ეს ხელნაწერი პოლონურად ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალ "Elpis"-ში გამოაქვეყნა. წინამდებარე აპოკრიფული სახარება ფრაგმენტულად არის ჩვენამდე მოღწეული, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გვერდები ბევრგან არ არის სრული, არამედ იმიტომაც, რომ შეიმჩნევა ტექსტებში თხრობებს შორის ნაკლულება. გარდა ამისა, თხზულება შეიცავს უცნობ ელემენტებს. ეს არის მარტივი ნაწარმოები. პროფესორი მარეკ სტრაოვეისკი მიიჩნევს, რომ აპოკრიფული სახარება ქართული ხალხური ლიტერატურის პროდუქტია და, რა თქმა უნდა, არ არის ლიტერატურის შედეგური; ამასთან, ეს არის სრული აპოკრიფული სახარების საინტერესო მაგალითი. იგი ამდიდრებს აპოკრიფების შესახებ ცოდნას, განსაკუთრებით კი კავკასიის ლიტერატურისა და ქართული ხალხური კულტურის სფეროში. ჩვენი ვარაუდით ხელნაწერი სომხურ მონოფიზიტურ წრეებშია გადაწერილი. ეს თვალსაზრისი ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევა სხვა მკვლევარებმა, ვინაიდან XII-XIII საუკუნეებში ქართული ხელნაწერი ტრადიცია უპირობოდ ორიენტირებული იყო კონსტანტინეპოლური რედაქციის ბერძნული ტექსტების თარგმნაზე. ამდენად ხელნაწერის კრიტიკული შესწავლა არ არის ინტერესს მოკლებული.

## თეიმურ ყულიევი

(აზერბაიჯანი, ბაქო)

### სამონეტო საქმე და ფულის მიმოქცევა აზერბაიჯანში მონღოლი ყაენების ხანაში

მოხსენებაში განვიხილავთ ე.წ. ყაანურ მონეტებს, რომლებიც იჭრებოდა მონღოლი მოხელეების მიერ დიდი ყაენის სახელით (ჰულაგუიანთა სახელმწიფოს წარმოქმნამდე). მონღოლთა მხოლოდ მეორე ლაშქრობის შემდეგ აზერბაიჯანს მართავდნენ დიდი ყაენის მიერ დანიშნული მოხელეები (1239-1256 წწ.). დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლებმა გააუქმეს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი სისტემა. შირვანშაჰებმა და საქართველოს მეფეებმა ძლივს შეინარჩუნეს ხელისუფლება. ა. ალი-ზადე მიუთითებს, რომ ილხანთა სახელმწიფოს წარმოქმნამდე ირანს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს მართავდნენ დიდი ყაენის მოხელეები. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება საოკუპაციო დირჰემების, ე.წ. ყაანურების ემისია. დიდი ყაენის სახელით მოჭრილი უადრესი ანონიმური მონღოლური მონეტები მშვილდის ან მხედრის გამოსახულებით აღწერილია ი.

ჯალალანას, ა. რაჯაბლის, ხ. მუშელიანის, მ. სეიფედინის შრომებში. ამ მონეტებზე დიდი ყაენის სახელი არ არის, მხოლოდ საპატიო ნოდებულებაა აღნიშნული -- „დიდი ყაენი“.

ე. პახომოვის ნაშრომში „აზერბაიჯანისა და კავკასიის სხვა რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების განძები“ აღწერილია სამონეტო განძები, რომლებშიც ჩინგიზიანთა მონეტებიც გვხვდება (441, 442, 850,852, 854, 858,1136, 1143, 1146, 1155, 1162). კავკასიაში აღმოჩენილ ჩინგიზიანთა მონეტებში ჭარბობს მანგუ ყაენის მონეტები, რომლებიც თბილისში იჭრებოდა. განძების შემადგენლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩინგიზიანთა მონეტები მიმოიქცეოდა რუმის სელჩუკიანების, ორთუკიდების, ქრისტიანულ-ჰულაგუიანურ მონეტებთან ერთად. კავკასიაში მონლოლთა შემოსევის დროისთვის აზერბაიჯანში მიმოიქცეოდა დარუბანდის სამელიქოს (ალგაბიდების), შირვანშაჰებისა და ილდელუზიანთა მონეტები. მათი ჭედვა დაემთხვა ე.წ. ვერცხლის კრიზისის პერიოდს, რომელმაც აღმოსავლეთის ქვეყნების დიდ ნაწილი მოიცვა. ჩინგიზიანებმა კავკასიის ფულად მიმოქცევას სრულფასოვანი ვერცხლის მონეტები შემატეს.

აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აზერბაიჯანის ისტორიის მუზეუმში დაცულია განჯაში, ნახჭევანში, ურმიასა და თავრიზში მოჭრილი ყაანურები.

## **ნანა შენგელაია**

(საქართველო, თბილისი)

### **კრეტული ფესტოს დისკოს დამწერლობის მახასიათებლების შესახებ**

მოხსენებაში წარმოვადგენ კრეტული ფესტოს დისკოს წარწერების განსაკუთრებულ მახასიათებლებს. ესენია:

- წარწერების „კლასიკურად“ ნოდებული მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ;
- ტექსტის დასაწყისისა და დასასრულის ცხადი აღნიშვნა;
- ურთიერთცალსახა მიმართება სადამწერლობო ნიშნებსა და ბგერით ერთეულებს შორის;
- მარცვლოვანი სტრუქტურის სიტყვებისა და მათი მარცვლების ცალსახა და მარტივი

გადმოცემა;

- სადამწერლობო ნიშნების რაოდენობის სიმცირე და სხვა.

დამწერლობის ეს მახასიათებლები ვერ ერგება ინდო-ევროპულისა (მათ შორის ბერძნულის) და სემიტური ენების კონსონანტური სტრუქტურის მქონე სისტემებს.

ენობრივი მასალის თანმიმდევრული გამოყენებითა და მისი ცალსახა ასახვით ფესტოს დისკოს დამწერლობა (ძვ.წ. მე-3-მე-2 ათასწლეულების მიჯნა) უდავოდ გამორჩეულია და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დამწერლობის ისტორიაში.

## **ანდრიუ შიმუნეკი**

(კორეის რესპუბლიკა, ტეჯონი)

### **გაგა შურდაია**

(იტალია, ნეაპოლი)

### **შუამონღოლური ზოდიაქოები ქართული ტრანსკრიპციით: ახალი ხედვა**

XIII ს-ის 30-იანი წლებიდან ვიდრე XIV ს-ის დასაწყისამდე საქართველო მონღოლ დამპყრობთა ძლიერ გავლენას განიცდიდა. გიორგი V ბრწყინვალემ (დაახლ. 1314-1346) გადააგდო მონღოლთა უღელი და საქართველო კვლავ ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. აღნიშნული ხანის საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა XIV ს-ის ანონიმი ავტორის *ასწლოვანი მატიანე*. ეს ისტორი-

ული ნაწარმოები მონღოლთა ბატონობის პერიოდს ასახავს, ამიტომაც მასში მრავლად გვხვდება შუამონღოლური ტერმინები, გადმოცემული ძველი ქართული ტრანსკრიპციით. ჯერ კიდევ 1917 წ. აღნიშნული ტრანსკრიპციების ნაწილი შეისწავლა ბ. ვლადიმირცოვმა (1884-1931), მაგრამ ტრანსკრიპციებიცა და ვლადიმირცოვის ინოვაციური ნაშრომიც მონღოლისტიკაში თითქმის მთლიანად მიეცა დავიწყებას. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ამ მნიშვნელოვანი მასალის ახალი, თანამედროვე კვლევა მოღწეული ხელნაწერების გამოყენებით.

ნაშრომში წარმოდგენილია „ასწლოვან მატყანეში“ დამონმებული ზოდიაქოს ნიშნების აღმნიშვნელი შუამონღოლური ტერმინების ძველი ქართული ტრანსკრიპციებისა და განმარტებების ლინგვისტური და ფილოლოგიური ანალიზი. წინამდებარე მოხსენება პირველი შედეგია იმ ერთობლივი კვლევისა, რომელიც მიზნად ისახავს თანადროული ქართული წყაროს მნიშვნელობის წარმოჩენას შუა საუკუნეების მონღოლების ენის, კულტურისა და ისტორიის შესასწავლად.

## **თინა შიოშვილი, თეონა კეკელიძე**

(საქართველო, ბათუმი)

### **„ამირანიანის“ ტრანსმისია აჭარულ ვარიანტებში**

ამირანი, როგორც ქართველური ტომების საერთო-სახალხო გმირის, სახის შექმნაში მონაწილეობდა საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული რეგიონი და მათ შორის – აჭარაც, თუმცა, რეგიონალური ფოლკლორის ამ უბანზე დადასტურებული ამირანი ეპოსი მრავალშრიანი და მრავალგზის იერნაცვალა, რაც, ბუნებრივია, ამ კუთხის ისტორიამ და კულტურულ-რელიგიურმა პრობლემებმა განაპირობა.

სათანადო მასალებზე დაყრდნობით ბოლოდრონდელი კვლევებით დასტურდება, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში „ამირანიანი“ საკმაოდ გავრცელებული ყოფილა; ეს თქმულებანი ეხება ამირანის ორეულს – „დედჯალს“, იგივე „დედჯალ-რომპაპს“; ანუ, „დედჯალ-ოხრუჯს“; ეს მითოსური პერსონაჟი, აჭარულ მუსლიმთა რწმენით, ბოროტი სულია, რომელზედაც ვრცლად მოგვითხრობენ ე. წ. „ჰადისები“, ანუ ყურანის აპოკრიფები.

ზოგიერთი ვარიანტი დედჯალს ამირანად მოიხსენიებს და მასზე დაწყებულ თხრობას „ამირანიანის“ კალაპოტში, მისივე პერსონაჟების თავგადასავლების გადმოცემით, განაგრძობს. ყოველივეს გათვალისწინებით შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ისტორიულად აჭარაში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, უნდა არსებულიყო „ამირანიანის“ სრულყოფილი ვარიანტები; ის ფაქტი კი, რომ აჭარის ფოლკლორულ სინამდვილეში ამირანის თქმულება მაინც ორეულის დონეზეა და ძირითადად ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, ერთის მხრივ ამ კუთხის ისტორიულ ძნელბედობაში უნდა ვეძიოთ, რის შედეგადაც მოხდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ეპიკური გმირის სახის ტრანსმისია.

## **მარინე შონია**

(საქართველო, თბილისი)

### **თურქების იდეები ჰალიდე ედიფ ადივარის რომანში „ახალი თურანი“**

XX ს. თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ჰალიდე ედიფ ადივარის (1883-1964), სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა თურქული ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების, პატრიოტული იდეების, განათლებისა და ქალთა უფლებების პროპაგანდას. ევროპულად განსწავლული მრავალმხრივი ინტერესების მქონე პიროვნება, აქტიურად იღვწოდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში როგორც არა მხოლოდ მწერალი, არამედ პედაგოგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, მონყალეებისა და თურქული არმიის სერჟანტი, ათათურქის თანამებრძოლი-



ცა და მონინაალმდეგეც, სამშობლოს ინტერესების დაუღალავი დამცველი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, პარლამენტის დეპუტატი, სუფრაჟისტი.

მწერლის რომანი „ახალი თურანი“ 1912 წ. გამოქვეყნდა და იმთავითვე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. ნაწარმოებში აისახა 1908 წ. „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის შემდეგ განვითარებული მოვლენები - ის ბოზოქარი იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლები, რომლებმაც ოსმალეთის იმპერიის დასასრულსა და ახალი ქვეყნის - რესპუბლიკური თურქეთის შექმნას დაუდო სათავე.

ოსმალეთის იმპერიის მთავარ იდეოლოგიური დოქტრინა სულთან აბდულჰამიდ II-ის მმართველობისას პანოსმანიზმი და პანისლამიზმი იყო. „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციას ახალი დოქტრინის, თურქიზმის, განვითარება მოჰყვა, რომელიც განსაკუთრებით თურქ ინტელექტუალთა ახალგაზრდულ ნაწილში გავრცელდა. ჰალიდე ედიფ ადივარისათვის მისაღები აღმოჩნდა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის, სოციოლოგის, მწერლისა და პუბლიცისტის, თურქიზმის იდეოლოგის ზია გოქალფისა (1875-1924) და რუსეთიდან ოსმალეთში ემიგრირებული თურქი ნაციონალისტების ისმაილ გასპირალის, იუსუფ აქჩურასა და ალი ჰუსეინზადეს შეხედულებები.

რომანი სამი ნაწილისაგან შედგება. მასში ასახულია 1908 წ „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის შემდეგ იმპერიაში განვითარებული კონფლიქტები, რომლებიც ორ პოლიტიკურ პარტიას - „ახალ ოსმალებსა“ და „ახალ თურანს“ შორის მიმდინარეობს. „ახალ ოსმალთა“ იდეოლოგია ოსმანიზმია, ლიდერი - შინაგან საქმეთა მინისტრი ჰამდი ფაშა. „ახალი თურანის“ მეთაური ოლუზი, მისი სატრფო ქაია და თანამოაზრეები „დეცენტრალიზაციისა“ და „თურქიზმის“ იდეებს ავითარებენ.

ოლუზის ემოციური გამოსვლა თანაპარტიელთა და მომავალ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, თურქი ერის მიერ გავლილი გზის დახასიათება, სოციალური გარდაქმნების, ქალთა უფლებების დაცვის, განათლების მიღების, დასაქმების საკითხებზე მსჯელობა ნათლად გამოხატავს მწერალი ქალის პირად პოზიციასა და იმ მოსაზრებათა ზეგავლენასაც, რომლებითაც ის შთაგონებული იყო. ზ. გოქალფისაგან განსხვავებით, ჰალიდე ედიფ ადივარის თურანი არა მხოლოდ ყველა თურქული მოდემის ხალხების ქვეყანაა, არამედ არაბთა, ბერძენთა, სომეხთა და სხვათა მიერ შექმნილი ახალი თურქეთი. რომანის „ახალი თურანი“ მნიშვნელობა ის არის, რომ გვიჩვენებს ეპოქის პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას, მისადმი თურქული საზოგადოების დამოკიდებულებას, თურქული ლიტერატურის განვითარების იდეურ და ესთეტიკურ თავისებურებებს.

## **ბრიგიტა შრადე**

(გერმანია, ბერლინი)

### **შერეული ტიპის ტაძრები და წმინდა ხატები: ხატი სვანეთიდან XIII-XVIII საუკუნეებში საქართველო-კვიპროსის ურთიერთობათა კონტექსტში**

საქართველო-კვიპროსის ურთიერთობის სურათი, რომელსაც იძლევა არქეოლოგიური და დოკუმენტური წყაროები, საკმაოდ ფრაგმენტულია. არქეოლოგიური გათხრები ჩრდილო-დასავლეთ კვიპროსში, ლალიას ქართული მონასტრის ტერიტორიაზე ადასტურებს, რომ X საუკუნიდან მოყოლებული იქ ინტენსიური ქართული სამშენებლო და მთარგმნელობითი საქმიანობა იყო გაჩაღებული, რომლის მნიშვნელოვანი ეტაპი მეფე დავით მეოთხისა და თამარის მეფობის ხანას ანუ XI-XII საუკუნეებს უკავშირდება და XIII საუკუნის პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა. მოგვიანებით ცხოვრება აქ თანდათან მინავლდა და საბოლოოდ შეწყდა 1571 წელს ოსმალეთის მიერ კვიპროსის დაპყრობის შემდეგ.

საქართველოსა და კვიპროსს შორის იტენსიური ურთიერთობის განახლების ფაქტი შეიმუშავა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორემ და მისმა მეუღლე დარეჯან დადიანმა შემოწირულობა გაიღეს კვიპროსის კიკოსის მონასტრისთვის, რომელთა

შორის იყო ცნობილი პანალია კიკოტისას ხატის ნაქარგი საფარველი წარწერით ქართულ და ბერძნულ ენებზე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო იმერეთში, ვარძიაში კიკოს მეტოქიონის დაარსება მეფე სოლომონ პირველის მეფობისას კვიპროსელი სასულიერო პირების საქართველოში მუდმივად ყოფნის პირობით (აბატი ქრიზოსტომოსი, კ. კოკინოფტასი, გ. პ. შიმენცი).

გარდა ამგვარი სამონასტრო ურთიერთობებისა, ცნობილია პირდაპირი კავშირები როგორც საქართველოში, ისე კვიპროსში, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკასა და ვაჭრობასთან ხმელთაშუაზღვის რეგიონში. XVI საუკუნის შუა ხანების ცნობებით დასტურდება ვენეციის რესპუბლიკის ელჩის, კვიპროსელი მიქელე მემბრეს ჩამოსვლა ანაკლიაში, შავი ზღვის სანაპიროზე. ამ დროის მომლოცველთა ჩანაწერებში საუბარია კვიპროსის საპორტო ქალაქ ფამაგუსტაში მცხოვრები ქართველების შესახებ.

რა ვიცი ამ ურთიერთობების კულტურული ფესვების შესახებ? ზემო სვანეთში შემონახული ხატი ადასტურებს, რომ საქართველო-კვიპროსის ურთიერთობამ გავლენა მოახდინა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაზეც. სოფელ აცის მთავარანგელოზთა ეკლესიაში არსებულ არც თუ პროფესიონალურ დონეზე შესრულებულ ხატზე გამოსახულია ღვთისმშობელი, რომელსაც ლურჯ ფონზე - კვიპროსის კედლის მხატვრობისა და ხატწერის ტრადიციების გავლენით ხელში შემომწირველის ფიგურა უჭირავს. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ხატის ანალიზი საქართველო-კვიპროსის ურთიერთობათა კონტექსტში XIII-XVIII საუკუნეებში - პერიოდში, როდესაც მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური თემები კვიპროსში და საეკლესიო პოლიტიკური ვითარება საქართველოს მთიან რეგიონში - სვანეთში, სადაც დადიანების ოჯახი დღითიდღე ძლიერდებოდა, ხელს უწყობდა რელიგიური ხელოვნებისა და იკონოგრაფიის ტრადიციების კულტურათაშორის გაცვლასაც.

## **გაგა შურდაია**

(იტალია, ნეაპოლი)

### **ნათლობის უძველესი რიტუალი „ნინოს ცხოვრებაში“**

გამოკვლევაში გაანალიზებულია წმინდა ნინოს მიერ „რვისა წლის სნეული“ სეფენულისა და ქართლის დედოფლის, ნანას განკურნების ეპიზოდი „ნინოს ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეული რედაქციებისა და ქართლის მოქცევის შესახებ არსებული ბერძნული და ლათინური წყაროების მიხედვით. ნაშრომში გაზიარებულია და განტკიცებული სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ საკვლევ ეპიზოდში გადმოცემულია ნათლობის უძველესი რიტუალი, რომელიც დღემდე დადასტურებული იყო მხოლოდ აღმოსავლურ სირიულ ტრადიციაში, კერძოდ, თეოდორე მოფსუესტიელის (დაახლ. 350-428) ნათლობის მეორე სიტყვაში კათაკმეველთათვის. ნაჩვენებია, რომ დროთა განმავლობაში „ნინოს ცხოვრების“ გვიანდელი რედაქტორებისა და გადამწერებისათვის გაუგებარი გახდა თხზულების თავდაპირველ ვარიანტში აღწერილი რიტუალი, რის გამოც მათ მიერ გადანუსხულ ტექსტებში მისი მხოლოდ შორეული გამოძახილი ისმის.

## **ელენე ჩაგელიშვილი**

(საქართველო, თბილისი)

### **საქართველოს ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა საზოგადოება**

#### **გასაბჭოების პირველ წლებში**

გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სამეცნიერო და კულტურული ინტელიგენციის საქმიანობით დაინტერესებული ნებისმიერი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის საქართველოს სა-

ისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობას (1907-1932 წ.წ.). სწორედ მისი დამსახურებით გადაურჩა განადგურებას ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომაც ღირებულია ყოველი წყარო, რომელიც კი რაიმე სიახლეს გვანვძის ამ საზოგადოების საქმიანობის შესახებ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა. ამ ცვლილებებმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობასაც დაასვა დალი. საგანგებო შესწავლის საგანია ამ მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოების საქმიანობის წარმოჩენა გასაბჭოების პირველ წლებში, რათა თვალი მივაღვევოთ, თუ როგორ შეიზღუდა საზოგადოების მოქმედების არეალი ამ პერიოდში.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არქივის ძირითადი ნაწილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ამჟამად მუშავდება აღნიშნული არქივის კიდევ ერთი ნაწილი, რომელშიაც სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად ზემოთ აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებული საარქივო ერთეულებიცაა. ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს დოკუმენტური მასალა პირველად შედის სამეცნიერო მიმოქცევაში. აქაა წარმოდგენილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომის ჟურნალები, კრებათა ოქმები, მიმონერა ახალ საბჭოთა ხელისუფლებასა და საზოგადოების გამგეობას შორის, სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. მათი საშუალებით ვეცნობით საზოგადოების მოღვაწეობის ამსახველ ბევრ საინტერესო ფაქტსა თუ მოვლენას. ამ საარქივო დოკუმენტებშია, აგრეთვე, მასალები იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია ექვთიმე თაყაიშვილის იძულებითი ემიგრაციის შემდეგ მის საცხოვრებელ ბინას, პირად ბიბლიოთეკას. აქვეა დოკუმენტები იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება საეკლესიო ნივთებისა და ხელნაწერების გახიზვნას; ეხმარებოდა კერძო პირებს მათი კუთვნილი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთების გადარჩენაში...

ზემოთ აღნიშნული საარქივო მასალაში დაცული საბუთების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მოძიება-გადარჩენის მნიშვნელოვანი მომენტების კიდევ ერთხელ გააზრება. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოღვაწეობა სწორედ იმ საფუძველთაგანია, რომელზედაც დგას ქვეყნის ინტელექტუალური და სულიერი განვითარება.

## იზა ჩანტლაძე

(საქართველო, თბილისი)

### არქაული მორფოლოგიური მოვლენები XIX საუკუნეში მოღვაწე უცხოელ არალინგვისტ მკვლევართა სვანურ მასალებში

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში ორ პერიოდს განარჩევენ:

I – XIX საუკუნის ოცდაათიან წლებამდე;

II – XIX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან დღემდე.

„მათ შორის მიჯნას ქმნის მარი ბროსეს წიგნი *L'art liberal ou Grammaire géorgienne* (Paris, 1834), სადაც პირველად არის ნაცადი, ქართული ენის ნათესაობა ინდოევროპულ ენებთან დამტკიცდეს გრამატიკულ მოვლენათა მოხმობითაც და არა მხოლოდ ლექსიკური მასალის ჩვენებათა მიხედვით, როგორც მანამდე იყო მიღებული“ (არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, 1965, გვ. IX-X).

ჩვენი ყურადღება მიიქცია დიპლომატ, არქეოლოგ, ეთნოლოგ, გეოგრაფ და ბუნებისმეტყველ მკვლევართა მიერ შესრულებულმა სვანური ლექსიკის, სახელთა თუ ზმნათა პარადიგმატული ერთეულების, ცალკეული ფრაზეოლოგიური გამონათქვამებისა და ძველი ხალხური სიმღერების ტექსტთა ჩანაწერებმა. თავისთავად ცხადია, არასპეციალისტები ენათა ვერც ისტორიულ-შედარებით

ლექსიკონებს შექმნიდნენ და ვერც არქაული თუ მათი თანამედროვე მეტყველების მორფემათა კლასიფიცირებას მოახდენდნენ, მაგრამ ეს მასალები სწორედ ლინგვისტებს გამოგვადგება დიქ-რონიულ ჰორიზონტთა ჭრილში.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია **ინგლისელების** (ფ. ვოლეი – 1883 წ., დ. პიკოკი – 1887 წ., დ. ფრეშფილდი – 1896 წ., ო. უორდროპი – 1911 წ.), **გერმანელების** (ი. ბართოლომე – 1853 წ., გ. რადე – 1866 წ., გ. მერცბახერი – 1901 წ.), **ფრანგების** (რ. ბერნოვილი – 1875 წ., ა. ბერჟე – 1879 წ.), **უნგრელებისა** (მ. დეჩი – 1905 წ.) და **სხვათა ნაშრომები**, სადაც თითქმის ყველგანაა მითითებული ნინამორბედ მკვლევართა ღვაწლის შესახებ. . .

სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ სვანურ ენაში სახელობითი ბრუნვის ორი მორფემა უნდა გვექნოდნა -ი და -ე. პირველი მათგანი დღეს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გამოიყენება (**ჯორ-ი** „ორი“, **სემ-ი** „სამი“, **ზა-ი < ზა-ი** „ნელინადი“, **ჭალა-ი < ჭალა-ი** „მდინარე“, . . .), მეორე ფორმანტმა კი საერთოდ ვეღარ მოაღწია ჩვენამდე (-ე შემორჩენილია ძველ სვანურ ხალხურ სიმღერებში და ისიც მარტოოდენ მრავლობით რიცხვში: **მახელტაჟ-არ-ე** „ახალგაზრდები“, **თოფ-არ-ე** „თოფები“ და ა. შ. აუსლაუტში -ე შესაძლოა საკუთარ სახელებთანაც შეგვხვდეს – **თამარ-ე** „თამარი“, **სოზარ-ე** „სოზარი“, . . ., მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ხმოვანი გაჩენილია ლექსის სტრიქონთა კეთილხმოვანების დაცვის გამო – ცნობილია, რომ ქართველურ ენათა განვითარების ადრეულ საფეხურზე ანთროპონიმებთან საჭირო არ იყო მანარმოებლი რამდენიმე ბრუნვაში, მათ შორის სახელობითშიც). ამ ფონზე, რაღა თქმა უნდა, ჩვენ დავინტერესდით გუსტავ რადეს ნაშრომში („Reisen im Mingrelischen Hochgebirge und in seinen drei Längenhohtälern-Rion, Ts’chenis-ts’chali und Ingur“) წარმოდგენილი ფორმით **schtimrale** („ყურები“), რომელიც მაშინდელი უმგულური (სოფელი ჟიბიანი) კილოკავისთვისაა დამახასიათებელი – მაშასადამე, -ე, როგორც სახელობითი ბრუნვის მორფემა ცოცხალ სვანურ მეტყველებაში საუკუნენახევრის წინ ჯერ კიდევ არსებობდა.

საილუსტრაციო მონაცემებში, მორფოლოგიურ არქაიზმთან ერთად, ძველი ფონოლოგიური მოვლენაც შეინიშნება – ესაა **მკვეთრ (და არა მჟღერ)თანხმოვნის კომპლექსი შტ-** (შდრ. თანამედროვე **შდგმრწლ**), რომელიც ვარლამ თოფურიას მიაჩნია ამოსავალი ვითარების მაჩვენებლად, აკაკი შანიძისგან განსხვავებით. ანალოგიური შემთხვევები საკმაოდ ხშირად გვხვდება ზემოაღნიშნულ არალინგვისტ მკვლევართა მიერ ფიქსირებულ სვანურ ლექსიკაში, დღეს რომ მხოლოდ ლენტეხურ (ძალზე იშვიათად ლაშხურ) დიალექტში შემოგვრჩა.

არქაული ფორმები შეინიშნება ჩვენი საანალიზო მასალის ტოპონიმიკა-ჰიდრონიმიკა-ანთროპონიმიკასა თუ მცენარეთა სახელწოდებებშიც; მაგალითად, უმგულის თემის ერთ-ერთ სოფელს ევროპელ მეცნიერთა ნაშრომებში ეწოდება **ჩუბიან** (შდრ. თანამედროვე უმლაუტიზირებული **ჩუბი-ქნ < \*ჩუბე-ემ-იან-ი**).

გარდა ამისა, მეტად საინტერესოა ივ. ბართოლომეს, გ. რადესა და დ. ფრეშფილდის მოსაზრებანი სვანური მეტყველების სიახლოვის შესახებ ქართული ენის მთის დიალექტებთან (თუშურთან, ფშაურთან, ხევსურულთან). არალინგვისტმა უცხოელმა მკვლევრებმა ისიც შესანიშნავად იცოდნენ, რომ სვანური უძველესი შტოდან – ანტიკური ქართულიდან მომდინარეობს და „თავისუფალ სვანეთში“ მეტწილად ქართული ლექსიკა ჭარბობს, „სადადეშქელიანოში“ (ე. ი. ბალს ქვემოთ) კი – მეგრული. . .

## ირინე ჩაჩანიძე

(საქართველო, ქუთაისი)

### ქართული ანბანის საკითხები ანდრეას მიულერის ნაშრომში

მე-17 საუკუნიდან დასავლეთ ევროპელი მეცნიერებისა თუ სწავლულების მიერ ქართველური ენებით დაინტერესებამ სისტემური ხასიათი მიიღო. ამ პერიოდის დასავლეთევროპულ სამეცნიერო

წყაროებში დადასტურებული ცნობები შესაძლებლობას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ ქართული ენისა და ანბანის შესახებ.

იმ ევროპელ ავტორთა შორის, რომლებიც წერდნენ საქართველოს შესახებ, თვალსაჩინო ადგილი მიეკუთვნება გერმანელი ორიენტალისტისა და სინოლოგის ანდრეას მიულერის (1630-1694) ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომს „Alphabeta ac Notae Diversarum Linguarum pene septuaginta tum & Versiones Orationis Dominicae prope centum“ (1703).

ნაშრომში ავტორი საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ქართული ანბანის საკითხებს სათაურით „ქართული ანბანი“ (Alphabetum Gjorgjanicum). ნიგნში მრავალენოვან ლოცვას (Orationis Dominicae Textus Authenticus) შორის ავტორმა გამოაქვეყნა „მამაო ჩვენოს“ ქართული თარგმანიც.

აღნიშნული მასალა დღემდე სრულიად შეუსწავლელი და დაუმუშავებელია. მოხსენების მიზანი კი ამ სიცარიელის შევსება, სამეცნიერო მიმოქცევაში დღემდე უცნობი ქართველოლოგიური ხასიათის მასალის შემოტანა და დაინტერესებული აუდიტორიისთვის გაცნობაა.

## ჰარუნ ჩიმქე

(თურქეთი, რიზე)

### ნამყო დროის მიმღობათა ერთი ჯგუფის წარმოება და თავისებურებანი ქართულ-თურქული მასალის მიხედვით

ქართული ენის შედარება განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენებთან სხვადასხვა სირთულით წარმოგვიდგება. ეს ეხება მიმღობური ფორმების გადმოცემასაც.

მიმღობის ფორმები ქართული ზმნის ერთ-ერთი საინტერესო საკითხია, თუმცა გადმოცემის საშუალებები განსხვავებულია ყველა ენაში და, მათ შორის, ქართულსა და თურქულშიც. ტრადიციული მოსაზრებების მიხედვით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მიმღობის დროის კატეგორიასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ენათმეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მიმღობას მოეპოვება დროის კატეგორია, მაგრამ ეს კატეგორია ქართულში რამდენიმე თავისებურებას გვიჩვენებს.

მიმღობის ფორმები ქართულ ენაში მრავალფეროვანია წარმოების თვალსაზრისითაც. მიმღობის მანარმოებელი შეიძლება იყოს პრეფიქსი „ნა“; სუფიქსი „ილ“ და „ულ“, ან კონფიქსი (პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღობა, რომელიც იწარმოება მარტივი ფუძისაგან შემდგევი აფიქსების დართვით: მ---არ-ი;). მანარმოებელ აფიქსთა მრავალფეროვნება განაპირობებს მიმღობურ ფორმათა სიმრავლესა და სიუხვეს ქართულში.

მიმღობურ ფორმებთან დაკავშირებით საინტერესოდ გვესახება ქართულ-თურქული მონაცემების განხილვა. ამჯერად შევეხებით ნამყო დროის მიმღობათა ერთი ჯგუფის წარმოებასა (კერძოდ: **ნა-** პრეფიქსიან წარმოებას) და თავისებურებებს ქართულ-თურქული მასალის მიხედვით.

თურქულში მიმღობის ფორმები იყოფა ორ ჯგუფად: **1.** მიმღობები, რომლებსაც დროის სემანტიკა აქვთ და ამიტომ საფუძლვლად უდევს პირიანი ფორმების წარმოებას (**-YOR, -AR, -ACAK, -MIŞ**); **2.** მიმღობა, რომელიც მოკლებულია დროის სემანტიკას და ამიტომ პირიანი ფორმების წარმოებაში ვერ მონაწილეობს. ასეთია **-AN (-EN)** მიმღობა.

ქართულის ნამყო დროის **ნა-** პრეფიქსიანი მიმღობის ფორმები თურქულში, ძირითადად, ასევე თურქულის ნამყო დროის მიმღობის ფორმებით **-MIŞ (-Miş, -MUŞ, -MÜŞ)** და **-AN, -EN**-ით გადმოიცემა. მაგალითად, „არის შემთხვევები, როცა სუსტად ნათამაშევა შეხვედრამ უკეთესი შედეგი მოიტანოს - Zayıf oynanmış/oynanan oyunların daha iyi sonuçlar getirdiği durumlar da vardır.“ არის **ნა-** პრეფიქსის ისეთი შემთხვევები, რომლებიც თურქულის **-DİK (-DİK, -DUK, -DÜK // -TİK, -TİK, -TUK, -TÜK)** მასდართაც გამოიხატება. მაგალითად, „ეტყობოდა, მან გაიგონა რძლის ნალა-პარაკევი იმ ღამეს - Anlaşılan o gece o gelinin konuştuklarını duydu“; ასევე ზოგიერთი ფორმა ზმნის

პირიანი ფურმიტაც გადმოიცემა: **ნაჭამი ვარ - Yemek yedim (=საჭმელი ვჭამე), ნაჭამი მაქვს - Yemek yemiştim (=საჭმელი მიჭამია)...**

ქართული ენით დაინტერესებული თურქისთვის ყველაზე დიდ სირთულეს ქმნის ის, თუ **ნა-**პრეფიქსიანი მიმღებობის წარმოებისას რომელი სუფიქსი გამოიყენოს: **-ავ, -ევ, -ამ, -ემ, -ებ, -ობ თუ -ოფ.** ამ შემთხვევაში საჭიროა ქართული საწყისი ფორმის საფუძვლიანი ცოდნა.

ქართულ-თურქული ნამყო დროის მიმღებობათა შედარებითი ანალიზის შედეგად კარგად ჩანს სტრუქტურულად განსხვავებულ ორ ენას შორის როგორც საერთო, ისე განსხვავებული მხარეები. მსგავსება და განსხვავება ეხება სემანტიკური, გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების შესაბამისობას.

## **დავით ჩიქოვანი**

(საქართველო, თბილისი)

### **ქართლის ეკლესიის შესახებ ელია იბნ უბაიდის ერთი ცნობის განმარტებისთვის**

IX საუკუნეში მოღვაწე კანონისტი და ქრონოგრაფი ელია იბნ უბაიდი (ელია დამასკელი) აღმოსავლეთის ნესტორიანი პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ ეპისკოპოსთა სიაში ასახელებს „ალ-ქურჯის“ ეპისკოპოსს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული თვალსაზრისით (მარი ბროსე, ივ. ჯავახიშვილი), აღნიშნული ცნობის მიხედვით, ქართლის ეპისკოპოსი 498 წლიდან ექვემდებარებოდა სპარსეთის ნესტორიან პატრიარქს. აღნიშნული ცნობა განსაკუთრებით საყურადღებოა უახლესი კვლევების ფონზე, რომელთა მიხედვითაც, ქართლის ეკლესია მე-5 საუკუნის 10-იანი წლებიდან სასანიანთა ირანში არსებულ „აღმოსავლეთის ეკლესიას“ ექვემდებარებოდა. აღნიშნული ცნობა, დადასტურების შემთხვევაში, აღმოსავლეთის კათოლიკოსისადმი ქართლის ეკლესიის დაქვემდებარების პერიოდს მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს და სრულიად ახლებურად წარმოაჩენს ქართლის ეკლესიის ისტორიას.

ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნულ საკითხზე ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული სამეცნიერო მოსაზრებების განხილვა; ელია დამასკელის ცნობისა და სხვა დამხმარე წყაროთა ანალიზის საფუძველზე გარკვეულია თუ რეალურად რომელ ეკლესიასა და პერიოდს ეხება აღნიშნული ცნობა; შეფასებულია აღნიშნული წყაროს მნიშვნელობა ქართლის ისტორიის კვლევისათვის.

## **მარეტ ცაროევა**

(საფრანგეთი, პარიზი)

### **ზოგი ფონეტიკური მოვლენის განვითარებისათვის ხურიტულიდან ინგუშურში გადასვლის დროს**

1960-იანი წლებიდან კავკასიოლოგიაში საყოველთაოდ მიღებული თეორიაა ეთნიკური ნათესაობის შესახებ ინგუშების ერთ-ერთი თემისა, ოღაღაი-სა, სტრაბონისეულ ძველ გარგარებთან, რომელთაც ძველი ბერძენი ავტორები თვლიდნენ კავკასიის ალბანეთის ერთ-ერთ წამყვან ტომად. მაგრამ არავითარი ცნობა არა გვაქვს გარგარების ენის შესახებ, გარდა სომეხი განმანათლებლის მესროპ მაშტოცისა (362-440), რომელიც მას ახასიათებდა როგორც «горловый, очень грубый и раздирающий глотку». მიუხედავად ამ დახასიათებისა, მისი მატარებლების მნიშვნელობის გამო, მაშტოცმა ანბანის შესაქმნელად აიღო გარგარული ენა და ის მიუსადაგა ალბანეთის ყველა ენას.

ჩვენი შემდგომი კვლევა აჩვენებს, რომ გარგარები არიან ხურიტების შთამომავლები. შემდეგ საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით ისინი ნელ-ნელა გარდაიქმნენ ახალ ხალხად - „ოღაღაი“.

გარდაქმნამდე მათ შეინარჩუნეს დუბლირებული ეთნონიმი გარგარ-, წარმოქმნილი ფორმისაგან 'r1yry-xe'. ეს ფორმა იყო ხურიტების თვითსახელწოდება, რაც ნიშნავდა „მთიელებს“, ანუ 'r1yp', 'r1ap' აღნიშნავს „მთას, კლდეს“. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით არსებობდა ძველ ინგუშურ ენაშიც. ამაზე მეტყველებს თეონიმი 'Г1арга-ерда' მნიშვნელობით „ღვთის მთა“, შემონახული მე-19 ს-მდე. დამპყრობელმა ხეთებმა გააორკეცეს ხურიტული ენდიეთნონიმი 'r1yry-xe' გააორკეცეს მრავლობითის გამოსახატავად: ხურ. 'r1yry-xe' („მთიელი“) - ხეთ. 'r1yryr1yp', 'r1aprr1ap' „ხურიტი, მთიელი“.

მოვსეს კალანკატვაცი ყოფილ ეთნონიმს 'r1aprr1ap' ასახელებს ფორმით 'гаргарацик'. შემდეგ ის ქრება შესაბამის ეთნოსთან ერთად, რომელიც მიგრირდა ცენტრალურ კავკასიაში და დასაბამი მისცა ახალ ეთნოსს 'r1alr1aი', ინგუშებს. ხურიტები თანდათან გაქრნენ ისტორიული არენიდან და დაახლ. 500 წლის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა ახალი ხალხი - გარგარები. მათი კვალი, კალანკატვაცის თანახმად, ამ რაიონში ჩანს ალექსანდრე მაკედონელის შემოჭრამდე, ძვ. წ. მე-4 ს-ში. გარგარები ტრანსფორმირდნენ 'r1alr1aი'-დ, როგორც ჩანს, ახ. წ. მე-10-11 სს-ში.

ხურიტული ენის შესახებ ცოდნის დაგროვება გრძელდება. ნახური და ხურიტული ენების გაღრმავებული სტრუქტურული შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს გარგარების ენის ზოგიერთი რგოლის რეკონსტრუქციისას. ჩვენი დაკვირვებით, უკვე ახლა შეგვიძლია გარგარულს მივაკუთვნოთ ზოგი ლინგვისტური ელემენტი, ინგუშურში შენახული არქაიზმების სახით.

ქვემოთ მოგვყავს სიტყვების ფონეტიკური გარდაქმნის მაგალითები ხურიტულიდან ნახურში გადასვლის დროს.

ჩვენ დავადგინეთ ხორხისმიერი q / q' ბგერების ფორმირების გზა გარკვეულ პოზიციებში ხურიტული ლექსიკის ინგუშურში გადასვლის დროს. ხორხისმიერი ბგერები გაჩნდა პროთეტული თანხმონების სახით ხურიტული ხმონების წინ; მაგ.: q'ar „ცოდვა, შეცდომა“ - ხურ. ar-ne „იგივე“; qarh „ფესაცმელი“ - ხურ. urri „? ტანსაცმელი“; q'am „ხალხი“ - ხურ. umi-ni „ქვეყანა“ და სხვ.

- უკანანისმიერი ხშული კ სიტყვის დასაწყისში: qiram „სანთლის ალი“ - ხურ.

kiriryanni „ფიჭვის ესენცია, გამოყენებული მოსანევად“; qor „ნახშირი“ - ხურ. kuri-ni

„? ანთებული, ცეცხლმოდებული“ და სხვ

- ხურიტული ველარული ფრიკატივი h სიტყვის დასაწყისში და ხმონებს შორის:

q'onah „მამაკაცი“ - ხურ.-ურარტ. hini „ვაჟიშვილი“; qur „კვამლი“ - heuri „იგივე“ და სხვ.

როგორც გარგარებმა ალტერნაციით მოგვცა 'Г1alr1aი', შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნახების მეორე ნაწილი კისტი (кишты, кушты, кусты, хисты) არის ალტერირებული ფორმა ეთნონიმისა „კასიტები“, ასევე ძურძუკები (Zurzur, Dzurdzur, Dzurdzuk) და მისთ.

ეთნონიმები ხურიტების შთამომავალი სხვა ნახური ტომებისა, რომელთაც შექმნეს ჩეჩენი ხალხი, ჩამოყალიბდა ადგილობრივი ტოპონიმებისა და თეონიმების საფუძველზე: Харачой, Ч1аберлой, Шарой, Шатой...

ინგუშები საუკუნეობით ცხოვრობდნენ ჩეჩნებისა და ქართველების გვერდით, რომლებიც მათ ეძახიან: ჩეჩნ. 'r1alr1aი' და ქართ. „ლილივი“.

## ნანა ცეცხლაძე, მზია ხახუტაიშვილი (საქართველო, ბათუმი)

### დიგიტალური ქართველოლოგიის რამდენიმე გადაუდებელი საკითხი

ციფრულ ეპოქაში, რომელიც „ენების გაქრობის საუკუნედაც“ შესაძლებელია იქცეს, განსაკუთრებით აქტუალური გახდა საფრთხეში მყოფ, მცირე და ნაკლებად შესწავლილ ენათა მონაცემების მოპოვება, ცალკეულ ენაში ასახული კულტურის, ღირებულებების, ეთნომენტალობის ფიქსაცია. ბუნებრივ სიტუაციაში ჩანერილი შინაარსობრივად მრავალფეროვანი (სოციალური,

კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი, რელიგიური და ა.შ.) მასალების ღია რესურსებად ქცევა საფუძვლად დაედება ინტერსიურ ინტერდისციპლინურ კვლევებს.

საქართველოში დიגיტალური ჰუმანიტარიის ისტორიაში შევიდა 2016-2019 წლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით ბათუმის შოთა რუსთაველისა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტების ერთობლივი სამეცნიერო პროექტი „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი“ (Digiarchive), რომლის მიზანი იყო აჭარის რეგიონის ზეპირსიტყვიერი მასალების დიგიტალიზაცია. ინტერდისციპლინური კვლევებისთვის, ენობრივი მონაცემების დამუშავებისათვის გამოიყენებოდა საგანგებო პროგრამული პაკეტი **(FLEx (Fieldworks Language Explorer) და Elan)**. დაგროვილმა გამოცდილებამ გამოკვეთა შემდეგი გადაუდებელი საჭიროებანი:

- ქართული ენის დიგიტალიზაციის, გრამატიკული სტრუქტურის მისანვდომობისა და მისი ბუნებრიობის გაგებისათვის, რესურსების ღიაობისათვის საჭიროა ენობრივ მონაცემთა მართვის თანამედროვე პროგრამული პაკეტის **FLEx-ის** უპრეცედენტო შესაძლებლობების გამოყენება, საერთაშორისო სტანდარტებით განწყობილ ინსტრუმენტებში ქართულის, როგორც აგლუტინაციური ენის, ინტეგრირება და ადაპტაცია;

- პროგრამის შემდგომი დახვეწა-განვითარება ქართული ენის სტრუქტურული თავისებურებების, სპეციფიკური გრამატიკული კატეგორიების (ერგატიული კონსტრუქცია, პოლიპერსონალურობა, მწკრივები, თემის ნიშნები, ქცევა, ზმნისნინის ფუნქციები და ვნებითი გვარის სემანტიკური ნიუანსები და ა.შ.) გათვალისწინებით;

- ქართული ენის გრამატიკის ცალკეულ საჭირობოტო საკითხთან დაკავშირებული განსხვავებული თვალსაზრისებისა და ტერმინების შეჯერება;

- შესასწავლი საკითხების პრიორიტეტების დალაგება. ერთ-ერთი უპირველესი შეიძლება იყოს ქართველური ენობრივი მრავალფეროვნებისა და აფხაზური ენის დიგიტალიზაცია, ამ ენათა ცალკეული დიალექტის მასალების სრულყოფილად აღწერა, ლინგვოკულტუროლოგიური არქივების შექმნა, რაც სახელმწიფო ენის სტრატეგიის უშუალო ნაწილი იქნება.

## ნინო ციციშვილი

(ავსტრალია, მელბურნი)

### ავტოქტონური და ინდოევროპული ელემენტები ქართულ მრავალხმიანობაში

მიუხედავად ერთიანი ძირისა, აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართული მრავალხმიანი სიმღერის სტილები სტრუქტურულად და ხმოვანებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ქართულ ეთნომუსიკისმცოდნეობაში პოლიფონიის სტილებს შორის ამ ვარიაციას, ძირითადად, ეკოლოგიურ-გეოგრაფიული განსხვავებების საფუძველზე ხსნიან. სხვადასხვა დარგების მონაცემთა საფუძველზე, ნაშრომში წარმოდგენილია ახლებური ახსნა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე პრეისტორიულ ხანაში მიმდინარე ეთნოგენეტიურ პროცესებს.

აღმოსავლეთ ქართული სასიმღერო სტილები, წარმოდგენილი ქართლ-კახური სუფრულებისა და სოლო შრომის სიმღერების სახით, თან განსხვავდებიან დასავლეთ ქართული მრავალხმიანობისაგან, და ამავდროულად საინტერესო მსგავსებას ავლენენ ახლო აღმოსავლეთის და ცენტრალური აზიის ერთხმიან სასიმღერო სტილებთან. ამგვარად, აღმოსავლეთ ქართული მრავალხმიანობა შეიცავს როგორც ავტოქტონურ (მრავალხმიან) ასევე შემოსულ (მონოდიურ) ელემენტებს და შედეგად გვაქვს მრავალხმიანობის უნიკალური სტილი, მდიდარი ორნამენტულ-იმპროვიზაციული, მელიზმატური მელიოდიკით და პედალური ბურდონული ბანით. არქეოლოგიური მასალისა და ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ინდო-ევროპული ენის მატარებელი ტომების მიგრაცია გაცილებით უფრო ძლიერი იყო ვიდრე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ახალი, ინდო-ევროპული ეთნოკულტურული ელემენტების



შემოსვლა კარგად ხსნის, თუ რატომ არის აღმოსავლური სასიმღერო სტილის ნიშნები აღმოსავლეთ ქართულ პოლიფონიაში და რატომ არ გვხვდება ეს ნიშნები დასავლეთ ქართულ მრავალხმიან ტრადიციებში.

## ელისო ჭელიძე

(საქართველო, თბილისი)

### სტუმარმასპინძლობა კავკასიის მთიელთა ანთროპოეკოლოგიურ სისტემაში

სტუმარმასპინძლობის ტრადიცია წარმოადგენს იმ სტრუქტურის ნაწილს, რომელიც კავკასიის უძველესმა მოსახლეობამ ბუნებრივ გარემოსა და ინდივიდის სოციუმთან ადაპტაციის ხანგრძლივ პროცესში შეიმუშავა. იმისათვის, რომ თავის „შინას“ (უსაფრთხო სივრცეს) დაშორებული ადამიანი დაცული ყოფილიყო, ერთი მხრივ, მკაცრი კლიმატური პირობებისა და, მეორე მხრივ, ადამიანისაგან მომდინარე საფრთხისაგან, ჩამოყალიბდა სტუმრის მიღებისა და უპირობო დაცვის გარანტია, რისი გამოვლინებაცაა მისი საკრალიზება („სტუმარი ღვთისაა“). სახლის გარეთ მყოფ ადამიანს თავის გადასარჩენად ისევ ადამიანის სახლი სჭირდებოდა და ტრადიციულ კულტურაში, სადაც ადამიანის სოციუმში დამკვიდრებისათვის გადამწყვეტი მისი ავტორიტეტი იყო, მასპინძლობა ამ „სახელიანობის“ ნაწილი გახდა. კავკასიის მთისათვის დამახასიათებელი სისხლის ალების ჩვეულებიდან გამომდინარე არსებობდა აუცილებლობა, მკაცრ კლიმატურ პირობებში ბუნების პირისპირ დარჩენილი ადამიანისათვის უზრუნველყოფით მასპინძლის სახლში უსაფრთხოება. აღნიშნული საჭიროების საპასუხოდ, სტუმარმასპინძლობა საკრალიზდება და მისი დაცვის აუცილებლობას საზოგადოება სისხლის ალების წესზე მაღლა აყენებს.

ბუნებრივ და კულტურულ გარემოში თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად მთაში აგებულ ამ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ტექნოლოგიური პროცესისა და ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ. ბოლო ორ ათწლეულში ეკონომიკის ერთ-ერთ ნამყვან დარგად საქართველოში ტურიზმი მოიაზრება, რამაც მნიშვნელოვანწილად წარმოსწია წინ სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთობის ეკონომიკური ასპექტი.

ნაშრომში ხევის ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე განვიხილავთ საუკუნეთა განმავლობაში უმტკიცესი და უპირობოდ დასაცავი წესის სოციალურ ფუნქციას იმ პირობებში, როცა ინდივიდის საზოგადოებაში დამკვიდრების პროცესში (შესაბამისად, სოციუმში მისი არსებობის უზრუნველყოფაში) წინ წამოინია პიროვნების ეკონომიკურმა სტატუსმა. როგორ აისახა ეკონომიკური დაინტერესება სტუმრისა მიღებისა და გამასპინძლების წესებზე? როგორია სტუმრისადმი დამოკიდებულების გამოვლენა ოჯახში მოსულ სტუმართან და სტუმართან - ტურისტის სტატუსით? რა შეცვალა ტურიზმის გაძლიერებამ პირველთან მიმართებაში და, საერთოდ, შეცვალა თუ არა? საკვლევ არეალად შერჩეულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი რეგიონი - ხევი (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), რომელიც გამორჩეულია როგორც ტურისტული პოტენციალით, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი უძველესი ტრადიციებით.

## როინ ჭიკაძე

(საქართველო, თელავი)

### შტრიხები ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის სულიერ-შემოქმედებითი თანაზიარობისა

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის სიტყვიერებიდან და პოეტური სინტაქსიდან ცხადად გამოსჭვივის ბედის უკუღმართობასთან შეჭიდებული პოეტის „სულით ობლობაცა“ და იმავდრო-

ულად „ბედთან შეურიგებლობაც“, რაც ესოდენ ხელშესახებად გაითავისა გალაკტიონმა ლირიკული ლექსით - „ელეგია“(1914 წ.).

„ნუ დამტოვებ მარტო“ - უთხრა ჩემმა სულმა ჩემს სულს“ – (პოლ ვალერი, 1993,150) - ფრანგი პოეტის, ესეისტისა და ფოლოსოფოსის პოლ ვალერის (1871-1945წ.წ.) ეს სულისშემძვრელი ლაღადისი სავსებით მიესადაგება ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისეულსა და პოეტურ მარტოსულობას, რაც კიდევ უფრო ხელშესახები გახდება, თუ ამ ფრაზას პერიფრაზულად გარდავთქვამთ: „ნუ დამტოვებ მარტო“ - უთხრა გალაკტიონის სულმა ბარათაშვილის სულს, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა, თუ რაოდენ „ძნელი არის მარტოობა სული-სა“(„სული ობოლი“). ...და აკი არც დაუტოვებია!

გალაკტიონმა ბარათაშვილში ჰპოვა მარტოსულობის თანაზიარი პოეტი, რაც კარგად ჩანს ჭაბუკობისდროინდელი მისი ლექსიდან „ელეგია“, სადაც ცხადად იგრძნობა მისი სულიერი თუ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სიახლოვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ისეთ პოეტურ შედეგებთან, როგორცაა: „სული ობოლი“, „სულო ბოროტო“, „მერანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ხმა იდუმალი“...

ზოგჯერ ორივე პოეტი არა მხოლოდ სიტყვიერებით, განწყობითა და აზრთა მდინარებით, ლექსწყობითაც კი თანაზიარნი არიან.

გალაკტიონ ტაბიძის ამ ერთი ლექსითაც კი გასაცნაურდა გალაკტიონისა და ბარათაშვილის სულიერი და შემოქმედებითი ნათესაობა.

ამრიგად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ელეგია“ ლირიკული ინტიმით, სახისმეტყველებითა და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ატრიბუტიკით თანაზიარია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სამყაროსი.

## **შახბან ხაპიზოვი, მაგომედ შეხმაგომედოვი**

(რუსეთი, დაღესტანი, მაჰაჩყალა)

### **სომხური და ქართული წყაროები ავარიის სანუცალოში საეკლესიო მშენებლობის ისტორიის შესახებ (VII-XIV სს.)**

შუა საუკუნეებში კავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო ავარიის სანუცალო, რომელსაც არაბი და სპარსი ავტორები სარირის სამეფოდაც მოიხსენიებენ. წერილობითი წყაროების მიხედვით, აქ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ქრისტიანობა VII-XIV სს; X-XIII სს. ის ავარიის სახელმწიფო რელიგიასაც კი წარმოადგენდა. თუმცა დღემდე მხოლოდ ფრაგმენტულად არის ცნობილი ავარიის სანუცლოს ისტორიის ქრისტიანული პერიოდი. მიუხედავად ამისა, ახალი წერილობითი წყაროების (ეპიგრაფიკული ძეგლების) აღმოჩენა ავარიის ტერიტორიაზე, ისევე როგორც სომხური, ქართული და სხვა მატრიანეების ცნობები საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ რამდენიმე კითხვას.

ამ ეტაპისთვის შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ავარიის ტერიტორიაზე 40-ზე მეტი ეკლესია მოქმედებდა. 2012-2015 წწ. ავარიის ეპიგრაფიკული ექსპედიციების დროს კერძო კოლექციებსა თუ შენობათა კედლებში მივაკვლიეთ ქვაჯვარებს ან მათ ფრაგმენტებს ქართული წარწერებით. მათი დიდი ნაწილი თავმოყრილია ხუნზახის პლატოზე, მთიანი ავარიის ისტორიულ ცენტრში. ყველაზე მეტი ქართული წარწერა აღმოჩნდა აკაროს მთაზე აღმართული X-XIV სს. ეკლესიის ნანგრევების შესწავლისას; სამუშაოებს აწარმოებდა დაღესტნურ-ქართული არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციამ ეკლესიის ნანგრევების მახლობლად მდებარე ციტადელის გათხრებისას აღმოაჩინა X-XI სს-ით დათარიღებული 16 წარწერა. კიდევ ერთი სამშენებლო წარწერა აღმოჩნდა ლუნიბის რაიონის სოფ. რუგუჯაში; წარწერაში ნათქვამია ავარიის ნუცალთა ნათესავის, დადჰვისა და მისი მეუღლის მიერ ეკლესიის მშენებლობის შესახებ. 1365 წ. ხუნზახის წარწერების უმეტესობა

შესრულებულია ქვაჯვარებზე; მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცნობა ეკლესიის მშენებლობის შესახებ XIII ს-ში (მდებარეობს ხუნზახის გარეუბანში, ტად-რაალში).

ადრე შუა საუკუნეების გამაგრებული დასახლება გელბახი (სომხ. ვარაჩანი, არაბ. ბალანჯარი) მდებარეობს ავარიის ჩრდილოეთით. აქ გაითხარა VII-VIII სს. ოთხი ეკლესია. ისინი შეიძლება მივიჩნიოთ უადრეს ეკლესიებად ავარიის ტერიტორიაზე. ამ ეკლესიებთან ქრონოლოგიურად და ტიპოლოგიურად ახლოს დგას ჰარკასში - VIII-XIV საუკუნეების ვრცელი (26 ჰა) ნაქალაქარი ავარიაში - აღმოჩენილი ორი რელიგიური ნაგებობა.

სომხურ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მეათე საუკუნის შუახანებამდე ავარიაში გავლენა ჰქონდა სომხურ ეკლესიას; X ს-დან კი, საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიის ძალისხმევით, უპირატესობა მართლმადიდებლობამ მოიპოვა. XI ს-ის დასაწყისში მეფე ბაიარმა (საეკლესიო სახელი ბუხტ-ვიშო) გააძლიერა საეკლესიო მშენებლობა და საეკლესიო ორგანიზაცია. იმავე დროს აშენდა დათუნას ეკლესია - ერთადერთი ქრისტიანული ნაგებობა, რომელმაც დაუზიანებლად მოაღწია დღემდე. ამავე დროს უნდა აშენებულიყო აკაროს მთაზე გათხრილი ეკლესიაც. ბოლოდროინდელი კვლევებით ცნობილი გახდა მეფის ბრძანებით 1008 წ. დამზადებული ვერცხლის ნაკეთობები ბიბლიური სცენების გამოსახულებით. ეკლესიების მშენებლობა შემდეგშიც გრძელდებოდა. XIII ს-ში, მონღოლთა შემოსევების შემდეგ, ქართული ეკლესიის გავლენა მნიშვნელოვნად შესუსტდა. საეკლესიო დეკორი და სამშენებლო მასალის ზოგიერთი დეტალი საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ქართული ტრადიციის წყვეტაზე და ადგილობრივი საეკლესიო არქიტექტურის გამოჩენაზე.

*პუბლიკაცია მომზადდა ფუნდამენტური კვლევების რუსეთის ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის No. 20-59-05010 ფარგლებში.*

## ბორის ხარსიევი

(რუსეთი, ინგუშეთი, მალგობეკი)

### ინგუშური ენის ზოგი ტერმინის ლექსიკოლოგიის საკითხი

ი. დიაკონოვისა და ს. სტაროსტინის პარადიგმის შესაბამისად, ხურიტულ-ურარტული ენები ქმნიან ჩრდილოაღმოსავლური ენობრივი ოჯახის ცალკე შტოს. ისინი წერენ: „ახლა სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ჩრდილოკავკასიური ოჯახი შედგება ორი ჯგუფისაგან, რომელსაც ჩვენ ვუნოდებთ „დასავლურს“, ანუ „აფხაზურ-ადილურს“ და „აღმოსავლურს“... იგულისხმება, რომ ქართველური ენობრივი ოჯახი არ განეკუთვნება განსახილველ ჩრდილოკავკასიურ ოჯახს და მრავალი ლექსიკური შეხვედრა იხსნება ჩრდილოკავკასიური ენების სუბსტრატით“.

Г1лг1ай (ინგუშები) არის კავკასიელი ავტოქტონების მკვიდრი ხალხი, დაცული ციხესიმაგრეებით მთისწინეთიდან გარემოცული მომთაბარე ხალხების დიდი მასისაგან, რომელთაც, დიდი ზეგავლენის მიუხედავად, შეძლეს თავიანთი ძველი ენის შენარჩუნება.

დღეს მოგვყავს მაგალითები ენობრივი ცნებების წარმოშობის უძველესი ძირებისა.

მივმართავთ ინგუშების მზისა და მთვარის ციკლის ტერმინებს:

**Ма** – „მზის ერთ-ერთი სახელწოდება“;

**Малха** – „მზიანი დრო“;

**Малх** – „მზე, სინათლის წყარო“;

**Маг1а** – „საპატიო ადგილი, ტახტი“;

**Мотт** – „ენა“;

**Маp** – „ქარი“;

**Маpха** – „ნმ. მარხვა“;

**Мах** – „ფასი“;

**Морх** – „ღრუბელი“;

**Молха** – „ნამალი“, მოგვიანებით „თოფის ნამალი“....

**Мукха** – „ბასრი დანა“;

**Мукх** – „ქერი“;

**Мангал** – „ნამგალი“ და სხვ.

ასტრონომიული ობიექტების გაღმერთება, აგრეთვე მათი წლიური მოძრაობის ციკლები, როგორც ჩანს, გახდა საფუძველი ძველი ენების რიგი ტერმინების წარმოშობისა. ზოგჯერ ისინი შეადგენენ ორ მარტივ ცნებას. მაგალითად, **Малха** (**Ma** – „მზე“, **Л** – „კავშირი“, **Ха** – „დრო“). წარმოდგენილი თემის შემდგომი კვლევა გააფართოებს ცოდნის თვალსაწიერს კავკასიური ენების შესწავლაში.

## ოვსანა ხაჩატრიანი

(სომხეთი, ერევანი)

### შუა საუკუნეების სომხური ლიტერატურის ზოგიერთი ჟანრის უნიკალური გამოხატულება სომხურ ხელნაწერებში

სომხურ ხელნაწერებში კარგად გამოიხატა შუა საუკუნეების ლიტერატურის ზოგიერთი ჟანრის, კერძოდ, კაფიისა და გამოცანების, უნიკალური ხასიათი.

კაფია შუა საუკუნეების სომხური ლიტერატურის უნიკალური პოეტური ტიპია, რომელიც ჩაისახა და განვითარდა X-XVI სს-ში (ხანდახან კაფიები XVIII ს-შიც იწერებოდა). ტერმინი კაფია წარმოდგება არაბული სიტყვისგან *qāfiyya*, რაც „რიტმას“ ნიშნავს. კაფიად დასათაურებული ლექსები ჩნდება XIV ს-ის დასასრულს გრიგოლ ხლათეცის „განძარანთა“ კრებულში. გრიგოლ ხლათეცის კაფიის უადრესი ნიმუში დაცულია M 4011 ხელნაწერში. კაფიები მისდევს კლასიკური კაფიების ზოგად ნიშნებს: სტრუქტურა, მეტრი, რიტმი; ამასთანავე, მას ახასიათებს რიგი თავისებურებებისა: აკროსტიქად გამოყენებული ავტორის სახელი, შინაარსობრივი კავშირი კოლოფონთან და სხვ.

გრიგოლ ხლათეცის ტრადიცია მოგვიანო ხანის ავტორებმაც გააგრძელეს. მათ შორის არიან: არაქელ ბალიშეცი, გრიგოლ ხლათეცის მოწაფე; სიმეონ კარაპეტ ბალიშეცი და სხვა გადამწერ-ავტორები.

გამოცანა ფოლკლორული წარმომავლობის ჟანრია. სომხურ ლიტერატურაში ის შემოიტანა ნერსეს IV შნორჰალიმ XII ს-ში. გამოცანებმაც ჩვენამდე მოაღწიეს სვინანქსარულ კრებულებში (ჰაისმავურქებში). ჩვენ მიერ გამოყენებული ყველა ჰაისმავურქის რედაქტორი გრიგოლ წერენც ხლათეცია (1349-1425); გამოცანები კი ნერსეს შნორჰალის ეკუთვნის.

ეს გამოცანები, როგორც ჩანს, სვინანქსარულ კრებულებში გადამწერმა შეიტანა, მოგვიანებით კი სხვა გადამწერებმა გააგრძელეს ეს ტრადიცია. ორი ჟანრის კომბინაციით თხრობაც უფრო ცოცხალი და მიმზიდველი ხდებოდა.

ასე ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების ხელნაწერთა კულტურის უნიკალური ფორმა, რომელშიც ხელნაწერთა ორი ჟანრი ერთდროულად, თუმცა არა მონოლითურად ჩნდება.

## ლელა ხაჩიძე

(საქართველო, თბილისი)

### ისტორიული ჟანრის ბიზანტიური თხზულებები და მათი ქართული თარგმანები

ბიზანტიელი ისტორიკოსების მიერ ასახულია კონსტანტინოპოლის 626 წლის აღცა, არაბთა შემოსევა 678 წელს იმპერატორ კონსტანტინე პოლონატის (668-685) დროს და არაბთა შემოსევა 717-718 წლებში, იმპერატორ ლეონ ისავრიელის (717-741) დროს. უძველესი და უმთავრესი ისტორია

ამ ბრძოლებიდან კონსტანტინოპოლის 626 წლის ალყაა, რომელიც უკავშირდება ბერძენ - სპარსელთა ომებს ჰერაკლე კეისრის (610-641) მმართველობის პერიოდში. ეს მღელვარე ისტორია აღწერილია VII საუკუნეში შექმნილ რამდენიმე ისტორიულ თხზულებაში: თეოდორე სვინგელოსი ქადაგება, ანონიმი ავტორის „პასქალური ქრონიკა“ და გიორგი პისიდიელის ისტორიული თხზულება. ეს ავტორები თავად იყვნენ თვითმხილველები და მონაწილეები ამ თხზულებებში აღწერილი ამბებისა. ამ ისტორიული თხზულებების ბერძნული ტექსტები გამოცემული და შესწავლილია.

კვლევამ ნათელყო, რომ ისტორიული ჟანრის ეს საინტერესო თხზულებები სამჯერაა თარგმნილი ქართულად და ცნობილია „საკითხავი დაუფდომელთაჲს“ სახელით. პირველი თარგმანი ეკუთვნის სტეფანე სანანოხსძე - ჭყონდიდელს (X საუკუნის II ნახევარი), მეორე თარგმანის ავტორია ცნობილი მოღვაწე - გიორგი მთანმინდელი (1009 -1065), მესამე თარგმანი კი ამ თხზულების მოკლე, სვინაქსარულია რედაქციაა, რომლის მთარგმნელი უცნობია.

კვლევამ ნათელყო, რომ სტეფანე სანანოხსძის თარგმანის ბერძნული ორიგინალი VII საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის - გიორგი პისიდიელის თხზულებაა. ეს თარგმანი ზედმინვენით თანხვდება ორიგინალს. ამავე დროს, შეიცავს არაერთ ტერმინოლოგიურ სიახლეს. თხზულების მომდევნო - გიორგი მთანმინდელისეული თარგმანი მოცულობით საგრძნობლად აღემატება წინააღმდეგულ თარგმანს, რადგან გავრცობილია სხვადასხვა ისტორიული თხზულებებით. ესაა მთელი პანორამა VII-VIII საუკუნეების და წინააღმდეგული საკვანძო ისტორიული მოვლენებისა იმდროინდელ იმპერიებში - ბიზანტიაში, ირანსა და არაბეთში, აგრეთვე მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. როგორც კვლევამ გვიჩვენა, ძველ ისტორიებთან ერთად, გიორგი მთანმინდელის უმთავრესი წყაროა გიორგი ამარტოლის „ისტორია“. მისი ერთ-ერთი წყაროა აგრეთვე IX საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის - თეოფანე აღმსარებლის „ქრონოგრაფია“, საიდანაც მას აღებული აქვს ცნობები არაბთა შემოსევების შესახებ 678 და 717-718 წლებში.

კვლევამ ნათელყო, რომ თხზულების მესამე - სვინაქსარული თარგმანის წყაროა კონსტანტინოპოლის პატრიარქის - ნიკიფორე კალისტე ქსანთოპულოსის (XIV ს.) ისტორიული თხზულება. ეს ისტორიები, შინაარსის გამო, დაუკავშირდა ცნობილ საგალობელს „ღვთისმშობლის დაუფდომელს“, ანუ „აკათისტოს“.

## ელგუჯა ხინთიბიძე

(საქართველო, თბილისი)

### ქართული წარმოშობის შედევრი რენესანსის ევროპის ხალხთა მწერლობაში და მისი იდუმალი სათაური

ქართული ლიტერატურული კულტურის კავშირი ევროპულ ცივილიზაციასთან ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. ეს კავშირი ადრინდელ შუასაუკუნეებში ბიზანტიური გზით ხდებოდა; რენესანსის და უშუალოდ მის წინარე ეპოქის ევროპულ ცივილიზაციაში კი ქართული ლიტერატურის უშუალო კვალის ორიოდე შემთხვევაა ძალზე შთამბეჭდავია. ერთ-ერთი მათგანია XI-XV საუკუნეების ევროპის თითქმის ყველა ხალხს შორის ძალზე პოპულარული თხზულება - ქართველი მწერლის მიერ ქართული ლიტერატურული ნარატივის (ბალავარიანის) გადამუშავებით შექმნილი და თანამედროვე ბიზანტინისტიკაში ბარლაამ-რომანის სახელით დამკვიდრებული ვარლაამისა და იოასაფის ისტორია. იგი მიმზიდველი აღმოსავლური ნარატივის, იგავ-არაკებისა და რომანტიკული ეპიზოდის ქრისტიანული აპოლოგიითა და პოლემიკით გაჯერებული აგიოგრაფიული თხზულებაა. XX საუკუნის ერთი ცნობილი ბიზანტინისტის (ანრი გრეგუარის) თქმით, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის თანამედროვე კრიტიკურობით შეფასება რომ შეიძლებოდა, ამ ნაწარმოების ავტორს ნობელის პრემია ეკუთვნის. ეს მწერალი X-XI საუკუნეების მიჯნის ათონის ქართულ სავანეში მოღვაწე დიდი ქართველი შემოქმედი ეფთვიმე ათონელია. ეს უნიკალური ლიტერატურული თხზულება XI საუკუნეში ბერძნულიდან ორგზის ითარგმნა ლათინურად, ხოლო XI-XII საუკუნეებში აღმოსავლეთ ევროპისა და მცირე აზიის ხალხთა ენებზე: სლავურად, რუსულად, არაბულად, სომხურად; XII

საუკუნიდან კი ლათინური ენიდან - ევროპის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე. ზოგიერთ მათგანზე ამ თხზულების თარგმანთა თუ გადამუშავებათა ათამდე შემთხვევას ითვლიან. მას იმონებენ და ეყრდნობიან ევროპული ცივილიზაციის დიდი შემოქმედები: კალდერონი, ლოპე დე ვეგა, შექსპირი, ლევ ტოლსტოი და მრავალი სხვა. ბოლო დროის კვლევათა თანახმად, თხზულების ბერძნულ ხელნაწერთა რაოდენობა მეთერთმეტე საუკუნიდან დაწყებული (როცა ისინი გამოჩნდნენ) სვიმეონ მეტაფრასტის *მენოლოგიონის*, ანუ *თუენის* შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს. ერთი მკვლევარის გამოთვლით, ძველ რუსულ ხელნაწერთა შორის, ბიბლიური წიგნების შემდეგ, ყველაზე მეტი ვარლამ და იოასაფის რუსული თარგმანია.

შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქის ევროპაში, ბერძნული და ლათინური ხელნაწერებით დამკვიდრებული ტრადიციის კვალდაკვალ, თხზულების ავტორად წმ. იოანე დამასკელი იყო მიჩნეული. ამ ტრადიციაში ეჭვი შეიტანა XIX საუკუნის დასასრულის ევროპულმა ბიზანტინისტიკამ. სამეცნიერო წრეებმა ყურადღება მიაქციეს XI საუკუნის ქართულ ცნობას იმის თაობაზე, რომ დიდმა ქართველმა მწერალმა ეფთვიმე ათონელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „ბალავარი, აბუკურა და სხუანი რაოდენიმე წერილი“ (გიორგი ათონელი). გამოვლინდა, რომ ამ ატრიბუციას მხარს უჭერდა XI საუკუნის ლათინური თარგმანი და ორიოდე ბერძნული ხელნაწერი. ბერძნული ბარლამ-რომანის ავტორობის საკითხი XX საუკუნის ევროპული ბიზანტინისტიკისა და ქართველოლოგიის ერთ უმთავრეს პრობლემად იქცა. თვალსაზრისი თვალსაზრისს ცვლიდა. ზოგი მათგანი, ერთი ევროპელი ბიზანტინისტის შეფასებით, „გაზიარებული იყო საოცარი სურვილით, რათა არ მიეღოთ ქართული წყაროებიდან მომდინარე აშკარა და დამაჯერებელი ცნობები“ (ქ. ჰოგელი). ქართველოლოგები, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ (მარი, პეეტერსი, კეკელიძე, ყაუხჩიშვილი, აბულაძე, ჟიმარე, ხინთიბიძე), თანმიმდევრულად ასაბუთებდნენ ეფთვიმე ათონელის ავტორობას. მათი წვლილი პრობლემის გადამწყვეტაში პრინციპული მნიშვნელობისაა.

XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში გერმანიის ბიზანტინისტთა სკოლამ რ. ფოლკის ხელმძღვანელობით, რომელიც თავგამოდებით იცავდა მათი დიდი წინამორბედის დიოლგერის აზრს იოანე დამასკელის ავტორობაზე, აღიარა და ახალი არგუმენტებით განამტკიცა ეფთვიმე ათონელის ავტორობის თვალსაზრისი. საკითხის შემდგომი კვლევის არეალი საკმაოდ ფართოა, რაც იმითაცაა განპირობებული, რომ ევროპულ ბიზანტინისტიკაში არამხოლოდ ეფთვიმეს ავტორობის თვალსაზრისი, არამედ ბარლამის სხვადასხვა რედაქციასთან მისი მიმართების როლიც პრობლემატურია. საკამათოა თხზულების ქრისტოლოგიურ წყაროებზე დამოკიდებულების და ასევე სხვა საკითხიც. ამ პრობლემათა შორის ერთ-ერთია ბერძნული ბარლამის სათაურის იდუმალი დეტალების საკითხი. ამ დეტალების სუბიექტური ინტერპრეტაციებით ხდებოდა ავტორის იდენტიფიცირება არამხოლოდ შუა საუკუნეების გადამწერთა, არამედ თვით ბიზანტინისტთა (ზოტენბერგი, დიოლგერი, კაჟდანი) მიერ. თხზულების ლემის (ვრცელი სათაურის) მონაცემებზე დამყარებით, ბარლამის ავტორად მიჩნეული იყო იოანეს სახელით ცნობილი რომელიმე წმინდა მამა, ან საბანძინდის ლავრასთან დაკავშირებული უცნობი ბერი. ამ ლემის, ჩემი თვალსაზრისით (თანახმად ზოტენბერგის და დიოლგერისა), თავდაპირველი ვარიანტი ამგვარად იკითხება: „სულის მარგებელი მოთხრობა, ეთიოპელთა, ეგრეთწოდებულ ინდოთა, უშინაგანესი ქვეყნიდან წმინდა ქალაქში მოტანილი პატივდებული და რჩეული კაცის, წმინდა საბას მონასტრის ბერის იოანეს მიერ“.

ამ ლემის შესწავლისას, ჩემი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თხზულების შესავალს, რომლისგანაცაა ლემაში გადატანილი ცალკეული ფრაზები და სპეციფიკური დეტალები: „სულისმარგებელი მოთხრობა“, „ეთიოპიელთა, ეგრეთწოდებულ ინდოთა ქვეყანა“ და ამბის მომტანზე მითითება. შესავალში ავტორი თავის თავზე და თხზულების შექმნის დეტალებზე საუბრობს. ამ დეტალებს კი ათონის ქართველთა ლავრასთან და თვით ეფთვიმესთან მივყავართ: ავტორი საუბრობს „ღვთაებრივ კაცებზე“, რომელთაც მას ეს ამბავი მიუტანეს, რომელთა იდენტიფიცირებას, სარწმუნო ვარაუდით, ორ იოვანესთან, ეფთვიმეს მამასა და ბიძასთან მივყავართ: ამბის მომტანის სახელი ლემაში იოვანეა და დაკონკრეტებული. ავტორი ბერძენ მკითხველს მასთან მოტანილი ნარატივის ინდოეთს ეთიოპიად წარუდგენს. ჩემი აზრით, ამ აღრევასაც ისევ ეფთვიმესთან მივყავართ. წმინდა წერილის ბერძნული დედანის აღმოსავლეთის ხალხთა თარგმანებში (სირიული, სომხური, ქართული) ეთნიკური ტერმინი ეთიოპიელი ზოგჯერ ფერადკანიანის

მნიშვნელობითაა გაგებული და ინდოელადაა გადმოტანილი (კერძოდ, „საქმე მოციქულთაში“). ეფთვიმე კი ამ ტექსტების ქართულად მთარგმნელია.

უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ლემის მიხედვით, ამბის მიმტანი ბერი აშკარად ერისკაცის ეპითეტებითაა შემკული: „პატივდებული და რჩეული კაცი“. ათონის მთაზე, ეფთვიმეს გარემოცვაში აღმოსავლეთიდან წიგნების, ამბების და სხვა დიდი სიმდიდრის მიმტანი არის იოვანე-თორნიკე, რომელსაც ბიზანტიის სამეფო კარისაგან პატრიკის წოდება ჰქონდა, ხოლო აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ, ის სინკელოსის პატივითაც შეამკეს. ეფთვიმეს ცხოვრების აღმწერელი წმ. გიორგი მთანმინდელი ზუსტად ამგვარი ეპითეტებით ამკობს იოვანე-თორნიკეს („განთქმული და საჩინო კაცი“) და აღნიშნავს, რომ საერო პატივს იგი დიდხანს არ ივიწყებდა. იოვანე-თორნიკე ათონის მთაზე მის მიერ მოტანილ და მისივე მოგებულ წიგნზე (სამოთხეზე) დართულ საკუთარ ანდერძში უფალს ამგვარად შესთხოვს: „...სალოცველად თავთა ჩუენთა — პირველად იოვანე-თორნიკ-ყოფილისათვის და ან, წმიდა მეფეთა მიერ იოვანე სვანგლოზისათვის, რომელმანცა სიყუარულისათვის ღმრთისა დაუტევა დიდებაჲ ქვეყნისაჲ და პოვა ზეცისაჲ“.

ჩემი აზრით, სამოთხეზე დართული იოვანე-თორნიკეს ეს ანდერძი, რომელიც თავისდათავად ვრცელი საღვთისმეტყველო ტრაქტატია, ბარლაამის შესავალის ერთი ლიტერატურული წყაროა. ბარლაამ-რომანის ავტორს საზოგადოდ ახასიათებს თავისი თხზულების ქრისტოლოგიური (აპოლოგეტიკური, დოგმატიკური, პოლემიკური) პასაჟების დიდ და ცნობილ წინაპართა აპრობირებულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაზე დამყარება (სვიმეონ მეტაფრასტის მენოლოგი, იოანე დამასკელის დოგმატიკა, არისტიდეს აპოლოგია და სხვა წმინდა მამათა ნაწერები). შესავალი გარკვეულ კავშირშია სამოთხისეულ იოვანეს ანდერძთან უფლის განკაცების, მოციქულთა და მეუღბნოეთა მოღვაწეობის აღწერის არქიტექტონიკით და სახარებისეული კონკრეტული პასაჟების დამოწმებით. იოვანე-თორნიკეს წარსაგებელით გადანერილი, მისი ანდერძით შემკული და მის მიერვე ათონზე მოტანილი სამოთხის გადამწერლისეული „ანდერძი“ ერთ შორეულ ვარაუდზეც მიმანიშნებს.

ბარლაამ-რომანის ლემის მიხედვით, ამბის მიმტანი იოანე „წმინდა საბას მონასტრის ბერია“. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით არ დასტურდება, რომ იოვანე-თორნიკეს რაიმე კავშირი ჰქონდა საბანმიდის ქართულ საღვთისმეტყველო ცენტრთან. ათონის მთიდან ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ საბრძოლველად აღმოსავლეთში წასული იოვანე ისევ ბერად რჩება. მას მჭიდრო კონტაქტი აქვს ტაო-კლარჯეთის ქართულ სამონასტრო კომპლექსთან, უპირატესად ოშკის დიდ ქართულ საბერმონაზვნო კულტურულ ცენტრთან. 978 წელს ოშკში გადანერილი ქართული ბიბლიის ორტომეული ახლაც ივირონის წიგნთსაცავში ინახება. ზემოთ მოხსენიებული სამოთხეც, რომელშიც იოვანე-თორნიკეს ანდერძია ჩართული, ოშკშია მისი წარსაგებლით გადანერილი და შექცენილი. ანდერძი ამგვარად მთავრდება: „დაინერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულისა ლავრასა ოშკსა, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, მამობასა საბაჲსა „ქრისტემან აკურთხენ!“ არაა გამორიცხული, რომ ივირონის ქართველ ბერმონაზონთა მესხიერებაში საბას მონასტრის ბერის, იოვანეს მოტანილი წიგნები „წმინდა საბას მონასტრის ბერის“ მიერ მოტანილად ჩარჩენილიყო. უფრო სავარაუდო კი ისაა, რომ „საბას მონასტრის ბერი“ ათონის ბერძენ გადამწერელთა მიერ გადააზრებულიყო „წმინდა საბას მონასტრის ბერად“, საბანმიდის ლავრის დიდი ცნობადობის გამო. ამავე მიზეზით იქცა ივირონის ქართველი ბერი იოვანე იოანე დამასკელად, თუ იოანე სინელად ან იოანე მოსხად.

## ბეჟან ხორავა

(საქართველო, თბილისი)

### ოდისის სამთავროს მეურნეობა XVI-XVIII სს.

XVI საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა ოდიშის სამთავრო. მისი საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით ციხე-ქალაქ ანაკოფიასთან, ანაკოფიის მდინარეზე გადიოდა, სადაც მას აფხაზთა საერის-

თავო ესაზღვრებოდა; ჩრდილო-აღმოსავლეთით ნებელი-დალის თავისუფალი თემები და სვანეთის საერისთავო ემეზობლებოდა; აღმოსავლეთით, იმერეთის სამეფოსთან, საზღვარი მდ. ცხენისწყლის შუა და ქვემო წელს გასდევდა; სამხრეთით, გურიის სამთავროსაგან მდ. ფიჩორი მიჯნავდა; დასავლეთით შავი ზღვა ეკვროდა.

ოდიში მეურნეობის წამყვანი დარგი მინათმოქმედება იყო. მოჰყავდათ ფეტვნიანი და ხორბლეული კულტურები: ღომი, ფეტვი, ჭვავი, ხორბალი, ქერი, ბრინჯი. წამყვანი კულტურები ღომი და ფეტვი იყო. ღომის დაფქვილი მარცვლისაგან ამზადებდნენ სქლად მოხარშულ ფაფას, რომელსაც ასევე ღომს ეძახდნენ, აცხოვდნენ მჭადს; ფეტვის ფქვილისაგან მჭადს აცხოვდნენ, კვერებს ხარშავდნენ.

მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი მეზღვრობა-მეხილეობას, მებოსტნეობასა და მევენახეობა-მელვინეობას ეკავა. ბუნებრივ-კლიმატური პირობები ხელს უწყობდა ყოველგვარი ხილისა და ბოსტნეულის მოყვანას. ბოსტნეული კულტურებიდან გავრცელებული იყო: ნიორი, ხახვი, პრასი, ბოლოკი, კიტრი, სხვადასხვა ჯიშის გოგრა; მწვანილეული: ქინძი, კამა, ცერეცო, ოხრახუში, ნიახური, ქონდარი, პიტნა, მდოგვი, ზაფრანა; პარკოსანი კულტურები: მუხუდო, ცერცვი, ბარდა, ოსპი, ძაძა, ცულისპირა, ხანჭკოლა. მოსახლეობა სამარხვო საჭმელებს სწორედ პარკოსნებისაგან ამზადებდა. კულტურული მცენარეების გარდა ფართოდ იყენებდნენ ველურ მცენარეებს: ჭინჭარს, ეკალას, დანდურს, ღვალოს, ნაცარქათამას, მხალი ბაიას, სატაცურს და სხვ. მათგან შესანიშნავ მხალეულს ამზადებდნენ; ფხალს და ჯონჯოლს ამწვნილებდნენ, ზამთრისთვის სუნელებსაც ამზადებდნენ. ცხარე სანელებლებს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა, ციების საფრთხეს წინაქის გამოყენებით ებრძოდნენ; კერძებს ნიგვზით, თხილით, ნივრით და ხახვით ანელებდნენ; მარილი ძირითადად შავი ზღვის ნავსადგურებიდან შემოჰქონდათ.

გავრცელებული იყო საზეთე-ბოჭკოვანი კულტურები: ბამბა, სელი, კანაფი. მათგან ამზადებდნენ ძაფს და ტილოს; ამზადებდნენ აბრეშუმის პარკს. განვითარებული იყო მესაქონლეობა. ჰყავდათ კამეჩი, ძროხა, თხა, ცხვარი. მისდევდნენ მეფუტკრეობას, ამზადებდნენ თაფლს და ცვილს. მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნადირობასა და მეთევზეობას.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ოდიშის ამა თუ იმ მხარეში ხელოსნობის გარკვეული დარგი იყო განვითარებული, მათ შორის: ფეიქრობა, თიხისა და ხისაგან ჭურჭლის დამზადება, ტყავის დამუშავება, დურგლობა, ხურობა და სხვ.

## **ჰართიუნ ხუდანანი**

(სომხეთი, ერევანი)

### **დიდი არმენიისა და იბერიის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები V საუკუნეში ადრე შუა საუკუნეების სომხური წყაროების მიხედვით**

სომხეთისა და ქართლის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები V ს-ში ასახულია მოვსეს ხორენაცის, ელიშეს, ლაზარ ფარპეცის, კორიუნისა და მოვსეს კალანკატვაცის საისტორიო თხზულებებში. დასახელებული ავტორები დანვრილებით აღწერენ V ს-ის დიდი სომხეთისა და ქართლის სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე. ამ კონტექსტში სომხეთის ისტორიის მამა, მოვსეს ხორენაცი, მოგვითხრობს სომხეთისა და ქართლის ეკლესიების ერთობლივ ბრძოლაზე ბორბორიტების მწვალელობის წინააღმდეგ. ეს ერესი გავრცელებული ყოფილა როგორც ბიზანტიის, ისე სპარსეთის სომხეთში, აგრეთვე ქართლსა და კავკასიის ალბანეთში. ხორენაცის თანახმად, მწვალელებთა წინააღმდეგ ბრძოლა სომხეთის კათალიკოსმა საჰაკ პართემა დააკისრა მესროპ მაშტოცს. ეს უკანასკნელი გუგარქის პიტიახშის, არშუშას მიწვევით გარდმანიდან გუგარქში გაემართა ბორბორიტების სექტასთან საბრძოლველად; იმ დროს ქართლში არჩილი მეფობდა.

ცნობილი ნაწარმოების „ვარდანისა და სომეხთა მის შესახებ“ ავტორი, ელიშე იყო თვითმხილველი და თანამონაწილე იმ სასტიკი სარწმუნოებრივი და პოლიტიკური ომისა, რომელს



სპარსეთის შაჰმა იეზდიგერდ II-მ გააჩალა ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნების წინააღმდეგ 450-451 წწ. მან დაწვრილებით აღწერა სომხეთში, ქართლსა და კავკასიის ალბანეთში შექმნილი მძიმე ვითარება, დაახასიათა სამი ქვეყნის რელიგიური და პოლიტიკური კავშირები. ამ ომის შედეგად სამივე ქრისტიანულმა ქვეყანამ შეინარჩუნა ჭეშმარიტი სარწმუნოება და ერთობა.

ადრე შუა საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ლაზარ ფარპეცი მოგვითხრობს სომეხი და ქართველი მოკავშირეების აჯანყებასა და ერთობლივ ბრძოლაზე სპარსეთის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ 480-იან წლებში. სომხეთის მარზპანის, ვაჰან მამიკონიანისა და ქართლის მეფის, ვახტანგ I გორგასლის ხელმძღვანელობით სომხებმა და ქართველებმა სუვერენიტეტი შეინარჩუნეს და კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანეს.

## **ნიკოლოზ ჯავახიშვილი**

(საქართველო, თბილისი)

### **გამყრელიძეთა წარმომავლობა და მათი საგვარეულო განშტოებანი**

ძირძველ ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის საპატიო ადგილი ეკავათ გამყრელიძეებს, რომლებიც საქართველოს სამეფოს წარჩინებული აზნაურნი იყვნენ.

გამყრელიძეთა საგვარეულო, რომელიც ამჟამად მთელ საქართველოშია გავრცელებული, სათავეს რაჭიდან იღებს. 1995 წლის 1 თებერვლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობდა 1643 გამყრელიძე, რომელთაგან 757 ცხოვრობდა თბილისში, ხოლო 886 - საქართველოს ცალკეულ რეგიონებში: რაჭაში, სვანეთში, იმერეთში, ქართლში, კახეთსა და სამეგრელოში.

წინამდებარე გამოკვლევა წარმოადგენს გამყრელიძეთა გვარის წარსულისა და მის გამოჩენილ წარმომადგენელთა მოღვაწეობის ისტორიის ერთ მთლიანობაში შესწავლის პირველ ცდას.

ეს ნაშრომი იყოფა ათ ნაწილად:

- 1) გამყრელიძეთა წარმომავლობა და განსახლების თავდაპირველი არეალი - რაჭა;
- 2) გამყრელიძეთა იმერეთის განშტოებანი;
- 3) გამყრელიძეთა ქვემო ქართლის განშტოება - შანშიაშვილნი;
- 4) გამყრელიძეთა შიდა ქართლის განშტოება;
- 5) გამყრელიძეთა კახეთის განშტოებანი;
- 6) გამყრელიძეთა სამეგრელოს განშტოებანი;
- 7) აზნაურ გამყრელიძეთა იჯახები XIX საუკუნის შუა ხანებში;
- 8) ქართულ ლიტერატურაში ასახული გამყრელიძე-შანშიაშვილნი (XIX საუკუნე);
- 9) გამყრელიძეთა საგვარეულოს გამოჩენილი წარმომადგენლები (XIX საუკუნის მიწურულიდან);
- 10) გამყრელიძეთა თანამედროვე რაოდენობა და განსახლების არეალი.

## **ელენე ჯაველიძე**

(საქართველო, თბილისი)

### **კავკასიური დრამა ორჰან ფამუქის „თოვლში“**

„თოვლი“ ორჰან ფამუქის პოლიტიკური რომანია, რომელშიც თანამედროვე თურქეთში არსებული ისლამის მრავალპლანური დისკურსია წარმოდგენილი. ეს საკითხები წარმოდგენილია სოციალური და ფსიქოლოგიური რეალიზმის მეთოდის ემულაციით და მიმიკრიით. მწერალი რომანში თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ყარსში გამეფებულ სიდუხჭირეს და ჩანს, რომ ის ამით

შეძრუნებულია, თუმცა „თოვლს“ სოციალური პრობლემის გადაჭრის მიზანდასახულება არა აქვს და არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სოციალური რომანი. ტექსტში მრავლად გვხვდება სპეკულაციური მსჯელობა თურქეთის განსაკუთრებული გზის თაობაზე. რომანში ეს „გზა“ გამოკვეთილია და არის ისლამისტების გამარჯვება არჩევნებში, გოგონათა თვითმკვლელობებიც პროვინციული ქალაქის ატმოსფეროს უკიდურესად ამძიმებს. სწორედ, ამის საპასუხო რეაქციად არის წარმოდგენილი რომანში „თეატრალური“ გადატრიალება, რომელიც ქვეყანაში მომხდარი სამხედრო გადატრიალებების პაროდის წარმოადგენს. რომანის არსი ფართოდ სცდება ლოკალურ კონტექსტს, დახატული სურათი და ატმოსფერო ონტოლოგიურად ღირებულებული ხდება. მწერალი ავანგარდული ექსპერიმენტების ტესტირებას ეწევა, რეალურსა და ფანტასტიკურს ერთმანეთში ხლართავს. „თოვლი“ არის პოსტმოდერნისტული პოლიფონიური, მრავალმრიანი რომანი, რომელიც გახსნილია მრავალი ინტერპრეტაციისთვის. რომანის თხრობა ფოკუსირებულია პესონაჟთა მრალხმიან სამყაროზე. მოკამათე და დიალოგში შესული მსოფლმხედველობები დიამეტრულად საპირისპიროა, სწორედ ეს აყალიბებს თხრობის რთულ ქსოვილს. ორეულის, დუბლის მოტივი მსჭვალავს რომანს. ნაწარმოების მეტატექსტური ფენა რომანში სხვადასხვა ისტორიით და მოვლენითაა წარმოდგენილი. რომანის ტექსტის მრავალდონიანი ორგანიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერტექსტულობასთან, უფრო სწორად, მის ისეთ გამოხატულებებთან, როგორებიცაა ციტირება და თვითციტირება. „თოვლის“ ერთ-ერთი ინტერტექსტუალური წყარო ფრანც კაფკას შემოქმედებაა. კაფკას ნაწარმოებები დისტოპიის ბრწყინვალე ნიმუშებია. „თოვლშიც“ გვხვდება დისტოპიის ელემენტები. ორჰან ფამუქი ყარსში სამხედრო გადატრიალებას „თეატრალურ გადატრიალებას“ ფორმატში წარმოადგენს და მოვლენები ფარსის სახეს იძენს. მეტაფორების კომპლექსით წარმოდგენილი ფრანც კაფკას „პროცესი“ რომანს აბსურდულ თვისობრიობას ანიჭებს. ტერმინი „კაფკასეული“ შეიძლება განისაღვროს სინონიმებით: „უცნაური“, „იდუმალი“, „დაუნდობლად ბიუროკრატიული“, „კომმარული“ და „შემზარავი“. ყველა ეს ტერმინი შეიძლება გამოვიყენოთ „თოვლის“ საერთო სურათისა და თემატური რკალის ანალიზისას. ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტულ სამყაროში იერარქიული, სემანტიკური სტრუქტურები დრეკადი და არამყარია. მწერალს შემოაქვს პოლიტიკური და რელიგიური აქცენტები, რომელთა ფუნდამენტი მულტიკულტურალიზმია. ორჰან ფამუქის „თოვლში“ პოსტმოდერნიზმის ძირითადი პრინციპების გამოყოფა შესაძლებელია - ეს არის გამოკვეთილი ინტერტექსტულობა, დიალოგიზმი, პრინციპული ფრაგმენტარიზმი, ჩანაცვლება, ჩვეული ყანრების შეჯვარება (ჰიბრიდიზაცია), დისკრეტულობა, პლურალიზმი, თამაში, პაროდია. ორჰან ფამუქის აზროვნება ემყარება პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელ „ეპისტემოლოგიურ კრიზისს“, განმანათლებლური გონიერების რწმენის უარყოფასა და ხელოვანის „უნიკალური“ ფენომენის დესტრუქციას.

## ნინო ჯაველიძე

(საქართველო, თბილისი)

### ისტორიული გამონათქვამი „ნიკოფსიდან დარუბანდამდე“ გამოხატავს ქვეყნის სიკოჭლეს(!)

მკვლევარი ზ. კიკნაძე თავის სტატიაში „ზღვა და ხმელეთი ქართულ მითოსში“ გამოთქვამს თვალსაზრისს, რომლის თანახმად ქართველებს არასოდეს ჰქონიათ ზღვასთან პრაგმატული ურთიერთობის გამოცდილება, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს რაიმე მნიშვნელოვანი ურთიერთობა ზღვასთან და მით უმეტეს საზღვაო ბრძოლები და, რომ მდინარეთა ქსელი არასოდეს გამხდარა სახელმწიფო-სამეურნეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი.

წინამდებარე სტატიაში მოხმობილი წერილობითი ცნობებითა თუ სხვა სახის მასალის საფუძველზე ცხადდება, რომ ზ. კიკნაძემ ვერ დაასაბუთა თავისი თვალსაზრისი ვერც მითოლოგიური სფეროს მოშველიებითა და ვერც ისტორიული წყაროების მოხმობით. პირიქით, არსებული მასალე-

ბით წარმოჩნდა სრულიად განსხვავებული და საპირისპირო შინაარსის მომცველი სურათი: ქართველთა წარმართული წარმოსახვით ზღვა აღიქმებოდა როგორც საკრალური სიდიდე - დამაკავშირებელი გზა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სამყაროებს შორის. ამას გარდა, ქართველები ყოფით ცხოვრებაში გაშინაურებულნი იყვნენ ზღვასთან და ანტიკურ ხანასა თუ შუა საუკუნეებში ზღვაოსნობის გზით მათ დამყარებული ჰქონდათ სხვა ქვეყნებთან პოლიტიკურ-დიპლომატიური და ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობები. საზგასასმელია, რომ ამას მეტყველებს საქართველოში არსებული ფლოტის შედგენილობა: სამეფო ფლოტი შედგებოდა როგორც სამგზავრო ხომალდებისგან, ასევე საბრძოლო ნავებისგანაც. ქართველ მეფეებს შესწევდათ უნარი საკუთარი ფლოტი გაეგზავნათ სხვა ქვეყნებისკენ საზღვაო ბრძლებში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოში ყოველთვის იყო განვითარებული სამდინარეო მიმოსვლა. ამას მეტყველებს ის, რომ, ჯერ ერთი, ორ მდინარეზე - მტკვარსა და რიონზე გადიოდა ინდოეთის საქარავნო გზის მონაკვეთი, მეორეც, არაერთ მდინარეზე არსებობდა ნავსადგურები ნავებისთვის და საბაჟო პუნქტები ტვირთის გადაზიდვისთვის.

## ლევან ჭიქია

(საქართველო, თბილისი)

### ზვიად გამსახურდია და საქართველოს მწერალთა კავშირი (1968-2004)

დღემდე ქართულ ვებგვერდებზე ([www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge); [ka.wikipedia.org/wiki](http://ka.wikipedia.org/wiki); [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge)) ზვიად გამსახურდიას საქართველოს მწერალთა კავშირში განწევრიანების ორი თარიღია მითითებული - 1966 და 1970 წლები, თუმცა ორივე თარიღი მცდარია.

ჩვენ მივაკვლიეთ დოკუმენტს, რომლის მიხედვით დგინდება, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოს მწერალთა კავშირში 1968 წლის 6 თებერვალს განწევრიანდა.

ზვიად გამსახურდია ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდა, რის გამოც 1977 წლის 1 აპრილს ის ერთხმად გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან. 1977 წლის 7 აპრილს კი ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს და სამი წლით პატიმრობა და ორი წლით გადასახლება მიუსაჯეს.

1989 წლის 9 აპრილმა განაპირობა აზროვნების ცვლილება საქართველოში. ეროვნული მოძრაობის ლიდერები დღითიდღე სულ უფრო და უფრო პოპულარულები ხდებოდნენ. ამ გარემოებით ისარგებლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების“ კოლექტივმა და თხოვნით მიმართა საქართველოს მწერალთა კავშირს ზვიად გამსახურდია აღედგინათ საქართველოს მწერალთა კავშირში. თუმცა კავშირში აღდგენაზე უარი განაცხადა თავად ზვიად გამსახურდიამ, რადგან მისი თქმით, მას არ სურდა ყოფილიყო იმ ორგანიზაციის წევრი, რომელიც საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირს ექვემდებარებოდა.

1991 წელს ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა. ამჯერად თითქოს არაფერი უშლიდა ხელს მის საქართველოს მწერალთა კავშირში აღდგენას (ამ დროისთვის საქართველოს მწერალთა კავშირი გამოყოფილი იყო საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირიდან), თუმცა საქართველოს ხელისუფლების მიერ 1991 წლის 2 სექტემბრის მიტინგის დაშლის შემდეგ ცალკეული მწერლები ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობიდან გადადგომასაც კი მოითხოვდა. ამ მოვლენებიდან მალე, ზვიად გამსახურდიას იძულებით საქართველოს დატოვება მოუწია, საქართველოში დაბრუნებული კი, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს (არსებობს თვითმკვლელობის ვერსიაც). 2004 წელს, საქართველოს მწერალთა კავშირში ზვიად გამსახურდიას აღდგენა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოხერხდა, თუმცა ამ დროს ის 27 წლის გარდაცვლილი იყო.

## მარკა ჯიქია

(საქართველო, თბილისი)

### თურქული ინტერფერენციის არალექსიკური მოდიფიკაციები ზოგიერთ ქართულ დიალექტში

რიგ ისტორიულ ვითარებათა გამო ქართული ენის ორ სეგმენტს – ინგილოურსა და იმერხეულს – განვითარება უხდება ერთმანეთთან ახლომდგომ ენათა – ანატოლიური თურქულისა და აზერბაიჯანულის გარემოცვაში.

ქართულ მეტყველებას (ერთი მხრივ – იმერხეულ-ტაოურ-მაჭახლურ-ნიგალურსა თუ ჩვენებურების ქართულს და, მეორე მხრივ – ინგილოურს) ამ ორი თურქული წარმომავლობის ენის გავლენით, ლექსიკური ერთეულების სესხების გარდა (რაც ენათა კონტაქტების ყველაზე რელიეფური შედეგია), სხვა პარამეტრებიც – ფონოლოგიური, მორფოლოგიური – რამდენადმე ერთნაირად ან განსხვავებულად ეცვლება. კერძოდ კი: როგორც ჰერელები, ისე დასავლელები უპრობლემოდ წარმოთქვამენ /რ/-სა და /ჟ/-ს – ანუ თურქულისა და აზერბაიჯანულისეული /ბ/ და /მ/ ინგილოურსა და ჩვენებურების ქართულში ადაპტირებულია და გვხვდება როგორც თურქულ ნასესხობებში (გაღლი < თურქ. გილი 'ტბა'), ასევე ქართულ სიტყვებში: გღღვა, ნუმა (ვა>რ; ვი>უ).

შავშურში, ნიგალურში, ჩვენებურების ქართულსა და ინგილოურში თურქული ენების გავლენით /d/ თითქმის ყველგან /ზ/-თია ჩანაცვლებული: **ზვალი, ზველი, ბიზა** და სხვ.

თურქული მოდემის ხალხებისათვის გადაულახავი არტიკულაციური მომენტია მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნის წარმოთქმა. ამის გადასალახავად ორ თავკიდურა თანხმოვანს შორის ჯდება ეპენტეტური ხმოვანი. შდრ.: შავშური **ფილავი**, ინგილოური **შიტო**, ჩვენებურების **თიბლიზი, ტიბეტი** (თბილისისა და ტბეთის ნაცვლად) და სხვ. ქართული ფუძეთანხმოვნის სახელების სახელობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნები გამქრალია როგორც სამხრეთ-დასავლურ კილოებში, ისე – ინგილოურშიც.

ადგილის ზმნიზედები **აქ** და **იქ** სავსებით მყარი და თვითკმარი მოცემულობებია. თურქულის გავლენით ამ ზმნიზედების სემანტიკა დასაზუსტებელი შეიქნა სამხრეთულ დიალექტებში და სრულად ჩანაცვლებულია **აქში, მაქში, იქში, აგზე, იქზე** ფორმებით, რაც თურქული burada/ şurada/orada-ს კალკია (bura 'აქაურობა' + -da 'ში'/'ზე'; şura 'მანდაურობა' + -da 'ში'/'ზე'; ora 'იქაურობა' + da 'ში'/'ზე'). ეს არ გვხვდება ინგილოურში.

მორფოლოგიური ინტერფერენციის რელიეფური მაგალითია ინტენსივის წარმოება ინგილოურში: მოდელი აზერბაიჯანულია, მასალა – ეროვნული: **კოხე – კო-მ-კოხე, უმა-რილო – უ-მ-უმარილო, ღიაი – ღი-მ-ღიაი, ცარიელ – ცა-მ-ცარიელ** და სხვ. სამხრეთულ დიალექტებში ეს წარმოება არ შეგვხვედრია.

## გრიგოლ ჯოხაძე

(საქართველო, თბილისი)

### ერთი ბიბლიური სიმბოლოსა და ალუზიის თაობაზე დავით აღმაშენებლის ისტორიულ ნარატივში

მოხსენება ეხება ცხოველების სახეებსა და მათ როლსა და მნიშვნელობას ქართულ შუასაუკუნეობრივ ისტორიულ ნარატივში. ევროპელი ინტელექტუალები მკვეთრად უპირისპირებდნენ კაცს – უფლის ხატად და მსგავსად შექმნილს, და ცხოველს – მას დაქვემდებარებულს, არასრულყოფილ და ზოგჯერ უნმინდურ არსებას. როგორც ჩანს, ეს მიდგომა პოპულარული იყო საქართველოშიც.

დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციონერის, ლიპარიტ V ბაღვაშს მისტორიე ძალს ადარებს, თუმცა ეს სახე ბიბლიური დისკურსიდანაა: მას ვხვდებით როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში. როგორც კვლევამ წარმოაჩინა, „ძალინ, ერთი მხრივ, სიმბოლოა უპირო, ცბიერი, ურწმუნო და უნდო ადამიანისა, მეორე მხრივ, ეს არის ციტატა პეტრეს მეორე ეპისტოლეიდან და, მესამე

მხრივ, ალუზია, რომელიც ძველ ალთქმისკენ, კერძოდ კი, სოლომონის იგავების წიგნისაკენ გვამისამართებს.

ძალზე მნიშვნელოვანია, ზუსტად ვიცოდეთ, საიდან იღებს სათავეს მემატანის მიერ გამოყენებული ესა თუ ის მეტაფორა თუ სიმბოლო, რათა ისტორიული წყაროდან უფრო ზუსტი ინფორმაციის მიღება შევძლოთ.

## ლუდმილა ჰრიციკი

(უკრაინა, კიევი)

### ბორის ტენი მე-20 საუკუნის უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში: ჩახრუხადის „თამარიანის“ უკრაინული თარგმანის შესახებ

ნაშრომში, რომელიც ემყარება უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალების შესწავლას, იკვთება უკრაინელი მთარგმნელის, ბორის ტენის (მ. ხომიჩევსკის) გზა ქართული ლიტერატურისკენ, კერძოდ, დიდი შოთა რუსთაველის წინამორბედის, ჩახრუხადის შემოქმედებისკენ; წარმოჩენილია პოემის როლი ქართულ შუა საუკუნეთა ლიტერატურაში, მოტივაცია, უკრაინაში ნაწარმოების რეცეფციის თავისებურებანი.

ბორის ტენის - ტრაგიკული ბედის მქონე ადამიანის, პოეტის, ხელოვნებათმცოდნის, ანტიკური და ევროპული ლიტერატურის მთარგმნელის, უკრაინული ბერძნულ-რომაული ეკლესიის დეკანოზის (УАГКЦ) სახელი ამჟამად ფართოდ არის ცნობილი არამხოლოდ სპეციალისტებისთვის, არამედ მკითხველებისთვისაც. ოსტატის გაკვეთილებს მიმართავენ ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის ისტორიკოსები და თეორეტიკოსები. ასი ნათარგმნი ავტორიდან ბორის ტენმა უკანასკნელ ინტერვიუში გამოყო ჰომეროსი, რომელიც „მახლობელი“ .... აღმოჩნდა, როგორც შემოქმედების ხასიათით, ისე სულით“. თარგმანთმცოდნეები აღნიშნავენ, რომ ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“, ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ მისეული თარგმანის შემდეგ „საეჭვოა, რომ ვინმემ ხელი მოჰკიდოს მათ .... ხელახლა თარგმნას“. ბორის ტენის მრავალმხრივი ინტერესები ვრცელდებოდა ევროპელი ავტორების შემოქმედებაზეც, იშვიათად კი „თარგმანებზე სსრკ ერების ენებიდან“. მაგრამ ბორის ტენის მიერ თარგმნილი ქართული ნაწარმოებები პრაქტიკულად არ მოხვედრილა მხედველობის არეში, თუ არ ჩავთვლით მის მონაწილეობას ორტომეულის, „ქართველი ერის პოეზიის“ (კიევი, 1961) ანთოლოგიის მომზადებაში. შემთხვევამ მაიძულა მიმემართა წიგნის - „გარდასულ საუკუნეთა პოეზია. მე-19 საუკუნე - მე-20 საუკუნის დასაწყისი“ - პირველი ტომისთვის.

უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების არქივ-მუზეუმის ბიბლიოთეკაში შემოვიდა ფანქრით შესრულებული ოცდაათგვერდიანი ხელნაწერი თავფურცლისა და სათაურის გარეშე. მისი კითხვისას მაშინვე ვიცანი ჩახრუხადის ხმა და ამან მაიძულა დავბრუნებულიყავი ანთოლოგიასთან, რომელშიც შედიოდა ჩახრუხადის პოემის ფრაგმენტების ბორის ტენისეული თარგმანები. მთარგმნელთა წრეში სიახლეს არ წარმოადგენს ის, რომ ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია პნკარედით. მთარგმნელთა შორის ძირითადად კარგად ცნობილი სახელებია. ბორის ტენი არ ყოფილა ქართული ლიტერატურის რეპრეზენტანტი: მ. ხომიჩევსკის მრავალრიცხოვან ფსევდონიმებს, რომლებსაც იგი იყენებდა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ძირითადად სპეციალისტები იცნობდნენ. მაგრამ თარგმანი, მიუხედავად ჩახრუხაულის თავისებურებისა (ა. ხახანაშვილი) ან შ. ნუცუბიძის კვალდაკვალ, ათმარცვლიანი ლექსისა, რომელიც მაქსიმალურად არის მიახლოებული ხალხურთან, ბუნებრივად აღიქმებოდა, ყოველგვარი ხელოვნურობის გარეშე. ინტრიგა იზრდებოდა, ვინაიდან საარქივო მასალის უმეტესი ნაწილი ფოკუსირებული იყო ანტიკური ლიტერატურის თარგმანზე, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებზე, კერძოდ, ჰექსამეტრის გადმოცემაზე. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ გარემოებათა გამო, მისი შემოქმედებითი

ცხოვრების გარკვეულ პერიოდებში ავტორი იძულებული იყო მიემართა ფსევდონიმებისთვის, ქართული თარგმანები მის მთარგმნელობით პრაქტიკაში არ ყოფილა შემჩნეული. მაშინ ჩნდება კითხვა, რომელზე პასუხიც ხსნის არამხოლოდ ბორის ტენის გზას ჩახრუხადისკენ, არამედ მისი შემოქმედებითი ცხოვრების ცალკეულ ფურცლებსაც.

ნარმოდგენილ ნაშრომში იკვეთება უკრაინელი მთარგმნელის გზა „თამარიანისკენ“; ნაწარმოების სათარგმნად შერჩევის მიზეზები; მოტივაცია; როლი უკრაინელი ნეოკლასიკოსებისა: მ. ზეროვას, მ. რილსკის და ასევე მ. ბაჟანისა - რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანის გაკვეთილებისა; საკუთარი გზის ძიება ავტორისეულ სტილისტურ და კომპოზიციურ გადანწყვეტათა მრავალფეროვნებაში, საკუთარი მიდგომის შემუშავება ორიგინალური ნაწარმოების, ჩახრუხადის „თამარიანის“ „მხატვრული დომინანტის“ გადმოსაცემად.

ბორის ტენის არქივის, ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლა საშუალებას მოგვცემს მთარგმნელის გვარი ჩაინეროს მე-20 საუკუნის უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში; აქცენტი გაკეთდეს ინდივიდუალური მთარგმნელობითი პროექტის თავისებურებაზე, მათ შორის, ქართულიდან უკრაინულად თარგმნის კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ პრინციპებზე.

## Roin Metreveli

(Georgia, Tbilisi)

### A Great Scientist and a Public Figure

Ladies and Gentlemen,

I must confess that it is very difficult for me to fully convey Academician Tamaz Gamkrelidze's life and work, and right from the outset, I am asking for your pardon for all possible omissions.

It is a matter of pride that this Congress of Kartvelological and Caucasian Studies is dedicated to Tamaz Gamkrelidze, an internationally acclaimed scientist and public figure, Member of the Georgian National Academy of Sciences, Member of the Russian Academy of Sciences, and Member of academies and linguistic societies in various countries of the world.

I will try to give a brief overview of his biographical data.

Tamaz Gamkrelidze was born on October 23, 1929, in Kutaisi, the city he loved exclusively. Several years ago, when traveling in West Georgia, we stopped in Kutaisi, right outside the house in the street leading to the Gelati Monastery. This was the house where Tamaz was born. How much love and affection the scientist felt looking at his home, changed, but still cherishing his childhood memories!

In 1947, he graduated from secondary school and enrolled in the Faculty of Oriental Studies at Tbilisi State University. Still a student, Tamaz Gamkrelidze gained recognition as a talented researcher of history and structure of different types of languages. He made a substantial addition to the understanding of the Urartian language through his writings on the language.

In 1952, Tamaz Gamkrelidze graduated from the University and engaged in scientific activities under the supervision of academician G. Tsereteli. Later, he was sent to Leningrad, where, under the supervision of Professor I. Dyakonov, he specialized in ancient Akkadian, Urartian and Hittite languages.

Thorough knowledge of Semitic, Indo-European, Kartvelian and ancient languages of Southwest Asia, as well as vast general theoretical background allowed him to successfully defend his Ph.D. thesis on "Non-Indo-European Elements of Hittite Language" in 1956. The thesis was highly appreciated and the Academic Council of the Institute of Linguistics recognized Tamaz Gamkrelidze as worthy of the degree of Doctor of Philological Sciences.

In 1962 Tamaz Gamkrelidze defended his doctoral dissertation: "Hittite Language and Laryngeal Theory." With this research, the scholar demonstrated that he was ready to resolve the key issues of the historical-comparative grammatical analysis of the Indo-European languages. Tamaz Gamkrelidze was hailed as one of the pioneers of Hittite studies in the Soviet Union and garnered widespread acclaim for his contributions in this field.

By providing a fresh explanation regarding the origin of Hittite writing from an ancient Akkadian source, Tamaz Gamkrelidze clarified the paleographic and orthographic characteristics of the Hittite system, which were unclear under the previous idea.

Georgi Tsereteli and Georgi Akhvlediani, Tamaz's tutors, took pride in him from the start: "A scholar of tremendous erudition and particular talent... Despite his young age, he has immediately acquired a position of distinction among the greatest linguists of our country," - these are the words of the teachers, extremely satisfied with their apprentice.

Academician Tamaz Gamkrelidze is the author of a number of works in the field of semitology, the ancient languages of Southwest Asia. His general linguistic interests included such key problems of theoretical linguistics as the nature of a linguistic sign, the verb-centric structure of a sentence, general principles of comparative reconstruction, the theory of writing, general philology, etc.

The scientist's works pay special attention to the analysis of languages of different systems, and in particular to the examination of the structure and history of the South Caucasian (Georgian) languages. The regularity of reflection of sibilant phonemes in the historical Georgian languages established by Tamaz Gamkrelidze is referred to in the special literature as "Gamkrelidze's Law". This law is important not only for the history of particular Georgian languages, but also acquires general linguistic and methodological significance as a

principle indicating the necessity of strict phonemic correspondences in establishing genetic relationships between languages, based on the non-Indo-European material.

The monograph by Tamaz Gamkrelidze (co-authored with Givi Machavariani) "The System of Sonants and Ablauts in the Georgian Languages" was a new stage in Georgian linguistics. This study developed a fundamentally new concept of comparative grammar of the Kartvelian languages, the "New Paradigm". The monograph was a great success and was released internationally, namely in Germany. Notably, Academician V. Zhirmunsky, a prominent linguist, considered the monograph as a "great scientific discovery" and emphasized its significance for both the theory of linguistics in general and the history of other languages (Indo-European in particular).

There should not be any room for debate, if we claim that the fundamental two-volume book "The Indo-European language and the Indo-Europeans: A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and a Proto-Culture," written in co-authorship with Academician Vjačeslav Ivanov, has a special place in Academician Tamaz Gamkrelidze's biography. The authors were meritedly awarded the Lenin Prize.

The assessment of two-volume book by Roman Jakobson, one of the founders of modern linguistics, is valuable: "It is definitely a pinnacle of the modern theoretical thought."

This fundamental research is actually a new paradigm of comparative-historical linguistics, which Tamaz Gamkrelidze called "typological comparative-historical linguistics" and whose idea was originally proposed by Roman Jakobson.

Leading linguists from around the world highlight two key aspects of Tamaz Gamkrelidze's writings: thorough discussion of the research topic and his aptitude for combining difficult linguistic theory issues with an in-depth examination of the material from the Indo-European, Kartvelian, and Semitic language families.

His non-trivial approach to the interpretation of already established language facts is no less important feature for practical scientific studies.

The authority of Academician Tamaz Gamkrelidze is generally recognized internationally: the scientist was elected a Foreign Member of the U.S. National Academy of Sciences, a Member of the U.S. Academy of Arts and Sciences, a Foreign Member of the British Academy, a Foreign Member of the Austrian Academy of Sciences; and an Honorary Member of the Saxon Academy of Sciences, an Honorary Member of Hungarian Academy of Sciences, and a Member of European Academy of Sciences and Arts. Tamaz Gamkrelidze was elected a Member of the American Linguistic Society, a Member of the European Linguistic Society (significantly, Tamaz Gamkrelidze served as the Society's vice-president and president at different times), and an Honorary Member of the Indo-European Society (Germany). He was a laureate of the Humboldt Prize, and a laureate of the Ivane Javakhishvili Prize.

Naturally, Tamaz Gamkrelidze was an active participant of international linguistic congresses and other important linguist forums, and regularly gave lectures and speeches at leading universities in Europe and America.

His working career started at the Institute of Linguistics, where he headed the Department of Ancient Eastern Languages. Since 1960, he had headed the Department of Southwest Asian languages of the Institute of Oriental Studies. At the same time, he worked at Tbilisi State University. In 1964, he became a professor.

He was elected first, a Head of the Chair of Structural and Applied Linguistics, and then, a Head of the Department of General Linguistics. I can't help but to positively evaluate his work at the University. The relations I had with him as the University Rector were extremely significant to me. Many good activities were started by Tamaz Gamkrelidze, but the links with many foreign universities were very significant. I would like to recall this one thing: at the end of August 1991, by Presidential Decree, Tamaz Gamkrelidze was named as the Acting Rector of the University. He never began to act in this capacity though, as this appointment was not agreed with him.

In 1973-2005, Tamaz Gamkrelidze served as the Director of the G. Tsereteli Institute of Oriental Studies and was elected Academic Secretary of the Department of Language and Literature of the Georgian Academy of Sciences. In January 2005, Tamaz Gamkrelidze was elected President of the National Academy of Sciences.



In 1984, Tamaz Gamkrelidze was elected an Academician of the Academy of Sciences of the USSR, where, he acted as the Chairman of the Standing Commission on Phonetics and Phonology at the Department of Literature and Language. In 1988-95, he was the editor-in-chief of the journal “Voprosy lazykoznaniya” (Вопросы языкознания; “Linguistic Issues”). He was President of the World Congress of Phonetic Sciences in Tallinn.

In 1985, Academician Tamaz Gamkrelidze was elected deputy of the Supreme Soviets. He was a deputy of the Parliament of Georgia for several terms. He headed the Parliamentary Committee on Foreign Relations and the Coordinating Council of Permanent Parliamentary Missions.

Tamaz Gamkrelidze’s involvement in the national movement of Georgia is a completely different subject. In the 1980s, Tamaz Gamkrelidze, so actively immersed in science, became an active participant of the national movement and played a significant role.

His speech at the First Congress of the Supreme Soviets is unforgettable. When Tamaz Gamkrelidze revealed the higher echelons of the political and military leadership in the Soviet Union in a speech that was both daring and sage, it was like a thunder stroke.

Tamaz Gamkrelidze’s speeches and press pieces showed his concern for the Academy of Sciences and his belief that the Academy should be a single national center of fundamental scientific research with a basic funding model, a unity of independent, autonomous scientific institutes and laboratories, and the highest state body in the field of science, under the patronage of the president of the country.

It was crucial to approve the Law “On the National Academy of Sciences of Georgia” in 2007, the preamble of which emphasized that the Academy of Sciences was the legal successor of the Gelati and Ikalto Academies and continued their illustrious traditions.

The new law made all educational institutions and research institutes of Georgia accountable to the National Academy of Sciences, authorizing the latter to evaluate their scientific activities.

Now, a few words about the character traits of Tamaz Gamkrelidze. His life, and daily activities in particular are a vivid example of his devotion to the science, native country and nation.

He was a man with a strong sense of responsibility. He was principled, demanding and punctual, and always considerate and sympathetic toward his colleagues.

I recall Tamaz Gamkrelidze urging the Parliament and subsequently society in the 1990s to switch the name “deputy” to “parliamentarian” because the latter better captured the essence of a deputy. Although initially somewhat rejected, the term “parliamentary” proposed by Tamaz Gamkrelidze ultimately established itself and is commonly used today.

One more issue to recall that deserved his attention. As it is known, the term “Zakavkazie” (Transcaucasia) was widely used in our country. Tamaz Gamkrelidze pointed out that the term was introduced by the northern neighbors, and “Zakavkazie” means the other side of the Caucasus for them, while is an improper term for southern countries. Tamaz Gamkrelidze was the first to suggest the term “South Caucasus,” which is well established today.

Our society remembers Tamaz Gamkrelidze’s tremendous efforts to name Tbilisi University after Ivane Javakhishvili, and his great authority helped resolve this issue positively.

Dear Sirs,

Today, under the auspices of the Georgian National Academy of Sciences and the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, an International Congress dedicated to problems of Caucasian and Kartvelological studies opens. Two years ago, the pandemic prevented us from hosting such an event. We believe that the Congress will be fruitful and address significant, crucial problems.

I am pleased to see experts of Kartvelian and Caucasological studies from different countries of the world participating in the Congress. They usually put a lot of effort into investigating the issues with our nation’s history, literature, and languages, and I thank them for this!

I wish the Congress a success and hope it will produce significant outcomes!

**Nino Abakelia**

(Georgia, Tbilisi)

## **The Study of Meaning Systems Associated with Hunting in Caucasian Beliefs, Practices and Artifacts**

Hunting as an extraordinary phenomenon is considered a sacred activity. It is studied in several contexts - archaeological, ethnographic, economic, mythological, artistic, cultural, etc. The mythological context, which provides the backdrop of this article, is related to the beyond world and the theme of traveling to this world.

In the archeological artifacts, attested in the Caucasus, which reflect ideas about the world, the close connection of the journey to the other world is manifested in hunting scenes, characteristic ornaments and image organization.

The mentioned artefacts were considered in various ways, sometimes as imported, sometimes as borrowed and local artifacts. The article does not discuss where, when and under whose influence these items should have appeared in the Caucasus (it is limited to references to extensive literature on this issue).

The paper based on mythological and archaeological contexts, on the one hand, examines and analyzes the ethnographic and folklore data related to hunting, in which the ancient Caucasian substrate is traced and in the center of which is the hunter and the Patron of the Beasts, which have been preserved under different names, and on the other hand, archaeological artifacts found on the territory of the Caucasus (belts, buckles rings and bowls).

Both archaeological and ethnographic contexts point to a dynamic space that is much larger than the usual environment in which hunting rituals take place.

The images of hunting-related objects in the mentioned artifacts or mythic-ritual system are considered in semiotic terms as iconic signs or symbols that are neither arbitrary nor random; ritual contexts containing semiotic systems are explored in local artifacts and sacred stories.

